ISS' [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისტემა

6

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეიმობს საბჭოთა საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

288

გამოცემის ოცდაცამეტეთე წელი

6

ივნისი

1981

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა პ ა რ ს ი

3. საქართველოს დიდი ლხინი

პოეზია და პროზა

6. თეიმურ ბეჟიშვილი — ახალი წიგნიდან. ლექსები
9. ოთარ ჩხეიძე — ნისლა. მოთხრობა
16. ჯანო ჯანელიძე — ლექსები
19. რევაზ მიქველაძე — ნოველები
47. ვაჟა დოლბაია — ლექსები
50. სიმონ ბალახვაძე — ლექსები
52. რევაზ ინანიშვილი — ფილბლო გიგო. მოთხრობა
71. ლეონ ხეჩინაშვილი — ლექსები
74. ჯანარი გოგეშვილი — სიზმარეთი. მოთხრობა
100. რევაზ დანელია — წიგნიდან „ფუთილოფელი". ლექსები
105. ვიტალი დარსანია — გზაში. მოთხრობა
108. ოთარ ფურფუმია — მიმიკრია. მოთხრობა

ასფურცელა

115. ლილი ნუცუბიძე, ავთანდილ მეგრელიშვილი, ჯემალ ჩანავა, ზოთა ხოდაშვილი, ჯემალ დო-ბორჯგინიძე, ბეჟან სვანიძე, იმედი ჯაფუა, იმერი ხარაძე, ციური ჯანდიერი, თეიმურ შიმშილაშვი-ლი, გიორგი მეტრეველი — ლექსები

წერილები

120. აკაკი ბაწერელია — ერთი წიგნის გამო
131. როინ მეტრეველი — საქართველოს საისტორიო და სათეოლოგიაფერი საზოგადოება და აკაკი წე-რეთელი
142. ნათელა წერეთელი — ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1908—1910 წლებში
145. ბეჟან კილანავა, კოტე კილანავა — ღვთაება ვოკი

ხელოვნება

155. ლამარა ჩინჩალაძე — მზრდელი დიდი ნიჭისა

მთავარი რედაქტორი

ბორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმან გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ვაჟა ლორთქიფანიძე,

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია ჯაჯანორია,

გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძველაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს დიდი ლხინი

მსგავსი რამ არც ნახულა და არც გაგონილა. როგორ მწყობრად, როგორ გონივრულად, როგორ ლამაზად, როგორ საათივით იყო ყველაფერი აწყობილი!..

ასეთი მომხიბვლელი, ასეთი გულწამტანი ალბათ არასოდეს ყოფილა საქართველო. არც ცის ნამი აკლდა, არც მზის სხივი, არც სითბო, არც სიყვარული, არც ღიმილი. ყველა ძმა და მოძმე, ყველა მეგობარი და ძმადნაფიცი სტუმრად ჰყავდა ჩვენს მრავლის მნახველ ხალხს ყოვლის უფრორე დიდ ლხინში, როგორიც კი ოდესმე ჰქონია.

არამცა და არამც გადაჰარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მთელი ერთი კვირა საქართველოს ეპყრა არა მარტო ჩვენი თვალუწვდენელი კაშირის, არამედ მთელი დედამიწის გულისყური...

და აი თვითონ უპირველესმა სტუმარმა, ქართველი ხალხის უპირველესმა მეგობარმა ლ. ბრეჟნევმა საქვეყნოდ განაცხადა, თქვენი დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის დღესასწაულიაო. ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო—ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურ-კაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობასო...

ეს სამოცწლოვანი, სახელოვანი და მგირული გზა 1921 წლის 25 თებერვალს დაიწყო და ამ ისტორიული დღის ხსოვნას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროშა რომ აფრიალდა, თაობები მართლაცდა სასოებით გადასცემენ ერთმანეთს.

„როცა საბჭოთა საქართველოს მიერ გამოვლილი სამოცი წლის გზას მიმოვიხილავთ, აღნიშნავს ამბანაგი ე. შევარდნაძე, გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის ყოველივე ძვირფასია ამ გზაზე, ყოველივე ეს ჩვენია, ჩვენი ღვიძლია, ჩვენი ხისხლი და ხორცია, ყოველივე ეს დიდი ჯაფისა და თავდადებული შრომის ფასად არის მიღწეული. ჩვენ, ცხადია, ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, ჩვენი ძველთაძველი კულტურით, განსაკუთრებით კი ჩვენი რევოლუციური წარსულითა და იმ უდიდესი წვლილით, ქართველ რევოლუციონერთა ლენინურმა პლეადამ რომ შეიტანა სრულიად რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. მაგრამ ჩვენს უზენაეს სიამაყეს იწვევს დღევანდელი დღე, ჩვენი დროის, მოწინფებული, განვითარებული სოციალიზმის ნაღვაწი და მონაპოვარი“.

ეს ნაღვაწი და მონაპოვარი კი დიდი ძმადშეფიცვისა და უანგარო მეგობრობის ნაყოფია, მეგობრობისა, რომელსაც მუდამ თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასიბარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოში ნაშდვილად ენ-ტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს — განაცხადა ამხანაგმა ლ. ბრეჟნევმა, — ქართველები და რუსები, აფხაზები და უკრაინელები, ოსე-ბი, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და ქურთები — სამშობლოს მეტი ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთის მხარდამხარ ... ბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. თქვენი რესპუბლიკის გამოცდილება კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია ჩვენი პარტიის ლენინუ-რი ეროვნული პოლიტიკის სისწორისა".

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელმა ბევრი გულთბილი სიტყვა თქვა საქართველოს მეცნიერებაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე. საბჭოთა სა-ქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქი-ტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალე-როვნული საბჭოთა კულტურა, მხატვრული შემოქმედების საგრძნობი აღმაფ-რენით აღინიშნა უკანასკნელი წლებიო. „და აჭ, რა თქმა უნდა, — განაგრძო ამხანაგმა ლ. ბრეჟნევმა, — თავის როლს ასრულებს საქართველოს კომპარ-ტიის ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი საქმიანობა, რომელმაც კულ-ტურის ოტკატებთან მუშაობაში სწორ ტონს მიაგნო, ეხმარება მათ, აქტიურად ეწყობს ხელს შემოქმედებითს ძიებას".

ამ დიდი ლბინის ჟამს, არც შენ დავიწყებიხართ, ჩვენი ჟურნალის ახალ-გაზრდა მკითხველო. ეს შენზე ითქვა, ახალგაზრდობა კარგად უნდა იცნობდეს და განაგრძობდეს უფროს თაობათა, თავდადებულ მშრომელთა და სამშობლო-სადმი უსაზღვროდ ერთგულ პატრიოტთა საუკეთესო ტრადიციებსო. შენზე ითქვა იმიტომ, რომ — ეს შენა ხარ ქვეყნის ხვალინდელი დღე, შენ უნდა გა-დიიტანო ამ დღეთა სიხარული მომავალ თაობათა გულში, შენ უნდა გადაჭრა ის სერიოზული პრობლემები და გამოასწორო ის ნაკლოვანებანი, რომელთა გამოც ლაპარაკი იყო საიუბილეო დღეებში.

საქართველოს ამ დიდ ლხინს მეტი და მეტი ელვარება შემატა იმანაც, რომ ცხადად თუ უხილავად ჩვენ გვერდით იდგნენ ჩვენი სულმნათი წინაპრები, და არა მარტო იდგნენ, არამედ ჩვენს დიდ სიხარულსაც იზიარებდნენ.

და სხვამ კი არა თვითონ რუსთაველმა გააგონა კაცობრიობას ერთხელ კიდევ თავისი ბრძნული ქართული, ოდეს ამხანაგმა ლ. ბრეჟნევმა მთელი მსო-ფლიოს გასაგონად წარმოთქვა: „ამჟამად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იზრ-დება მოძრაობა ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, საბჭო-თა კავშირთან მოლაპარაკების რაც შეიძლება მალე დაწყებისათვის. ბევრ იქა-ურ სახელმწიფო მოღვაწეს ესმის, თუ რაოდენ საჭიროა შევინარჩუნოთ დაძა-ბულობის შენელება. და სულ უფრო მატულობს იმათი რიცხვი, ვინც შეიგნო: მოლაპარაკებაზე უარის თქმის პოლიტიკა, სამხედრო ძლიერების იმედით ყო-ფნა საღ აზრზე უარის თქმის პოლიტიკაა.

დიდმა რუსთაველმა რვა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბრძანა:

„კაცო ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეს ვითა მთრავალი... დიდთა ბეთა მოე-რევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი". კარგი იქნებოდა, ყურად ეღოთ ეს ბრძნუ-ლი მოწოდება, მიებაძათ მისთვის ადამიანების ყველა ქვეყანაში, ყველა კონტი-ნენტზე დღეს, როცა უკვე გამოჩნდა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეუ-ულის პარამეტი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ახე ომახიანად გაისმა თითქმის ცხრაასი წლის რუსთაველის ხმა სამოცი წლის საბჭოთა საქართველოს ზეიმზე.

გავა თვეები, წლები, მაგრამ საქართველოს ამ დიდი ლხინის გამოძახილი მუდამჟამს იხმიანებს ჩვენს გულში. იხმიანებს როგორც მოწოდება ახალ-ახალი სასახელო საქმეებისაკენ. ეს სამომავლო საქმეები კი ჩვენს დღევანდელ და გუშინდელ რუდუნებასა და გარჯაზეა აღმოცენებული და სწორედ ამას გულისხმობდა ამხანაგი ლ. ბრეჟნევი, როდესაც ამბობდა: „თქვენი მიღწევები რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელთა შეუპოვარი მუშაობის შედეგია, ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ“.

ზეიმი დამთავრდა, დამთავრდა ქუჩებსა და მოედნებზე, მაგრამ არასოდეს არ დამთავრდება ჩვენს გულში და ამიტომ არის, რომ ფიცივით გაისმის თვითეული ჩვენგანის ხმა:

დიახ, ვიმოქმედებთ უფრო თამამად, ვიმუშავებთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც ავამაღლებთ ჩვენი საყვარელი საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტს!

თედო ბექიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ფიგნიდან

ხომ არ ვბერდებით, სიყვარულო,
შენი სათავე
ხომ არ ჩაკეტეს ზამთრის ზვავებმა?
ეს რა უცნაურ აღლუმს მართავენ,
რას გუგუნებენ გაუთავებლად?

ხომ არ ვბერდებით, სიყვარულო,
შენი დინება
ამ ზვავებს შორის მიიმდოვრება,
ხან მოვარდება, ხან იყინება
და ასე მიდის მთელი ცხოვრება.

ხან მწყალობელო, ხან გულუხვო,
ხანაც უწყალოვ,
გულს შენი ნატვრა არა სცილდება...

თვალებზეც ბოლო ორი კურცხალი
მხოლოდ შენს გამო აციმციმდება.

სხვა არაფერი. რას მივდიო,
რას გავეტირო,
რისთვის ღირს ცრემლი, ოხვრა,
გოდება?
თუ ვარ, შენით ვარ გულდაწყვეტილი,
ძნელია შენთან დამშვიდობება.

ხომ არ ვბერდებით, სიყვარულო,
ცხოვრების ბურუსს
შენი სინათლე თუ ვერ დაფლითავს —
რადღა მეძახი დაუსრულებლად,
ხელს რადღა მიწვდი მაგ
სინათლიდან?

წესრიგი

გამოიტანა ხემ ყვავილი,
ყვავილმა — კვირტი,
კვირტმა — ნაყოფი.
მზემ დაამწიფა.
ჰა, საცაა დაჭრილებს ქარი
და ტოტი დაბლა დაზნექილი
კვლავ მსუბუქად აიმართება...
შვებას ვის მოჰგვრის

ჩემი წასვლა, ნეტა ვიცოდე;
რომელ ტოტზეა დაკიდული ჩემი
ცხოვრება,
ანდა სადაა ის ყვავილი —
შემდგომად ჩემსა რომ გაიშლება,
გაინასკვება, დამწიფდება
და ქარს დაუცდის...

დილა

ის ჯერ ბავშვია.
უმწიკვლოა მისი ღიმილი.
მან ჯერ არ იცის,
ცხოვრების გზაზე
ფეხქვეშ რა ნაღმი აუფეთქდება.

აღტაცებული,
ხელს რომ ჩაგკიდებს,

ცდილობს გამოგყვეს ბინდის
ჭიშკრამდე,
თითქოს ღამისკენ კი არ მივყავართ —
დღესასწაულზე გვეპატიჟება...

ისე წრფელი და უმანკოა მისი
სურვილი —
არ შეიძლება, არ გიყვარდეს,
არ გიხაროდეს მისი დანახვა...

ჩემი მაგიდა

კვლავ მასთან მოველ,
ისევ აქ არის,
მიყრილ-მოყრილი, აულაგები.
მეცნო ბავშვების ნაშმაკარი —
განაკაწრები, მელნის ლაქები.

მას ესმის ჩემი უხმო სალამი —
ცხრაჯერ გავიდა უკვე აპრილი,
რაც აი, თითქმის ყოველ საღამოს
მე მის კიდეზე ვარ თავდახრილი.

რამდენი ფიქრი, რამდენი რისხვა,
რამდენი ლექსი
ფრთებდამსხვრეული...
ბოლომდის მხოლოდ მას წაუკითხავს
ჯავრის ეკლებით სავსე რვეული.

ის მამხნევებდა, ძმასავით მყავდა,
მისი სიფხიზლით ვიყავ ფხიზელი,
მხოლოდ მან იცის ყველაზე კარგად,
რაც მსურდა, რატომ ვერ შევიძელი..

ამგვარი სიტყვაც ბევრმა აკინძა —
ბველია თემა და გაცვეთილი,
მაგრამ არ ჯავრობს ჩემი მაგიდა,
ვატყობ, უსაზღვროდ გახდა კეთილი.

ვატყობ, ახერხებს ფიქრის შენახვას,
მე მესმის მისი უხმო წადილი,
ხომ მასაც სურდა ერთხელ ენახა,
როგორ იქმნება ლექსი ნამდვილი...

მაგრამ დაბელა წლებმა სავსებით
მისი სურვილი და იმედები
ასე ერთმანეთს დავემსგავსენით,
ასე ერთნაირ ბედში ვბერდებით!

ალბათ ისღაა ჩვენი ნუგეში,
ალბათ იღბალმაც მიტომ შეგვყარა,
რომ ჩვენ ერთმანეთს არ
ვატყუებდით,
როცა ცრუობდა ირგვლივ ქვეყანა;

რომ გვაღონებდა ერთურთის
წყლული,
რომ შშობლიური შეგვრჩა
გრძნობები,
რომ ვიცი, ორთავ დაგვწყდება
გული,
როს დარეკს ზარი დამშვიდობების!

●

ამოდი, აუმღვრეველო,
მზეო, ბნელს გადახაფრულო,
ამოდი, ყოვლის მძლეველო,
შენ, მზეჭაბუკო ზღაპრულო!

ამოდი, როგორც ტოროლა,
ლექსი რომ ზეცას ვახალო,
ამოდი, ამომავალო,
ამოდი, ბნელის ლახვარო!

ამოდი, სულის მალამოვ,
გულის ყინულის დამდნობო —
მზევ, მზეზე უფრო მაღალო,
მნათობზე უფრო მნათობო!..

ივლისი. გარეჯის უდაბნო

სევდიანია ამ ველების მშვენიერება.

აქ გაზაფხული კი არ მოდის —
მოვარდება ნიაღვარივით,
გადაუვლის გამხმარ გორაკებს...

და სანამ გულს მოიჯერებენ
ყვავილები ზეცის ყურებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლები კი მზეზე გალობით
მშრალ ქვიშნარებში
ფესვი ისევ ანრიალდება
და ხვლიკისფერი მდუმარება
მეფდება ირგვლივ.

ახლაც გაზაფხულს ველარ მოვუსწარ.
ივრის დაბურულ ჭალებისკენ გადაკრეფილა
ხასხასა ფერიც, ტროლების წკრიალ-წკრიალიც...

აქ, ასწრაფებულ
გაზაფხულის ამ ველ-მინდვრებზე,
უფრო ცხადია ის, რაც სხვაგან თითქოს არა ჩანს.
დროის მდინარე ამ გორებზე
შხუილით მიჰქრის,
თითქოს გვაფრთხილებს,
რომ ყველაფერს უნდა მოსწრება.

მოსწრება უნდა:
ამწვანება-აყვავილებას,
სიცოცხლით ტკბობას,
სასიცოცხლო კვირტების გაშლას;
მოსწრება უნდა სიმღერასაც,
ამ სევდიან სილამაზის წამით ხილვასაც;
თვით სიკვდილსაც უნდა მოსწრება...

მივდივარ ჩემთვის.
მზე ეშვება გორაკებს იქით.
ვნახავღა როსმე
დაუვიწყარ ამ საოცრებას?!

მუდარა

სიტყვავ,
მთვლემარევ და ჩანაცრულო,
გულის, ფიქრების დამატევარო,
ყველა წარსულზე უფრო წარსულო,
არსობის პურო და სატევარო,

სიტყვავ, გამწყრალო,
სიტყვავ, მდუმარევ,
ზეცის წყალობავ ჩამოშრეტილო —
დამიგე შენი თავსასთუმალი,
დამდურებულო ჩემო დედილო!

ხომ უყვარს დედას მახინჯი შვილიც
შენი დედობა არ მომეშალოს!
დამხურე თავზე მფარველი ჩრდილი,
ჩემი ფიქრის და აზრის მგეშავო!

მო, გეევდრები როგორც ობოლი,
წმინდა ცრემლებით უნდა გაგბანო...
მო, ერთადერთო!
მო, მწყალობელო,
დაუშრეტელო, დაუსაბამოვ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

ნისლია

ეს ამბავი გამახსენა ნოდარ ებრალიძის წერილმა „როგორი იყო ქართული ცხენი“, ამასწინანდ რო გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

ვინ უწყის მერამდენედ გაშრა კალამი, — ჩაწყობდნენ და სჩრიდნენ ხელშია, ქაღალდსაცა სჩრიდნენ, ხელი მოაწერეო; თითებსაც უქნევდნენ, მუშტებსაც ეღერებდნენ, უტყაპუნებდნენ მიწაზეცა ფეხებსა, უყვიროდნენ, უწიოდნენ მოაწერე ხელიო; ანთუ ჩაუდაბლებდნენ ხმასა, ყელს გამოუწევდნენ, შესცქნაოდნენ, ეფერებოდნენ, ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, ხელი მოაწერეო; აყვირდებოდნენ მერე ისეცა, ჩაშოშმინდებოდნენ მერე ისეცა, ანთუ ერთბაშადა, ანთუ სათითაოდ, ანთუ ერთმანეთსაც დაუყვავებდნენ, ანთუ წაეკეზებდნენ ერთიმეორესა, აცვივდებოდნენ და დაცვივდებოდნენ, მოაწერე ხელი, ხელი მოაწერე, მოაწერე ეგ გასახმობი ხელიო, და სჩრიდნენ კალამსა, ქაღალდსაცა სჩრიდნენ, სჩრიდნენ და სჩრიდნენ, როგორც იქნებოდა, ხელში ჩასჩრიდნენ რაღა თქმა უნდა; მოიმარჯვებდა ისიცა ხელსა, ხელში კალამს მოიმარჯვებდა, ქაღალდსაც ისევე მოიმარჯვებდა, მაგრამ კალამი აღარ დაწერდა, გაშრებოდა ამასობაშია; გამოპკლეჯდნენ და ჩააწობდნენ, მელანში ცხადია, ელვა რო ელვაა, გამოპკლეჯდნენ იმაზეც უმალა, ოღონდ უმალვე ვეღარ ჩასჩრიდნენ, ისევ თავიდან უნდა დაეწყოთ, იგივე უნდა გადაეტანათ, იგივე ყაყანი, იგივე ქოთქოთი, იგივე ვიშვიში, იგივე წუწუნი, თავიდან უნდა გადაეტანათ, ვინ უწყის თუ მერამდენედ და ვინ უწყის თუ მერამდენედ გაშრა კალამი;

ეს გაწამაწია ნისლას თავს იყო:

ნისლა!..

ნისლა წიწკნიდა ლობის ძირასა, წიწკნიდა და არცა წიწკნიდა, აცახცახებდა ლაშებსა ეფრო, თხელსა, თხელ ლაშებსა, ეგეგონებოდა, შუქი გასდისო, — აცახცახებდა ლაშებსა ეფრო, ვიდრე წიწკნიდა, აბრიალებდა თვალებსა ეფრო, არც რა გამომრჩეს, არც არა-

ვინ გამომეპაროსო, აცახცახებდა, აბრიალებდა, უგრძნობდა ტანი რაღაც უამრუსო, უკეთურს უგრძნობდა, კაცთაგან ამას რო არ ელოდა, უგრძნობდა მაინცა, მოაბრუნებდა ბრიელ კისერსაცა, თითქოს დახატულსა, ლამაზ კისერსა, მოიქნევდა ისე, იმგვარად, წარტაკცებდა თვალსა და გულსა, მოიქნევდა და შეათამაშებდა, შეარხევდა, შეაძიგძიგებდა, მერე ისევა წიწკნიდა ბალახსა, წიწკნიდა ისევა, დასცხებდა ტორსაცა, დასცხებდა მიწასა, წამოჩიჩქნიდა, წამოქექავდა, დაჰკრეპდა კბილებსა, დაეწოდებოდა, ფესვიანად თუ ამოიღებსო; თითქოს არც იცის, იქ თუ რა ხდება, არც გაეგება და ვერც გაიგებსო, მაინც თვალებს აბრიალებდა, მაინც კალმი უელავდა ორთავ თვალზედა, ერთი ეჩირთ, ერთი, ერთადერთი, უელავდა ბევრი მაინცა, უამრავი მაინცა, უთვალავი მაინცა; ეჩირათ იქითა, იქით ეჩირათ, მოშორებითია, მაგრამ თითქოს თვალში უყრიდნენ, თვალებში უყრიდნენ, სთხრიდნენ თვალებსა; ის იქით ეჩირთ და არც ისე იქითა: ეზოში იყვნენ, პატარა ეზოში, — ის იყო გასვლას რო აპირებდა, ის იყო ნისლა რო მიჰყავდა საძოვარზედა, ისინი იქიდან მოადგნენ ეზოსა, მოადგნენ და შემოლაგდნენ კიდეცა, შემოლაგდნენ და შემოლაგდნენ, ვინმე იტყოდა, შემოხროვდნენო, იმდენნი გახლდნენ, ოღონდ ნაწილი გარეთაც დარჩა, ღობეს შემოჰყვა, შემოერტყა ღობესა, გარე ღობესაცითა, შემოერტყა და გადმოჰყო თავი, — ყველამ თავისი თავი გადმოჰყო რაღა თქმა უნდა, მიიტყუპა სახე სახესა, ჩამოორიგა წნელის ღობეზედა, აქაც ვიყვეთ და არც ვიყვეთ აქა, ვერიოთ და არც ვერიოთო; ქილებიც ემხო მარგილებზეა, ვეღარც განირჩეოდნენ ქილებისაგანა, თითქოს ვეღარეცაო, ქილებიც რო ნაირგვარი გახლდა, თიხის ქილები, იმა ნაირგვარ სახეთა შორისა; ოღონდ მაინც ერთთანიტყვითა: ვერიოთ და არც ვერიოთო, —უფრო უფროსნი წამოდგნენ წინა, ქაღალდიც რომ იმათ ეჭირათ, კალმიც რო იმათ ეჭირათ, სამელნეც რო იმათ ეჭირათ, მხარზე ჩანთებიც რო იმათ ეკიდნენ, შინდისფერი ტყავის ჩანთები, ზოგს ახლათ ახალი, ზოგს გახუნებული, ზოგს ისე მუქი, ლამის შავი რო გეგონებოდა, ზოგს ისე ბაცი, თითქოს თეთრიაო, ოღონდ ეს მაინც იმდენი არაფერი, თეთრი შინდიც თუ გაგეგონება, — ჰოდა ისინი ჩასჩიჩინებდნენ, ისინი ყვიროდნენ, ისინი ქაქანებდნენ, ღობეზე მხოლოდ ქანაობდა თავები, ანთუ ნიღბები თუ ქანაობდა, დანაოჭებული თუ დაღმეპილი ნიღბები, გულმოსული თუ გაგუდული ნიღბები, ზოგი თუ რატომაო, ზოგი თუ რატომაო, ამოსაცნობი რო უნდა ყოფილიყო; ყოფილიყოო, არ განასხვავებდა ნისლაი მაინცა, ყველა აეკვებდა ნისლასა მაინცა, თუმცა კაცთაგან ავს არ ელოდაო, აეკვებდა ის ღობისასნიცა, ის შემოჭრილნიცა, ეზოში ცხადია, ის კალმოსანიცა, ის ქაღალდოსანიცა, ის ტყაოსანიცა, მაყვიროლნიცა და მომფერებელნიცა, აეკვებდა და აფრთხობდა ისევე, როგორც რო იგი, ქამანდოსანი, შორს რო გამდგარიყო, ვითომდა რაო, მე არაფერიო, ვითომ და რაო, კეწწერეოს გაფაურეი, მბალი კეწწეროს რო შეჩრენეიაო, კრაზანაც რო დაჰხვევეიაო, ფუტკარიც რო დაჰხვევეიაო, რო ბზუიან და ისე ბზუიან, რო ვერ გაარჩევ, ერეკ

ერთიმეორესა თუ ტკბებიან ერთიანანდაო, — აეკვებდა ყველა ისევე, როგორც ქამანდი რო აეკვებდა, რო მოუჩანდა ქამანდოსანსა, ლაჯებშუა რო მოუჩანდა, ვითომ ზურგით რო მიეჩქმალა, აეკვებდა და აეკვებდა, თუმცა კაცთაგან ავს არ ელოდაო; აეკვებდა და დაეკვებდა მაშინვე, სატრონმა ავშარა რო გადაეძრო, აცახცახებული ხელით გადაეძრო, გადაძრო და აეფარა, რო შემოლაგდნენ თუ შემოცვივდნენ, ღობესაც რო გადმოეკიდნენ, დაეკვედა და გადგა, განაპირდა, განაპირდა და წიწკნიდა ბალახსა, ჩიჩქნიდა მიწასა, წიწკნიდა, ჩიჩქნიდა, და გაშრა კალამი, ვინ უწყის მერამდენაც გაშრა კალამი;

ეჭვი აქამდეც არ აკლდა ნისლასა, თუმცაღა კაცთაგან აკვს არ ელოდაო;

არც ასე ჯიქურ მოსჭრიან შინა, არც აპირობდნენ, რო შემოსჭროდნენ, იქავე ელოდნენ, სამრეკლებელში თავანთსაში: ხელსაც აქ მოაწერს პატრონი ნისლასი, თვითონვე მოგვგვრის და ჩაგვაბარებსო, ელოდნენ და ელოდნენ, ელოდნენ და მოეჭრნენ, აბა მაშ რაო, მაშ რას იზამდნენ, რო დაილეგნენ ლოდინითაო, ან რა ეგონა, ხელს აიღებდნენ?!. ჰეპეი, კარგად რო ვერ უცქინიან!.. ჯერ იქაც ფაწალა, ფაუმრა ალამი იქაცა ბეკრჯერა, მელანიც დაუშრო, ზღვა ყოფილიყო, ზღვასაც დაუშრობდა ამდენი უარითა, ყოყმანითა ამდენითა, შეუგნებლობითა ესამოდენითა, — მთელმა სოფელმა რო შეიგნო და ამან რო ვერა, ამ თითქოს გაგებულმა, გონიერმა სოფლის კეთილობაზე, თითქოს გონიერმა, მაგრამ თურმე გაუგებარმა, უგუნურებამდე გაუგებარმა; ცაცშიაც ტყუვდებიან და კაცში უფრო ტყუვდებიანო; და მერე რამდენს ეჩიჩინებოდნენ იმ თავიდან ამ თავამდისა: გადმოუღებდნენ ვეება წიგნსა, ვეებაკე ჩარჩოდან გადმოუღებდნენ, ხატივით რო ეკიდა თავმჯდომარესა, მართლა ხატივითა, ოღონდ ესაა, ჩარჩო არ იყო შეჭედილი არცა ოქროთი, არცა ვერცხლითა, არცა თითბერითა, არც მოოქვილი არ იყო ცხადია ძვირფასი თვლებითა, გადმოუღებდნენ და უკითხავდნენ სხაპასხუპითა, შიგ ჩაჰხედავც რო არ უნდოდათ, უკითხავდნენ მერე ჩათვლითაცა, თითსაც დაუდებდნენ, გააყოლებდნენ თითსა და ისე უკითხავდნენ, გამწევი ძალა რო არ ეკუთვნოდა, ერთი ძროხისა და ერთი ხბოს მეტი რო არ ეკუთვნოდა, რო უნდა ჩაგბარებინა ზედმეტი ყველფერი, ცხენი იქნებოდა, ხარი იქნებოდა თუ კამეჩი იქნებოდა, — ე. ი. გამწევი ძალაი.

ჰო ჩაგბარეთო, იკითხავდა დუნედა, კრთომითა, ემანდ უარი არა მტკიცონო;

ჩაგვაბარეო, არა სტკიცავდნენ უარსა, არა, მართალია ჩაგვაბარეო;

ეღელი კამეჩი ჰო ჩაგბარეთო;

ჩაგვაბარეო;

ყევარი ხარი ჰო ჩაგბარეთო;

ჩაგვაბარეო;

გუთანი ჰო ჩაგბარეთო, თავისივე ღვედაპეურითა, ეღლითა და ტაბიკითაო;

ჩაგვაბარეო;

ერთი საძნე და ერთი საბარე ურემიც ჰო ჩაგბარეთო;

ჩაგვაბარეო;

ერთი ცხენიც ჰო ჩაგბარეთ, მაკე ცხენიო;

ჩაგვაბარეო;

ეს ერთი კვიცი დამიტოვია, შემარჩინეთო;

ეს იმ თავითაო, მაშინ ჯერ კიდევ კვიცი რო გახლდა ნისლაი, კვიცი, გასახედნი, ეთამაშებოდა მზესა, მზეს ეთამაშებოდა, დაიჯიხვინებდა მზის ამოსვლისასა, შეიყალყებოდა და დაიჯიხვინებდა, ყურჭი ფაფარი შემოევლებოდა ნისლისფერ ყელსა, ასხივლდებოდა და შემოევლებოდა, აქათქათდებოდა ყელი ნისლისფერი, ოქროცურვილი გეგონებოდა;

აქ რო წერია, გამწევი ძალაო...;

არც გამწევეია და არც გამომწევი, არც რაში შევაბამ, არც ზედ შევჯდები, არც არას გადავკიდებ, ეგრე მინდა. ეგრე იყოსო;

და ეგრეც იყო, არც რო შეუბამს არაფერშია, არც ხურჯინები გადაუკიდია, არც ზედ შემჯდარა სოფლის დასანახადა, — სოფლის დასანახადა: სოფელი სოფელია და სწორედაც რო სოფელია, თვალი მშურიაო, თვალმა იცის გახელებავო, თვალია დასაბამი სიავისაო; კიდევ სხვაცაა თვალზე ნათქვამი, ოღონდ მთავარი აქ მაინც ისაა, გაიფრთხილებდნენ თავმჯდომარენი, სოფელს მაინც მოერიდეო, ეს მერე, როცა რო ჩაფიქრდებოდნენ, თავმჯდომარ-

---

ოთარ ჩხეიძე
ნისლა

ენი: მართლა რო რა არის თუ რა გამ-
წვავა თუ არც შეაბამ და არც შეჯდე-
ბიო, ეს მერემეთქი, რო ჩამოერეოდა
ნათელმირონობაი, პურმარილი რო ჩამ-
ოერეოდა, კიდე რაღაც რო ჩამოერე-
ოდა, კაცნიც რო იყვნენ თავმჯდომარე-
ნიცა, რაც უნდა იყოს, და ხელს დაიბა-
ნდნენ ბოლოსდაბოლოსა,—მე ჩემდათ-
ავად არაფერი არ გამიგიაო, ოღონდ
არავინ არ გიჩივლოსო, ავი თვალი არ-
ავინ დაგადგას, ჩემზე დიდები არ ჩაე-
რიონ, თორემ ვერას ვერ ვეღარ გიშველ-
ი, იმათზე უარეს დღეს მე დაგაწვევ;
და იცვლებოდნენ თავმჯდომარენი, იცვ-
ლებოდნენ და იცვლებოდნენ, საქმე
საქმეზე ვერ მოდიოდა, იქცნენ ვაცვე-
ადა განტეგებისა, იცვლებოდნენ და იც-
ვლებოდნენ, გაბეზრდა ესა, სოფელს
გული მოეფხანებოდა, ამას არაო, —
დაიწყებოდა ისევ თავიდანა, თუმცა
სხვადასხვანაირად დაიწყებოდა, ბუნ-
ბა რო ჰქონდათ სხვადასხვაგვარი,
გზნება სხვაგვარი სხვათა და სხვათა:
ყველას თავისი ენა უნდოდა, მიდგომა
უნდოდა ყველას თავისი, ეს იყო რო
გაეწამებდა, ეს იყო რო გაბეზრებდა,
ხოლო ბოლოს ჰო ყველა ერთგვარად
დაიბანდა ხელებსა, ყველა ისევე გამ-
ოუტყდებოდა: ოღონდ არავინ გიჩივ-
ლოსო;

ღვთის წინაშე, არ უჩივლიათ;

არა.

ამა რად უჩივლებდნენ: თვითონ შე-
ებნენ ხელურმებშია და შეება ესეცა,
ხელურმში შეება და შეება უფრო სა-
საცილოდაცა, — ნისლი მიუძღვოდა
წინა, ან უკან მისდევდა, როგორც ის-
ურვებდა, როგორც ინებებდა, ეს არა
ცხადია, ნისლი ცხადია, — რად უჩი-
ვლებდნენ?.. ნისლა ნებას იყო, გაფრ-
ენითაც გაფრინდებოდა, ვერ მოასწრ-
ებდი თვალი მოგეკრა, მიწას ფეხს თუ
მიაკარებდა, ანთუ არცთუ მიაკარებდ-
ა, გაიტყორცნებოდა, გაიჭიმებოდა, გაიწ-
ურებოდა, გაიელვებდა, მართლაც და
მართლაც გაიელვებდა მწვანე მინდო-
რზედა, ლურჯ მთათა შუა, ან ჰორიზ-
ონტზე წაიტეხებოდა ყურჭ ფაფარსა
და ძოაში ყურჭში, ვითომ კუბანეტ
ლრუბლებშიაო, და გაჰკვირდებოდა, ეუ-
ხილი თუ არ მოგსმეოდა, ეჰა, დეგ წაი-
ტეხებოდა და წაიტეხებოდა — [illegible]
ერზედა, კავკასიონსა და თრიალეთს
შუა, წაიტეხებოდა და ჩაიტეხებოდა,
ელავდა და წაიტეხებოდა; როდისრო-
დის გამოჩნდებოდა, რო წამოჰკრეფდ-
ნენ წამოსასხამებსა, თოხის ტარზე რო
გადაიგდებდნენ, რო გაიდებდნენ თო-
ხსა მხარზედა, რო დაადგებოდნენ გზა-
სა შინისკენა, მოღლილნი და მოჯერე-
ბულნი შრომითაცა და ქაქანითაცა, გი-
ნებითაცა და ხუმრობითაცა, მოღლილ-
ნი და მოჯერებულნი, რო დაადგრძელებ-
ა მზეი ჩრდილებსა, ჩრდილები რო
მოქანაობდა, ჩრდილები კაცთა, აი მა-
შინ გამოჩნდებოდა, ჩამოერეოდა ჩრდი-
ლი იმისაცა, ნისლას ჩრდილი კაცთა
შორისა, მოჰყვებოდა და მოსრიალებ-
და; შენ მაინც შეჯექი, მუხლი შეასვე-
ნეო, ეტყოდნენ მეზობლები, მა რად
გინდა, რა გულს იწყალებ, ანთუ
რატომ ეკმეკვინებიო; თუმცა თვი-
თონაც აიღებდნენ თავსა, დაავიწყ-
დებოდათ თოხიცა და წელში ქა-
რიცა, აიღებდნენ თავსა და გაჰკუტრებ-
დნენ თუ ვით იმტვრეოდა ელვაი იქა,
დასალიერზე, თუ ვით მიჰქროდა, თუ
ვით მისდევდა პატარა ღრუბლები, თე
ვითა ჰქუხდა, ჭიხვინებდა რო ნისლი-
როცა; ხან მთებს მისცემდა თავსა ნი-
სლაი, კავკასიონის მთებს მიეცემოდა,
აქ რო ჭიხვინით დაიღლებოდა, რო დ-
ილღებოდა ხმობითა ტოლისა, სწორა-
სა, რო დაიღლებოდა, რო დაინკრეო-
და, მიეცემოდა და გადაიკარგებოდა,
დაბრუნდებოდა მერე ისევა, მშვიდ
და ლაღი, ნდომადამკხრაული, — გადა-
რჩენოდათ ცხენები სადღაცა ხეობებში
მიჩქმალულებსა; დაბრუნდებოდა ერ-
თმანიტყვითა თავაწეული, მოხაზული
ხელითა იდუმალითა, უეჭველად იდუ-
მალითა, უაღრესითა და უმაღლესითა,
რამეთუ იყო ისე ლამაზი, ისე ლაღი და
ისე ლამაზი; თავს აიღებდნენ და მიგ-
�dნენ სხვათა სოფლისანიცა, ზე-
ვით სოფლისანი, შეჰხარობდნენ და მი-

აცილებდნენ ანუ აქეთ მოაცილებდნენ, ტყუილად ვინმე თუ თავს გამოიდებდა, ტყუილად ვინმე თუ დაჭერას მოუნდომებდა, ტყუილად ვინმე თუ შეჯდომას ისურვებდა, ტყუილადა, სულ ტყუილადა, გაბახდებოდა ეზაშარაზედა, ასე თვალთვალა, სასეიროდ გადაიქცეოდა;

მხოლოდ პატრონი თუ შეჰბედავდა;

ხოლო პატრონი ჰო არც შეჯდებოდა?..

— არა, — ეს მხოლოდ სოფლის დასანახადა.

ღამე შეჯდებოდა, სოფელს რო ეძინა, შეადგამდა უნაგირსაცა, გამოიკვართებოდა ქულაჯაშია, წუღებს ჩაიცვამდა ძველსა, ძველებუტსა, ავეანდები რო ეგრძნო კარგადა, ავეანდებითაც ემართა ნისლია, როგორც რო მაშინა, იმ დიდ ომებშია, ფარისა და შუბის ომებში, ისრის ომებში, ხმლების ომებში, ავშარისათვის ხელს რო არ ეცალა, გაპობილ ურდოებს რო მიჰყვებოდა შორით შორამდისა, გაფანტულ ურდოებს რო მიჰყიოდა, — გაფანტულსა და გაჩეხილსა, გაპობილსა და გაჩეხილსა; — ანთუ თავს რო გამოიჩენდა თუნდაც ეგვიპტურ ოლიმპიადებში, ჯერ რო ბერძნები ჭაუაში არც ჩავარდნილიყვნენ. — შეჯდებოდა და გაჭენებდა, რო არაფერი დავიწყებოდა, მხედარი არ დავიწყებოდა, მხედრობა არ დავიწყებოდა, მისცემოდა იმა ქროლვასა, ნისლამ რო იცოდა, ამ ყოველად გამძლე, ყოველად ამტანამ, ამ მოხდენილმა, ამაყმა ცხოველმა, ამ მომხიბლავმა და საოცარმა, სახელად ქართული რო შერქმეოდა, და რო არავინ დაიშურებდა ქვეყნად არაფერსა, ოღონდ ხელში რო როგორმე ჩაეგდო, სიცოცხლესაც არ დაიშურებდა, ყოფილიყო დრონნი ასეთნიცა; შეჯდებოდა და გაჭენებდა, დააქროლებდა და ამაყობდა, ჰეიირდა რო მართლა დასანახადა, მაგრამ მთვარე თუ დაინახავდა, ვარსკვლავნი თუ დაინახავდნენ, ანთუ ხშირად ისინიც არა: ღამე იყო რო კუნაპეტი, და წკრიალებდა ნალები ნისლასი, და დგაფუნობდა ნალები ნისლასი, ფხრეწდა ღამეთა, უკუნ ღამეთა;

და გაიხარებდა ნისლია;

და გაიხარებდა პატრონიცა,

ანთუ სიხარულს მოიპარავდა, — არ უნდოდა, რო ვინმეს შეეტყო, არ უნდოდა თუ შიშობდა კიდეცა, ოღონდ რაღაც თუ ალბათ ეტყობოდა, რახან რო უკვირდათ თუ ბრაზობდნენ სხვანი: ეს რაა, რო მიყურისძირებულა, არც კრინტს არ დასძრავს, არც ენაღვლება, შრომადღეზე რო ორასი გრამი ხორბალი გადისო; არც ენაღვლებაო, მთავარი ესაა და ნალველი მიჰქონდა ჩუმ სიხარულსა. რახან ნისლა რო შერჩენოდა, რახან შეეძლო, გაენავარდა: გაიხარებდა ბევრად მეტად, დამნახავნიც რო გამოფენილიყვნენ, წამოსწეოდა მოძახილი მოწონებისა, იცოცხლე, რო გაიხარებდა, მაგრამ არაო, გამწვეი ძალა არ იქნებაო, გაჭენებული მით უფრო არაო, ალბათ არაო, თუმცა ამდენიც აღარც უკითხავს; გამოენთებოდა უკუნ ღამესა, აიმღვრეოდა ღამი უკუნი, იხეოდა ღამეი უკუნი, იხეოდა, იფხრიწებოდა, რო მიღელავდა ნისლია ღამეში, ხოლო მთვარიანში, ვარსკვლავიანში, გაანათებდა იმათსავითა და აქონდა სიხარული, ჩუმი სიხარული, თავისი სიხარული, არ იკითხავდა ამიტომაცა თუ რას მიურწყავდნენ, — აიკიდებდა თუ რასაც მიურწყავდნენ, ანთუ გაათრევდა ხელურემითა, როგორც რო სხვანი, ისიც გაათრევდა, ოღონდ ესაა, ამას რო ნისლა მისდევდა უკანა, თავისუფალი და უტეირთველი, ისინი მაინც გაიცინებდნენ, წადი და ამასაც ჭაუა მოჰკითხეო, გაიცინებდნენ თუ მაინც რაც იყო, უშეღავათებდნენ ცოტათი გულსა;

ღობესაც იმგვარად შემოურიგდა ის სახეები, იმ გაკვირვებითა თუ იმგვარი სიცილითა, გაუგებრობითა იმგვარითა: თუ რად უნდოდა, რაში არგოდა, რა არის, ლამის რო თან გადაჰყოლოდა,

---

ოთარ ჩხეიძე

ნისლა

რად არ გაატანდა ი უსარგებლო საქმელესსა?.. რად არ მოუწერდა ხელსა?.. თითქოს მოუწერდა ბოლოსდაბოლოსა, — მიიტანდა კალამსა ქაღალდთანა, მიიტანდა და კანკალებდა კალამი, კანკალებდა და კანკალებდა, შეეხებოდა, როგორც იქნებოდა, კალამი ქაღალდსა, შეეხებოდა და აღარა წერდა, გაშრებოდა და აღარა წერდა; და ვინ უწყის, რო მერამდენედ გაშრა კალამიო, აქაცაო და იქაცაო, სად რო იბარებდნენ, იბარებდნენ და კიდევაც მოადგნენ, — ინ ჰო მოადგნენ: მხრებზე ეგრე ტყავის ჩანთებითა, სამელნითა და მელნის ბოთლითაც, კვარტიანი რო ერქვა, იმგვარი ბოთლითა; და მაინც ვინ უწყის მერამდენედ გაშრა კალამიო, გაშრა იმიტომა, — იმიტომ უფრო, — რო ვერ გაეგო, ხელმოწერა თუ რაღად უნდოდა. — ვერა, ვერ გაეგო!... რახან არ მეშვებით, თქვენი ნებაა, მე რა ძალა მაქვსო, ამბობდა დამხვდური და ახელებდა მომხდურთანა ამითა, სწორედაც ამითი: როგორთუ არაო და არ გეშვებითო, როგორთუ ჩვენა ვართ, ძალას რო გატანთო, როგორთუ თავსზევით ღონე არა გაქვსო, როგორა თქვი და რა პირიდან ამოუშვიო, ემანდე რაა, ემანდე თუ რას გეხვეწებითო, ემანდე ქაღალდი, ემანდე კალამი, ხელი მოაწერე და მერე ჩვენ ვიცითო, — ემანდე ქაღალდი, ემანდე კალამი, ხელი მოაწერე, მოაწერე ხელი. შენი ნებააო; ყოლოდნენ მოსულნი, ჩხუბობდნენ მოსულნი, ანთუ დროდადრო დაუყავეებენენ, მოვალეობაა პატრიოტული, სად გაექცევი მოვალეობასაო; და მიიპარებოდა ქამანდოსანი, ქამანდოსანნი, ერთი იქითა, მეორე აქეთა; და უმზერდა ნისლაი ერთსაცა და მეორესაცა, იცნობდა ისეცა, რო არც გამოსჩროდათ ქამანდები ლაჯების შუა, იცნობდა და უმზერდა, უმზერდა და წიწკნდა ფალახსა, წიწკნდა მწარედა, ქექავდა მიწასა, ფხოჭნდა მიწასა, ფხოჭნდა მწარედა, და კალმისტარიცა ბრუნავდა ისე, თითქოს და რაო, სარეკელსაო, ზედ ამის გულზე რო რაკრაკებსო; უმზერდა ნისლაი, უმზერდა ქალსაცა, რო ჩამოჰშლოდა თავშლის ყურები, რო ჩაებღუჯა ორივ[illegible] [illegible] რო ქვითქვითებდა, რ[illegible] ქმარსა:

— მოუწერე კაცოუ, მოუწერე... აღარავინ რო აღარ შეგრჩენია, ჩვენც ჰო არ უნდა გადაგვაყოლო თანა?! მოუწერე, მოუწერე კაცოუ!..

ჰხედავდა და ესმოდა, ვედრება ესმოდა, განწირულიყო, ჰხედავდა ცხადადა და წიწკნდა, წიწკნდა, ურტყავდა ჩლიქსა... და ვინ უწყის, რო მერამდენედ გაშრა კალამი, ვიდრე აღარ რო გაშრებოდა, რო მოაწერდა ბოლოსდაბოლოსა, რო მოეკრებოდა გზაი ყოველი, მოაწერდა და შორს გასტყორცნდა ავბედით კალამსა, შორს გასტყორცნდა, და ხელებს თავში შემოირტყამდა, აღმოხდებოდა გმინვაი უაღრესი, არც რო არავის გაუკვირდებოდა, ანთუ აღარცთუ მიაქცევდნენ ყურადღებასა, რამეთუ სხვა გაზლა სასეიროო თუ დასახი, — უკვე ის გაზლა, ქამანდები თუ მოქამანდენი: რო სტყორცნეს ქამანდები ერთდროულადა, რო გასხლტა ნისლაი ქამანდებიდანა, რო შეიხლართნენ ქამანდები ერთიმეორეში, რო გაკრა ნისლაი, რო ეცნენ ქამანდებსა მოქამანდენი, რო ჰხსნიდნენ და რო ვერა ჰხსნიდნენ, რო შეიყალყა ნისლაი, აღიმართა, დაპროწიალდა უკანა ფეხებზედა, დაპროწიალდა და შესჭიხვინა, რო თვითონვე გაიხლართნენ მოქამანდენი თავიანთსავე ქამანდებშია, რო გაიწურა ბაღებში ნისლაი, გაიელვა და გადაიკარგა, აღარც რო შლიგინი, აღარც რო ჩქამი, აღარაფერი გაიგონებოდა; იყო და არ იყო, გთათვდა ყველაფერი, დავიდარაბა ამოიწურა; იცოდნენ, მდევარი ამოდდაშვრებოდა, მაინც გაჰკიდეს, მაინც იღონეს, თუ მოჰკითხავდნენ, რო ეპასუხათ, ასე და ასეო, ასე ვდიეთო, აქამდე ვდიეთო, გავწყდით წელშიო, თუ მოჰკითხავდნენ რაღა თქმა უნდა; იქ ჰო მაინც ვერ მისწვდებოდნენ, — რო დაიქუხებდა, ელვა გაჰყრიდა კუნაპეტ ღრუბლებსა, გაჰყრიდა და ფხრეწდა,

ფხრეწდა კუნაპეტბა, — ვერ მისწვდებოდნენ; მოირღვეოდა ზეცაი მერე, წვიმა დაასხამდა, მიტოპავდა თავსხმაში კაცი და მისძახოდა:

— ნისლაااااااა!. ნისლااااااა!.. ნისლااااااა!..

მისძახოდა და მისძახოდა, როცა რო ჰქუხდა, როცა რო ელავდა:

— ნისლااااااა!.. ნისლااااااა...

მისძახოდა და მისძახოდა, ანთუ წაეხარა ქედი და შრომობდა, არ აჰყვებოდა სოფლის ქოთქოთსა, გამოსთიშავდა დარდი, გამორიყავდა დარდი, იყო იმათში და არ იყო იმათში, იყო სოფელში და არ იყო სოფელში, იყო მარტოდა, იყო თავისთვისა თავისი დარდითა, ნაღველითა თავისითა, და თუ უნდოდა, რო ყოფილიყო, დარდისთვის ეფიოოია რო ყოფილიყო;

ბოლოს აღესრულა რაღა თქმა უნდა;

დაკრძალეს;

ის დღე არაფერი;

მეორე დღეს რო საფლავზე გავიდნენ, ნისლაც იქ ეგდო შორიახლოსა, ის ნისლა აღარა, არა, ის აღარა, — ეგდო უსულოდა, სული იქამდე რო მიეთრია, ძლივსძლივობისას რო მიეთრია, ცოტა იქით რო დაცემულიყო და ეფხოტნა მიწაი, ეფხოტნა, ეფხოტნა, რო მიეღწია პატრონამდისა, ეფხოტნა მიწაი, ჩლიქები გადაებდღენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე, უბრალოდ

ისე უბრალოდ ცხოვრობდე უნდა,
როგორც წიფელა პირად მდინარის,
რომ მიმობნეულ ვარსკვლავთა
ხურდას
სიზმრად ხედავდე მშვიდად
მძინარი.

ისე უბრალოდ მღეროდე უნდა,
ვით ნაკადული ბედს მინდობილი,
და კენტი ვარდი გებნიოს
გულთან —
პირმშვენიერი თეთრი დობილი.

ისე უბრალოდ, ვით თეთრი ნისლი,
კლდის ნაპრალებში დილით
გაჩრილი
და გულისპირით გდიოდეს სისხლი,
თუნდაც არ იყო სულაც დაჭრილი.

ისე უბრალოდ (სიცოცხლის
მადლმა!),
რომ საზღაური გყოფნიდეს მცირე,
მზე ჩამავალი რომ დაგხედავს და
ბავშვის სიცილით რომ გაიცინებს.

ისე უბრალოდ წახვიდე უნდა,
ვით ია-ია თებერვლის თვეში,
და ისე, როგორც საყვარლის
სუნთქვა,
ცა გასველებდეს ცრემლების
თქეშით.

როცა მოდგება ჟამი არყოფნის,
მეც დასასრული ისეთი მინდა,
როგორც ტოტს ტოვებს მწიფე
ნაყოფი,
როგორც მოფრინავს ფოთოლი
ხიდან.

ისე უბრალოდ (თუკი ეს შესძელ),
ისე უბრალოდ და უდრტვინველად,
უკანასკნელ და შორეულ გზებზე
ვით გადაფრენა იცის ფრინველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მზისფერ კუბოში, ისე, ვით დაღლა,
ესვენა იგი, პოეტი — ბავშვი,
დროშასავით რომ ასწიეს მაღლა
და დროშასავით წაიღეს ქარში.

ქარი ამბობდა მხოლოდ მოტირალს,
არვინ მოზარე,
არვინ მხლებელი
და ყველასაგან უარყოფილი
ცამ შეიხიზნა ღმერთი ბებერი.

და ის წავიდა,
ისე წავიდა,
როგორც ფრთოსანი, ისე გაფრინდა,
რომ გაფრენიდან ერთი წამი და
წამომდგარიყო ძუზათ აფრიდან.

და უმძიმესი წუხილით, კრძალვით,
მგლოვიარობით მშვიდით და
წყნარით,
მამადავითზე მზე საოცარი
ტიროდა ისე, ვით ამორძალი.

●

დუმილი — თეთრი მოხუცი მოდგა
და ცახცახებდა მხრებით მოხრილით,
ცა გაცრეცილი ქალივით თრთოდა
სამგლოვიაროდ გამოხმობილი.

და განუწყვეტლივ თოვდა და თოვდა
სურნელოვანი ფურცლები ვარდის,
ცა დახრილიყო მიწისკენ ოდნავ
და დაედაფნა პოეტის ლანდი.

არავითარი სამი ასული,
არც სამაიას სამი სამება,
იყო წუხილი და აღსასრული,
რომ იგალობეს ცად ვარსკვლავებმა.

●

არ გამაგონოთ ზარი და გლოვა
და ბრბოთა ყალბი დაღვრემილობა.
ჯერ არარსებულ მარადისობას
ჭიქა არაყზე რომ ცვლის იოლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი არის ცხოვრების წესი,
შენც სხვანაირად ფიქრობდი
როდის?!.
უფსკრულს ებრძვის და ანათებს
ფესვი,
რომ უზრუნველად ჰყვაოდეს ტოტი.

შენ კი რა გინდა,
მითხარ, რას ითხოვ,
რას მიგანიშნებს შენივ გუმანი?!
ნუთუ არ გყოფნის საფლავის სითბო
და ქვის უბრალო თავსასთუმალი?!

პროფილი პრინცის

კვლავ აღიმართა პროფილი პრინცის
და ხელთ უპყრია გული დაჭრილი;
უნდა აღსრულდეს აღთქმული
ფიცი,—
ასე მოითხოვს მამის აჩრდილი.

ერთგულებაზე ვკამათობთ განა?!
ჩვენც მოვალე ვართ, მივბაძოთ
პრინცებს,
ავგაროზივით თუ წმინდად დაგვაქვს
მამის საფლავთან რაც დავიფიცეთ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

ქველი

1980 წლის 18 ივნისს, დაახლოებით ასე, თერთმეტ საათზე, ერმინე სახამბერიძის ჭიშკარს შუახანს გადაცილებული, შავმოსასხამიანი კაცი მიადგა. ჯერ ეზოში გადაიხედა და კარგა ხანს უყურა ბატის ჭუკებს, კოინდარს რომ ციცქნიდნენ და თავიანთ ბატურ ენაზე თავმომაბეზრებლად ყიპყიპებდნენ, მერე მზის მხრიდან კისერზე ტყავის საქაღალდე მიიფარა და თითქოს საკუთარი ხმისა ეშინიაო, გაუბედავად დაიძახა: — მასპინძელო!

წაქცევაზე მისული, კარმოღლეტილი ჩეჩმიდან ხუთიოდე წლის თავბურძგლა ბიჭი გამოვიდა და ჭიშკართან, უცნობის შორიახლოს, უხმოდ გაჩერდა. სარდაფიდან ნიფხვისამარა კანჭებჩაშავებული გოგო გამოხოხდა და ბიჭს გვერდით დაუდგა. გოგონა, დიდი-დიდი, ორი წლით იქნებოდა ძმაზე უფროსი (უცნობმა ძმად იმიტომ მიიჩნია, რომ ბავშვები გაჭრილი ვაშლივით ერგავდნენ ერთმანეთს). ყავრით დახურულ საქათმეზე ათიოდე წლის წითური, ჭორფლიანი ბიჭი გადმოდგა. ერთხანს ზორიდან ზვერავდა უცნობს, მერე კატის ნაბიჯით მოახლოვდა და შუაში ჩადგა. სამივენი კარგა ხანს უნდობლად, შიშნარევი მზერით, თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ შავმოსასხამიან კაცს. ბოლოს, ისე რომ უცნობისთვის თვალი არ მოუცილებიათ, სამივემ ერთდროულად დაიყვირა:

— დედაააა!

ამ ძახილმა ერმინე სახამბერიძის მეუღლეს — პისტის სხვენზე მოუსწრო. ძველთაძველი სკივრი ეს-ესაა ამოესუფთავებინა და ჟანგისგან შეჭმულ მამა-პაპის იარაღს სხვენზე ალაგებდა.

— მოვდივარ! — კრამიტის ღრიჭოს გასძახა, უშველებელ კაჟიან თოფს დაეყრდნო და სხვენიდან ჩამოხტა.

სტუმარმა მისკენ წამოსული, თავწაკრული, თოფიანი ქალი რომ დაინახა, გაეცინა.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო, მტერი არა ვარ,— იარაღს დააკვირდა. — ამის იმედზე ხართ? რაღა დროის კაჟიანი თოფია!

ბავშვებმა მრისხანედ ტუჩებმოკუმულ დედას შეხედეს და ერთად გადიხარხარეს.

— მაპატიეთ, ბატონო, — თოფი გამხმარ ბალს მიაყუდა პისტიმ, თავსაფარი მოიხსნა და ყბებქვეშ ამოი-

მაგრა, — სხვენზე ამქონდა და ხელში შემრჩა.

სტუმარი ვერ იცნო, მაგრამ ჭიშკარი მაინც ფართოდ გაუღო და შინ შეიპატიჟა.

— ხომ მშვიდობაა, პატივცემულო?

— კი, ბატონო, მშვიდობაა. თქვენ ერმინე სახამბრიძის მეუღლე ბრძანდებით, ალბათ.

— კიე, ფარსაგი ხომ არაფერია?

— არაფერი-თქვა, ხომ გითხარით, სალაპარაკო მქონდა პატარა თქვენთან, თუ გცალიათ, თუ არა და, სხვა დროს მოვალ.

— მოცლილი კუბოში წევს, ბატონო. ვინ მოგაცლის დღეს. შემობრძანდით.

პისტიმ შემოგებებულ ბებერ ძაღლს წიხლი წაჰკრა და უცნობს მორყეულ ხის კიბეზე აუძღვა.

გაზეთებაკრულ, ხის ფარღალალა ოთახში შმორის სუნი იდგა. საწოლები ისე იყო ახირხლული, დევების ნაომარი გეგონებოდათ.

— გვაპატიეთ, ბატონო. ამათ ხელში დაალაგებ რამეს? — ბოდიშობდა პისტი და ოთახის მოწესრიგებას ამაოდ ცდილობდა.

— იყოს, ქალბატონო, ამ წუთში უნდა გავბრუნდე მე, — სტუმარი ჭილოფისსძირინან სკამზე დაეშვა, მაგრამ საეჭვო ჭრაჭუნმა შეაშინა და ისევ წამოდგა.

— ლოგინზე დაბრძანდით, არა უშავს, ჩემო ბატონო, — შეაჭველა მასპინძელმა.

მალე დედა-წულნი შეზლონგზე გამწკრივდნენ და ერთნაირად იდაყვდაყრდნობილები უცნობს მიაჩერდნენ.

— თუ არ გეწყინებათ, მარტო მინდა დარჩენა თქვენთან, — ძლივს ამოღერღა მოსულმა, მაგრამ ქალბატონი პისტის გაფითრებულ სახეს რომ შეხედა, სწრაფადვე დაუმატა: — ნუ გეშინიათ, ქალბატონო. მე გიგა ხაჩიძე გახლავართ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვმუშაობ. ბალახვანში ვცხოვრობ, ხიდს რომ გახვალ, იქვე, მარჯვნივ, პურის მაღაზიასთან, მესამე მოსახლე ვარ მავნეს და უბედურს ვგავარ მეე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უშანგი გეცოდინებათ, ხომ, ჭეფია.

— ჩაილაპარაკა პისტიმ, მაგრამ ეჭვის წაპერწკლები არ გამქრალა მისი თვალებიდან.

— როგორ არ ვიცი, ცალთვალა უშანგი — მეკუდე. გოგო გაათხოვა ახლა, ერთი კვირის წინ.

— მაზლად მეკუთვნის უშანგი, ჩემი ქმრის გარე მამიდაშვილია, — ცოტათი დამშვიდდა პისტი, — არ უნდოდათ ეგ საქმე. არ არიან მაინცდამაინც კმაყოფილი სიძის, — წამოხტა და ბავშვებს შეუძახა:

—გადით გარეთ ერთწამს!

ბავშვების მოცილება არც ისე იოლი აღმოჩნდა. დიდი ჩხუბის და ქაქანის შემდეგ ისინი, მართალია, კარს მიღმა აღმოჩნდნენ, მაგრამ სტუმარს არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ ჭუჭრუტანიდან არ უთვალთვალებდნენ.

— აქეთ მოიწიე, ქალბატონო, ბოდიშს ვიხდი, თქვენ სახელი?

— პისტი, — ოჯახის დისახლისმა ოდნავ გამოაჩინა შეზლონგი.

ვიგა ხაჩიძე ტყავის საქაღალდე გაშალა, ქაღალდის შეკვრა ამოიღო, მიიხედ-მოიხედა და გაუწოდა.

— აქ ორი ათასი მანეთია, ქალბატონო პისტი.

პისტიმ დაუფიქრებლად გამოართვა.

—დათვალეთ, თუ შეიძლება, ფულს დათვლა უყვარს, — გაუღიმა გიგამ.

სახამბრიძის მეუღლე დიდხანს, ბუტბუტით, ტუჩების ცმაცუნით, არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ითვლიდა. ერთი შეშლა შეეშალა, თავიდან დაიწყო. ოცდახუთმანეთიანები და თუმნიანები ცალ-ცალკე დაალაგა თვლის გასაადვილებლად სტუმარს მუხლისთვის თითები შემოეჭდო და შეპყურებდა. ქალს კეხიანი ცხვირი და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი, წაქისფერი თვალები ჰქონდა. ძველი, გაცრეცილი თავსაფრიდან (რომელსაც ბოლოებზე რატომღაც ღუზები ეხატა) ალაგ-

ალგ დაუვარცხნელი თმა გამოსჩრიდა. ფეხზე ყელწაჭრილი ჩექმები ეცვა და მღელვარებისაგან პირწაწნიდად ფრჩხილებმიჭრილი, უხეში თითები უკანკალებდა.

თვალს რომ მორჩა, ფული ისევ ამ გაზეთში შეახვია, ლეიბის ქვეშ საიმედოდ შეჩერთა, თავსაფარი შუბლზე ჩამოიქაჩა და სტუმარს მიაჩერდა.

—ქალბატონო პისტი, — გიგას ხმა უკანკალებდა, — ეს ფული თქვენია და მოიხმარეთ, როგორც გაგეხარდებათ. ჩემი არ იყოს, არც თქვენ ყოფილხართ მაინცდამაინც ხელმომართული. ცოტათი მაინც წინ წაგწევთ ეს ფული.

— არ დაიჯეროთ, ბატონო, მაგ ამბავი. ორი ათასი მანეთი უშველის ჩვენს გაჭირვებას? — პისტი განზე იხედებოდა და ისე ხმადაბალა და მღელვარებით ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, სტუმარს ჰბაძავსო, — ხუთი შვილი როგორი გასაზრდელია დღეს. ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ: რვა წელი ვიმუშავე აბრეშუმსაქსოვში. რვა წელიწადი მდუღარეში მეწყო ხელები და ყაჯს ვფურცქნიდი. ა, ნახეთ, რას ჰგავს ჩემი ხელები. ახლა ვიმუშავებკი არა, ჰეიზე რომ გავალ, ბავშვებს სახლი თავზე აქვთ წამოცმული. ჩემი ქმარიც და. გეცოდინებათ, ალბათ, რაც ავარია შეემთხვა, მანქანას აღარ ანდობენ და არასაუწყებოში კარისკაცად მუშაობს. ორი ათასი მანეთი კი, რასაკვირველია, ცოტას შეგვეწევა, მაგრამ გვეყოფამეთქი რომ გითხრათ, არ იქნება მართალი. შეხედეთ. რას ჰგავს ჩვენი ჭერი? წვიმა რომ მოდის, საბანზე გვასხამს პირდაპირ.

გიგამ პირი გააღო და რაღაც სურდა ეთქვა. მაგრამ მასპინძელი ისე ჩქარა ლაპარაკობდა, რომ ვეღარ გააწყვეტინა.

— ის ავარიაც, გეცოდინებათ ალბათ, ჩემი ქმრის ბრალი კი არ იყო. მაგერ, კაცის გადასახვევთან, აღმართზე გააჩერა მანქანა, თქვენთან ბოდიში მომიხდია, თავის კაცურ საქმეზე მიეფარა ხეს ერთწამს და მოგეხსნებათ მარცხის ამბავი, მანქანა მისით დაგორებულა, ის უპატრონო, და ხრამში გადავარდნილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი წამოდგა, ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ფანჯარასთან მივიდა. შავშეუყაოსაგან გამოჭრილიკით მოჩანდა უკნიდან მისი სუფთად გაპარსული, ლამაზი თავი და კეფაზე აწებებული ფართო ყურები.

— გაგიკვირდებათ, ალბათ, ქალბატონო პისტი, ამ ფულის ამბავი, — ყრუდ გაისმა ოთახში.

პისტი თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა. გიგას მოეჩვენა, რომ ერმინეს მეუღლეს გაკვირვებითაც მაინცდამაინც აღარაფერი უკვირდა.

— ეს ფული, — განაგრძო გიგამ — ჩემი საჩუქარია. თქვენს იჯახს ვაჩუქებ. უბრალოდ, ხელის გასამართავად. მეტი არ მქონდა, თორემ მეტს მოგართმევდით განა არ ვიცი, ეს ფული არაფერი არ არის დღევანდელ დღეს. — შემობრუნდა, საქაღალდე აიღო და კარისკენ გაიქცა, შეჩერდა, დიასახლისს ღონივრად ჩამოართვა ხელი, ღმერთმა მშვიდობაში მოგაბმაროთო, უთხრა და ეზოში გაბიჯა.

წვერწამახული ნაგვერდულების ღობეზე ოთხი თავი გადმოეკიდა. პისტი და მისი შვილები დიდხანს შეჰყურებდნენ უცნაურ სტუმარს, პლაშჩის ქალარი მიწაზე რომ მისთრევდა და აბაშიძეების ღელისკენ ისე მიეფარა თვალს, რომ ერთხელაც არ მოუხედავს.

●

გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ორმოცდასამი წლის იყო. ისევ მუზეუმში დანიშნეს ექსკურსიამძღოლად. მამაკაცეული ოროთახიანი სახლიც დაუბრუნეს. თითქოსდა არაფერი მომხდარიყო. თითქოსდა არც არსებობდა ის ცხრა ჯოჯოხეთური წელი მის ცხოვრებაში. შეცდომა იყოო, უთხრეს და ურჩიეს, მაინცდამაინც აღარ და-

ინტერესებულიყო იმ შეცდომის მიზეზებით. მამა ადრევე ტვინის ანთებით დაეღუპა, დედა — გიგას დაპატიმრების მეორე წელს. და-ძმა არ ჰყავდა.

ამ გაღლეტილ სახლში ვინ მოვიყვანო, ცოტა ფულს დავაგროვებ და ცოლს შევირთავო, იმთავითვე გადაწყვიტა. ხელფასზე გადარჩენილ მანეთებს პატიმრის გაკეთებულ ცხენისთვიან ყულაბაში ჰყრიდა. ისე შემოფცქვნა წლები ხელში, რომ არც გაუგია. გუშინწინ ორმოცდათვრამეტისა შესრულდა. შაბათი იყო, იჯდა შუშაბანდში და საოჯახო ალბომს თვალიერებდა. ნერვები მოეშალა. ფოტოსურათებზე თავის გაღიმებულ სახეს რომ დახედავდა, ეგონა, რომ იმ გულუბრყვილო ყმაწვილს აღარაფერი ჰქონდა საერთო ორმოცდათვრამეტი წლის გიგა ხაჩიძესთან. გიგულისებულმა ყულაბას ბლაგვი დანით წაღიჯნა თავი და იატაკზე გადმოაპირქვავა. ორი ათას თერთმეტი მანეთი და რვა კაპიკი შეგროვილიყო. რატომღაც უფრო მეტის იმედი ჰქონდა. ფულის დანახვამ სიხარული კი არ მოჰგვარა, თავის უმწეობაში დარწმუნა. პირველი, რამაც გაუელვა გონებაში, ის იყო, რომ ამ ფულით სახლს ვერ აიშენებდა და ვერც მანქანას იყიდდა. ცოლის შერთვის ხალისი მაინც დამაინც აღარც ჰქონდა. მარტო მყოფს მოეჩვენა, რომ ახლა ყველაფერი გვიანი იყო. თითქოსდა ფუჭად, ზედმეტ კაცად ეცხოვრა ამ ქვეყანაზე და ახლა აზრიც აღარ ჰქონდა ყველაფრის თავიდან დაწყებას. მკლავებზე ხელის სმით და უცნაური ლუღლუღით დაანიჯებდა წინ და უკან. კატას რძე რომ დაუსხა, ერთი აზრი დაეუფლა — ამდგარიყო და ეს ფული ეჩუქებინა იმისთვის, ვისაც წვრილშვილი ჰყავდა და ხელმოკლედ ცხოვრობდა. ვისაც ზუსტად ეცოდინებოდა, რაში დაეხარჯა. ამ ფიქრმა ისე გაახალისა და გაამხნევა, სტვენაც კი წამოიწყო. ეგონა, რომ ყველაზე კკვიანური გზა ახლა უპოვა წლების განმავლობაში კაპიკ-კაპიკ ნაგროვებ ტანში აჟრჟოლებდა ის სიამოვნებისაგან, რასაც ორი ათასი მანეთის ჩუქებით გახარებული კაცის სახე მოჰგვრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილშვილიანი და ხელმოკლე კაცის მოძებნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ორი დღე იარა ქალაქის განაპირა უბნებში. არ უნდოდა ნაცნობისათვის მიეტანა. წეღან პისტის რომ არ შეშინებოდა, არც თავის ვინაობას გაუმხელდა, უცნობისთვის უცნობისგან ორი ათასი მანეთის ჩუქებას მეტი ეფექტი ექნებაო, ფიქრობდა. დავუტოკებ ფულს, კარგად ყოფნას ვუსურვებ და გავეცლებიო. ამ დილით ვიღაცამ მისსწავლა, ერმინე სახამბერიძე ცხოვრობს ხიდგაღმა, ანდრია სინაურის ქუჩის ბოლოში და ხუთი შვილი ჰყავსო. გვერდზეგადაქაჩულ, ფანჯრებჩაშავებულ ხის სახლს რომ შეხედა, მეზობლებში გამოკითხვა აღარ დაუწყია, მაშინვე მიხედა, რომ იპოვა, ვისაც ეძებდა, დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

გახარებული და ნასიამოვნები როგორ არ იყო, ფრთაშესხმული მიაბიჯებდა თავისი სახლისკენ გიგა ხაჩიძე. მაგრამ გულს მაინც რაღაც აკლდა. თითქოსდა ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მოელოდა. მადლობა მაინც ეთქვა ამ მამაცხონებულსო, ფიქრობდა პისტის მისამართით. ბოლოს დაასკვნა, ალბათ მოულოდნელმა სიკეთემ, სიხარულის ელდამ დააბნია ქალი და თავისი თავიც დატუქსა, მე ხომ იმისთვის არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი, სამაგიეროდ ხელზე საკოცნელად გამოშვერილი ტუჩები და მასპინძლის ყბებამდე გახეული, ღიმილიანი პირი მენახო. მინდოდა ხელმოკლე კაცს დავხმარებოდი, მორჩა და გათავდაო, დღეს თუ არა, ხვალ ხომ გაიგებს, უანგაროდ რომ ჩავიდინე ეს სიკეთეო.

ერთი სიტყვით, ჩვენი გმირი ვალმოხდილი კაცის იერით, დამშვიდებული და სულდამცხრალი დაბრუნდა შინ და იმ ღამეს რომ ეძინა, რაც თავი ახსოვს, ისე ტკბილად არ სძინებია.

დილით ნასაუზმევი და ჩაცმულ-დახურული ეზოში რომ გამოვიდა, ონკან-

თან სარზე ჩამოცმულ პატარა სარკეს ჩაჰკრა თვალი, შეჩერდა, ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, გასაპარსი ვაფოფილვარო, დაასკვნა და შუშაბანდში შებრუნდა.

პიჯაკი ლოგინზე მიაგდო, ჩაიდნიან თბილი წყალი გამოიტანა, ყელთან პირსახოცი ჩაიფინა და საპნის ქაფვას შეუდგა. ელექტროსაპარსს, ვერ იქნა და, ვერ მიეჩვია. მანქანის ღუღუნი ნერვებს მიშლისო. მამაპაპური სამარცხვინოთ უფრო ჩქარა და საფუძვლიანად ვიპარსავო. თავ-ღრანჭიანად გაპარსულმა აივნის ბოძზე სამუდამოდ მიჭედებულ ძველ ქამარს სამარცხვინელი რომ დაუსვა, შენიშნა, რომ ვიდაცამ ჭიაკარს ზემოდან გადმოყო ხელი და ასასხლეტს დაუწყო ძებნა.

— ქვევით! უფრო ქვევით და მარჯვნივ! — შეეხმიანა მასპინძელი.

ღია კარებში მარჯვენა თვალზე შავ ტყავის რიდეაკრული, დაბალი, თითქმის უკისრო კაცი იდგა, ოავზე ულაზათოდ გრძელეპიანი ბუკლეს ქუდი ეხურა.

— ამობრძანდით ზევით! მე ბოდიში, ვერ გეახლებით ერთ წუთს!

სტუმარი დაუპატიჟებლადაც მშვენივრად მოიკვლევდა გზას. პარმაღს რომ მოადგა, გიგამ მაშინვე იცნო უშანგი ჭედია და ბავშვობიდანვე ეერაკერი შემთხვევა ვერ გაიხსენა, რომ ეს ბუსთავა მექუდე მის ეზოში შემოსულიყო.

— მაპატიე, უშანგი ბატონო, ამ წუთში ჩამოვბანან. — გიგა წამოდგა, მაგრამ სტუმარმა ორივე ხელით დაიჭიოა და თითქმის ძალით დასვა სკამზე.

— რავა გეკადრება. შენ მშვიდად იპარსე, რაღაცა ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, დამჯდარს გეტყვი თუ გაქცევლს, სულ ერთია ჩემთვის„ — მექუდემ ფანჯარაში გადაიხედა!—ისე, ხეხილი შენც დაგბერებია, ჩემი არ იყოს, ის გადაბელილი — ქლიავია? ონკანთან, მარჯვნივ.

— კორკიმელი. — გიგა პარსვას გაგაგრძობდა.

— მაგ, ეს.

— სანახევროდ. გადაბელეო, მერე ეს.

— რაია კორკიმელი, ორაფეი ორაფ. მე შენს ადგილას ამოვძირკვავდი და თეორ ბალს ჩავრგავდი, ან ატამს. მარა ატამიც ვლახა მოსავლელია, ეს ოხერი სამი ძირი მიდგას და ტანი ვერ აიყარა; დაკოიდა სამივე.

— მოვლა უნდა, უშანგი ბატონო. სულ აქ უნდა ტრიალებდე და სასხლავსარწყავი გეჭიროს ხელში. ახლა ისეა წამხდარი ყველაფერი, რომ უპატრონოდ ბალახიც კი არ ამოდის მიწიდან. დრო გინდა კაცს და ხალისი. მე, სიმართლე გითხრა, არც ერთი მაქვს და არც მეორე. — ნელ-ნელა, სამართებლის ჩამოსმასა და ჩამოსმას შუა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო მასპინძელმა, თუმცა მშვენივრად ხვდებოდა, რომ მისი გადაბელილი კორკიმლის ბედი ამჯერად უშანგი ჭედიას ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა.

— უკანაც ხომ გაქვს შენ ეზო?! — ბოლოს შორიდან უვლიდა სტუმარი.

— არა, კაცო, სადაა, უკანა ეზო ახლა წაიღეს?

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ. გიგამ პარსვა რომ დაამთავრა და წამოდგომა დააპირა, სტუმარმა მოსამზადებელი პერიოდი დამთავრებულად ჩათვალა და საქმეზე გადავიდა.

— ფულის დარიგება დაგიწყია, გიგა ბატონო, — ამ სიტყვებში ბევრი რამ ეგულისხმებოდა და, სხვათა შორის, ისიც, რომ მე შენს მხარეს ვარ და ამ საიდუმლოს ჩემგან ვერავინ გაიგებსო.

— გიგას გაეცინა.

— კი დავიწყე, უშანგი ჩემო. რა მექნა, აბა.

— გამოდის რამე? — მექუდემ ცალი თვალი მოჭუტა და წინ ვადმიიხედა.

— ძალიან სარფიანი საქმეა, — გიგამ სიცილს უმატა და პირსახოცი მხარზე გადაიგდო, წამოდგა და სტუმრის შეთქმულივით დაყურსულ სახეს

რომ შეხედა, სწრაფადვე დასერიოზულდა.

— ხომ ვთხოვე იმ ქალს, არ გაახმაურო ეს ამბავი–მეთქი.

— ჩემი იმედი გქონდეს, გიგა ბატონო, — გულზე ხელი მიიდო მექუდემ, ირგვლივ მიმოიხედა და ხმას დაუწია: — სახამბრაძეები ჩემი შორებლები კი არ არიან. ერმინეს და მე ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი.

— რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ მინდა ქვეყანამ გაიგოს. არ მიყვარს გახმაურებული საქმე, — გიგა ფანჯარას გადაეყუდა და ხელისგულზე ჩაიდნიდან წყალი დაისხა. უშანგი წამოხტა და ჩაიდანი გამოართვა.

— იყოს, იყოს, მე თვითონ... რაზე წუხდები... დიდი მადლობა... — მასპინძელმა პირისახე შეიმშრალა, პიჯაკი ჩაიცვა და კირთვის სურათს მიშტერებულ მექუდეს გვერდით დაუჯდა.

— რასაკვირველია, ერთხელ ვთქვი, იმისი არ იყოს.. გახმაურებული საქმე ეშმაკისაა... მაგრამ ერთი კაცი მაინც გჭირდება ამ საქმეში. მარტო გაგიჭირდება... მე ასე ვფიქრობ, ჩემი ჭკუით, — უშანგის ხელები ბარძაყებში ჩაეწყო და გაქვავებულივით იჯდა.

— რა კაცი?

— შენიანი... ვინმე... ერთგული... უღალატო.. ვთქვი, მისი არ იყოს.

— ხუმრობ, უშანგი?

უშანგიმ ხმა არ გასცა.

— რად მინდა კაცი. მე ფულს კი არ ვჭრი, შე კაი ადამიანისშვილო!

უშანგი ჭიდიას არც ამ პასუხმა შეუცვალა იერი. იცოდა, რომ მასპინძელი ასე ადვილად არ ენდობოდა.

— დამიჯერე, გიგა, ჩემზე ერთგულ კაცს ვერ იშოვი... არ გინდა ჩემთან მასეთი ლაპარაკი.

— რა ლაპარაკი! შენ ხომ სრულ ჭკუაზე ხარ, თუ ძმა ხარ, ამ დილით! — გიგას სიბრაზისაგან ცივმა ოფლმა დასხა.

— რა გაკვირებს? — უშანგიმ ჭიჭარისკენ გაიხედა, — მე შენთვის გეუბნები. რომ ჩავარდე, ხომ უნდა გყავდეს კაცი... ჭირისუფალი ვინმე.. პერედაჩის მომტანი. თუ გინდა წილშიც არ გამოვალ, სამ პროცენტზე ვიქნებ[illegible]

— რა წილი, რისი წ[illegible] ჭიანკველებმა დაუბინეს სხეულზე, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა და თითები ერთბაშად გაუცივდა, — რა მაქვს საწილო, შე კაი კაცო? იცი, რომ ის ორი ათასი მანეთი თხუთმეტი წელი ვაგროვე?

— ვისთვის? — უშანგიმ სხეათა შორის ჩაუგდო.

— ჩემთვის.

— თხუთმეტი წელი შენთვის აგროვე და მერე სახამბერიძეს მიართვი საჩუქრად ხომ?!—მექუდემ საზარლად ჩაიცინა და ხელები მუხლებზე დაიწყო, — ვინ ჭამს ამას, ჩემო გიგა. რაღაც მართალს ხომ უნდა ჭგავდეს, ვთქვი, მისი არ იყოს.

— მკვდარი დედის სულს გეფიცები, თუ ასე არ იყოს, — გიგას ხმაში მუდარა ისმოდა და ცალთვალამ მთელი საუბრის მანძილზე პირველად შეხედა მასპინძელს.

— რავა გინდა, აბა, აწი?

— რა აწი?

— ხვალიდან ისევ დაიწყებ შეგროვებას? თუ შეეშვები ამ საქმეს? დიდი დრო კი უნდა, მართალი ხარ, ახლა ერთი თხუთმეტი წელი უნდა ელოდოს ერმინე სახამბერიძე, სანამ კიდევ ორი ათას მანეთს მიუტანდე, ხომ?! — გიგას არასოდეს არ სმენია ასეთი სიცილი. მექუდე კი არ იცინოდა, თითქოსდა ყეფდა. თოხივით კბილებს აელვებდა და მთელი ტანით ძიგძიგებდა.

— არ გკერა, ხომ? — ლამის ტირილით ჰკითხა მასპინძელმა.

— რავა არ მჯერა. მაგისთანები მჯერა? მჯერა, აბა არა?... შენ თუ გჯერა, მეც მჯერა...— უშანგიმ თვალთან ორი თითი მიიტანა, ჯერ უპეკენი მოიფხანა, მერე მსხვილი, დაფანჩული წარბები გაისწორა და წამოდგა.

— მე ჩემი გითხარი და აწი შენ იცი. კარგად იყავი, აბა... თუ რამე გადაწყვიტო, ისევ იქ ვმუშაობ, მწკანეყვავილზე. იცოდე, კარგი მინდა შენთვის,

— ამ ლაპარაკით ჩავიდნენ ეზოში და ჭიშკარს რომ მიადგა, მექუდემ სინანულგარეული ხმით ერთხელ კიდევ ჩაუკაკუნა მასპინძელს: — ამხელა საქმეს მარტოკაცი ვერ მოკრავ... ვთქვი, მისი არ იყოს; შენ ახლა ბავშვი აღარა ხარ. სანერვიულო საქმეა ეს... არ მეგონა, თუ მეტი არ ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის. მეტს არ მენდობი, შე კაცო?

გიგა ხაჩიძეს ჭიშკრის მიკეტვაც დავიწყებია, ერთხანს გადაბელილ კორკიმელს მიეყრდნო სულის მოსათქმელად, სახეზე წყალი შეისხა და ქუჩაში რომ გავიდა, თავიც არ აუწევია მუზეუმამდე.

მთელი დღე უგუნებოდ გაატარა. დანა პიოს არ უხსნდა. თორმეტ საათამდე ორ ბებერ გერმანელს მოემსახურა და ისე ჩქარა გარბოდა ექსპოზიციიდან ექსპოზიციისაკენ, რომ სტუმრები ძლივს ეწეოდნენ. მოხუცი ცოლ-ქმარი უბოდიშოდ მიატოვა და თავის მაგიდას რომ მიუჯდა, მაღალმა, სახედამკვნარმა, სათვალიანმა გერმანელმა დამტვრეული რუსულით გააგებინა: დიდი მადლობა ასეთი საინტერესო საუბრისათვის, მაგრამ თუ ნებას დაგვრთავთ, ცოტა ხანსაც დავრჩებით მუზეუმში, ზოგ რამეს უთქვენოდ დავათვალიერებთო. გიგას შერცხვა, წამოდგა და ტურისტებს ბოდიში მოუხადა, უქეიფოდ ვარ და მაპატიეთ, რომ ვჩქარობდი, რა თქმა უნდა, რამდენ ხანსაც გაგეხარდებათ, შეგიძლიათ აქ ბრძანდებოდეთო. კაფანდარა გერმანელი დიდხანს არომეედა ხელს და მადლიერი სახით ეგერმანულებოდა. კიდევ კარგი, მთელი დღის განმავლობაში სხვა არავინ შემოსულა. დოსტოევსკის „იდიოტი“ გადმოიღო, მაგრამ გული ვერ დაუდო.

ხუთიოდე გვერდი ჩაიკითხა და, რაც არასოდეს დამართნია, მისი საყვარელი მწერლის კითხვისას, სიბრაზემ შეიპყრო, ყველაფერი, რაც იქ ეწერა, ავადმყოფურად და გაჭიანურებულად, ცოტა არ იყოს, ყალბადაც მოეჩვენა.

აღარც კი ახსოვს, შინ როგორ მივიდა. დახუთული საღამო იყო და ადრე დავწვები, იქნებ ჩამეძინოსო, გადაწყვიტა; როგორც იქნა, ჩაეძინა. [illegible] რამ მაშინვე გამოეღვიძა.

— გიგა! გიგათქვა! არ გესმის შეენ! — ჭიშკართან ვიღაც იძახდა.

— ახლავე!

ფლოსტებში ფეხი ტუცა და ფანჯარას ხელი ჰკრა:

— ამ წუთში, ბატონო, რომელი ხარ?!

— გვნახე ერთი აქეთ, თუ შეიძლება!

გარეთ ბნელოდა და კოკისპირულად წვიმდა, ნიფხავ-პერანგზე საწვიმარი წამოიხურა და ეზოში ჩაფშლტტუნდა. მალე თავით-ფეხამდე გაწუმპულ, მაღალ-მაღალ, თაგვისფერსვტრიან, წვეულვაშგაბურძგნილ კაცს შემოუძღვა. სინათლეზეც ვერ იცნო და, შარვალს რომ იცვამდა, ერთხელ კიდევ მოუბოდიშა.

— ჩამძინებია, ეს ოხერი. ვერ ვარ რაღაც კარგად. დიდხანს იძახეთ? დაბრძანდით, — სკამი მიუჩოჩა.

უცნობმა გრუზა თმა-წვეიდან წყალი ჩამოიწურა და ტაბურეტზე ცალმხრივ ჩამოჯდა.

— ერმინე გახლავართ მე, სახამბერიძე.

—რას ლაპარაკობ?! — გიგას თვალები გაუბრწყინდა და ხელი ღონივრად ჩამოართვა, — კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ბატონო ერმინე.

— მადლობელი ვართ გუშინდელი ამბის, რასაკვირველია, — ღერღავდა ერმინე და ხელებს იფშვნეტდა, — მაინტერესებდა რაღაც ჩემთვის... ვითომ და, ბოდიშს კი ვიხდი ასე გვიან შეწუხებისთვის. მე ვთქვი... ჯერ რავა დაწვებოდათქვა.

— ბატარა თვალს მოვატყუებ-მეთქი და მიმძინებია, ბატონო. რაღაცა ვერ ვიყავი ხასითზე, თორემ სადაა ძილი. გამოვყრუვდი ამ სახლში მარტო. ე, იმ კატის მეტი არ მიჭყავის არაფერი.

— ჰო... რა ვიცი... ზოგი, აბა, მი გეტყვი შენ, პირიკითაა. ერთი მარტო

დამტოვა და ამ ბოვშების ჯიჯღინი არ გამაგონა და არ მინდა არაფერი-თქვა, ჩემთვის ვიტყვი ხანდახან.

— რავა გეკადრებათ, ხუთი ბავშვის ფასი რაა ოჯახში, — მასპინძელმა იგრძნო, რომ იმას მაინც არ ლაპარაკობდნენ, რაც უნდა ეთქვათ და ერთბაშად მოიწყინა.

— გიგა ბატონო, თქვენ რომელი ხაჩიძის ხართ? — სტუმარმა ისე ამოიხვნესა, თითქოს გული ამოაყოლაო.

— არ გეცოდინებათ, მამაჩემი ადრე გარდაიცვალა, რაში გაინტერესებთ, ერმინე ბატონო?

— არაფერი... ისე... — ერმინემ ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე გადაისვა.

— სულ არაობას, რად უნდა ლაპარაკი, ორი ათასი მანეთი სჯობია, მაგრამ...

— რა მაგრამ, ერმინე ბატონო? — მასპინძელი სმენად იქცა.

— რა და... კი არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, გითხრათ სიმართლე, ცოტა მეტს მოველოდი.

— რატომ ელოდით ცოტა მეტს? — გიგა აიმრიზა.

— მეკუთვნის და იმიტომ. ჩემი ცოლი რვა წელიწადი ძაფსაღებში ჯახირობდა. რავარი ჩასაწყობია, ამა ნახეთ ერთი, ცხელ მდუღარეში ხელები. საკეცესაც ვერ იკავებს წესიერად ახლა ნაკვერცხლის ასაღებად. მე ვარ და, კარებში დამაყენეს საღ-სალამათი კაცი. თუ მაგენი მანქანაზე დასმას არ მიპირებენ, მეტი უნდა გამოეგზავნათ.

— ვინ მაგენი?

— მთავრობა.

— რა შუაშია მთავრობა?!

— კი, ახლა ასე ითქმის, კაცის გადაგდებაზე ადვილი არაფერია. ორი ათასი მანეთი მირჩენს ხუთ ბავშვს?

— ჩემგან რა გნებავთ, ბატონო ერმინე? — გიგა ხაჩიძეს კეფა აეწვა და ყურებმა შუილი დაუწყო.

— შენგან არაფერი. მე იმასთან მაქვს საქმე, ვინც ფული გამოგატანა. მე, შე კაი კაცო, ყრუ კი არა ვარ. ახლა, რაკი შოფერი ვარ, არ მეცოდინება ვითომ ამ ქვეყნის არაფერი? ვინ სულელი გააჩერებდა სიჩქარეში ჩაუგდებლად აღმართზე მანქანას. სიჩქარეშიც ყოფილა ხელის მუხრუჭიც ამოჭიმული. შენ ისევ იქვე არ წერია ექსპერტის დასკვნაში? იღბალია ყველაფერი ამ ქვეყანაზე. რაღა მე უნდა მომსვლოდა მაინცდამაინც.

— ჩემო ერმინე. მე არაფერი ვიცი. მე მთავრობასთან საქმე არა მაქვს. ჩემი ფული მოგიტანე და გაჩუქე, ჩემი ნაგროვები ფული. არ გითხრა მეუღლემ?

— კი, ბატონო, ჩვენ ასე გაუგებრები კი არ ვართ. გვესმის ყველაფერი, მაგრამ მე იმაზე მწყდება გული, რომ რატომ, კაცო, სხვას უარესი ემართება ახალ მანქანაზე სვამენ. მე რა ქვა გავტეხე. მე თვითონ გვავრმონტებდი. ჩარჩო მთელია და ძრავასაც არაფერი სჭირს ისეთი. რადიატორია მარტო გამოსაცვლელი.

— რატომ.. რატომ... ალბათ ცოტა ხანს კარისკაცად გამუშავებენ და მერე მოგცემენ მართვის უფლებას. თვითონ იციან თავისი საქმე. კი არ ვიცი, როგორია წესი.

— რაკი ახლა ამ ორი ათას მანეთს დამაჯერეს, მაგენი ჩემთვის საბუთების დამბრუნებლები და საჭის მნდობლები აღარ არიან.

— რატომ არ გინდათ გაიგოთ, იმ ორი ათას მანეთს არავისთან არა აქვს კავშირი, ჩემი ჯიბიდან მოგეცით. ღმერთმა ალალად მოგახმაროთ.

— ერთს ვიტყვი მე, — მცირე პაუზის შემდეგ თავი ასწია ერმინემ.

— ბრძანეთ.

— იმ ორი ათას მანეთს არ უნდა მოყოლოდა რამე საბუთი? ქვითარი, სიტყვაზე, მაგალითად? ხელი არაფერზე იყო მოსაწერი?

— ისევ თქვენსას ამბობთ?! — გიგას ნერვები დაეწყდა, — თქვენ ჩემი სიკვდილი ხომ არ გინდათ. რა ქვითარი. ჩემი ჯიბის ფული მოგართვით. წადით და იკითხეთ, სადაც გინდათ!

— რას მიყვირი, თუ ძმა ხარ, შენ! — ერმინე წამოდგა, — თვალში ხომ არავის ვეპატარავები აქანა. ჯერ წესიერად

გელაპარაკებით და მერე ვიკითხავთ, აბა რას ვიზამთ. ჩვენ გზაც ქე ვიცით და კვალიც. ტყიდან გამოვარდნილი არავინაა დღეს.

— ვირო მადლიო, ასეა ხომ, ბატონო ერმინე? — გიგა ძლივს სუნთქავდა; ნესტოები დაბერვოდა და ცხვირი გათეთრებოდა.

— კი ნუ გწყინთ პირდაპირი ლაპარაკი თქვენ, ნასწავლ ხალხს. ნერვები ჩვენც გვაქვს. ნუ გეშინიათ, ანგელოზები არ ხართ არც თქვენ. მე არაფერს არავის ვაბრალებ, მაგრამ არის შემთხვევები, არ არის?

—რა შემთხვევები?

— რა და, ოთხასი მანეთი რომ გამოუყვეს კაცს და ორასი მომტანმა რომ გადაუღუნა. ფული მწარეა, მე თქვენ კი არაფერს გაბრალებთ, მაგრამ გარკვევა უნდა ყველაფერს, კი არ გეწყინოთ. ძმებშიც კი მოდის ანგარიში და ჩვენ რა ვართ ერთმანეთისთვის? არაფერი.

— მიბრძანდით და გაარკვიეთ, სადაც გაგეხარდებათ! — გიგამ თავისი ხმა ვერ იცნო, საფეთქლის ძარღვები უხტოდა და ნესტოები დასკდომაზე ჰქონდა.

კიბეზე რომ დაეშვნენ, ერმინე შეჩერდა და სიბნელეში ცხვირი ყუთთან მიუტანა მასპინძელს.

— ერთი ეს მითხარი, ჩემს ცოლს იცნობდი ადრე?

— რომელ შენს ცოლს?

— რომელსაც მიუტანე ფული, აბა სხვა არ მყავს მე.

— პისტის?

— ჰო.

— არ ვიცნობდი, პირველად ვნახე, — გიგა ხაჩიძე მიხვდა საითკენ გადაუკაკუნა სტუმარმა, — არ გრცხვენია, ერმინე? კაცი მგონიხარ შენ მე.

— ვინცაა ჩვენს შორის კაცი, იმას გაარკვევენ სადაც ადგილია. მე კაცი ვარ თუ პროპკა, არავის საქმე არაა მაგი. არაფერი არ დაიმალება ქვეყანაზე, იცოდე ეს... არ დაიმალება არაფერი, — გაცრით, სისინით, დაქადნებით ჩაილაპარაკა ერმინემ და სიბნელეს შეერია.

თავსხმაში თავის ჭიშკართან დაბრუნდა გიგა ხაჩიძე და წყვდიადს გაჰყურებდა. გული ხელით ეჭირა. ცრემლი და წყალი ჩამოსდიოდა ღაწვებზე.

ქუჩაში კაცშვილი არ ჰაჰანებდა.

ერთ კვირას აღარავის შეუწუხებია.

იმ დღეს მუზეუმის თანამშრომლები ჩაის საკრეფად წაიყვანეს და ვახშმობა კარგა ხნის გადასული იყო, შინ რომ დაბრუნდა.

ეზოდანვე შეინშნა, შუშაბანდის კარი ღია იყო. შეშინებით არ შეშინებია (რა ჰქონდა მოსაპარავი), მაგრამ ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ დილით კარი გამოიკეტა (გასაღები მოეშალა და ახლის შეძენა შეუგვიანდა), სიბნელეს შესძახა.

— რომელი ხარ?!

წყვდიადს ლანდი გამოეყო და კარს შიგნიდან მოადგა.

— სტუმარი ვარ, არ შეგეშინდეს თუ კაცი ხარ.

ახალგაზრდული, უცნობი ხმა იყო.

გიგამ კიბე სწრაფად აიარა და სიბნელეში ხელის ფათურით, ძლივს მოძებნა ღილაკი.

მის წინ ლამაზად თმაგადავარცხნილი, გამხდარი, ცხვირნისკარტა, ტანმორჩილი სათვალიანი ბიჭი იდგა. ოცდახუთიოდე წლის იქნებოდა. თეთრ პერანგზე მსხვილად განასკვული კოპლებიანი ჰალსტუხი ეკეთა და პიჯაკის გულის ჯიბეშიც ჰალსტუხისფერი, განგებ ამოწეული ცხვირსახოცი ედო.

— არ გეწყინოს, თუ გიყვარდე, ხუთი საათია გიცდი, ჩამოვწყდი ფეხზე ეზოში. პატარა რომ წამოწვიმა, მე ვთქვი, გადახურულში კიბეზე დავდგები-მეთქი. ზურგით მივაწექი კარებს და არ გაიღო? ეტყობა, ღიად დაგრჩენია ამ დილით. ქე შემოვედი და ვდარაჯობ ამ შენს სახლს, პატარა საქმეა?

— კარს არ ვკეტავ საერთოდ, ვის

დავუკეტო? ქურდს ჩემთან ქუდი რომ შემოუგდო, არ შემოვა.

— სწორი ხარ. ქურდმა იცის, ვის მიადგეს კარზე.

გიგას არ მოეწონა ღამეული სტუმრის გაშინაურებული კილო, მაგრამ ყმაწვილმა პირადობის მოწმობა რომ აჩვენა, გაუკვირდა, ხელის დაბანაც კი გადაიფიქრა, ოთახიდან დაწნული სკამი გამოიტანა და სტუმარს დაუდგა. თვითონ ტაბურეტზე ჩაიმუხლა და სმენად იქცა.

— მიხვდებოდით, ალბათ, რა საქმეზე ვარ მოსული. — ყმაწვილმა სათვალე მოიხსნა, დაორთქლა, ცხვირსახოცით გულმოდგინედ გაწმინდა და გაიკეთა,

— ვერა? — მასპინძლის უარში უფრო მეტად კითხვა ისმოდა.

— ერმინე სახამბერიძე იყო ჩვენთან.

— მიჩივლა?

— ჩივილი რა შუაშია. აინტერესებს იმ კაცს, რა, რატომ, რანაირად... შენ რომ იყო მის ადგილას, შენც ასე არ იზამდი?

— რა აინტერესებს?

— არ გინდა ახლა ჩემთან ასეთი ლაპარაკი. გუშინდელი არც შენ ხარ და, მადლობა ღმერთს, ჩვენს საქმეშიც კარგად ერკვევი; მე პატარა კაცი ვარ, ქე იცი შენ. დამავალეს გაარკვიეო და ხუთი საათია ვყურყუტებ შენს კიბეზე. ძალიან კარგად იცი, რაც აინტერესებს სახამბერიძეს.

— ხომ ავუხსენი ყველაფერი. თქვენთან რა უნდოდა?

— ჩვენთან რომ მოვიდა, უნდა გიხაროდეს. აბა, ის გირჩევნოდა მილიციაში და სასამართლოში წასულიყო? გვაარკვევთ აგერ ყველაფერს, მოვახსენებ უფროსს. დაიბარებენ სახამბერიძეს, აუხსნიან საქმის ვითარებას და მორჩება საქმე. ასე არ სჯობია? — სათვალიანმა ეს ბოლო სიტყვები არაჩვეულებრივი ექსტაზით წარმოსთქვა და გახარებულმა ტაშიც კი მოაყოლა.

— მე გასარკვევი არაფერი მაქვს. ჩემი დანაზოგი, ხელფასზე გადანარჩენი ორი ათასი მანეთი მივუტანე წვრილშვილიან, ხელმოკლე კაცს ერმინე სახამბერიძეს და ვაჩუქე. არ შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რა?

— ჩუქება.

— ვთქვი მე, არ შეიძლება-მეთქი? რა ნიშნისმოგებით მელაპარაკები, შე კაცო. რატომ გაქვთ ყველა რეაბილიტირებულს ერთნაირი ტონი.

— თუ მიცნობთ, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რისთვის ვარ რეაბილიტირებული.

— კი მაგრამ, რატომ გგონიათ რეაბილიტირებულებს, რომ ხელმეორედ თქვენი დაჭერა არ შეიძლება, თუ რამეს დააშავებთ, რასაკვირველია.

— ჩვენ უკვე ვიჯექით სხვის მაგივრად კი ხანს და შენ ცოტა სიტყვებს დაუკვირდი, თუ ძმა ხარ. შენნაირი აღმასკომის ინსტრუქტორებიც მინახავს ოთხზე გაკრული.

— რა ვთქვი ახლა მე ისეთი, — ინსტრუქტორმა ჩაიცინა და ფეხი-ფეხს გადადგა, — ჩემი შეცდომა რა არის, იცი? მე რომ მოვედი ჩემი ფეხით. უნდა გამომეგზავნა მანქანა, უნდა ამომეყვანე იქ და მაშინ სხვანაირ ხმაზე ილაპარაკებდი.

— შენ კრუხის თავი ხომ არ გიჭამია, თუ ძმა ხარ, დღეს? შარს არაფერს შემამთხვიო, საშენო ნერვები კი ხანია დამაწყვიტეს. თქვი, რა გინდა და გაათავე! — თავი ვერ შეიკავა გიგამ და იმწამსვე დაასკვნა, არ ვიქცევი კარგად, ამ ლაწირაკს ლაპარაკში არ უნდა გავყვე, ვინ იცის, რა უდევს გულშიო.

— ესე იგი, დანაზოგი ფული მიუტანე ერმინეს?

— დიახ.

— საჩუქრად?

— საჩუქრად.

— თუ იცნობ სხვას ვინმეს, ვისაც ასე შენსავით ფული ეგროვებინოს და მერე სხვისთვის ეჩუქნოს?

— არა.

— შენი ძმაკაცებიდან ხომ არავინ აპირებს ამის გაკეთებას?

— არ ვიცი.

— აბა კარგად გიხსენე.

— ვერ ვიხსენებ.

— შენ თვითონ გადაწყვიტე სახამბერიძეს დახმარებოდი თუ გირჩია ვინმემ?

— მე თვითონ.

— რაღა ერმინე ამოირჩიე?

— ვერ გავიგე?

— რაღა ერმინე სახამბერიძეს მიუტანე მაინცდამაინც ფული და არ მიუტანე, ვთქვათ, ვასო ხურცილავას. შენგან მეხუთე მოსახლეა ამ ქუჩაზე. იმასაც ხუთი შვილი ჰყავს.

— არ მინდოდა ნაცნობთან მიმეტანა. თანაც, ვასო ხურცილავას, ღმერთმა მისცეს და, არაფერი უჭირს ჩემი დასახმარებელი.

— ერმინეს იცნობდი ადრე?

— არა.

— მის ცოლს?

— არც მის ცოლს

— ვინ მიგასწავლა ერმინესთან?

— არ ვიცნობ. ქუჩაში მიმავალს კკითხე, თუ ცხოვრობს აქ ვინმე წვრილშვილიანი, ხელმოკლე კაცი-მეთქი.

— რას ეძახი ხელმოკლეს?

— ერმინე სახამბერიძისთანა ოჯახს.

— რომ მიხვედი, მისმა ცოლმა თვითონ გითხრა გვიჭირს და დაგვეხმარეო?

— არ უთქვამს.

— არ გვიჭირსო, გითხრა?

— მე არ მიკითხავს.

— აბა? მიიხედ-მოიხედე, რაკი შეაბუკვე რომ ჭერზე ძვირფასი ჭაღი არ ეკიდა, დაასკვენი, ამ ოჯახს უჭირსო, შეუკუშნე ორი ათასი მანეთი ლეიბქვეშ და გაწოიქეცი?

— ლეიბქვეშ თვითონ შეკუშნა, მე ხელში მივეცი.

— დათვალა?

— კი.

— ნაჩუქარ ფულს რა დათვლა უნდოდა. ვთქვათ, ათი მანეთი აკლდა, არ მოკიდებდა ხელს?

— არ ვიცი...

— რატომ დათვალა, თუ იცი?

— არ ვიცი.

— არც იმ კაცის სახე გახსოვს, ვინც ერმინესთან მიგასწავლა?

— მახსოვს.

—?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხვირზე მეჭეჭი ჰქონდა დაცვენილი ულვაში მწვანედ შეღებილი.

— მე სერიოზული კაცი მგონიხარ, რას ვლახაობ!

— არ დავკვირვებივარ... რა ვიცი.. ხელმეორედ რომ შემხვდეს, შეიძლება ვიცნო.

— რატომ უთხარი, მარტო მინდა თქვენთან დარჩენაო?

— ვის?

— პისტის.

— არ მინდოდა ბავშვებს ფული დაენახათ.

— მადლობა გითხრა პისტიმ?

— არ უთქვამს.

— რატომ არ უთქვამს, თუ იცი?

— არ ვიცი. ეს მისი საქმეა.

— თუ გაინტერესებს, მე გეტყვი. რაც შენ გააკეთე, სიკეთე არ არის. ან, უფრო სწორად, გულუბრყვილო, სულელური სიკეთეა. მე ძალიან მინდა დავიჯერო, რომ შენ მართლა და მართლა, უბრალოდ, არაფრის გულისთვის, ხელის გასამართავად აჩუქე ფული სახამბერიძეს, მაგრამ ვერ ვიჯერებ. კარგად იცი, რატომ. ეს ყველაფერი შეთხზულს და მოგონილს ჰგავს. ადამიანები კარგა ხანია გადაეჩვევნენ ასეთი „სიკეთეების“ ჩადენას. შენ თუ სახამბერიძის პატივისცემა გინდოდა, რაღაც სხვა ფორმით უნდა გეცა. მე ახლა ისე გელაპარაკები, თითქოს რაც მითხარი, ყველაფერი მართალი იყოს. არ გიფიქრია იმაზეც, რომ პისტი და ერმინე ჩათვლიდნენ, თითქოს ეს ფული შენ კი არ აჩუქე, არამედ მთავრობამ დააჯილდოვა და შენი ხელით გაუგზავნა?

— არ მიფიქრია.

— ჰოდა, ის კაცი ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ შენ მისი ფულის ნაწილი არ მიგითვისებია.

— ეგ ყველაფერი მის კისერზე იყოს.

რევაზ მიშველაძე
ნოველები

მე არ მაინტერესებს, რას იფიქრებს ჩემზე ერმინე სახამბერიძე.

— არა ხარ მართალი. შენ მას ფული სწორედ იმიტომ მიუტანე, რომ ძალიანაც გაინტერესებს, რას იფიქრებს შენზე ერმინე სახამბერიძე.

— ეგ თქვენი აზრია.

— რა ხნის ბრძანდებით?

— ორმოცდათვრამეტის.

— მერე ამ ხნის კაცმა როგორ არ იცით, რომ თქვენს უაზრო ხელგაშლილობას დღეს ვერავინ გაიგებს. ახლა სხვა დროა.

— რა დროა?

— რა დროა და, ხალხისსური ქველმოქმედება მოდაში აღარ არის. კაცისათვის ორი ათასი მანეთის ჩუქებას დღეს დამცირების, შეურაცხყოფის ულფერიც ახლავს.

— ეგეც თქვენი აზრია, სიკეთეს მოდა არ გააჩნია.

— აბა კარგად დაფიქრდით. ხომ შეუძლია თავმოყვარე კაცს — ერმინე სახამბერიძეს გითხრათ: ვინ არის შენი ორი ათასი მანეთის მათხოვარიო?

გიგა გაჩუმდა. მან ჩათვალა, რომ ამ ენაჭარტალა ყმაწვილთან კამათს აზრი არ ჰქონდა. თუ რამეს მკითხავს — ვუპასუხებ, თუ არა და, ვიქნები ჩემთვისო.

სტუმარი წამოდგა.

— საერთო სურათი ჩემთვის ნათელია. ცოტა რაღაცებია კიდევ დასაზუსტებელი და შეიძლება ჩვენთან შემოვლამ მოგიწიოთ ერთხელ. კარგად ბრძანდებოდეთ — თქვა მან, კარს უკან კუთხეში მიდგმული პატარა, შავი ჩემოდანი აიღო და კიბე მსუბუქად ჩაირბინა.

რამდენადაც წელან ამ კაცის ფამილიური ტონი არ მოეწონა, იმდენადვე არ ეხამუშა ახლა მასპინძელს მისი უეცარი გაუცხოვება და „თქვენობაზე“ გადასვლა.

●

ღამის სამ საათზე თეთრ ხიდს წულუკიძის ბაღის მხრიდან კაცი მოადგა.

ქარის სისინი და რიონის ღრიალი ერთმანეთში ისე არეულიყო, რომ სხვისას კი არა, საკუთარ ხმასაც ვერ გაიგონებდი.

ქალაქი მიტოვებულს ჰგავდა.

აბანოს კარების თავზე მარტო ერთადერთი ყვითელი ნათურა ბჟუტავდა. და იქვე, ასფალტზე ფეხებაწაფერილ, თავზე ყაბალახჩამოფხატულ უთოფო დარაჯს ეძინა.

კაცი დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩაჰყურებდა რიონს.

მერე წელში გაიმართა.

ქუდი მოიხადა და დადაგდო.

სწრაფად მიაყოლა მოსასხამი, პიჯაკი, ჰალსტუხიც კი.

მოაჯირს გადაბიჯა და...

თითქოს ვიღაცამ დაქაჩაო, შემოტრიალდა, უკანვე გადმოიწია და გადმოხტა. შუახიდზე გაიქცა და კარგა ხანს ისმოდა სიბნელეში მისი ფეხების ტაკატუკი.

ის უხილავი ძალა არ მოგეშალოს, ძვირფასო მკითხველო, შენი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში.

წ ი ლ ი

კაცმა ქოშინით ამოირბინა კიბე. გრძელი დერეფნის პირველივე კარს ეცა, მაგრამ არ შეუშვეს. მეორე კარისკენ გაიქცა, იქაც უბოდიშოდ გადაუღობეს გზა. ბოლოს, უიმედოდ აწრიალებული, ვიღაცამ შეაჩერა:

— თქვენი მოსაწვევი!

კაცმა მოსაწვევი გაუწოდა. მაღალმა, სათვალიანმა, საგულდაგულოდ თმაგადავარცხნილმა ახალგაზრდამ აუჩქარებლად გაშალა მოსაწვევი, მერე სტუმარს ახედ-დახედა და თავი გადაქნია:

— რატომ აგვიანებთ, მომყევით!

ძლივს ეწეოდა. მაინცდამაინც ახლა ამოუვარდა ფეხსაცმლის თასმა. ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ფეხი დაადგა და კინაღამ გაიშოტა ლაქესაგან აპრიალებულ იატაკზე. სათვალიანი ბოლო კართან ღიმილით უცდიდა.

— შედით და დაბრძანდით. ორმოცდამერვე რიგია თქვენი, მეცხრე ადგილი. ფეხაკრეფით შედით. მოიცათ, მოსაწევი აიღეთ. არ დაკარგოთ, თორემ საღამოს სხდომაზე აღარ შემოგიშვებენ.

ბოდიშ-ბოდიშ გაიკვლია გზა. კედეგკარი, სავარძლებს შორის გასასვლელი ფართო იყო. თავის ადგილს მიაგნო და ამოისუნთქა. ახლა შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. ტრიბუნასთან დაბალი, მელოტი კაცი იდგა და გულმოდგინედ კითხულობდა. ორივე ხელით ტრიბუნას ჩასჭიდებოდა და მხოლოდ მაშინ გაუშვებდა ხელს, როცა მოხსენება უნდა გადაეფურცლა ან ჩაი მოესვა. მოსვამდა თუ არა ჩაის მომხსენებელი, კულისებიდან მოხდენილი გოგონა წამოვიდოდა, ტანის რხევით აივლიდა სამ საფეხურს, ნაკლულ ჭიქას წაიღებდა და ორიოდე წუთში კვლავ გამოჩნდებდა სავსე ჩაის ჭიქით ხელში. კაცს მოეჩვენა, რომ მთელი დარბაზი სწორედ იმ გოგონას გამოჩენას ელოდებოდა.

როცა დარწმუნდა, რომ მისი დაგვიანება დარბაზში არავის შეუმჩნევია, ცოტა არ იყოს, გამხიარულდა კედეგ-საყურე-მიმღებს დაწვდა და თავზე ჩამოიმხო, მაგრამ მიმღები ხმას არ იღებდა და გაუკვირდა, სხვებს რომ დიდის ამბით ეკეთათ ყურზე და მომხსენებელს ისე შეჰყურებდნენ, რომ თვალსაც არ ახამხამებდნენ. საყურე-მიმღები თავის ადგილას დაბერნინა, მაგრამ ვეღარ დაამაგრა და ბრაგუნით დაუვარდა იატაკზე.

— მაპატიეთ, — უთხრა გვერდით მჯდომ ქალს, რომელმაც ხმაურზე მოიხედა და ახალშემოსულს მწყრალად შეხედა. ქალმა არაფერი უპასუხა. მას სწორი ლამაზი ცხვირი და პომადით შეღებილი თხელი ტუჩები ჰქონდა. ხელები მოწაფესავით ეწყო ტყავის შავ ხელჩანთაზე. ტყავისავე აღუბლისფერი ჩექმები ეცვა, წითელ სვიტერზე ფერ-ვისფერი შარფი მოეხვია.

— ხელი შეგიშალეთ მოსმენაში, არა, ქალბატონო? — კაცმა ხელმეორედ სცადა ბოდიშის მოხდა.

ქალმა ორი თითით ტუჩის ბოლოები მოიწმინდა და გაუღიმა.

— არა უშავს. პირველად ხართ ასეთ შეკრებაზე?

— დიახ, — კაცმა პასუხი არ დაახანა. რატომღაც ეგონა, რომ ყველანი პირველად იყვნენ.

— მე შარშანაც მჭონდა ბედნიერება, — ქალმა ხელჩანთას ცალი ხელი აიცალა და კაცს შეხედა. კაცმა გვერდზე გაიხედა. კედლის სარკეში თავის თავს გაუღიმა. ლომის ფაფარივით სქელი და უხეში თმა ჰქონდა. აგურისფერი კოსტუმი ეცვა და „გელათის“ პერანგზე ნეილონის შავი ჰალსტუხი ეკეთა. თმა რანაირად გამჩეჩია, წაილაპარაკა და ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, მაგრამ ქალმა კატეგორიულად უჩურჩულა:

— აქ არ დაივარცხნო, სირცხვილია. სავარცხელს სული შეუბერა და ჯიბეში ჩაიდო.

ერთხანს წინ იცქირებოდნენ.

კაცს მოსწყინდა, ქალისკენ გადაიხარა და ტუჩები ყურთან მიუტანა:

— რომელ საათამდე უნდა ვისხდეთ?

ქალმა მოიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ სერიოზულად ეკითხებოდნენ, ისევ ჩამოისვა ტუჩებზე ორი თითი.

— ადრე მოგწყენიათ. ორ საათამდე აქედან გასვლაზე ნუ იფიქრებთ. ორზე შესვენებას გამოაცხადებენ. დღის წესრიგის დამტკიცებაზე არ ყოფილხართ?

— არა, — დაბეჯითებით მიუგო კაცმა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ქალს ჰგონებოდა, აფსუს, დღის წესრიგის დამტკიცებაზე რომ არ იყო, თორემ ეს ისეთი ჯელი რახს, უსათუოდ რაიმე ცვლილებას შეიტანდაო.

— ორ საათამდე მოხსენება იქნება,

მერე შესვენება ერთი საათით, სამზე კამათი დაიწყება.

— რა დაიწყება? — კაცმა ყურს ხელი მოახმარა.

— კამათი ჰქვია. გამოვლენ და ყველა თავთავის სიტყვას წაიკითხავს. მომხსენებელმა საათ-ნახევარი მოითხოვა.

— ბევრია, — ჩაურთო კაცმა.

— კამათის მონაწილეებს ნახევარი საათი მიეცათ, განცხადებისათვის — ხუთი წუთი.

— ცოტაა, — თქვა კაცმა და გაეცინა.

— შემოსვლის დროს ხომ გატარდით რეგისტრაციაში?

— რაში? — კაცმა ისევ მოახმარა ყურს ხელი.

— თუ აჩვენეთ ვინმეს მოსაწვევი?

— რა თქმა უნდა, — კაცს მაღალი, სათვალიანი, საგულდაგულოდ გადავარცხნილთმიანი ახალგაზრდა მოაგონდა, რომელმაც დარბაზში შემოიყვანა.

ისინი ტრიბუნას შესცქეროდნენ და თან მოხერხებულად, ცალი ყბით საუბრობდნენ, ამ ფრაზის ანატომიური და არა იდიომური მნიშვნელობით.

— კურდღელმა რაც იჭინა, ის იხტუნაო, ჩემზეა ნათქვამი, — კაცი ჩურჩულს მიჩვეული არ იყო და ყველი უშრებოდა, — წუხელ ჯერ თვითმფრინავმა დაიგვიანა.

— რატომ "214"-ს არ გამოყვეით?

— ვერ ვასწრებდი. მატარებელი დილის შვიდ საათზე ჩამოდის. ჩემი საქმე ისე იყო, რომ გუშინწინ ვერ ჩამოვიდოდი თბილისში. "214" რომ გამოფრინდა, აეროპორტი დაიკეტა და საღამოს რვა საათამდე გვაყურყუტეს.

— ჩვენი დროით? — ისე, ყოველ შემთხვევისთვის! ჩაურთო ქალმა, თორემ რა მნიშვნელობა ჰქონდა.

— მე სულ ჩვენი დროით ვლაპარაკობ, ქალბატონო, — მრავალმნიშვნელობის გარეშე, გულწრფელად მიუგო კაცმა, — თორმეტს გადაცილებული იყო, სასტუმროში რომ მივედი- — სადა ხართ აქამდე, თქვენები ყველანი ჩამოვიდნენ, ჯავშანი უკვე გავაუქმეთო, ჩხუბი არ დამიწყო ადმინისტრატორმა? ლოტოს კოჭივით მრგვალი ქალი ვიყავ, ჩემსმაღლე, წითელი ნაფაფარი ... ვზე. თქვენც იმან მიგიღოთ?

— არ მახსოვს, — ქალს მართლა არ ახსოვდა.

— კი მაგრამ, რა ჩემი ბრალია, ქალბატონო, მე რა, მფრინავი ვარ თუ შტურმანი, მე ვუთხარი, თვითმფრინავმა დაიგვიანა, ჩამოვწყდით ფეზზე აეროპორტში და კიდევ აქეთ მდებთ ბრალს-მეთქი? მეო, ბრალს არავის ვდებო, თქვენნი ჯავშანი გაუქმებულია, მორჩა და გათავდაო! ქალბატონო, მე ეს კაცი ვარ და ამ საქმეზე ვარ ჩამოსული-მეთქი. ვიციო. აბა, რა ვქნა, გავბრუნდე უკან-მეთქი? ოთხასმეჩვიდმეტე ნომერში შტაბია და იქ მიაკითხეთო. ოთხასმეჩვიდმეტეში ორ ქალს ეძინა. მორიგეები ვართო. ახლა იმათ დამიწყეს ლანძღვა. თქვენი გულისთვის ადამიანმა წესიერად ვერ უნდა დაიძინოსო. თვითმფრინავი, ხომ იცით, ჩემს გემოზე არ დადის-მეთქი. ნუ ლაპარაკობთ ბევრსო, შემომიბღვირა ერთმა. იეღუტუულეს ცოტა ხანს, მერე ერთი მთგანი ტელეფონს დასწვდა, ზზორავით აუწყა ვიღაცას, ესა და ეს კაცი დაგვიანებით ჩამოვიდა და როგორ მოვიქცეთო. იმან იქიდან ისეთი რაღაც უთხრა, რომ ყურმილი კარგა ხანს ხითხითებდა. სული რომ მოითქვა, თავის მეგობარს დაუწია თავი და უჩურჩულა. ახლა მეორე ქალი ამიგიგიგდა. ვდგავარ ფეზზე ცხენივით. არც დაბრძანდით, არც ბოდიში. ხუთთას სამოცდახუთში მიდით, უფროსი მორიგეა და იმას მოელაპარაკეთ, კარგი კაცია, კავკასიელები უყვარს და იქნებ შევიდეს თქვენს მდგომარეობაშიო. ვფიქრობ, რა დავაშავე, რა ქვა გავტეხე ასეთი. ამასობაში ღამის ორი საათი შესრულდა. უფროსი მორიგე მართლაც ღვთისნიერი აღმოჩნდა. შევეცოდე. სად ხარ, კაცო, აქამდეო. შენ რომ იქიდან არ იყო, საიდანაც ხარ, არ გაშვეილდა არაფერიო. ჩემოდნიდან გაზეთში გახვეული ჭაჭის არაყი ამო-

ვიღე, და სულელური ღიმილით, ვითომ შეუმჩნეველად, დავუდე საწოლთან. თან მეშინია, ვაითუ გამლანძღოს-მეთქი; როგორ კადრულობ ამ საქმეზე ჩამოსული კაცი ამ ამბავსო, რომ მითხრას? შენც არ მომიკვდე. ბოთლს გაზეთი შემოახია, შეანჯღრია და ელექტრონის შუქზე გახედა. ერთნახადი ხომ არ არისო, მკითხა. როგორ გეკადრებათ-მეთქი. დამშვიდდა. ქაღალდის ნაგლეჯზე ხელი მოაწერა და ისევ ოთახსაჩვენდმეტისაკენ მაქნევინა პირი. ჩემს ნაცნობ მორიგეებს უკვე ეძინათ. ჯერ კარგარედან მაყვირეს. ის ვარ, თქვენთან თხუთმეტი წუთის წინ რომ ვიყავი და უფროს მორიგესთან რომ გამიშვით, ის კაცი ვარ-მეთქი. გამიღეს, როგორც იქნა. ვერ უნდა მოგიშოროთ შენ ამაღამო? ქაღალდი გამომართვეს და სასტუმროში ჩასახლების ორდერი გამომიწერეს. გაიქეცი ახლა ადმინისტრატორთან და ხვალ დილით ორი ფილა შოკოლადი არ დაგავიწყდესო. რაც ადმინისტრატორმა ისინი ლანძღა, ჩემს ორდერს რომ დახედა. თუ ჰქონდათ ნომერი, მე რაღაზე მათქმევინეს ამ პატიოსანი კაცისთვის უარი. ერთი სიტყვით, სამი კაი ხნის შესრულებული იყო, ბალიშზე რომ მივდე თავი და მთელი დღის განაწყენებს მკვდარივით დამეძინა. ძალიან მოვინდომე ამ დილით, მაგრამ მაინც დამაგვიანდა.

ქალი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ არც ერთხელ არ უთქვამს: რას ლაპარაკობ, ნუთუ მართლაო. ეტყობოდა, რომ ეშ ნაამბობში მისთვის არც ახალი იყო რაიმე და არც გასაკვირი.

კულისებიდან ისევ წამოვიდა მოხდენილი გოგონა ჩაის ჯიქით ხელში. კაცმა ამოიოხრა.

— ოჰ, თქვენ! — ბაგეებში შეფარული ღიმილით შეხედა ქალმა. — სახლიდან არ ხართ გამოსაშვები არც ერთი. შენ ცოლს ჰგონია ახლა, რომ საქმეზე ხარ წამოსული. ერთი ხართ ყველა, ერთ თარგზე მოჭრილი, რა აქვს ახლა ამოსახვნელი იმას, ერთი ფიცარივით გოგოა.

კაცმა საყვედური ქართულად მიიღო და გაეხარდა. მოეჩვენა, რომ ქალის ამ სიტყვებით სულ სხვა ეტაპი [illegible] ბოდა მათს ნაცნობობაში. [illegible] ეს უცხო ქალი ერთბაშად დაუთბა, უხილავი მაკრატლით გადაჭრა ზონარი, რაც აქამდე კაცს მისდაუნებურად ბოჭავდა და თავისუფლად ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა.

— რა ვქნათ. შე ქალო, ადამიანშვილები ვართ ჩვენც. — კაცმა ხელი გასწია ქალისკენ, ჩანთაზე რომ ლამაზი, ფაფუკი ხელი უდევს, იმ ხელის ზურგზე მოვეფერებიო, ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ხელი შუაგზიდან უკან წამოიღო და ყურის ბიბილო მოიფხანა. ვინ იცის, იქნება სწორადაც მოიქცა. იქნებ ამ მოუზომავი საქციელით ყველაფერი წყალში გადაეყარა.

ქალმა დაამთქნარა და პირზე ხელი სამჯერ რბილად მიირტყა.

— ჩვენი ცხოვრების ნახევარი ამნაირ ფოკუსებზე მიდის, ვითომ რად უნდოდათ ახლა იმ სიშორიდან ჩვენი ჩამოყვანა? წყლის ნაყვა არ არის ახლა ეს? რას ვაკეთებთ გზის ფულის ხარჯვის მეტს. ბავშვები უპატრონოდ დავყარე, დავარდნილი დედამთილის ამარა.

— ქმარი? — კაცს ამ შეკითხვის მიცემა ადრე სურდა, მაგრამ ვერაფერს მიაყოლა.

— რა ქმარი? რას ეხმარები შენ შენს ცოლს? დილას გადავა სახლიდან და საღამოს შემოიძურწება ან მთვრალი, ან ფხიზელი.

— ბავშვები რა ხნის გყავთ?

— მეშვიდეშია უფროსი. მესამე, პატარა, ნოლ ჯგუფში წავიდა წელს.

— უფროსი გოგოა?

— გოგოუბია სამივე.

— აბა, არაფერი უჭირთ. უფროსი დიდი ყოფილა, მიხედავს ორივეს. გოგოების ფასი არაფერია ოჯახში, რომ იცოდე. ბიჭის ნახევარი მოვლა არ უნდა გოგოს. ტყუპები მყავს ათ-ათი წლის

და შენ ისინი უნდა ნახო. ლომების მომთვინიერებელივით მათრახს ვატაკაცუნებ ყოველწუთს. ახლა წამოცმული ექნებათ ყველაფერი თავზე. დამწვარს არ დამახვედრებდნენ სახლ-კარს და სხვას არ დავეძებ არაფერს.

— ტყუპები? ყოჩაღ, ცოლი შენ გყოლია.

კაცს გაეცინა.

— მე არაფერი ხომ? ვერ გავიგე რატომ მიაჩნიათ ტყუპები ყოველთვის დედის გმრობად.

—კაცი სტუმარია სახლში. დედაა ყველაფერი, არ იცი, აბა?—ქალმა პირველად ახლა შეათვალიერა კაცი. ცხვირზე შეხედა, ულვაშზე, თმაზე, მერე ჰალსტუხზე ჩამოუსვა მზერა და ბოლოს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მხოლოდ წამით შეხვდნენ მათი თვალები ერთმანეთს. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ქალმა სწრაფად დაიწყო ხელჩანთაზე ხელები და ორატორისკენ ისე ენერგიულად გაიხედა, ვითომც მოხსენებიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდეს.

—ახლაა ოჯახში საქმე. მე ვთქვი, პატარას მივიხედ-მოვიხედავ-მეთქი. თქვენი თქმის არ იყოს, აქ ჩამოსვლის დრო და თავი მქონდა ახლა მეე? ზამთარში თუ არ მიხედე პატარა სახლს, სხვა დროს ვის სცალია... წელიწადში ათი თვე მინდორში და ყანაში ვყრივარო.

— რა ქენით ყველის და ხორცის?

— შევასრულეთ. ისე... რა ვიცი...

ქალმა მოიხედა. ტუჩებზე ხელი მიიფარა და ყურში რაღაც უნდოდა ეთქვა კაცისთვის, მაგრამ უკნიდან ვიღაცამ ორივეს მოუთათუნა მხარზე ხელი და შემობრუნებულებს სათვალიანმა, ჯაღარა კაცმა ქვედა ყბის კანკალით სთხოვა: თუ შეიძლება, მოსმენის საშუალება მოგვეცითო.

ქალმა ესეც შენო, ღიმილით შეხედა კაცს და საყურე-მიმღები მოიმარჯვა. სწორია ეს ხალხიო, ჩაილაპარაკა კაცმა და ისიც მიმღებს დასწვდა.

ორივენი თავიანთ ფიქრებში ჩაიძირნენ.

კაცს თვლემა მოერია, თავს მხოლოდ მაშინ სწვევდა, როცა ჩაის გასინჯვა-მცვლელი გოგონა ორატორისკენ წავიდოდა.

ქალი შეჰყურებდა ტელეეიპპიტერებით განათებულ სცენას, მაგრამ მოსმენილი ისიც არ უსმენდა ორატორს.

როცა დარბაზში მოსაწვევების ტყე აღიმართა, კაცს მოეჩვენა, რომ ვიღაც შეეხო მხარზე, ჯიბიდან | მოსაწვევი სწრაფად დააძრო და მანამ ეჭირა თავს ზემოთ ამართული, სანამ ქალმა არ დააწვევინა. კაცმა გაკვირვებით შეხედა. ახლა შენიშნა, რომ ქალს მარცხენა მხარეს, ტუჩს ზემოთ, საულვაშეზე ხალი ჰქონდა და ღიმილიც ძალიან უხდებოდა.

— მომხრე ვინ ხართო, აწეული გქონდა მოსაწვევი, წინააღმდეგი ვინ ხართო, აწეული გქონდა, თავი ვინ შეიკავაო, იკითხა თავმჯდომარემ და მაშინაც მაღლა გეჭირა მოსაწვევი, — ქალი გულიანად იცინოდა.

— ერთი სიტყვით, აქ რასაც იტყვიან, ყველაფრის მომხრე ვარ, — კაცმა ხელები მოიფშვნიტა და ქალისკენ მთელი ტანით შებრუნდა.

—კი ერთი, — ქალმა ისევ ააყოლა თვალი ნიკაპზე, ცხვირზე, თმაზე, თვალებში ამჟამად არ შეუხედავს.

გრძელ დერეფანში ერთად გამოვიდნენ.

— აქ... ისა... რა სათქმელია, მაგრამ... სადღაც მაღაზია არისო... სპეციალურად ჩვენთვის... იქნებ რამე გვეყიდა ბავშვებისათვის, — კაცი სიტყვებს ვერ პოულობდა, გვერდით მიყვებოდა დერეფანში მიმავალ ქალს და ფიქრობდა: „რა მაღალი ყოფილა. რა ლამაზი სიარული სცოდნია“.

ქალი მოტრიალდა და თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, იდუმალი ჩურჩულით აუწყა:

— ამ დერეფნის ბოლოშია, მეორე სართულზე, კიბიდან მარცხნივ. გამოად-

გი ფეხი. ახლა ყველანი იქ მივლენ.

ისინი თავაწეულნი, ღირსეულად, მაგრამ მოსვირინე წყვილზე გაცილებით უფრო ჩქარა მიდიოდნენ.

ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა დარბაზის კარი, სტუმრები, ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად, დერეფანში გამოეფინებოდნენ, მიხედვ-მოხედვის გარეშე, ჯერ ნელა, თითქოს გულგრილად მიდიოდნენ დერეფნის ბოლოსკენ, კედლის უზარმაზარ სარკეს ეგებებულნი, შათი მდგომარეობა ... საოვის სრულიად შეუფერებლად, ერთბაშად იმჩატებდნენ ნაბიჯს, ხოლო კიბეს მიახლოებულნი, უკვე გარბოდნენ.

ᲣᲠᲛ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ობუჯის“ ალაყაფის კართან მოწყვენილი სახის, იხვისცხვირა, მწვანეპერანგიანი კაცი შეჩერდა. კარგა ხანს იდგა ჰიშკართან და ქარხნის ეზოდან ერთმანეთის მიყოლებით გამოღრიალებულ, მძიმედ დატვირთულ მანქანებს შეჰყურებდა.

წითელწელსახვევიანმა დარაჯმა, ვისთან ხარო, რომ ჰკითხა, უცნობი ერთბაშად გამოერკვა და დარაჯს კეთილი, თაფლისფერი თვალები შეანათა.

— უფროსი მოსულია?

— აქ არის, შედი! — დარაჯმა ბამბუკის ჯოხი გასწია.

— რა მინდა, რომ შევიდე? — თავი ჩაღუნა სტუმარმა და განზე გადგა.

— კაცო, ასე არ მკითხე, უფროსი თუა მოსულიო? რა ვიცი მე, რა გინდა, — დარაჯს გაეცინა და ბამბუკის ჯოხს მოაწვა.

— ვიცი, უარს მეტყვის. ტყუილად ვარ მოსული, — იხვისცხვირამ ჯოხს გადააბიჯა და კარისკაცს სვედიანად დაუგდო: — არ მიმართლებს, მორჩა და გათავდა.

დარაჯს თავისი საფიქრალი და საწუხარიც ბლომად ჰქონდა და აღარაფერი უკითხავს.

საზოგადოებრივი კვების ტექნიკუმის კურსდამთავრებულს, გივი ბილიხოძეს, რომელიც ახლა „ობუჯის“ დირექტორის კაბინეტისკენ მიაბიჯებდა, მართლაც არ გაუმართლა.

მიდგომ-მოდგომის ნიჭი არ აკლდა, ენერგიული ყმაწვილიც იყო, მაგრამ რა საქმესაც დაადგა, ყველაფერში ხელი მოეცარა.

ჯერ იყო და, ტექნიკუმი რომ დამთავრა, სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ სწორედ იმ წელს, მისდა იღბლად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალს სამი ახალი ფაკულტეტი დაუმატეს და ერთი გააუქმეს. სწორედ ის მუხუდო-სოიის დამუშავების ფაკულტეტი გააუქმეს, სადაც გივი აპირებდა საბუთების შეტანას. ბილიხოძემ პროტესტის ნიშნად საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ დამპალი პამიდვრის სუნზე ალერგია დაემართა და, ექიმების რჩევით, თავი გაითავისუფლა.

ამ ხუთი წლის წინათ, შემოდგომაზე, თავის ეზოში ყველა ხე ამოძირკვა და დაფნის ნერგები ჩაყარა. ორი წლის თავზე, დაფნამ რომ ტანი აიყარა, საფიჩხიაზე ხმა დაიჩხა, დაფნას აღარ იბარებენო. გივიმ ჭორს არ დაუჯერა, დაკრიფა, დაახმო და მეექვსე წელი ჩამოდის, რაც ოთხმეტი ტომარა დაფნა აივანზე უწყვია. გაგულისებულმა დაფნაც ერთხელ და სამუდამოდ ამოფესვა თავისი პატარა ნაკვეთიდან და ამ გზით გამდიდრების ფიქრიც, რასაკვირველია, სამუდამოდ დასამარა.

იმედს მაინც არ ჰკარგავდა. ერთხელ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ
ᲜᲝᲕᲔᲚᲘᲡᲢᲘ

სახეგაბადრული დაბრუნდა სახლში და, ვიპოვე, რასაც ვეძებდიო, სარკეში თავის თავს ახარა. მეორე დღესვე სამი ქალი დაიქირაავა და საიდუმლო სახაჭაპურე გაახნა. ორი აცხობდა ოთხკუთხა ხაჭაპურებს, მესამე — თეთრ ხალათში გამოწყობილი, ურიკით ქუჩა-ქუჩა დაატარებდა და ასაღებდა. ურიკა გივიმ თვითონ შეჭედა, ლურჯად შეღება და ეჭვი რომ არავის აეღო, თეთრი, ბატიფეხური ასოებით „საჭკვების გაერთიანება № 2“ წაეწერა. სახაჭაპურემ გაამართლა. გივი ბილიხოძემ, ცოტა არ იყოს, ფეხი წამოიდგა და წელში გაიმართა. არც ფინგანს დაუბეგრავს და არც მილიციას შეუწუხებია. ხაჭაპურის გამყიდველი ქალის თეთრ ხალათს და ურიკაზე წარწერას იმ ქალაქში მცხოვრებთათვის დამაჯერებლობის მაგიური ძალა ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს ორმანეთიანი ყველი ერთბაშად გაქრა ქალაქ ძელქვაინის მაღაზიებიდან, ბაზრის ფასად ყველის შეძენა კი მიწისქვეშა არტელის პატრონისთვის სარფიანი საქმე არ გახლდათ და სახაჭაპურემ არსებობა შეწყვიტა.

ოპერაცია „ხაჭაპურის“ კრახის შემდეგ გივი ბილიხოძემ ერთხანს უსაქმოდ იარა. მისი მაძიებელი გონება ახალ სვლებს ეძებდა გამდიდრების რთულ გზაზე და ალბათ კიდევ კარგა ხანს იღლიდა უსაქმოდ, იმ საბედისწერო დღეს ფოსტაში რომ არ შეევლო და პალიკო ცერცვაძეს არ შეხვედროდა.

ძმას უნდა დალაპარაკებოდა ოკრიბაში. ძმა კბილის ტექნიკოსი ჰყავდა და ცოლ-შვილით ოკრიბაში ცხოვრობდა. გივის ძალიან უყვარდა ძმა და ორ კვირაში ერთხელ მაინც მოიკითხავდა ტელეფონით.

ფოსტაში ხალხმრავლობა იყო. გივი „ლელოს“ კითხულობდა და ელოდა ნაცნობ ხმას: „ოკრიბა, მეორეში!“ ოკრიბა დღეს რატომღაც იგვიანებდა. ფეხებზე მაღალმა, თეთრპლაშჩიანმა კაცმა გადაბიჯა და № 3 ჯიხურში ტუცა თავი. ჯიხურის კარი ღია იყო და ხმა გარკვევით ისმოდა: „პალიკო ვარ, პალიკო, კი. ათ დღეში მზად იქნება. პარპიტზე ნიკელები დავუყენო? როგორც გაგეხარდება, რაი? რას ჰქვია, ფულს არ გერფინს. შენი გულისთვის - მხარკეტის საქმეზე მოვაცდინე ხალხი. ხომ იცი, მუშას ფული მაშინვე უნდა მივცე. იმ ხალხთან პირს ვერ შევირცხვენ. არა, არა, არავითარ შემთხვევაში! გავყიდი დღესვე! ვინ არ იყიდის გაწკრიალებულ „ვოლგას“ სამი ათასად. ასე ვიზამ. დღესვე ვყიდი, იცოდე. არ ყოფილხარ პირიანი კაცი!“.

პალიკომ კარი გამოიჯახუნა, გივის ფეხებზე ისევ გადაბიჯა და გასასვლელისკენ გაემართა.

ბილიხოძემ ფოსტის მორიგესთან მიირბინა, არ დაიჩქარო ოკრიბა, ერთი საათის მერე შემოვივლიო და პალიკოს დაედევნა. საყვავილესთან დაეწია.

— ბოდიში, ერთ წუთს!

პალიკომ მოიხედა, ასანთი მიაწოდა და გზა განაგრძო.

— გმადლობთ, ასანთი არ მინდა, — გივი მისდევდა და ყურში ჩასძახოდა: — ძალიან გეჩქარებათ?

— მეჩქარება, რა იყო? — პალიკომ პლაშჩის საყელო აიწია და უცნობი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ფოსტაში ვიყავი წეღან, რა მანქანაზეა ლაპარაკი?

— შენ რა, სხვის ლაპარაკს უსმენ? საქმე არა გაქვს მეტი არაფერი? — პალიკომ გაიღიმა, ასანთი გამოართვა და გზა განაგრძო.

გივი არ მოეშვა.

— მაპატიეთ, ყური მოვკარი, მანქანას ვყიდიო დ, მე ვთქვი, იქნებ მოვრიგდეთ-თქვა.

— დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, — პალიკომ ნაბიჯს შეუნელა, — რამდენი უპირო და უნამუსოა ამ ქვეყანაზე! გულზე ვარ გამსკდარი. ისე, ღირსი კია რომ გავუყიდო მანქანა, მაგრამ ვერ ვიზამ. გლახას სიგლახით ვერ გადავუხდი.

— მისია?

— რა არის, იცი? სათქმელად არ გეუბნები. მუშები მყავს დაქირავებული

ხაშურში და ჩამოწერილ ტაქსი კაპიტალურ რემონტს ვუტარებთ. იმ ჩამოწერილსაც ფული უნდა. თვეში სამოოთხ მანქანას ვასწორებთ, ვაახლებთ თავიდან ბოლომდე. ახალ ძრავას ვუდგამთ, ახალ საბურავებს, ვღებავთ. ერთი სიტყვით, ახალი მანქანაა, აბა რა არის. ვყიდით სამი ათას მანეთად. არ წამოგცდეს, თუ კაცი ხარ, არსად.

— ჩამოწერილი ტაქსი მოპარულია?

— როგორ გეკადრებათ. მაგას ვინ სულელი იზამს, ოფიციალურად გამოგვყავს. პასპორტი, ყველაფერი, როგორც წესი და რიგია. მუშებიც ოფიციალურად მყავს მომაგრებული. შარის თავი ვის აქვს. შინაურულად იმიტომ გეუბნები, რომ რემონტი მანქანიანად სულ ორიათას შვიდასი მანეთი გვიჯდება და ჩვენ სა'ად ვყიდით. უცხო კაცს ამას ვერ ეტყვი. რა ვქნათ, ცოლ-შვილს დიდი პირი აქვს, მოგეხსენებათ, ასე თუ არ ვიწვალეთ, ვინ რას მოგცემს. ხომ გაგიგონია: — მწოლარე ლომს მაწანწალა მელამ აჯობაო. ახლა ჩემს ქვისლს ვურეკავედი. შემეხვეწა, გამაკეთებინა სასწრაფოდ მანქანა. ხომ იცი, ქვისლისთვის როგორ მოვინდომებდი. ხვალ დილით ფული უნდა მივცე მუშებს. მარტო რომ ვიყო, ჯანდაბას ჩემი თავი. რას მეუბნება, იცი? ფული არ მყოფნისო. გავბრაზდი. შე კაი კაცო, სამი ათას მანეთად ახალთახალ მანქანას გაძლევ და კიდევ აქვთ მელაპარაკები? რას ჭქვია, ფული არ გყოფნის! ისე რაკა უნდა გაფუჭდე, სამი ათასი ვერ მოიგესხო კაცმა. ერთი სიტყვით, კია ღირსი, რომ გავუყიდო ის მანქანა, მაგრამ ქვისლია, ხომ იცი, ვერ ვუზამ მაგას.

ამასობაში ჯაჭვის ხიდთან ზევით აუხვიეს, გორკის ქუჩაზე აგურის ორსართულიან სახლთან შეჩერდა პალიკო, კარგად იყავი, ამ ლაპარაკში ქე მოვსულვარ სახლშიო, დაემშვიდობა გივის და ჭიშკარს რომ ხელი გადაუყო, მუდარით სავსე ხმა მოესმა:

— მომყიდე მე ის მანქანა, თუ კაცი ხარ.

პალიკო შეჩერდა.

— ვერა, შენი ჭირიმე, ქვისლისაა.

— აბა, გამიკეთე ერთი ტაქსი.

პალიკოს გაეცინა.

— ასე რომ იყოს, ჩემო, შენი სახელი?

— გივი.

— ასე რომ იყოს, ჩემო გივი, რა გვიჭირდა მაშინ. სადღაა ჩამოწერილი ტაქსები. შარშანწინ იქით ვეხვეწებოდი ხალხს. ახლა იმდენი მომაწყდა, რომ ორი წლის რიგი უკვე ჩამოწერილი მაქვს. მერე როგორი ხალხი — სულ დოცენტები და აღმასკომის მუშაკები. კარგად იყავით.

— არ გამაწბილო, თუ კაცი ხარ, ჩემზე უკეთეს მეგობარს ვერ იშოვი, მეცი პატივი.

— როგორ გავუკეთო ქვისლს ეს ამბავი? — შეყოყმანდა პალიკო.

გივიმ შეატყო, საქმეს კარგი პირი უჩანდა და არ მოეშვა.

— სამი ათას ხუთასს გაძლევ.

— როგორ გეკადრება. ვინ გგონივარ მე შენ? სამი ათასზე ძვირად თუ გამეყიდოს, ოთხი შვილი მომიკვდეს. ისიც, ხომ გეუბნები: წესით ორი ათას შვიდასად უნდა გაძლევდე, მაგრამ სამასი მანეთი წვრილ-წვრილ ხარჯებს მიაქვს.

როგორც იქნა, დაიყოლია გივი ბილიხოძეს პალიკო ცერცვაძე. ეს საღამოსვე მიუტანა სიმწრით ნაგროვები სამი ათასი მანეთი და ტაქსის შემკეთებლისგან ხელწერილი მიიღო: „მე, პალიკო ცერცვაძე, ვალდებული ვარ, გივი ბილიხოძისაგან მიღებული სამი ათასი მანეთის საფასურად გადავცე მას ავტომანქანა „ვოლგა“, ჩამოწერილი ტაქსი კაპიტალურად გარემონტებული“.

გივიმ განცხადება ჩაიკითხა და მორცხვად იკითხა:

— ნიკელები?

— არა, ძმაო, ნიკელებს ვერ დაგპირდები. საერთოდ, ჩვენ ნიკელებს არ ვაკეთებთ. მარტო ქვისლისთვის ვშოუ-

ლობდი. მე თვითონ ხელზე უნდა მეყიდა.

ნიკეღებისთვის ასი მანეთი დაუმატა გივიმ და ჯიშკარში რომ გადიოდა, მასპინძელმა შეაჩერა.

— როგორც ვთქვით. შვიდ დღეში მიიღებ გაწერილებულ „ვოლგას“. ეს მისამართი ხომ სწორია? სახლში მოგაყენებს კაცი კართან. დღეს რა დღეა?

— ოთხშაბათი, — შეაშველა გივიმ.

— მოკლედ, იმ ოთხშაბათს. დღეის სწორ ოთხშაბათს. სახლში იყავი დილიდან. მე ვერ ჩამოვალ, საქმეები მაქვს. სხვა ჩამოგიყვანს მანქანას და მოგცემს ხელში გასაღებს. თუ კაცი ხარ, ჩამომყვანთან სირცხვილი არ მაჭამო. ხომ ცი, მაგენი ქართლელებია— სხვანაირი ხალხია. პატარა პატივი ეცი. უსადილოდ არ გამოუშვა, თორემ შევრცხვებით ძელქვიანელები. ფული არ შეაძლიო, თორემ გაბრაზდება. ფულს არ კიდებენ ხელს ჩემი მუშები. პატარა წაახემსე — ერთი ბოთლი ღვინო, ჭადი, ყველი. არ გაგიჭირდება მაგი შენ. თავი არ მომჭრა იმ უცხო კაცთან...

— რავა გეკადრება, გვეშლება მაგი ჩვენ, ძელქვიანელებს? — გაუღიმა გივიმ.

ხელი ჩამოართვეს, გადაკოცნეს ერთმანეთი და ღვიძლი ძმებივით დაშორდნენ.

პალიკომ ქუჩაში მიმავალს ერთხელ კიდევ მიაძახა.

— ჩამომყვანი მშიერი არ დამიტოვო, თუ კაცი ხარ! — ხელი დაუქნია და ჯიშკარი მიიკეტა.

მესამე თვე გადის ამ ამბის შემდეგ. ათი დღის თავზე შინ მიაკითხა გივიმ პალიკოს, მაგრამ სახლის პატრონმა სანუგეშო ვერაფერი უთხრა: ზედა პატარა ოთახი დაიქირავა, ერთ კვირაზე მეტი არ უცხოვრია. ერთი თვის ფული წინასწარ მომცა. პასპორტი არ გამომირთმევია. თბილისიდან ვარ, წყალსადენის მუშაობას ვამოწმებ და სასტუმროში იმიტომ არ გაგჩერდი, ღვინოს ვერიდებიო. რა ვიცოდი, აფერისტი თუ იყო. პასპორტშიც რომ ჩამეხედა, რას მივხვდებოდი, „აფერისტი“ პასპორტში არავის უწერიაო.

შენ ახლა მეხუთე კაცი ხარ, ვისაც ვისაც მანქანის ფული [illegible]

— რა ექნა გივის? სიმწრისგან ტუჩზე იკბინა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ ჰქონდა, არ მიმართლებს და ეგ არისო, ერთხელ კიდევ დასაკვნა და უქმარიონზე წელმოწყვეტილივით დაეშვა.

— ახლა კიბეზე კაცი არ შეგხვედრია? — უთხრა „ობუჯის“ გენერალურმა დირექტორმა, საშუალო ტანის, კითხვის ნიშანივით მოხრილმა, წრიპა, სათვალიანმა კაცმა, გივი ბილიხოძის სათხოვარი რომ მოისმინა.

— არა? — უპასუხა გივიმ.

— ახლა გავიდა, ა. ამ წუთში. სამი წუთიც არაა. გეტყვი გვარსაც — ქაღალდს დასწვდა, — წერეთელია, ჭომელი; ახლა დაგწერე ბრძანება. სად იყავი აქამდე? ორი თვეა მომმარაგებელს ვეძებ. შენნაირ კაი ბიჭს უარს ვეტყოდი? ის წერეთელი დონდღლოა ვიღაცა. ივარგებს? ეშმაკმა უწყის.

— ვიცოდი, ასე იქნებოდა, — ყრუდ ჩაილაპარაკა გივიმ.

— რაი?

— არ მიმართლებს, საერთოდ. კიბეზე რომ ამოვდიოდი, უკვე ვგრძნობდი, რომ სხვა გეყოლებოდათ დანიშნული და, სიმართლე გითხრათ, უკან გაბრუნება მინდოდა. კარგად ბრძანდებოდეთ!

— მოიცა, — დირექტორს გული აუჩუყდა, — არ მინდა შენი გაშვება ასე. რაღაცა მომეწონე, ხომ იცი, კაცია და გუნება. რა მაქვს ახლა ისეთი... ჰო... სპორტის ინსტრუქტორ-ორგანიზატორის ადგილი მაქვს. მოდი, აქ იმუშავე ცოტა ხანს. მერე გამოჩნდება რაღაცა, სპორტის გესმის რამე?

— ზოგადად კი, — დაუფიქრებლად მიუგო გივიმ, — ახლა ისე... როგორც ყველას ესმის. არაა სპორტი ჩემი საქმე. მადლობელი ვარ, კარგად იყავით.

— მოიცა, არ წახვიდე! — გენერალური დირექტორი ლამის უკან გამო-

დგომოდა — წესიერი ბიჭი ჩანხარ. პატარა ხანს იყავი სპორტში. სულ არაობას ეს სჯობია. მერე გადაგიყვან. კვირაში ორჯერ ფეხბურთს ითამაშებენ მუშები და შენ იჯექი და უყურე. ფეხბურთი ვის არ ესმის. მართალია, ხელფასი ცოტაა, მაგრამ არც საქმეა ბევრი. ხანდახან პრემიასაც გამოგიწერ. დამიჯერე, არ წაგიგ, იცოდე.

გივი ბილიხოძემ განცხადება დაწერა და ღღეს პირველად დაიჭირა თავი იმაში, რომ, საერთოდ, დამყოლი ხასიათი ჰქონია.

პარ ასკევს, პირველი ცვლის შემდეგ, ოთხ საათზე გაერთიანება „ობუჯის“ ცალკარიან სტადიონზე (მეორე კარი თავის ბადიანად მოეპარა ვიღაცას) სავარჯიშოდ ბარე ჩვიდმეტი მუშა-ფეხბურთელი მოგროვდა. მეორე კარის ნაცვლად ქვები დაწყვეს თვითონვე, ტანსაცმელი ძელსკამზე მოაქუჩეს და ბურთის მოსატანად წასულ ინსტრუქტორს ელოდებოდნენ. გივი ბილიხოძე მალე გამოჩნდა. დარცხვენილი ჩამოდიოდა კიბეზე და ბურთის ნაცვლად სპორტულ უროს მოათრევდა.

— დღეს უროს ტყორცნაში ვივარჯიშებთ, — განუცხადა მან ცნობისმოყვარე მუშა-სპორტსმენებს, ურო ძელსკამთან მიაგდო და სტადიონის ღობეზე ეულად მოსეირნე მამალს გახედა.

მძლეოსნური სპორტის სახეობათაგან საერთოდ თუ რამეში ვერ ერკვეოდა გივი ბილიხოძე, ეს უროს ტყორცნა გახლდათ, მაგრამ, ამჯერად სხვა გზა არ ჰქონდა. მთელი დარბაზი გადაქექა და ბურთი ვერ იპოვა. წინა ინსტრუქტორს, მოხსნისადმი პროტესტის ნიშნად, ბურთი (და სხვა სპორტული ინვენტარიც, რაც ამგაში ჩაეტია) შინ წაეღო. სასოწარკვეთამდე ცოტა აკლდა გივის, რომ კარს უკან ურო შენიშნა და ჩაფუშვისაგან პირველი მეცადინეობის ხსნის იმედი ჩაესახა. უროს ხელი დაავლო და, დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

მუშა-ფეხბურთელთაგან უროს ტყორცნის მოყვარული მხოლოდ ერთი აღმოჩნდა — გეგუთელი ზაზა სინაურიძე. ოციოდე წლის უკისრო, ჩაფსკენილი ბიჭი იყო. მსხვილ მკლავებზე, ...

ზაზამ დათვის ტორებში მოიმწყვდია სახელური, დატრიალდა და შხუილით მოისროლა. ურო კარგა შორს, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დაეცა.

გივი ბილიხოძემ გაიცინა. ეს გაცინება თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული, აქაოდა, ჯერ კიდევ რამდენი ხარვეზი აქვს ეროს ტყორცნაში თქვენეულ ტექნიკას, ყმაწვილნო!

— წადი ახლა, მოიტანე ურო და გაზომე რამდენ ნაბიჯზე გადაგიგდია, — მშვიდად უთხრა მწვრთნელმა.

ზაზამ ქოშინით მოარბენინა ურო და მორჩილად დადგა წრეში.

— რამდენია?

— სამოცდაერთი.

— ასეც ვიცოდი, — მწვრთნელს იდუმალი ხმა ჰქონდა და ყოვლისმცოდნის იერი — დაიხსომე, რასაც გეტყვი: ურო ოდნავ მოხრილ მკლავებში უნდა დაიპირო. ხელები მხრების სისწორეზე უნდა გქონდეს, არც მაღლა და არც დაბლა. ტყორცნის დროს ურო ცოტა მაღლა უნდა აიქნიო. გამიგე?

— კი, — ზაზამ თავი დაუქნია.

— აბა, ჰე!

ზაზამ თითქმის ზუსტად შეასრულა მწვრთნელის დავალება, მაგრამ ამჯერად ორმოცდაჩვიდმეტ ნაბიჯს ვერ გადაეცალა ურო.

— არ ვარგოდა,—დატუქსა გივი ბილიხოძემ დებიუტანტი და თავისი ახსნა-განმარტებითა და პედაგოგიური ტაქტით თვითონვე კმაყოფილი დარჩა.

— პრუნი არ გივარგა. პირველი პრუნი ნელა უნდა გააკეთო, მეორეზე სიჩქარეს უნდა მოუმატო. მეორეა მთავარი. თუ შეატყვე, რომ მეორე პრუნმა საკმარისი ინერცია არ მოგცა, [illegible] დი მესამეზეც, ორი პრუნი დოგმა კი არ არის. ეროს პირდაპირ ნუ უშვებ. რაც მაღლა წავა, მით მეტ ტრაექტორიას მოხაზავს.

— რას იზამს? — ზაზა სინაურიძე რთულ, უცხოურ ტერმინებს შეჩვეული არ იყო.

— ტრაექტორიას მოხაზავს, შორს გადავარდება.

— მესმის, — თავი დაუქნია ზაზამ და წრეს მიაშურა.

— ჩემს კამანდას უსმინე,—მწვრთნელმა ხმას აუწია: — გაისწორე ხელებში, ამოისუნთქე თავისუფლად, პირველი პრუნი, ორი და სამი.. წადიდ!

გივი ბილიხოძემ თვალი მოჰკრა ტარაბუასავით რომ დატრიალდა მისი აღსაზრდელი და უეცრად მუცლის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო. თითქოსდა მეხი დაეცა და გულ-მუცელი შეუნგრია.

საკაცით სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ რომ მიარბენინებდნენ, გონს მოვიდა, ზაზა სინაურიძის ათლეტურ, დაძარღვულ-დაბერილ ზურგს მოჰკრა თვალი და მიხვდა, რაც სჭირდა. „იმსიფართე სტადიონია, რაღა მუცელში დამიმიზნა ამ უპატრონომ,“ — გაიფიქრა ბადროს ტყორცნის „სპეციალისტმა“, თავქვეშ მარჯვენა ხელი ამოიდო და სიმწრისაგან ტუჩზე იკბინა: „არ მიმართლებს, მორჩა და გათავდა!“.

ᲐᲛᲙᲚᲔᲑᲘ

ᲮᲔᲚᲛᲝᲪᲐᲠᲣᲚᲘ მონადირენი როგორ არ მინახავს, მაგრამ ჩვენ რომ დღეს დაგვემართა, ასეთი რამ, რაც თოფი ავიღე ხელში, სხვისგანაც არ გამიგონია. იანვარი იწურება. თუ როდესმეა, სწორედ ახლაა იხვების გადაფრენის, კაკბობისა და გნოლ-ხოხბობის დრო. დილის ექვს საათზე უკვე ჭალაში ვიყავით მე და ჩემი მეგობარი გოგი ნაყოფია. სანამ მზე ამოვიდოდა, ᲧᲣᲐᲜᲢᲝᲑᲨᲘ, ტბის პირას ვუდარაჯეთ იხვებს, მერე ᲧᲐᲚᲐ მოვიარეთ და სერებსაც შევუყევით. ქედანი რაა, ეულ ქედანსაც არ გადაუფრენია ჩვენს თავზე. ცნობისმოყვარეულ კისერმოღრეცილ მელასაც არ გაუხაზავს ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲡ. კო-

დალას კაკუნიც არ გაგვიგონია. მკვდრული სიჩუმეო, რომ იტყვიან, სწორედ ის სუფევს ირგვლივ. სანამ შემეძლო, ვიჩუმე, მაგრამ ნადირობის იმედი რომ დავკარგეთ, მოუშვა ენა გოგომ და გაუთავებლად ლაპარაკობს, მთასა და ბარს ედება. ტყუილია, უბედი მუნჯმა დაღალო, რაც მტკვარი გამოვტოპეთ და გალმა გამოვედით, სიტყვა არ მითქვამს მისთვის, მაგრამ არც დაღლა ეტყობა და ენაზეც ჰალი არ მოჰკიდებია.

— რაშია საქმე? ფრინველის ჭირი ხომ არ გაჩნდა ნეტავ, წინა კვირას ამ დროისთვის შვიდ-შვიდი კაკაბი გვეკიდა, — ამბობს გოგი და ბირკებით სავსე, ენაგაქაფფულ პოინტერს უკან აბრუნებს. პოინტერი ორიოდე წრეს დაგვარტყამს და მერე ისევ გაუყვება ხვლიკისფერ ჰალას. ეტყობა, თვითონაც შექრწუნებულია, რომ მზე სადაცაა დაეშვება და ჯერ თოფიც არ გაგვისვრია.

— წინა კვირას ყოველთვის მეტს კლავენ, — წუწუნი გამერია ხმაში.

— ნუ დამიმწუთხდი — გოგი მხარზე ხელს მადებს, — ხდება. ახლა მარჯვნივ შევუყვეთ კვადაცის ბუჩქებს. იქ რომ რამე არ იყოს, არ შეიძლება.

დაღლილობისგან მუხლები მეკეცება. ჩემი ჩალისწონა „ზაუერი“ ტყვიასავით დამძიმდა.

— არა ღირს, ჩემო გოგი. დღეს გლახა ყეზზე შეგვხვდა ვიღაც, ან მე და ან შენ.

— მაშინ, იცი რა, ტბასთან ჩავიდეთ. იქნებ თევზი მაინც დავიჭიროთ. ხელცარიელი როგორ გაგიშვა.

— ჯერაც არ მოგსულვარ ხელცარიელი ნადირობიდან. შე კაცო, ჩემთვის მთავარი იყო ეს კვირადღე მოგვეკლა და ერთად ვყოფილიყავით. ნადირობის ქალღმერთს ჯერ არ შევყვარებივარ. შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. სასიამოვნოდ დავიღალე, ამაღამ მშვიდად დამეძინება და ეს ცოტაა? ახლა მანქანასთან ჩავიდეთ (მანქანა მტკვრის პირას, კბოდეზე გვიდგას) და გავუყვეთ სახლისაკენ.

—ძალიან გთხოვ. იცი რა თევზი იცის?

კიდევ კარგი, ქალად არ დავბადდი. ჩემზე ხათრიანი და დამყოლი ამ ლუნა-ზე არავინ მეგულება.

— კარგი, ვთქვათ, ჩავედით. თევზს არაკის მგელივით კუდით ხომ არ დავიჭერთ?

— რათა კუდით? ეგერ პატარა ჯიხური რომ ჩანს, წყალსაქაჩია. კოლონიას წყლით ამარაგებს. პატიმრები მორიგეობენ. არ შეიძლება, ბადე არ ექნეთ, ვთხოვოთ, და, არა მგონია, უარი გვითხრან.

— კი, მაგრამ...

— გაგვიშვებენ, ნუ გეშინია. მონკავშირის წიგნაკი ხომ თან გაქვს. ზონაში შესვლა მონადირეებს ნებადართული აქვთ.

ნამზღვლევს ჩავუყვევთ, ჩავივაკეთ და გზის გასაყართან ხერგილს მივადექით.

პირტიტველა, წითუარა ჯარისკაცმა საბუთები გაგვისინჯა და უსიტყვოდ გაგვატარა.

ჯიხურის ფარღალალა კარს მივუკაკუნეთ.

თუ შეგიმჩნევიათ, ნადირობაში გართული ცხრა მთას გადაივლის, ხოლო უმიზნო ყოყიალით მალე იღლება კაცი. მუხლებზე დოლაბები მკიდია.

ტოლით დახურულ გრძელ ჯიხურში არავინ ჩანს. ორი ძრავა მუშაობს. ტუმბოების გამაყრუებელმა წვიალმა ტანზე ბუსუსებად დამაყარა, თითქოსდა ჩემი ნერვების ფანდურს უხეშად და გამეტებით აყრიალებს ვიღაც. გაზეთებით მოჩითულ ფიცრულში შევედით. ხის ტახტი, ზედ დაცრეცილი ნაბადი და ჭუჭყიანი დაბამბული, მაგიდაზე გამხმარი შავი პური, სამი თავი ნიორი და ნახევარ ბოთლამდე არაყი, — თუ ნახევრად შემოხეული ეთიკეტის მიხედვით ვიმსჯელებთ.

— მასპინძელო! — ჭერს ასძახა გოგიმ.

ვინ დაგიკარგავს, ვის ეძებ.

— ჩამოჯექი. აქვე იქნება გასული. ტუმბოების მიტოვების უფლება არა აქვთ.

გოგომ სკამი გამომიჩოჩა, დაბამბული სერთუკი განზე გასწია და ნარზე ჩამოჯდა.

ლოდინი დიდხანს არ დაგეგჭირდა. კარმა დაიჭრიალა და თავზე წაგვადგა მაჩვისფერ სვიტერზე უსახელოებო ფრენჩმოსსმოული, ნიფხვისამარა, ტანმორჩილი კაცი. გრუზა, ჭაღარა თმით, შავგვრემანი, სახენაყვავილარი, ცხვირზე გარდიგარდმო ნახევრად ღია იარით. ჩვენი დანახვა არ გაკვირვებია.

— გამარჯობათ, უფროსებო! — შემოგვღიმა და კუთხეში მოწიწებით გაჩერდა — აბოდზე ხართ? რაღაც არ მეცნობით.

— მონადირეები ვართ, — გოგომ კუთხეში მიყუდებულ თოფებზე მიუთითა.

— ოო, — სახე გაებადრა, — ყველაზე კარგი ხალხი. რა ინადირეთ?

— ვერაფერი.

— დილით აქეთ ჩაიარეთ?

— არა, გარდაბნიდან მოვედით.

— იმიტომაც არ მახსოვხართ. რომ დამენახეთ, არ გირჩევდით დღეს ნადირობას. ორი დღე საწვრთნელი ვარჯიში ჰქონდა დივიზიას. გაყრუებული იყო აქაურობა, რა ფრინველი გაჩერდებოდა.

— კიდეც იმიტომ, — ნიშნისმოგებით შემომხედა გოგომ.

— მეც არ გამიკვირდა? ფრინველი რაა, მისი ნარკტენიც ვერსად დავლანდეთ, — ჩავურთე.

წამოდგა, ფანჯრის რაფაზე გაქონილ, წელში გამოყვანილ ჭიქას მისწვდა, არყით ნახევრამდე შეავსო და მომაწოდა.

— დაილოცეთ, შეციებული იქნებით, ჩემი არ იყოს. ძრავა ცხელდებოდა. პრაკლატკას ვცცვლიდ და წელი გამეყინა. ჩუმი, შემპარავი სიცივეა დღეს.

ჭიქა გამოვართვი. ღმერთმა ამის დალევის ჯანი ნუ მოგიშალოთ-მეთქი, გადავკარი და ნიორს დავწვდი.

— მაპატიეთ, ღარიბი მასპინძელი ვარ.

ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, პური თხლად დაჭრა და ჩვენკენ მოსწია.

— ცეცხლია. ჭაპაა? — გოგომ პირთან აიქნია ხელი.

— ჰო, მოაქვთ ხანდახან ბიჭებს. ისე, აკრძალული გვაქვს ძალიან.

— პატიმარი ხართ? — ვკითხე.

— კი, ბატონო, — არაყი სულმოუთქმელად დაცალა და ნიორი დაყნოსა, — თხუთმეტში ვზივარ. ექვსი წელიდა დამრჩა.

— რაზე, თუ საიდუმლო არ არის?

— მკვლელობაზე.

გოგის მეტი არაფერი უკითხავს.

— ისე, კაცმა რომ თქვას, ურიგო ადგილას როდი იხდით სასჯელს, — ვთქვი მე, — ტბა, სუფთა ჰაერი, რცხილის და კვიპაროსის ტყე. საქმე ის იქნებოდა, ფეროში მუშაობა რომ მიესაჯათ.

— არც ეგ დამკლებია, — გაეცინა, — აქ სტუმრად ყოფნაა კარგი, თორემ დღედღაამ ძრავას წივილი სულ არ გახლავთ შესაშური. იცი, როგორ ვარ? მონაზონი მთაზე ცეკვავდა, არც იქეთა მხარე უმადლოდა და არც აქეთაო. არც გარეთ ვწერივარ და არც შიგნით.

— ამ ტბაში თევზი არის? — საქმეზე გადავიდა გოგი.

— რამდენიც გნებავთ, — მუხლზე შემოიწყო ხელი მკვლელმა და იატაკს დაეჩერდა.

შეეყურება ჩვენი მასპინძლის სუსტ მხრებს, წინწამოწეულ შუბლს, შეერთებულ წარბებს და სვავის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირს, უწესრიგოდ გაზრდილ ულვაშებში არამკითხედ ჩაჩხერილს. შეეყურება და ვფიქრობ, ეს აქ ტბის პირას არხეინად დაბიჯებს, ხოლო ამის ხელით განგმირული მიწაში წევს. მკვლელი ვარო, რომ თქვა, ეტყობა, სხვა თვალით დავუწყე ყურება და მის გარეგნობაშიც ბევრი რამ ვიპოვე მკვლელისთვის დამახასიათებელი. კი, ასეთებს შეუძლიათ კაცი მოკლან.

ამ დაფანჩული წარბების, ორად გაყოფილი სქელი შუბლის და ფოსოებში მიკარგული წაჭისფერი თვალების პატრონები სიმფონიურ მუსიკას არ უსმენენ, ლექსებს არ კითხულობენ, ხელოვნებისადმი მათი ინტერესი სკეტჩის დონეს არ შორდება, სპორტი ჭირვეული სძულთ და პატიება არ იციან.

— სახელი თქვენი? — გოგომ დაარღვია სიჩუმე.

— ჟორა, ჟორა ჯინჯარაძე, ჯაყოს მეძახდნენ.

— ჟორა ბატონო, ბადე ხომ არსად ვეგულებათ?

— ბადეს ვიშოვით, თქვენ მებადური იკითხეთ თორემ. თევზობა გინდათ?

— ვცდიდით, თუ ღმერთმა გადმოგვხედა.

მეორე ოთახში გავიდა, სველი ბადე გამოათრია და ფეხებთან დაგვიგდო.

— ა ბადე და მისი ჯანი. ამაზე გაწყენინებთ? ძეძვებთან ცოტა ფრთხილად. წმინდა ძაფია და ვერ უძლებს. წინა კვირას ჯარისკაცებს ვათხოვე და ისე დაგლეჯილი დამიბრუნეს, რომ თევზი კი არა, უღლიანი ღორი გაძვრებოდა. სამი დღე მოვუნდი კემსვას. ჩექმები გაქვთ?

გოგომ ფეხზე დაიხედა.

— ეგ მოკლეა. წყალში ვერ შეხვალთ, — ისევ გაფათურდა და წელზე შესაკრავი სათევზაო ჩექმები გამოიტანა.— საზიაროდ გვაქვს მე და ჩემს ამხანაგს ეს ჩექმები. ხომ ხედავთ, რა დღეშია. ხომ გაგიგონიათ, ზიარი ძროხა მგელმა შეჭამაო. მე მგონი, წყალი არ შედის.

— დიდი მადლობა. თუ რამე დავიჭირეთ, ლომის წილში ხარ, იცოდე! — გოგომ მხარზე ხელი მოუთათუნა.

— თქვენ კარგად იყავით — თეთრი, ოფიცრული ნიფხვის თასმები შეიკრა, დაგლეჯილ შარვალს დასწვდა და ღილი რომ ვერ იპოვა, ალუმინის მავთულით შეიკრა, კარში გამოგვიძღვა და ალვის ხეებისკენ გაგვახედა.

— ასე აუყევით, სათიბი რომ იწყება, იქ დაჰკარით და ქვემოთ ჩამოაყენეთ. მარცხნივ, ბამბუკებში, ამ ღილოებიანენ ვიღაცები. სათიბებთან ... ვინ დამილანდავს.

მადლობა მოვახსენეთ და ბილიკს დავადექით. ბადეს გოგი მოათრევს, მე ჩექმები დავიღლიავე. ჩვენი ბებერი პინტერი გაკვირვებული მოგვყვება.

ლერწმიანში დავეშვით. გოგომ ჩექმები წელზე შეიკრა და შეჩქაფუნდა. ნაჭაობარში წყალი ააბუკბუკა, ბადის ზონარი მკლავზე დაიხვია, ტყვიის გირჩი პირში ჩაიდო, „ალეე ჰოპ“, დაიძახა და დაიქნია. ბადემ იქვე, მის ფეხებთან მოადინა ჩხლაპანი. გოგომ სერიოზული სახით დაქაჩა თოკი, ბადეს ხელი ჩაავლო, ნაპირზე გამოიტანა და ჩხრეკა დაუწყო. რის თევზი, რა თევზი. პირველი ათი „სროლა“ ვაცალე, მერე ნერვებმა მიმტყუნა.

— ესაა, ბადის სროლა ვიცი?!

— ეს სხვანაირი ბადეა. წინა კვირას ჩვენ თვითონ გვქონდა ბადე. ბოკუჩავას გამოვართვით.

— წინა კვირას?!

— ჰკითხე ჩხეიძეს თუ გინდა.

— მერე ვერ გიცნო ჟორამ?

— მაშინ სხვა მორიგეობდა.

გოგი შეტრიალდა და ისევ გაჭყაპუნდა წყალში, ძაღლმა თვალი გააყოლა და ზარმაცად შეჰკეფა.

— შენ მაკლდი ახლა! — შეუღრინა გოგიმ.

— ძალიანაც სწორია ეს ძაღლი, რაც არ იცი, ნუ შეეპოტინებიო, ვეუბნები.

გოგიმ რამდენჯერმე კიდევ მოუნაცვლა ბადეს ხელი, მე ნაპირიდან ძველებურად ეჭიდნურ ქათინაურს ვესროდი და მოთმინების ფიალა თანდათან მევსებოდა.

— რა ჰქენით?!

ვიწროდ გაჩეხილ ბამბუკებში ჟორამ შემოაყო თავი. უკან სამხედროფორმიანი, შუახანს გადაცილებული, ღაბაბიანი კაცი უდგას.

რევაზ ბიშველაძე
ნიველები

— აბა, ჩემს ბედზე ისროლე! — გოგის ჩასძახა ჟორამ.

გოგიმ მოინდომა და გააჩხლაპუნა ბადე, ზუსტად ისე, როგორც იცის.

ჟორას მომყოლი ჩექმებზე წკნელს ატაცუნებს.

მკვლელი თხრილს გადმოახტა, ზურგჩანთა მიწაზე მიაგდო და გაღმა უმწეოდ მდგარ თანამგზავრზე მიგვითითა.

— გაიცანით, ბატონი გივი, ციხის „ნადზორია“, მაგრამ კაი კაცია.

— არ გინდა ახლა... რად გინდა ეს ამბავი... — მორცხვად ჩაქინდრა თავი ბატონმა გივიმ, თხრილს შემოუარა და შემოგვიერთდა.

— ჩვენი ძმა! — ჟორამ გოგის მიმართა, — კი არ გეწყინოს, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირი თევზობაა საჭირო. გამამაძაღლებულია თევზი, — ლერწმებს დაეჭიდა და დამპალ მორზე შეხტა. — დაისვენე ცოტა ხანს, მე ვცდი. ღრმად შევალ, იქნება რამე მოვიხელთო.

გოგისაც ეს უნდოდა. ბადე მორზე გადაჰკიდა, ჩექმები გაიხადა და შლამზე ისროლა.

●

გენიოსია გალაკტიონი, „გაცრეცილი ცა“, რომ ათქმევინა! მართლაც რომ გაცრეცილია ახლა ცა და ღრუბელთა ნაფლეთებში უჩუმრად დაიპარება შეცივებული მთვარე.

ღამის ათი საათია. კოცონის სინათლე სახეში გვირტყამს. ტბის პირას ვზიხართ ოთხნი და ვქეიფობთ. მოხარშულ თევზს ყინვაში ოხშივარი ასდის, ორნახადმა ძვლები გაგვითბო. ჟორას რა დამავიწყებს. ასეთ კაცებს ხშირად როდი შეხვდები. ჯერ იყო და შეღამებამდე წყლიდან არ ამოსულა. სასროლი ბადით რომ არაფერი გამოუვიდა, მოსასმელი ბადე მოაძუნძულა. ჭყანტობში სელაპივით ხტოდა, ბადეს მოუსვამდა, თევზს ნაპირზე ისროდა და სანამ ჩვენ სიბნელეში ხელს ვაფათურებდით, ისევ წყალს მიარღვევდა. ერთ ადგილას ვერ მოზომა, მხრებამდე წყალში აღმოჩნდა და თავით ფეხამდე გალუმპული განაგრძობდა თევზაობას. ვეხვეწეთ, ამოდუღარეთ: გაცივდები, ნუ, დაგვადგები, შენს ცოდოსო, მაგრამ ყურიც [illegible] თხოვა. ხალხი სათევზაოდ მოსულიხარ და გულნაკლულს როგორ გაგიშვებთო. „არ გინდა, რად გინდა ეს ამბავი“, — წამდაუწუმ ეძახდა ციხის ზედამხედველი, მაგრამ ჟორა თავისას არ იშლიდა.

ჭანარით, მურწით და ორაგულით ვედრო თითქმის სავსე იყო და დაჭერილ თევზს ბალახში ვეღარ ვპოულობდით. მკვლელი რომ წყლიდან ამოვიდა, კბილს წაკწაკით დარბოდა, ფიჩხიც თვითონ მოძებნა, ცეცხლიც თვითონ დაანთო, ჩექმები ლერწებს ჩამოაცვა, ბოჩიდან ბათინკები და ზალის წინდები ამოიღო, ჩაიცვა. ცეცხლთან ცოტა რომ შეშრა, თევზის თადარიგს შეუდგა. გამოშიგნა, გარეცხა, დაამარილა, ვედროში ჩაყარა, ცოტა ზაბი ჩაუმატა და ცეცხლზე შედგა. ამას ყველაფერს ისე დაუღალავად, დაუმადლებლად, გემრიელად აკეთებდა, თითქოს მისი თანშეზრდილი მეგობრები ვყოფილიყავით. თვალებში გვიყურებს, რითი გვასიამოვნოს არ იცის. სუფრას რომ მოვუსხედით, არაყსაც თვითონ გვისხამს და თევზსაც გვირჩევს, ეს მიირთვით, ეს უფრო გემრიელიაო.

შევთვერით. იმთავითვე გულს მიღრღნის ჩემი დამღუპველი ცნობისმოყვარეობა. მომენტი შევარჩიე, როგორც იქნა.

— რაზე შეგემთხვა, ჟორა ბატონო, თუ საიდუმლო არ არის, რასაკვირველია...

თავი აიღო და თვალი გამისწორა.

— რაზე მეკითხებით?

— იმაზე. მე ბოდიში, მაგრამ, მკვლელობაზე.

— არ გინდათ, ახლა, რად გინდათ ეს ამბავი, — ლუღლუღებს ბატონი გივი და ნაკვერცხლებს ჯოხით ჩინჩხლავს.

— გეტყვით, ბატონო, რატომ არ გეტყვით. ერთ პატარა სადღეგრძელოს გეტყვით და მოკლედ მოვაყოლებ ჩემს ამბავსაც.

— არ გინდა, რად გინდა ეგ ამბავი, თვარა [illegible]... — აწყვეტინებს გივი.

— ყველას თვისი სიმართლით გაუმარჯოს, გივი ბატონო, — ჟორამ თავი ასწია. შუბლზე წოთელი აბრეშუმივით ახვევია ცეცხლის ათინათი, ხოლო არაყს ჭიქაში ლალისფერი დაჰკრავს. — მე ჩემი სიმართლით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. სულ არ ვემდური ჩემს თავს, რომ იცოდეთ. მართალია, ერთი შეხედვით უბედური ვჩანვარ, მაგრამ ჩემი თავი ძალიან მიყვარს. უკისრებელი არ მიკისრია. ბოლმითა და შეურაცხყოფით გული არ გამიგლეჯია. რანაირი კაცი ვარ, იცით? მაპატიეთ, ჩემს თავზე რომ ვლაპარაკობ, სახვალოოდ და საგანისოდ არაფერს რომ არ იტოვებს, ისეთი. ჩიტები ვართ ჩვენ ამ ქვეყანაზე, ჩიტები, და, ვინც ეს არ იცის, ვერაა მისი საქმე კარგად. შეიძლება კარგი არაფერი ჩამიდენია დღემდე, მაგრამ ყველაფერი გულის ძახილით მიკეთებია. მე დამნაშავე კაცს მეძახიან ამ ქვეყნად და ვარ კიდეც დამნაშავე, არ დაგიმალავთ, მაგრამ ახლა ცოტა მთვრალი ვარ და იმიტომ გეუბნებით, თუ ვინმეს ვაწყენინე ჩემი საქციელით, მხოლოდ იმ დროს, როცა სხვა გზა არ იყო, ან იყო და, მე ვერ ვხედავდი. გამოგიცდიათ ხანდახან ასეთი წუთი? ახლა, თუ ამ წუთში ეს არ გაკეთე, გული გაგისკდება ყუმბარასავით. ახლა ფიქრის დრო აღარ არის, ან ასე უნდა ჰქნა, ან უნდა მოკვდე. ჩემს სიკვდილს — ეტყობა, დედალიც ზის ჩემს არსებაში — ყოველთვის სხვისი ვარჩიე, ჩემი გულის გახეთქვას — სხვისი. ახლა თქვენ განსაჯეთ, რა კაცი ვარ. ერთში უნდა მენდოთ, ცოლ-შვილს გაფიცავთ, სხვანირად მოქცევა რომ შემეძლოს, გულს გარეთ ცხოვრება რომ შემეძლოს, ბედნიერი კაცი ვიქნები, მაგრამ არ შემიძლია და მომკალი თუ გინდა.

— არ გინდა ახლა ეგ ამბავი, — პატონი გივი განზე იხედება.

— მესამეჯერ ვარ ახლა ნასამართლევი, — განაგრძობს ჟორა, — პირველად რომ დამიჭირეს, თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი. არაფერი ისეთი. ჩემს ძმაკაცს სცემდა ვიღაც უცნობი. მაშინ უცნობი იყო ჩემთვის. რად გინდა [illegible] იყო, რა მნიშვნელობა აქვს. [illegible] ან ახმახს მოუგდია ფეხქვეშ ეს ჩემი ძმაკაცი და წიხლებით სცემს. რა იქნებოდა გალეული მეათეკლასელი ბიჭი. ხან აქედან მივუდექი იმ დევს, ხან იქიდან. ვეხვეწე, ვიტირე, ორჯერ იმნაირად მკრა ხელი, რომ ყორაზე გადამატარა, ძლივს წამოდგება თავპირდასისხლიანებული ეს ჩემი კლასელი, ორ ნაბიჯს გადაადგამს საწყალი განზე, მივარდება, დაარტყამს და დაადგება. მოკლედ, კლავს, რა. მერე კი ვისწავლე, რომ ასეთ დროს მილიციას უნდა უხმო, მაგრამ მაშინ, მაპატიეთ და, ასეთი რამ არ ვიცოდი. ფიქრის დროც არ იყო. მოვძებნე გადაჭრილი მილი, მოვარბენინე და ვრეკე იმ ახმახს თავში. მაშინ მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. მეორეჯერ „დინამოს“ სტადიონის შესასვლელში დამიჭირეს. მაშინ ბილეთებზე წყვეტა იყო. ორი თვის გამოსული ვიყავი ციხიდან. ნოემბრის სამი იყო. ოცდასამი წლის ბიჭი ვარ, ჭკუანასწავლი. მიჭირავს ჩემი ბილეთი ხელში და მივდივარ ფეხბურთის საყურებლად. ხალხის ტალღა ხან იქით აწყდება, ხან აქეთ. თუ გახსოვთ, მაშინ ცხენოსანი მილიციელები გამოჭყავდათ. ერთ ადგილზე ხალხი შეჩოჩქოლდა. ერთიც ვნახოთ, ბავშვის განწირული ყვირილი ისმის. ქურთის ბიჭია, ათეთორმეტი წლის, უბილეთოდ გადადიოდა რკინის ღობეზე, დაინახა მილიციელმა და ცხენით მიაწვა. მიხვდით, რას ვამბობ?! ცხენი მუცლით აწევება ბავშვს მკერდზე, სადაცაა გულ-მკერდს შეუხვრევს. იძახე ახლა იქ, „არ გრცხვენია, მოქალაქე მილიციელო?“ სად არის ამის დრო. დავაძვერე ყამა და მუცელში გავურტე ცხენს. ბავშვი სიკვდილს გადავარჩინე. ეს მეორედ გასამართლება. მესამედ, ახლა რაზეც ვზივარ...

— არ გინდა, რად გინდა ეგ ამბავი.

ეგ ამბავი მინდა ახლა მეე? დალიე თუ სვამ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვრის გივი, მაგრამ ხელს ენერგიულად აღარ უშლის, შეიძლება იმიტომ ამბობს, რომ ასე უნდა თქვას. ეს სიტყვები სამსახურებრივად ეკუთვნის.

— ამ წუთში, გივი ბატონო, ორი სიტყვა და მორჩა. მე და ჩემმა მეზობელმა სახლი ავაშენეთ საზიარო. მამაჩემს გავაყოდვინე დიდუბეში სახლი და ვეძებ-ში, ზემოთ, ვაზისუბანზე ერთი პატარა ქოხი ზიარად ვიყიდეთ მე და ერთმა კაცმა. ფული აღარ მაქვსო, მითხრა. მერე რა, ფული არა გაქვს, რა მოხდა, აგერ ფული და მერე გავსწორდეთ-მეთქი. ეს რომ მითხრა, ქოხი დანგრეული და სახლის შენება დაწყებული გვქონდა. შუა გზაზე ხომ ვერ შევჩერდებოდით. მე ვაპირებ ამ კაცთან ძმობას და ერთად ცხოვრებას. თვითონ არ ჩანდა ცუდი კაცი, ნოტარიუსად მუშაობდა სადღაც, ვასესხე ფული ორამდე, ერთი სიტყვით, და ავაშენეთ სახლი. კარის მეზობელზე უფრო ახლობელს ხელწერილს გამოართმევ? არც მიფიქრია, თუ პირს მიშლიდა. მოკლედ, სასამართლომ საქმე არ მიიღო, ხელწერილი არა გაქვსო; უბნის რწმუნებულმა ვერაფერი შეასმინა. ნათესავ-მეგობრები შეეკრებეთ და უარი დამირტყა. ცილს მწამებს, ჩემთვის კაპიკი არ მოუცია. ფული ჯანდაბას, ხომ გასკდი კაცი გულზე, რანაირად შეიძლება ასეთი რამ გიყოს კაცმა. ბნელა, კაცო? საღამოს გადავედი მასთან. მარტო იყო. „გერა, რატომ აკეთებ ამ საქმეს-მეთქი“. — „წადი, მე ჩივლე, არ გაძლევ, მორჩა“, და გამოვდაო. „რანაირად, გერა, მართმევ ჩემს ფულს-მეთქი?“ გართმევო. „მერე, სულ არ გეშინია არაფრის-მეთქი“? არ მეშინიაო. „აბა, იცოდე, წყნარად გეუბნები, თუ ოც დღეში ფულს არ მომიტან, მოგკლავ, ჩემო გერა-მეთქი“. ოცი დღე რად გინდა, ახლავე გეუბნები, არ მოგიტან და ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრიო. ოცი დღე მაინც მივეცი, იქნებ გონზე მოვიდეს-მეთქი. ოცი დღის მერე მოვკალი. არ დაიჯერებთ, ბატონო, არც ერთი წუთით არ ჩამითვლია ჩემი თავი მკვლელად, სასამართლოშიც წელში გამართული ვიდექი. სხვა გზას ვერ ვხედავდი. ასეთმა კაცმა არ უნდა იცოცხლოს ქვეყანაზე-მეთქი და სრულიად ნერვებდამშვიდებულმა მოვკალი. ესაა სულ. ხომ ხედავთ, არაფერი მოსაყოლი არაა. მაგრამ შორიდან მე მაინც მკვლელი და საშიში კაცი ვჩანვარ. რომ იცოდეთ, რა სუფთა გული მაქვს. თუმცა რაებს ვჩმახავ — თავი ჩაჰკიდა, — ამას ვინ დამიჯერებს, — თვალი ირგვლივ შემოატარა და რატომღაც მე მოგიჯახუნა ჭიქა, — მოდი, ჩვენს სიმართლეს გაუმარჯოს. ისე, ყველას ვენაცვალე მე!

— არ მინდა, ეგ მინდა ახლა მეე? — ლუღლუღებს ბატონი გივი და ჩამქრალ ღადარში ჯოხით იქექება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სიცოცხლის გზაზე —
ასკილივით ანთია სისხლი,
მაგრამ ფიფქები
ვით პატარა ანგელოზები,
ფრთების ფათქუნით ჩამოდიან დედამიწაზე,
რომ ცოდვა-ბრალის
კვალი წაშალონ.

ვაფშალია

სიშორითა და სიმყუდროვით
გადახურული —
განათებულა მთვარის
დარბაზი,
ირგვლივ სიცოცხლის ჩაუმქრალი
სხივი ანთია.
ღამის ტოტზე ზის მაფშალია
და ცის ნარმაზე —
სიმღერის ძაფით ქარგავს
განთიადს.

წიწამურთან

მწუხრი მწუხარე ზარების რეკვით
ვითარცა გზირი
ჩამოდგა სოფლად
და გაილურსა, —
გზას მიაპყრო თვალები სველი,
მერე, როდესაც წიწამურთან იქუხა თოფმა,
შეკრთა...
და გულზე საქართველომ
იტაცა ხელი.

●

ჩემი დღეები და იმედები,
ჩემმა სიცოცხლემ
ქართლის ცაზე
დროშად გაჰკიდა.
ყოველი წამი გაოცება
და შეკრთომაა
და ჩემი ქვეყნის —
განათებულს
ვხედავ მომავალს
ჩემი სამშობლოს
ღია სარკმლიდან.

თბილისის დილა

ქარის მსუბუქ ფრთებს გადაჰყვება
ღამის ზმანება,
ფიქრთა ბურუსი —
მოოქროვილ სივრცეს
შებინდავს.

ფერმკრთალი დილა, მზის
ცარდისფერ
ყელს მოიღერებს,
მერე აღსავლით გადმოდგება
მაღალ მთებიდან
და დიდ სინათლეს ამოიმღერებს.

●

ამაღლებული, როგორც მესია,
სივრცეს გავცქერი
გულგაღეღილი:
მიშვებულია ჩქერი სინათლის,
ბრუნავს და ბრუნავს
მთვარის ბორბლით
ღამის წისქვილი
და... ცაში ყრია ვარსკვლავების
წვრილი ღერღილი.

მგოსნის დედა

რადგან ღმერთია თვითონ პოეტი,
ცისიერს —
მზერა ცისკენ გაურბის...
დღეა მზიანი
თუ ქარიანი,
გასცქერის სივრცეს —

უკვდავების გამომხმობელი.
და მგოსნის დედა,
ვით მარიამი,
არის უფალი...
და ღვთის მშობელი...

უკვდავსაყოფად

უტყვი მოწმენი გმირთა დიდების —
დგანან მუხები,
დგანან შინდები.
მარტო დიდგორი...
მარტო მარტყოფი
და სიმამაცე იმჟამინდელი —
ეყოფა ქართველს
უკვდავსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

აწყდება დღის და ღამის
კალაპოტს
ადიდებული ჟამის
მდინარე.
შემოდგომას კი, თეთრწვერება
მოსდევს
ზამთარი
და არვინ უწყის მერამდენე
საუკუნეა,
რომ სალამურში ზის
და ტირის
ფარადამფრთხალი
ფეხშიშველა პატარა ბიჭი.

ლექსის კაცი

თავსასთუმალთან —
ვეფხის წიგნი
ესვენა ხატად.
ამბავი,
ამბავს მიჰყვებოდა
ცრემლთა
მთხეველი,
ნათელმა ბავშვმა იგრძნო გრძნეულ
სტრიქონზე ჯვარცმა
და ლოცვად დადგა —
ქართულ სიტყვის
საკურთხეველთან,
მერე ამაღლდა —
იქცა ღმერთად...
და ლექსის კაცად.

●

ჩაუბღუჯავთ ბილიკები ხელში
შუბივით
და წარსულად დამდგარან მთები.
ყელგამოღადრულ ომებიდან მოისმის ქშენა,
ბრძოლებით დაღლილ მიდიელთა
და ქალდეველთა.
და ჩამონგრეულ ციხის კედელთან —
ვით მეციხოვნე თვლემს დაღვრილი
სისხლი და რწმენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ბალახაძე

წინაპარი

რა მაჯა ჰქონიათ,
რა ძალა, რა ჯანი —
ხელში პაპაჩემის
მიჭირავს ხანჯალი.
ცრემლი მეძალება
წინაპრის გარჯაზე...
„დაიცავ მამული!“ —
სწერია ხანჯალზე.

●

გაგვიფრინდება დაფრენილი ბლის ტოტზე ჩიტი,
იების მინდორს გადაივლის ჩვენი ბილიკიც,
ზოგჯერ პირიქით გაგვიგებენ თუ რამეს ვიტყვით,
ზოგჯერ ნანატრის ასრულებაც ხდება პირიქით.
თუ პოეზია სხვაზე მეტად არ გიხარია,
თუკი წიქარა შენთვის მხოლოდ ნიშა ხარია,
თუკი მამული სიკვდილამდე არ შეიყვარე,
თუ მიწად იქეც და ყლორტი არ ამოიყარე,
რაა სიცოცხლე?!..

●

ურემი მიდის...
გავიარე სიმინდის ყანა...
ძახილი ჩხიკვის...
ურმის კიჩოზე ზის ფერადი ჩემი
ბავშვობა.

●

გავარდა თოფი...
გასისხლული დაეცა შველი,
სისხლი! —
უეცრად აყვირდა თოვლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

აღარ ტიროდა ფორტეპიანო და თოვდა თოვლი...
და ისე, როგორც განმარტება,
გეძინა, ცირა.
უკანასკნელად და პირველ ყოვლის,
ხატავდა ყინვა შენს სარკმელზე ქაჯეთის ციხეს.

•

თავის დროზე ყველაფერი იქნება,
დასაბარი უნდა დაიბაროს,
თავის დროზე შემოდგომაც იქნება,
ჯერ მინდორში იამ გაიხაროს,
მუხის ყლორტი მერე მუხა იქნება,
დავაცადოთ, მხრები აიყაროს...
თავის დროზე ყველაფერი იქნება!

•

მინდორში დაქრის ქარი ირიბი
და ხეებს სულ სხვანაირად ხატავს,
ქარის ნახატი — ნაძვს გავს
ტირიფი,
წიფლები იფნებს და მუხა პანტას.
იქნებ შორიდან ვხედავ პირიქით
და ქარი იქნებ არაფერს ხატავს,
ტირიფი არის იქნებ ტირიფი,
მუხა მუხაა, პანტაა პანტა.
დაკიდებულა მთაზე ბილიკი,
დამგვანებიან წიფლები იფნებს,
იქნებ შორიდან ვხედავ პირიქით
და სხვანაირად მე ვხატავ იქნებ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ფეიერბოლთ მიმო

ვუძღვნი ჩემი ბავშვობისა და ყრმობის ხაშმელ მეგობრებს, რომელთა დიმილი მინათებდა ამ მოთხრობის წერის დროს.

უილბლო გიგო ჩემი მეგობარია. პირველში, მეორეში და მესამე კლასში ერთად დავდიოდით, ერთნაირი ვარდისფერი დიდი ქუდები გვეხურა და სულ გვერეოდა, ხან ის დაიხურავდა ჩემს ქუდს, ხან მე — მისას. ბოლოს მოვიფიქრეთ, სარჩულზე ქიმიური ფანქრით ჩვენ-ჩვენი სახელები- დავაწერეთ და ამის შემდეგ აღარ შეგვცვლია, გიგო თავის ქუდს იხურავდა ხოლმე, მე — ჩემსას.

გიგო ამბობს, მეო დაბადებითვე ვარო უიღბლოო. შეიძლება. კაცი რომ ოცდაცხრა თებერვალს დაიბადება, შეიძლება მართლა ასე იფიქროს.

— ჩვენაო, — იტყვის ხოლმე გიგო, — ოცდაცხრა თებერვალს დაბადებულებს, დაბადების დღის გადახდა ხომ ოთხ წელიწადში ერთხელ გვიწევსო. წარმოიდგინე ახლა, ბიჭოო, გახდა კაცი ერთი წლის, გადაუხადეს ერთი დაბადების დღე და მიართვეს საჩუქრად ერთი წითელი თუნუქის დუდუკი, გახდა ორის — მიართვეს მეორე დუდუკი, გახდა სამის — მიართვეს მესამე დუდუკი. მე კიო, სანამ ოთხისა არ გავხდი, დაბადების დღემ არ მომიწიაო. გავხდი ოთხისა და მაშინ მომართვეს პირველი დუდუკი, გავხდი რვისა და მაშინ ძლივს — მეორე დუდუკი. იღბალი რომ მქონოდაო,—კუჭკუჭებს კეთილად გიგო, — რვა წლისას ხომ ორი დუდუკის ნაცვლად, რვა დუდუკი მექნებოდაო! დავდიოდიო, დაკოხილიო, გადრუნჩულიო და დავაპიპინებდი ორ დუდუკს, ხან ერთს, ხან მეორეს, ხან ორივეს ერთად. კაცს რომ რვა დუდუკი არ გექნება, ორი დუდუკით უნდა წახვიდე იოლასო.

●

გიგოს დედ-მამა სულ არ ახსოვს. მამა გერმანელებმა მოუკლეს ომში, დედა აქ გარდაეცვალა ფილტვების ანთებით, ისიც ომის დროს. ჰყავს მარტო ერთი დიდედა — კოჭლი კამარქალი.

ნუ შეგეცოდებათ მაინცდამაინც ეს კამარქალი კოჭლობის გამო. კოჭლობა სულაც არ უშლიდა ხელს მთელი სოფლისათვის შემოვედო დღეში ორჯერ, საღამოთი და დილით. საღამოს ულოცავდა ჭირვეულ ბავშვებს შავტარა დანითა და ნახშირით, დილით კიდევ ამოწმებდა, ამა, როგორ გასჭრა ჩემმა ლოცვამო. ერთხელ თურმე კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც კი შეულოცა, რა თქმა უნდა, მძინარეს. იმ დღიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სიტყვა „გამარჯობა“ ისწავლა, მანამდე კი ბევრი უწვალიათ დედას, დას, ცოლს და ცოლისდას, მაგრამ ვერაფრით ვერ უსწავლებიათ.

კამარქალი ამბობდა, მუხლებზე ხელებდაწყობილი და წელში გამართული, — ვენაცვალე ჩემ ბუტყუტა გიგოსო (გიგო ეხლაც ბუტყუტამ, ორმოცდაორი წლის თავმოტკლეპილი, ცისფერთვალა ბუტყუტა), რის უიღბლო, ქალოო, ეგ რომ გაგვინნდა, იმ წელიწადს ისეთი მოსავალი მოგვივიდა, შიგნით ქვევრებში და გოდრებში ძლივს ჩავტიეთ, გარეთ კიდევ — ბეღლში და სასიმინდეშიო. მერე კიდევეო, — ღორმა ცამეტი დაგვიყარა, თხამ სამი მოგვიგო, ცხვარმა — ორი, კრუხმაც — ოცდაერთი კვერცხიდან ოცდაერთივე გამოგვიჩეკა და სულ ყველა შეირჩინაო.

ეგ, რასაც ხმამაღლა ამბობდა კამარქალი, ახლა გუნებაში რასაც ფიქრობდა! გიგოს გაუთხოვარ მამიდას შვიდი თვის მობრეცილი ყბა გაუსწორდა, ნაჩხუბარ მეზობელს ქორწილი ჩაეშალა— პატარძალი გაექცათ, მეორე ნაჩხუბარ მეზობელს ძროხა გაუბერწდა, ვენახის მომიჯნავეს კიდევ დიდი ჭანჭური გაუხმა, რომელიც გიგოანთ ხიდისთავურ ატამს უჩრდილავდა.

კამარქალი ამასაც ამბობს, — არ გავიგო. არ გავიგო, რომ ჩემს ბოიდაღ გიგოს (ესე იგი, ჩემს დიდ, წარმოსადეგ გიგოსო) ვინმემ უიღბლო დაუძახოს. თორემ ატოცის წმინდა გიორგსა ვფიცავ და ჩვენს ნათლისმცემელსაც დამატებითო, სისხლს ზედ შეკასხამ და შევაკვდებიო.

აბა, კამარქალთან ამის დამტკიცებელი ვინ არის, მაგრამ სოფელში მაინც გიგოს ყველა უიღბლოს ეძახის: „უიღბლომა თქვაო“, „უიღბლოც იქა ყოფილაო“, „უიღბლოს გაუშველებიაო“ და სხვა.

ერთხელ ვკითხე გიგოს, — გიგო, კაცო, ხომ არა გწყინს, მეც რომ უიღბლოს გეძახი-მეთქი.

ამომხედა დიდი ცისფერი კეთილი თვალებით, გაწითლდა ისედაც წითელი, ცოტა უკან გაღაიწია და გემრიელად მიკუტკუტებულმა მითხრა.

— შენც რომ ჩემნაირად გემართებოდეს ხოლმე, მეც ხომ ეგრე დაგიძახებდიო!

●

მაინც რა ემართებოდა ხოლმე გიგოს?

ერთი ხომ უკვე ვთქვით, ოცდაცხრა თებერვალს რომ არის დაბადებული და რვა წლისას რვა დუდუკის ნაცვლად ორი დუდუკი ჭქონდა. ეგ ერთი (დედამამა რომ არა ჰყავს, ამას იღბალთან არ აკავშირებს, ამაზე არასოდეს არაფერს ამბობს). ოცდაცხრა თებერვალი ერთი. ახლა სხვები, თუნდაც მარტო ისინი, მე და მისმა სხვა ძმაკაცებმა რომ ვიცით.

პირველ კლასში რომ მივედით, პირველ დღეს, გიგო დიდედამ მოიყვანა. დგგეაყენეს ეზოში ჩვენც, მშობლებიც, მასწავლებლებიც. ვდგავართ, ზოგს როგორი ჩანთა გვიჭირავს, ზოგს როგორი. ზოგი როგორ იყურება, ზოგი როგორ. დირექტორი სკოლის კიბეზე დგას და იქიდან ლაპარაკობს, — გამარჯვებული ქვეყნის გამარჯვებულო ბავშვებო, ძალიან კარგად, სულ ფრიადებზე უნდა ისწავლოთ, თქვენი გმირობა და ვაჟკაცობა ფრიადზე სწავლაა. გიგო თავჩაღუნული დგას, არც მაღლა იხედება, არც აქეთ-იქით. უკან, ღვთისმ-

შობლის ხატივით, ოდნავ გვერდზე გადახრილი კამარქალი უდგას, დიდი გულისყურით უსმენს დირიქტორს. დამთავრა დირიქტორმა ლაპარაკი, — ისწავლეთ, ბავშვებო, ისწავლეთ, გაახარეთ თქვენი მშობლები და მთელი მსოფლიოს ბავშვების ბედნიერებისათვის უდიდესი მებრძოლი დიდი სტალინო. დავუკრიათ მქუხარე ტაში ყველამ ერთად — დირიქტორმაც, ბავშვებმაც, მშობლებმაც, მასწავლებლებმაც. მერე ამოიკითხეს სიები, რომელ კლასში ვინ იყო და ვინ რომელ ოთახში უნდა შესულიყო. მოგვყვნენ კარებამდე მშობლები, იქ თალიკო მასწავლებელმა ჩაგვიბარა, მერხებზე დაგვსხა, — გოგო და ბიჭი, გოგო და ბიჭი, — დაგვაწყობინა ხელები წინ, გადაშალა ჟურნალი, ახლა ამან დაიწყო სიის ამოკითხვა, ვინ ვიყავით, ვინ არა. ჩვენ გაკანკალები ვსხედვართ, გიგო თავჩაღუნული და დაკოცხილი ზის. მივიდა თალიკო მასწავლებელი გიგოსთან, ნიკაპში ხელი ამოსდო, თავი აუწევინა და უთხრა, — აი, ასე უნდა იჯდე, გიგო. გიგო ახლა სულ თავაწეული იჯდა, სულ თალიკო მასწავლებელს უყურებდა. თალიკო მასწავლებელი ამბობდა, — სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე, ხომ არ გიყვართ, ბავშვებო, სიბნელეო? — არაო, — უპასუხა რამდენიმე მატარაკვეცა გოგომ. მერე თალიკო მასწავლებელი მერხების იქითა მწკრივისკენ წავიდა, გიგომ თვალი გააყოლა, თალიკო მასწავლებელმა ერთ ბიჭსაც აუწევინა თავი. ‚გიგომ ის ბიჭი იცნო, გაუხარდა, წამოდგ ა, მიდის იმ ბიჭისკენ და თან ‚ჯიბეში ეძებს რაღაცას. გადაეღობა წინ თალიკო მასწავლებელი, — საით, გიგო, სად მიდიხარო.

— ჩვენ ამირანასთანაო.

— როგორ შეიძლება, გიგო, ახლა ხომ გაკვეთილიაო.

— მაგისი დანა რომ ვიპოვე, არ მიგცეო?

— დამთავრდება გაკვეთილი და მერე მიეცეო.

— მერე იქნება დამავიწყდესო.

თალიკო მასწავლებელი აქეთ ეწევა, გიგო იქით იწევს, თალიკო მასწავლებელი სუსტი ქალია, გიგო ‚ ‚ ‚

რიფისა და ვერხვის წვეღები ყინულის წვრილ-წვრილი ნემსებით იყო შეხორხლილი, ის ყინულის ნემსები მუჭაში გვიდნებოდა, მაკრატლის რკინის ტარი ხომ ყინულზე ცივი იყო, სველ ხელზე გვეკოროდა, ვიფშინეთ, ვივაყკაცეთ, თითო ხელზე ცოტა მეტი მოვჭერით, ვიორთქლავდით თითებს, ვიწყობდით ხან იღლიებში, ხან ლაჯებში, ბოლოს მაინც ვეღარ გავუძელით, დავყარეთ ფარ-ხმალი და გაუმწეობულები მივაჩერდით ერთმანეთს. მაშინ ამ დინჯმა გიგომ თქვა, მოდი, ხელები ერთი რამით დავისველოთ და გაგვითბებაო. მიბრუნდა და დაისველა. ძალიან კმაყოფილი დარჩა, სულ ეღიმებოდა. მეც დავისველე ხელები, მეც კმაყოფილი დავრჩი. ავიღეთ მაკრატლები და შეუტეთეთ ჩვენს საქმეს, მაგრამ ცოტა ხანში ხელებზე ყინვის ისეთი ცეცხლი მოგვეღო, რაც მოჭრილი გვქონდა, ისიც იქვე დავყარეთ და ზუზუნ-ზუზუნით გამოვიქეცით შინისკენ.

მახსოვს, ფურგონი მოდიოდა ზემოთა მხრიდან, შიგ მღვდელი და ორი სხვა კაცი ისხდნენ, მღვდელმა დაგვიძახა, — რა იყოთ, ბიჭო, რა მოხდაო. — წამოიწია კიდეც ფურგონში, მაგრამ ჩვენ ხმა არ გავეცით და ისევ ჩაჯდა.

ვა-ვიშით და ცრემლის ღვრით ავიარეთ შინა, გიგოანთა. ვეცით მაშინვე ღუმელს, უფრო ავზუზუნდით, კამარქალმა პირსაბანთან მიგვრეკა, — ხელები დაიბანეთ, თქვე არგასაშვებებო. — დავიბანეთ, ისევ ღუმელთან ჩავეცუცქდით და როდის-როდისღა შევდიმეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს კიდევ უფრო ჰყინავდა, ვეღარ გავბედეთ კაპიჭზე წასვლა, მესამე დღეს თვითონ ის ცალთვალა კაცი წაჯიდა ჩვენი სოფლიდან, და დაგვრჩა მარტო ის ხუთი მანეთი მე და გიგოს. საერთო ფული.

რა უნდა გვექნა იმ ფულისთვის? ავდექით, კოოპერატივში წავედით, რიგში ჩავდექით და რაღაც კოპტონს მიმსგავსებული ჰალვა ვიყიდეთ — მაგარი, მაგარი ქვასავით. გამყიდველი ნაჯახს ჩაქეჭს ურტყამდა ყუაში და ... სჭრიდა იმ ჰალვას. ჩვენ მუშტ[illegible] ნავ დიდი ნატეხი მოგვვიდა[illegible] შემოვაფცქვენთ, შემოვამრგვალეთ ის ნატეხი, მაგრამ იმ მრგვალს ვეღარაფერი შემოვატეხეთ, გიგომ თქვა, — მოიცა, მე ვიცი. მოვძებნეთ სუფთა ქვა, მეორე სუფთა ქვაც, ზემოდან დასატყმელად, დადო ჰალვის გუნდა გიგომ დაბლითა ქვაზე, დაუქნია მეორე ქვა, გასხლტა ჰალვის გუნდა, ტყვიასავით გავარდა გვერდზე და — ჭყლუმპო! — მელილეინქე ზაქროს თავლიდან გამოსულ წუმპეში გაუჩინარდა.

— იმ დღიდან მოყოლებულიო, — იტყვის ხოლმე გიგო, — გული დღესაც მტკივაო. იღბალი არ გინდა, ბიჭო, რაღა მაინც იმ წუმპისკენ გავარდა ის ოხერი ჰალვაო!

— აბა! აბა! — ვითუთქვები მეც.

ხელების დასველებაზე ცალკე ვიცინით. ვიცინით, ვიცინით, მხრებში ვმალავთ აწითლებულ ყურებს, ერთმანეთისა გვრცხვენია.

●

ზემოთ ხომ უკვე ვთქვი—

გიგო მესამე კლასში ჩატოვეს.

როგორ გადაურჩა თალიკო მასწავლებელი კამარქალს, არ ვიცი. არ ვიცი, საერთოდ, როგორ ურჩებოდნენ ხოლმე სხვა მასწავლებლებიც კამარქალის გურგურა წყეველასა და ჯადოქრულ შელოცვებს, მაგრამ, მე მგონია, მარტო მასწავლებლები არ იყვნენ დამნაშავენი, თვითონ გიგოსაც სჭირდა ერთი უცნაური რამ: სამ წელიწადში ერთხელ სულ ვერა სწავლობდა, რჩებოდა, სამაგიეროდ, იმ დარჩენილს ვეღარავინ სჯობდა, ასე მიაღწია მეექვსე კლასამდე.

სხვადან ერთხელ მეექვსეკლასელები, მათემატიკის მასწავლებელი გაკვეთილს ხსნის, დაფისკენ არის შებრუნებული, გარეთ თოვს, ბარდნის, კლასში თუნუ-

---

რევაზ ინანიშვილი
ეკატერინ გიგო

ქის ღუმელი ანთია, ნედლი შეშა შიშინებს, და, აი, ამ სიჩუმეში ძგრიალით გაიღება კარი და შემოვარდება თათრიანთან პატარა ბიჭი ალე, ალექსანდრე (ახლა ისიც დიდია, წელს გოგოც გაათხოვა, მარწყვა), ერთი მოავლო ცრემლებით სავსე თვალი კლასს და, გიგო რომ დაინახა, იღრიალა:

— რასა ზიხარ, ბიჭო, გიგო, დაგვღუპა ქშუვმა, ჩვენი ძუის მახეები სუ დაუგლეჯია და წაუღიაო.

წამოხტა გიგო, მივარდა ალექსანდრეს და წააყარა მუშტი თუ წიხლი, მუშტი თუ წიხლი, — ასე გაბარაზებული არასოდეს მინახავს გიგო, — გავარდა ალექსანდრე გარეთ, გაჰყვა გიგოც, გარბის ალექსანდრე, მისდევს გიგოც და სცემს, მასწავლებელი კი გაშტერებული დგას და ხმა ვეღარ ამოუღია.

ბოლოს მივიდა, დახურა კარი და გადაფითრებული მოუბრუნდა კლასს.

— აი, სადამდე მიჰყავს ადამიანი სიზარმაცეს! ეგ ჩვენს სკოლაში ვეღარ დაადგამს ფეხსო.

მაგრამ მოხდა საოცრება, გიგო არ გაურიცხავთ. ჩაუვარდა ფეხებში კამარქალი მათემატიკის მასწავლებელს, ფრონტზე დაღუპული შვილი იტირა და გული მოუტბო, — მართალია, გიგო იმ მეექვსე კლასში ჩატოვა, მაგრამ სკოლიდან მაინც არ გაურიცხავთ.

— ღიბალი რომ მჭონოდა, თათრიანთ დაკოჭილი ალექსანდრე ჩემი მეზობელი იქნებოდა და იმას გავიამხანაგებდიო, — ამბობდა გიგო, — დღეში ოცჯერ მირბოდა ძუებთან და დაინახავდა ქშუვი, აბა, რა იქნებოდა!

ქშუვისთვის კი უტაცია საყელოში ხელი ჩვენს ღონიერ გიგოს მაგრამ, რა გინდა რა, ვერც ძუები წაურთმევია და ვერც დაჭერილი ჩიტები.

●

იმავე წელიწადს, ზაფხულში, სოფლის კლუბში პიესა დადგეს. ამ პიესას „სამშობლო“ ჰქვია. პირველი მოქმედება ასე იწყება: ზის ტახტზე სპარსელების ხანი, წინ უდგანან მისი შიშით აკანკალებული ქვეშევრდომები, ხანი ბრაზობს, — ეს რა სიჩუმე და სიბნელეა ქალაქშია (ჩვენს ქალაქშია, ფაქტიურად დაჯარობილ თბილისში), შეფერიყანეთ ტუვეებიო. დაიწყო ეს პირველი მოქმედება, ყველაფერი, ნამდვილ თვატრში რომ არის, ისეა. სპარსელებს სპარსული ხალათები აცვიათ, ჩალმები ახურავთ, აბრიალებენ თვალებს. მხოლოდ ორკესტრია ცოტა სხვანაირი. სკოლის დირექტორი მანდალინას უკრავს, ნინო მასწავლებელი და თალიკო მასწავლებელი გიტარებით აძლევენ ბანს. სამგლოვიარო განწყობილებაა, სცენაზე ქართველი ტუვეები შემოჰყავთ, ორკესტრი „ჭლექიან დღეს“ უკრავს. დირექტორი მანდალინაზეა დამკვდარი, ნინო და თალიკო მასწავლებლები მშვიდად აძლევენ ბანს. ხალხით გაჭედილი დარბაზი ისეა დაძაბული, სკამის ოდნავი გაჭიკჭიკენა ნერვებს უშლის ყველას, და უცებ, ამ სიჩუმეში, ხანმა რომ დაიწყო ტუვეების დაკითხვა, იჭექა მის მაღლა ჭერმა და საშინელ მტვერსა და ფიცრებთან ერთად ზედ ხანის წინ ბიჭი ჩამოვარდა. ატყდა ერთი ალიაქოთი, გაიფანტა მტვერი და რასა ხედავენ — ბიჭი გიგოა, ჩვენი უიღბლო გიგო, ზის ფიცრის ნამტვრევებში და მტვრით ამოვსებულ თვალებს იფშვნეტს.

ვინ დააცადა თვალების მოფშვნეტა! დასტაცა თვითონ ხანმა ხელი. მიეშვეღნენ ქვეშევრდომებიც და გაისროლეს გიგო კულისებში. იქ სხვა მსახიობებს ჩაუვარდათ ხელში. წაუშინეს ამ საწყალ გიგოს, გიგო ღრიალებს, აფარებენ პირზე ხელს, მერე აღარც სცემენ, აღარაფერი, მხოლოდ ეხვეწებიან, — ნუ ღრიალებ და ხელს აღარავინ დაგაკარებსო, მაგრამ გიგო მაინც ღრიალებს, დაინახა, მოდის დახრილი, თვალებგაცეცხლებული დირექტორი, ხელში მანდალინა აღარ უჭირავს, მაშინ კი გავარდა გიგო, ეცა კლუბის უკანა კარს გვერდულად, გაანგრია და ჩაინთქა ღამეში.

მიხვდით, რაც მოხდა, თუ მე აგიხ-

სნათ? ბიჭები, ვისაც ფული არ ჰქონდათ, კლუბის სხვენში ასულან და ფიცრებშორის დარჩენილი დარდაღინებიდან იყურებოდნენ სცენაზე. კლუბიც და სხვენის ფიცრებიც ძველისძველი იყო, დამსკდარი, ჩაფუტურებული. სხვებს კიდევ უძლებდა, მაგრამ ჩვენი ბუტყუჭა გიგო რომ შედგა ზედ, ვეღარ გაუძლო ფიცრებმა, ჩაიმტვრა და ტრაგედია „სამშობლო“ კომედიად იქცა. იმდენი, ალბათ, არც ერთ თეატრში არ უცინიათ მაყურებლებს.

გინდა თუ არა იღბალი? გინდა.

მაგრამ, წარმოგიდგენიათ? გიგო მაინც არ გარიცხეს სკოლიდან!

●

მერვე კლასში გიგო უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო და თითისსიბრტყე ულვაშებიც ეჭნებოდა, ბოთლის ნამტვრევით რომ არ ეპარსა.

ნოემბერში დიდედამ არყის სახდელში გაგზავნა, — წადი, შვილო, იმ მუცელჩასახეთქ მოფლეშილსა ჰკითხე, ჩვენი, სამამულო ომში დაღუპულის ოჯახის, გამოხდის რიგი როდის მოვათქო. გიგოს ძალიან ეზარებოდა, მაგრამ მაინც წავიდა. ჯერ, რა თქმა უნდა, ერთი ორ ადგილს ბიჭებთან გაჩერდა, ერთგან ერთი ამბავი მოისმინა, მეორეგან — მეორე, ბოლოს, როგორც იქნა, არყის სახდელამდეც მიაღწია, ჩაბედა შიგნით, ჩაიკოხა. მოფლეშილი გულღიად შეხვდა, — ხვალ არა, შვილო, ხვალზვითა, არა, იმის მერე, არა და კვირას უეჭველად გამოგიხდითო. მოფლეშილი, ბრიგადირი ყლაპა, ტლინკო სვიმანა და ერთიც უცხო კაცი ღვინოსა სვამდნენ. მოფლეშილმა გიგოს ჩაისჩიქა წითელი ღვინით გაუვსო, — აბა, დაილოცე, კაი მამის ბიჭოო. გიგომ თავპატიჟი გაიდო, — არაო, არა ვსვამო. მაგრამ ტლინკო სვიმანამ ტკბილად დაარიგა, — რას ამბობ, შვილო, შენ თუ ეხლა არ დალიე, მერე როდისღა უნდა მოეწიო ქვეყანას, მერე ხომ ძალიან გაგიჭირდებაო! გაუბედა გიგომ, ის ჩაისჩიქა ხომ ჩაწრუპა და ზედაც მწვადის ნაჭერი დააყოლა, მეორე ჭიქაც გადაუშვა. ბრანდი ხომ სულ თავისთავად წავიდა. ... გუნებებული ამოვიდა სასოფლო გზაზე. მიდის ამ გზაზე გიგო, ოღნავ მიირწევა და სულ ეღიმება, ყველაფერი ელამაზება, ყველა კეთილი ჰგონია.

ვნახოთ და ორღობიდან ანიკო გამოვიდა, მეცხრეკლასელი ანიკო — პირბადრი, თვალებღუდღუდა გოგო. სურა ეჭირა და წყაროზე მიდიოდა. გიგოს გულმა ბაგიბუგი დაუწყო, ისეთი ბაგიბუგი დაუწყო, უთუოდ ანიკომაც გაიგონა და ღიმილით მოუბრუნდა გიგოს. მაშინ გიგომ გაბედა და დიდი ხნით გულში ჩამარხული სათქმელი უთხრა:

— ანიკო, დამალული და დაფარული ეშმაკისაა, მიყვარხარ და ჩემს მეტს ცოლობის პირობა არავის არ უნდა მისცეო.

ანიკომ წარბი შეიკრა და მიაწყევლა.

— მეხი შენც დაგეცა და შენს სიყვარულსაც. მოდი ხვალ სკოლაში, იქა ნახავ, რასაცა ნახავო!

— ანიკო, — ცრემლები მოაწვა გიგოს, — მოგკლავ, იცოდე!

— მეხი შენც დაგათხლიშე და შენს მოკლულსაცა! თუ საქვეყნოდ არ გათრიო ხვალ სკოლაში, ნახავ!

— ანიკო! უუხ!

— დაიწი უკან, ორორემ ამ სურით გადაგიფხრეწავ მაგ გასიებულ თავსო.

ვიღაცა გაჩერდა, იმ ვიღაცას ვიღაცა ამოუდგა გვერდით.

— აბა, აბა, გიგო, ეგეთები არ იყოსო!

ერთი კი მიუბრუნდა გიგო იმათაც, შეხედა თან გაჯავრებით, თან საწყალობელი თვალებით, მერე გაიქნია თავი და დაეშვა ვენახებზე. ჩავიდა თავიანთი ვენახში, წაწვა ბალთან, თვიის ბუღულის ძირში, მოიკუნტა საცოდავად და ეგრე დაიძინა — ოხვრითა და ქუშით. ეძინა საღამომდე, საღამოს, სიცივემ

რევაზ ინანიშვილი
უილდლო გიგო

რომ შეაწუხა, გამოელვიძა. ჯერ შეშინდა, — ისე იყო გაბუეებული, გათანგული, მერე უარესი გაახსენდა, შუბლზე ცივი ოფლი დასხა, — ეს რა დაემართა, ეს რა უთხრა ანიკოს! ხომ ქვეყანას შემიყრის, ხომ თავი აღარ გამომეყოფა გარეთო. იმ ღამესვე აიკრა გუდა-ნაბადი, გათენებისთვის აღარ დაუცდია, დაიჩოქა, ერთი აკოცა კიბის ძირს და დაიკარგა სოფლიდან.

გადიოდა დღეები და გიგო არ ჩანდა, არც არავითარი ამბავი მოდიოდა მისი. კამარქალის უსასოო ხელები და ჩამდუღრული ქვითქვითი ხესა და ქვას აცრემლებდა. ბოლოს, კვირის თავზე, ქალაქიდან გიგოს დედისმმა ჩამოვიდა, რკინიგზელი, დარბაისელი კაცი, — გიგო ჩემთან არის, თან მეისრედ იმუშავებს, თან სოღამოს სკოლაშიც ივლისო. რაღა ეთქმოდა კამარქალს, — ოღონდ ცოცხალი იყოს, ოღონდ მაგან დამაყაროს მიწა და მეისრედ კი არა, თუნდა ქვის მკოდავად დადგესო. ადგა და გიგოს წინდები, ჩუჩხელები, ვაშლები და წერილი გაუგზავნა. წერილი კუთხანი, დაშორიშორებული ასოებით იყო დაწერილი: გენაცვალოს დედედა, შვილო გიგოო, ოღონდ შენ მყავდე კარგად და მე ჩემს მარტოობას ავიტან, მე ისეთი ქვა და რკინა დედაკაცი ვარ, მე ყველაფერს ავიტანო. იყავი მანდ, შვილო, მაგ დიდ ქალაქში, საქმეს მუყაითად მოეკიდე და, როცა გამდიდრდე, მაშინ ჩამოდი და მეც შენთან წამიყვანე, ვიქნები ჩემთვის კარის კუტიკითო.

გიგომ რომ დედედას წერილი წაიკითხა, ცრემლები წამოუვიდა, ერთი ცრემლი პირში ჩადებულ ჩურჩხელაზეც დაეცა, გიგომ ის ცრემლი შარგლის უკანა უბეს შეაწბინდა და მერე ისე განაგრძო ჩურჩხელის ჭამა.

●

გიგო მეისრედ მუშაობს, უფრო სწორად — მეისრის თანაშემწეა, თან საღამოს სკოლაშიც დადის, მერვე კლასში, მაგრამ მაინც რაღაცა აკლია გულს. საღამოს სკოლა არც ჩვენს ყმაწვილობისას იყო დიდ პატივში, ამიტომ, ალბათ, და თვითგანვითარებას დაეწყო ნიფლეულის სადგურთან, რკინიგზელთა კლუბში, მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. სამ დღეში ერთხელ თუ არა, ოთხ დღეში ერთხელ მაინც გიგო იმ ბიბლიოთეკაში მიდიოდა და ყვითელ-ყვითელი, დაძონძებული წიგნები გამოჰქონდა, ძალიან უყვარდა რომანები — სიყვარულზე, კოცნაობაზე, მაგრამ ყველაფერს მაინც მოგზაურობებისა და ფანტერაკების წიგნები ერჩია. იჯდა შინ, ბიძის პატარა, თიხით შელესილი სახლის ფანჯრის რაფასთან, ჩაღუნული იყო მხრებში და კითხულობდა. იჯდა სამუშაოზეც, მეისრეების ბუდრუგანაში, და იქაც კითხულობდა და კითხულობდა, ისრის გადასაწევ-გადმოსაწევად რომ მიდიოდა (მაშინ ჯერ კიდევ ყველგან არ იყო ავტომატური ისრები) იქაც კი წიგნი ეჭირა ხოლმე ხელში.

ერთხელ ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“ მისცა ბიბლიოთეკარმა ქალმა. დაიწყო იმის კითხვა და გადაირია. კითხულობს და უფრო და უფრო ირევა. სულ იმ უდაბურ კუნძულზეა, ეჩვენება, რომ თვითონ მიამიჯნებს პენკროფისა და ნაბის გვერდით, აქეთ-იქით სწევს ტროპიკული მცენარეების ბრტყელ-ბრტყელ ფოთლებს, თვითონაც შეხვდა კაპიტან ნემოს, ხვნეშის, უნდა, რომ ვიღაცას გაუოაწუწოს სილა. და, აი, სწორედ ამ დროს დარეკეს, — თელავის მატარებელი წამოვიდა და კახეთისკენ გაუშვითო. გიგომ ჩაკითხული გვერდი გადაშალა, მეორე გვერდის კითხვა დაიწყო: „ნაუტილუსმა ნელ-ნელა დაიწყო ჩაძირვა, ნავში მსხდომი მოახალშენენი დიდხანს უცქეროდნენ მას, დიდხანს ამოდიოდა კაშკაშა შუქი გამჭვირვალე წყლიდან“. მიდის გიგო ისრისკენ და თან კითხულობს, გაჩერდება, კითხულობს, კითხულობს და...— თაშ! თაშ! თაშ! — ცხვირწინ გაუვლის ორთქლმავალი, მერე ვაგონები, მერე ვიღაცები აყვირდებიან იმ ვაგონებში, კივის ორთქლმავალიც, თავს ასწევს გი-

გო და რასა ხედავს, მატარებელი ჩერდება, ვაგონების გამცილებლები კიბეებიდან ხტებიან და გიგოსკენ მორბიან. გიგოსკენ მორბის ქანჩსაღებმომარჯვებული მემანქანეც. მიხვდა გიგო, რაც დაემართა, კახეთის მატარებელი სომხეთისკენ გაუშვა, — მიბრუნდა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იობინა ლიანდაგებზე, ჩიხებში ჩაყენებული ვაგონების ქვეშ, გადაბობდა მესერზე და წავიდა და წავიდა.

ორი ვირის შემდეგ დიდება კამარქალს გორიდან მიუვიდა წერილი. გიგოს დედის მეორე ძმა სწერდა: დიდო მძახალო, კეთილო ქალო, გიგო ჩემთან არის, გორში, სამსახურშიც ჩავაყენე და ღამის სკოლაშიც განაგრძობს სწავლას, ნუროფრის დარდი ნუ გექნებათ, მალე ორივენი ერთად ჩამოვალთ და განახავთო. წაიკითხა ეს წერილი კამარქალმა და ჩანაცრდა, ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა, მაგრამ მერე გამაგრდა, ოღონდ კარგად ყაყვი, შვილო, და სადაც გინდა იქ იყავი, მე მარტოც წავათრევ ამ ძაღლურ სულს, სადამდეც შენ დაგჭირდებაო. წერილი დაკეცა, სათუთად ამოდო კამოდის გადასაფარებლის ქვეშ და თავის საქმეებზე წავიდა— გიგილაშვილებს ბუმბულის გარჩევაში უნდა დახმარებოდა, ვაშაძეებს — კომბოსტოს მწნილის ჩადებაში.

გიგო კი გორის პატარა სასაუზმეში ტრიალებდა, ჯურჯელს რეცხავდა, პურს ჭრიდა, ხახვს ფცქვნიდა, კლიენტებთან მწკვადი მიჰქონდა. ხან და ხან შუბლზე ოფლიც კი გადასდიოდა მუშაობისგან, მაგრამ ბედს არ უჩიოდა, იმ ოფლს ხალათის სახელოთი იმშრალებდა და შიგადაშიგ, ყველას მორიდებული, გემრიელად ილუკმებოდა.

გიგო დახლთან დგომაშიც გაიწფფა. სულ ზეპირად იცოდა, რა რა ღირდა და რამდენში რამდენი უნდა გადაეხდევინებინა კლიენტებისათვის. ბიძამისი ძალიან კმაყოფილი იყო. — ეხლაო, მეც რომ არ ვიყო სასაუზმესი, გიგო ჩემზე კარგად წაიყვანს საქმესო. ზოგჯერ სცდიდა კიდეც გიგოს. თვითონ, ვთქვათ, ლბინში ან საძძიმაოზე წავიდოდა, გიგოს ადგილზე დატოვებდა. მობრუნდებოდა და ყველაფერი ჩამოხვდებოდა, როგორც თვითონ ეცოდინ და.

გიგო გასუქდა, ლოყები კიდეც უფრო წამოეტყუბა, ხელებიც გაუფაფუკდა, კმაყოფილებით უბრწყინავდა დიდი ცისფერი თვალები.

ერთხელ, ერთ საღამოს, ცივი ქარი ქროდა და მარტის თოვლუკაპა მოდიოდა. გიგოს ბიძა ქორწილში წავიდა. გიგო დაარიგა: აგერ, ის ხალხი რომ ჯამას მორჩება, დანახარჯს გამოართმევ, სასაუზმეს დაკეტავ და შინ წახვალო. გიგომ დაიიმედა, სწორედ ეგრე მოვიქცევი. წავიდა გიგოს ბიძა. ზის გიგო, საანგარიშოს კოჭებს აწვალებს, თან ანიკოზე ფიქრობს. ნეტავ ისევ გაბრაზებულია ჩემზე თუ სიბრაზემ გადაუარაო. აჩვილებული აქვს გული. ვინმემ რომ თავზე მოფერებით დაუსვას ხელი, ატირდება. ბოლოს, როგორც იქნა, ის გაჯანჯლებული კლიენტებიც წამოდგნენ, ანგარიში გაასწორეს და წავიდნენ. გიგომ ჯამ-ჭურჭელი აალაგა, სამზარეულოში გაიტანა, ის იყო თეთრი ხალათიც უნდა გაეხადა, მაჯებიც კი გაიხსნა, რომ კარში, ხმაურით, ოთხი ახალგაზრდა შემოვიდა, მხიარულად მოადგნენ დახლს. გიგომ უთხრა, სასაუზმე იკეტება, გენაცვალეთ, ვერ მოგემსახურებითო. იმ ახალგაზრდებს გიგოს ნათქვამი თითქოს არც გაეგოთ, — ოთხი ბოთლი „გურჯაანი“ გაგვიხსენონ. მთვრალები იყვნენ, ქანაობდნენ და კვლავ ღვინოს თხოულობდნენ. გიგომ უთხრა: — ვერ გაგიხსნით, ღარც საქმელი გვაქვს და იკეტება კიდეცო. ახალგაზრდებმა ჯერ შეუბღვირეს, მერე მოეფერნენ, — ჩვენთან ეგრე, გიგო? ჩვენ ხომ ძმები ვართ, გიგო, ჩვენთან ეგრე როგორ შეიძლება! ჩვენ საქმელი რათ გვინდა, ჩვენ აეგრევე, აქვე, დახლზე დავლევთ, სა-

რევაზ ინანიშვილი
ეიდგლო გიგო

დღეგრძელობს გეტყვით და წაველთ ჩვენს გზაზეო. ერთმა ხელიც გადახვია და ყბის ძირში აკოცა, — ბუტყუპ, შე გოგოების შემმუსვრელო, ცოტა ჭკვანად მოიქეცი და ჩემს დას შეგრთავ, იცი, რა და მყავს, მაღლა მთვარეა, ძირს — ისაო. გიგო მოლბა. ოთხი „გურჯაანი“ გაუხსნა, ყველი და პურიც გამოაჩინა. ახალგაზრდებმა ბოთლები ჭიქებში ჩააყიროვეს, დალიეს, გიგოსაც დაალევინეს, ძალით დაალევინეს, — ძმებში ღალატი არ იყოსო, ჩვენ ისეთი ხალხი ვარო, ისეთ საქმეზე მივდიკართ, რომ არ დაგვლოცო, სახეზე აღარ შემოგზედავთო. იმ ოთხ ბოთლს კიდევ ოთხი ბოთლი მოაყოლეს. ერთი ხომ დის მითხოვებას ჰპირდებოდა, კისრის ძალას უსინჯავდა, ნეკნებს უმოწმებდა, მეორემ, — ბიჭი უნდა მომინათლოო. გიგოც სვამდა და სვამდა. გამხიარულდა. ვიღაცას უყვიროდა, — ოთხი ბოთლი, თავის რამერუმეებით, ჩემს ანგარიშშეო; ალაგებდა რამერუმეებსაც — ლორს, სათალ თევზს, მწნილს. ის ოთხი ბიჭი ხან ექცხად ეჩვენებოდა, ხან რვად. ბოლოს აღარაფერი ახსოვს. დახლზე დასძინებოდა, ისევე, თეთრი ბალათის ამარა.

დილით, ბიძა რომ დაბრუნდა, შემოიკრა თავში ხელები. ბუფეტი გაცლილი იყო, ძვირფასი კონიაკები, ლიქიორები, შამპანურები და შოკოლადები სულ ერთიანად წაეღოთ. ეცა ბიძა გიგოს, ააგლიჯა დახლს და ისეთი ჭიტლაჯი უჭირა, გიგო გავარდა, ბარგან-ბარგანით მიაწია ვიღაცის სატვირთო_მანქანამდე, იმ მანქანაზე აბობღდა, ძარაში ჩაიმალა და გორისკენ მეტად აღარ მოუხედავს.

●

გიგო კვლავ თავის სოფელშია.

კამარქელი ღმერთს მადლობას სწირავს, — ღმერთო, შენითა! ღმერთო შენითა! მერე გიგოს მიუბრუნდება,— შენი, შვილო, არაფერი მინდა, არც ქონება, არც სიმდიდრე, იყავი ეგრე, იარე შენი მამა-პაპის ეზო-ყურეში და უყურე წითელ მზესო. მაგრამ გიგო მარტო წითელი მზის მაყურებელი ხომ არ დარჩებოდა. ადგა, ტრაქტორ-ხელოვანი ყვა მამის ბიძაშვილს, იყვნენ მიხდორში, ხნავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ. შემოდგომაზე კი, პური რომ განაფოლდა, გიგომ იმდენი ხორბალი მოიტანა შინ, კამარქელმა სიხარულისგან იტირა. ჩაჰყოფდა ხელებს ხან ერთ ტომარაში, ხან მეორეში, მუჭავდა დარჩეულ ხორბალს, ახლო მიჰქონდა სახესთან, სუნავდა, იღიმებოდა და ტიროდა.

— ეხლა, შვილოო, — ეუბნებოდა გიგოს, — დაჯექი და შეექეცი შენს მონაგარსო.

მაგრამ გიგო ისევ მინდორში წავიდა, ისევ ხნავდა, სთესავდა, სავენახე მიწებს აბრუნებდა. ახლა უკვე მარტო თვითონ ამუშავებდა ტრაქტორს. ცოტათი გახდა, გაშავდა, სამაგიეროდ, გაიზარდა, გაღონიერდა, ხმაც ნამდვილი კაცური გაუხდა.

ერთ დილას გიგო ტყის მიწებს ხნავდა. მივიდა წითური კოლა, თარსი, თარსი, რომ იმის დანახვაზე რკინას ეძებს ხალხი — რკინას თუ ხელს მოკკიდებთ, კოლა ვეღარ დაგვთარსავსო. მივიდა ეს თარსი კოლა გიგოსთან, გააჩერებინა ტრაქტორი და მელური თვალების ციმციმით ეუბნება:

— გიგო, ძმისწულო, კაკალი მაქვს მოჭრილი ვენახის თავში, შინ როცა წახვალ, ჩამომიარე, ის კაკლის ძირი ჩამოირიე და ჩემზე იქნება, ხო იცი, მე ისეთი კაცი ვარ, ჩემთან არაფერი დაგეკარგებაო.

აბა, გიგოს უარი როგორ უნდა ეთქვა! საწყალი მამამისი, გიგოს მამა ესე იგი, და ეს წითური კოლა ძმაკაცები ყოფილან, სკოლაშიც ერთად უსწავლიათ და გიგოს დედ-მამის ქორწილშიც კოლა პირველი მაყარი ყოფილა. — რომ დაეცალე დიდი ორჯამიანი და გადაველი ალავერდს დედაშენის ერთ მსხვილ ნათესავთან, ის ნათესავი ეგრევე დაიყოლა იმ ორჯამიანმაო. აბა, ამისთანა კაცს გიგო უარს როგორ ეტყოდა, თანაც, გიგო ხომ მთლიან რკინაზე იჯდა

და კოლას სითარსე ვერაფერს დააკლებდა!

— იქ იყავი, ვენახის თავში, აემ ნაკვეთს მოვრჩები და ჩამოგივლიო.

წავიდა წითური კოლა. გიგომ ერთი საათნახევარიც იმუშავა, მოსახნავი მოხნა, ტრაქტორი გზაზე გაიყვანა, მერე ვენახებისკენ დაუხვია და კოლას ვენახისთავს მიადგა. კოლას დაძახება არ დასჭირდა, იქ იყო, იმ კაკლის კუნძთან წამოწოლილიყო და თვალი წაეტყუებინა. ტრაქტორის ხმაზე წამოხტა, გახარებულმა გიგოს ქუდი მოუხადა და, — ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო, — ესაც კი დაიძახა. გაღიმებულმა გიგომ ტრაქტორი კუნძს მიუყენა, გამოხსნეს გვარლი (ტროსი), გაყულფეს, მოსდეს კუნძს. ავიდა გიგო ტრაქტორზე, დაძრა, წაითრია კუნძი. მიჰყავს ტრაქტორი ვენახების გზაზე გიგოს, მიათრევს კაკლის კუნძს, მისდევს წითური კოლა ფეხდაფეხ და უხარია, ბალღივით ცელქობს, ხანდახან კუნძს შეახტება და მიიმუნივით გაღრეჯილი ზის. გიგოს არ სიამოვნებდა ამგვარი ცელქობა, მაგრამ რას ეტყოდა!

მიუახლოვდა ტრაქტორი სარწყავი არხის ბოგირს. ხისაა ის ბოგირი, თანაც ათაპაპის ხნისა. ერთი კი შეფიქრიანდა გიგო, ეს ბოგირი არ ჩაიმტვრესო, ტრაქტორი შეაჩერა.

— რად შეჩერდიო, — შეეკითხა კოლა.

— ეს ბოგირი არ ჩაიმტვრესო, — თქვა გიგომ, ჩამოვიდა, ბოგირს ქვეშიდან შეხედა.

— რას ამბობ, ბიჭო, რა უნდა ჩაიმტვრეს, მაგას, იცი, რა მუხები უწყვია? ყორანმთის მუხები უწყვია, ყორანმთისა! მაგაზე მძიმე ტანკი გაივლის დ ისიც კი ვერ უზამს ძვრასო.

ყორანმთის მუხებს, აბა, გიგო როგორ არ ენდობოდა! ავიდა ტრაქტორზე, მისცა გაზი, გააქანა, უცბად უნდა გავხტე მეორე ნაპირზეო, გააქანა და, — ჰახო! — რომ დაიძახეს ერთხმად იმ ყორანმთის მუხებმა, ჩვენი გიგო აიქ გაფრინდა, აი, ერთი ათი მეტრის მანძილზე, შიგ ტლაპოში, ტრაქტორი კი დევ ჯერ ცხვირით წყარეო არხში, მერე გვერდზე გადაწვა, იმუშავა, იმუშავა, იმუშავა და ბოლოს ისიც გაჩერდა.

ლაფში ამოთხვრილი, ჩურჩხელასავით ამოვლებული გიგო დგას, თვალებიდან მშრალი მაჯით იცილებს ტალახს, თავზარდაცემული დაჰყურებს ტრაქტორს, წითური კოლა კიდევ ჩაბეერებული სიცილისაგან. ხელები მუცელზე აქვს მიდებული და ირგვლივ უვლის გიგოს. და როგორ მოხდა, ვერც კი გაიგო გიგომ, — თხლაში! — ტალახიანი ხელი იმ სიცილით ჩაბეერებულ კოლას შიგ ყბაში. როცა მიხვდა, რაც ჩაიდინა, — მამის ხნის კაცს, მამის ძმაკაცს გაარტყა, უკვე გვიან იყო. წითური კოლა შეშინებული გამომტყვეელებით იღებდა მიწაზე გაგორებულ ქუდს და მერე კიდევ უფრო შეშინებული იწმენდდა ტალახიან ლოყას.

დაინახა გიგომ ეს, აუვარდა ბღავილი, დაეშვა თავქვეზე და ჯალა-ტყეს მისცა თავი.

ტრაქტორი სხვა მექანიზატორებმა ამოათრიეს მეორე დღეს.

●

გიგო თითქმის მთელ წელიწადს აღარ გამოჩენილა ჩვენს სოფელში. პანკისის ხეობაში მუშაობდა, არხის მშენებლობაზე, სულ თავჩაღუნული, სულ დაღონებული, ეკითხებოდნენ ამხანაგები,— რა არის, გიგო, კვირა უქმეებზეც რომ არ მიდიხარ შენს სოფელშო. გიგო ამბობდა, —ისეთი რამე შემემთხვა, იქ აღარ მიმესვლებაო. ვიღაცა ოხერმა ხმა გაუვრცელა, ქალის თაობაზეა გადმოხვეწილიო. მაშინ იძულებული გახდა, სიმართლე ეთქვა: — მამის ხნის კაცს ხელი შემოვკარიო. ამხანაგებს გაუკვირდათ, — მერე, შემოგაკვდაო? — არა, რას ამბობთო, — შეშინდა გიგო. ატეხეს ამხანაგებმა სიცილი. გიგო წამოდგა, გარეთ გამოვიდა და ის ღამე

რევაზ ინანიშვილი
ეროლგლო გიგო

მარტომ გაათენა ერთი ტრაქტორის კაბინაში. იწვა მოკუნტული, გასაცქეროდა ვარსკვლავებს, აგონდებოდა ანიკოც და ცრემლი ჩამოსდიოდა.

ამასობაში ჯარში წასვლამაც მოუწია.

წაიყვანეს ჯარში. კომისარიატშივე ჰკითხეს, ხელობა ხომ არაფერი იციო. — ტრაქტორზე ვმუშაობდი და კიდევაო... ტრაქტორზე მუშაობდიო?! ისე გაუხარდა კომისარს, სხვა აღარაფერი ითქმევინა, ესე იგი, ისა, რომ სასადილოშიც იყო ნამუშევარი და მშენებლობაზეც, მეარმატურედ. რაღაცები ჩაწერეს გიგოს ქაღალდებში, რაღაცებს ხაზები გაუსვეს და ერთი დღით გამოუშვეს სახლში.

კამარქალმა რომ თავგადასტოტრილი გიგო დაინახა, დავარდა, მუხლებზე მოეხვია და აქვითინდა. გიგომ იცოდა, ასე რომ იზამდა დიდება და თავს იმაგრებდა, სიცილით ანუგეშებდა, — რა არი, დიდედ, ორ წელიწადში აქა ვარო.

დიდედამ იმ ღამეს დიდი სანთლები დაანთო, გავიდა გარეთ და მთვარეს და ვარსკვლავებსაც ეევედრებოდა რაღაცას.

წვიდა ზურგჩანთააკიდებული გიგო და სულ ცოტა ხანში ტანკში ამოყო თავი, მერე როგორ ტანკში, ჯერ ისევ შეუმშრალი სალებავის სუნი რომ ასდიოდა, მუხლუხოები რომ ალმასებივით უბრწყინავდა, ზარბაზნის ლულა კიდევ აიქ რომ ჰქონდა გაშვერილი, აი, ხუთ მეტრზე.

ტანკსაც, ისევე როგორც ტრაქტორს, ჯერ სხვა ატარებდა, გიგო დამზმარე კაცი იყო, ერთი წლის შემდეგ კი თვითონ გიგოს დაჰყავდა და სხვები ეხმარებოდნენ, თან ისე უ[illegible]ოდა, მტვერს არ აკარებდა. ნაწილ[illegible]ეფრთსმა კამარქალს მადლობის წერილი მისწერა, — დიდ მადლობას მოგახსენებთ, პატივცემულო კამარქალო, გიგო რომ ასეთი კარგი ვაჟკაცი გაგიზრდიათო. წერილს სურათიც ჰქონდა დართული, გიგო ტანკთან იდგა საფეთქელთან ხელაწეული, გაჯგიმული, ტანკისტის ყურებიანი ქუდი ეხურა და იცინოდა. კამარქალს ტანკისა ეშინოდა. ადგა, სურათს [illegible] ისე გადაახვია, მარტო გიგოს [illegible] და მამამისის სურათის გვერდით მიამაგრა კედელზე. გიგოს მამა, ისიც სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, ნაღელიანად იყურებოდა, გიგო კი, რამდენჯერაც არ უნდა შეგეხედა, სულ იცინოდა.

არის გიგო ჯარში, აქ, ჩვენთან, საქართველოში. კამარქალს კიდევ მოსდის მადლობის წერილი, — ეს რა ბიჭი გაგიზრდიათ, თქვენი შვილიშვილი გიგოო! იწურება მეორე წელიწადიც, სადაცაა შინ უნდა დაბრუნდეს გიგო. კამარქალი ყველას ასე ეუბნება, — ნაშვიდნოემბრევს, ნაშვიდნოემბრევს გამოუშვებენო. შვიდ ნოემბერს კი, ვაჰ შემდეგ, რაც დიდი რიხით გაიარეს მთავარ ქუჩაზე ტანკებმა, ზარბაზნებმა და რაკეტებმა, როგორ მოხდა, რამ აფიქრებინა გიგოს, არ ვიცი, მისმა ტანკმა, მთლად მოულოდნელად, ვიწრო ქუჩისკენ შეუხვია. აიარა ის ვიწრო ქუჩა, მერე მეორე ვიწრო ქუჩა, — მისდევს გოგო-ბიჭობა ჭაყვილით და თავ-ჭირის მტვრევით, — მიადგა ერთ პატარა სახლს და მიუშვირა ზარბაზანი პირდაპირ ფანჯარას. ამოყო გიგომ ტანკიდან თავი, დაუძახა ერთ ბიჭს, რაღაცა უთხრა, გაიქცა ის ბიჭი, სახლის ეზოში შევარდა და მალე იქიდან ანიკო გამოიყვანა, — ანიკო უკვე თბილისში სწავლობდა და დეიდასთან ცხოვრობდა. უყურებს ანიკო ტანკის ლულში გაჯგიმულ, საფეთქელთან ხელმიტანილ ტანკისტს და ვერა სცნობს. როცა იცნო, — უი, გიგო, შენა ხარო! — ერთი ეს დაიძახა და ხელები უმწეოდ ჩაუშვა ძირს. მეტი არაფერი მომხდარა. გაუცინა გიგომ ანიკოს, ისევე ხელაწეულმა დაუკრა თავი გამოსამშვიდობებლად, ჩაიმალა ტანკში, მიატრიალა და წვიდა და წვიდა. მეტი არაფერი მომხდარა. იდგა ანიკო ცოტა ხანს გაღიმებული, მერე იქიდან შებრუნდა სახლში, მაგრამ ამის შემდეგ გიგოს სამი წლით დაავიანდა შინ ჩამოსვლა. როცა ჩამოვიდა, გიგო, რომ

ანიკო გათხოვილიყო, ბენზინის ჩამომსხმელ ბიჭს გაჰყოლოდა, — ცხოვრობსო, ცხოვრობსო, რომ სულ ერბო-კარაქში ცურავსო, ისეა გაფაშფაშებული, ფოფოდია გეგონებაო. ამან აფიქრებინა თუ რამ, ესაც არ ვიცი, გიგო აღარც ტრაქტორზე დამჯდარა, აღარც პანკისის ხეობაში წასულა მეარმატურედ. ერთი დიდი მშენებლობა ჩვენს რაიონშიაც იყო დაწყებული, ადგა და იმ მშენებლობის პატარა სავაჭრო წერტში ჩადგა. მაინც მგონია, გამდიდრება ენდოდა.

●

გიგო შარაულას პატარა წერტში ზის და ვაჭრობს. ყიღის პურს, მარილს, ასანთს, მაკარონს, ბრინჯს, კარაქს, კონსერვებს და სხვა ასეთებს. ხანდახან რაიონის კოლმეურნეობები კიტრით და პამიდორითაც ამარაგებენ. დილით ვაჭრობს უმთავრესად და საღამოთი. დანარჩენ დროს ან წიგნს კითხულობს, ან ნარდს ეთამაშება სოფლელ ბიჭებს. მოდიან მოცლილი, გაზარმაცებული კაცებიც, სხედან ქვებზე, აბოლებენ სიგარეტებს და თვალს ადევნებენ ამვლელ-ჩამვლელთ. თუ კარგი შესახედავი გოგო გამოჩნდება, გიგოსაც გასძახებენ, — გამოყავ თავი, ბიჭო გიგო, იქნებ რა თვალზე დაგინახოსო. მაგრამ გიგო გოგოებისკენ აღარ იხედება. ანიკომ ჩასწყვიტა გული, ანიკომ — ერბო-კარაქში რომ გორავდა ახლა.

ერთ დღეს კახეთის მხრიდან ორი დიდი ნაბანქანა მოადგა. წინა მანქანა, თვითმცლელი, უკანას გვარლით მოათრევდა. ის უკანა მანქანა სულ საზამთროებით იყო სავსე. საზამთროებზე ერთი მსხვილი კახელი კაცი იჯდა და საკოდავი გამომტყვეულებით იყურებოდა. ორივე მანქანის მძღოლები ძირს გადმოვიდნენ. საზამთროებიდანაც ჩამობობდდა კახელი კაციც. დადგნენ, რაღაცები ილაპარაკეს. ბოლოს კახელი კაცი გიგოსთან მივიდა და უთხრა, — შვილო, კეთილო ბიჭო, საზამთროს ნოდარ მიიღებ, იფიდ მოგცემო. გიგომ ეგ მიხვედრილიყო — საზამთროებით სავსე მანქანას ძალიან უჭირდა, წინა მანქანა, თვითმცლელი, რომელიც კირით იყო სავსე, თბილისამდე ვერ ჩაათრევდა. შეწუხდა გიგო. მაგრამ მაინც უთხრა, —არა, ვერ მივიღებო. მაშინ კახელმა კაცმა ქუდი მოიხადა, ხალათის სახელო გაისვა შუბლზე, უმწეოდ მიმოიხედა აქეთ-იქით, ამოიოხრა. ისევ დაიხარა, შეეეედრა გიგოს: — აიღე, მიხსენი ამ ხათაბალიდან და მთლად იაფად მოგცემო. შეებრალა გიგოს ის კაცი.

— როგორ მომცემ კილოსო?

— ოცდაათ კაპიკად. ორმოცდაათად ვისაც გინდა დაარტყა თავში, ყველა წაიღებსო.

იფიქრა, იფიქრა გიგომ. უფრო შეებრალა ის სპილენძისფრად გადალაპლაპებული კაცი, — ცოტა მომიცადეთო, — წავიდა, კოლმეურნეობის კანტორაში შევიდა, ცოტა ხანს იქ იყო, მერე გამოვიდა და შორიდანვე დაიძახა, — ჩამოცალეთო.

თან მანქანას სცლიდნენ, თან სწონიდნენ დიდ სასწორზე. სამ ტონაზე მეტი გამოვიდა. კახელმა კაცმა სამ ტონად უანგარიშა, ზოგი ფული თვითონ ჰქონდა გიგოს, ზოგი ისესხა, ჩაუთვალა ცხრაასი მანეთი კახელ კაცს და გაუშვა ისიც და მანქანის მძღოლებიც. ლოცავდა კახელი კაცი, სულ ცისკენ იშვერდა ხელებს.

გამოთალა გიგომ ჯოხი, წაუმწვეტა, გაუპო თავი, შიგ ქაღალდი ჩაჭედა, რომელზედაც „60 კაპ." ეწერა, ჩაასო წვერით ერთ საზამთროში და დაჯდა კმაყოფილი.

ზის გიგო, გუნებაში ანგარიშობს; კილოზე ოცდაათი კაპიკის მოგებით ცხრაასი მანეთი ნაღდი მოგება მიდევს ჯიბეშიო. იგოროს ანიკომ ერბოში და კარაქში, არც გიგოა არავისზე ნაკლები ბი-

---

რევაზ ინანიშვილი
უიღბლო გიგო

ჭი! ზის გიგო, ელოდება მუშტარს. ჯერ ძალიან ცხელა, გადაგრილდება და მაშინ დამესვიანო. გადაგრილდა, მართლაც, მოვიდნენ, კაცებიც და ქალებიც. სამოცი კაპიკი იძვირეს, განსაკუთრებით ქალებმა. არჩიეს, უტყაპუნეს საზამთროებს სილები, კაცებს მიჰქონდათ ყურთანაც, უჭერდნენ ხელებს, — კი ხმა არა აქვსო. — კი ხმა რა, ტალგაუკოვი კი არა ზის შიგ თავისი დუდუკითო, — ვითომც ხუმრობდა გიგო. ბოლოს ყიდულობდნენ უგემური გამომეტყველებით, თითო კაცი თითოს.

პირველ დღეს ას კილომდე გაყიდა, მეორე დღეს—სამოცდაათიც ვერა. მესამე დღეს — ორმოცდაათი. გააიფა გიგომ, ორმოცდაათი კაპიკი გახადა. ცხელა, ცხელა, ლამისაა ქვა აადუღოს სიცხემ. საზამთრო რა დღეში იქნება, მიხვდებით, ვერც ზემოდან წაფარებული ბალახი შველის, ვერც ნაბადი. გააიფა კიდევ „40 კაპიკი" დაიწერა. იყიდება, მაგრამ განა რამდენი საზამთრო უნდა გაიყიდოს ერთი ბეწო სოფელში ან მშენებელ მუშებში! მშენებელ მუშებს რა ესაზამთროებათ, მუშობენ. გააიფა კიდევ, ოც კაპიკამდე ჩამოიყვანა კილო, ორი ტონა მაინც გასაყიდი აქვს. ჩამოაფასა 10 კაპიკამდე. ცხელა, ცხელა. საზამთრო მაინც არ იყიდება.

და, აი, ერთ დღეს რა ხდება! გავარდა სოფელში ხმა, — გიგო უფასოდ იძლევა საზამთროებსო. გამორბოდნენ სოფლელი და მშენებელთა ბავშვები გიგოს წერტილკენ. წერტი დაკტილია. ბაღლები კი ზოგნი საით მიაგორებენ საზამთროებს, ზოგნი საით. მიუხუტეებიათ გულზე, ზოგს ორ-ორი, ზოგს სამიც. უცვივდებათ, სკდება საზამთროები, მიდის წითელი წვენი, ეხვევა ფუტკარი და ბუზი, ათქლაფუნებენ ღორები. გიგო კი უფროსებთან დგას და გადაჭრით ამბობს, — ჩემგან ვაჭარი არ გამოვა, ჩემგან დუქნის კაცი არ გამოვა. წამოდით, წერტი ჩაიბარეთო. წავიდნენ, ჩაიბარეს. ექვსასი მანეთი დააკლდა. კიდევ კარგი, რომ დაიფარინეს, ესე იგი, ფული გადაახდევინეს და არ დაიჭირეს.

ის დღე იყო და ის დღე, გიგოს დასაბნახავად შესჯავრდა დუქნებიც და საზამთროებიც. ზაფხულში, ბაზარში რომ შევა, საზამთროების რიგისკენ გახედვაც არ უნდა, ჯამით ხომ აღარ ჭამს და აღარ ჭამს.

●

ცოტა ხანს შინ არის გიგო, დიდედა კამარქალთან, სულ ეზოში ტრიალებს, აშენებს — ხან საქთმეს, ხან საღორეს, ხან ბაღის ყორეს. ზის სახლის სახურავზე და სცვლის გატეხილ კავებს და კრამიტებს. ნეტარებით შესცქერის კამარქალი და ნანინასავით წამღერებით ამბობს, — გამიმრავლდი და გამიხარდი, შვილო! შენი მშობლების დანაკლისი დღეები ორმაგად შეგემატოს! დასხდებიან ერთმანეთის გვერდით, კამარქალი და გიგო, არჩევენ ლობიოს ანდა ბუმბულს და ლაპარაკობენ. კამარქალი ამბობს:

— თვალჭრელსა და იდაყვწვეტიან ქალს ერიდე, გიგო. თვალჭრელი და იდაყვწვეტიანი ქალი გუნებაჭრელი და ენაწვეტიანიც არის, შვილო, ენა ნესტარივით აქვს, სიცოცხლეს მოგიწამლავს.

— ყველას ვერიდები, დიდედ, ყველას. — ღიმილით ეუბნება გიგო.

— ყველას რათა, შვილო, — შეწუხებული შეაჩერდება კამარქალი — ყველას მოსარიდებელი რა გჭირს?

გიგო იცინის, იცინის, კუჭკუჭებს გემრიელად. კამარქალი საქმრჩეზე დაადებს დამჭკნარ ხელს, — ან, თმა შეგითხელდა, ეხლა ერთი კარგი ჯანიანი გოგო შენა, რომ გამრავლდე და გამოგადგეს და მერე მშვიდად ჩავალ სამარეში.

გიგო ჰპირდება, — უეჭველად, დიდედ, უეჭველადო, — და სხვა რაღაცაზე გადაიტანს საუბარს.

სექტემბერში გიგო ისევ სამსახურში ჩადგა. ტყეში დგას ორი დიდი ვაგონი, ვაგონის მსგავსი ტრანსფორმატორი, იმ ტრანსფორმატორებს ყარაუ-

ლობენ და მათი მოწყობილობების მუშაობას აღევნებენ თვალს. ორნი არიან — გიგო და ნიკო. ერთ დღე და ღამეს გიგო და ნიკო მორიგეობენ, მეორე დღე და ღამეს — აბრია და შაკრია. უდგათ ჩარდახში გასაშლელი საწოლები, წვანან ზედ, გასაკერიან მთებსა და ცას და ლაპარაკობენ. რას ლაპარაკობენ? იი, მარტო ერთ დღეს რასაც ილაპარაკენენ, ერთ დიდ სქელ წიგნშიც კი არ ჩაეტევა. საათში ერთხელ წამოდგებიან, ტრანსფორმატორებს შემოუვლიან, მოწყობილობებს დაათვალიერებენ, მრიცხველებს მაჩვენებლებს ჩაიწერენ და ისევ დაწვებიან, ისევ ლაპარაკობენ, გიგო ამბობს — ამაზე კარგი სამქმე მეორე არ იქნება ქვეყანაზეო. ჰაერი კარგი, ტყის ხილი — კარგი, იწექი და იყავიო. ნიკოს ქალაქი ურჩევნია, ქალაქისკენ მიუწევს გული, — თუნდაც ერთ გოგოს შეხედე, თუნდაც მეორეს, ვინ გიშლისო. ნიკომ ჩონგურის დაკვრა ი სიმღერაც იცის. როგორც კი ველს იქით, ბილიჯზე, ვინმე ფერადკაბიანი გამოჩნდებოდა, სწრაფად აიღებდა ჩონგურს, ჩაუბღარტუნებდა თითებს, მოიღერებდა ყელს და დაამღერებდა:

ნეტავი, გოგო, მე და შენ ყანები მოგვცა ზიარი,
შიგ მე და შენა შეგვლალა, ყანა თუნდ დარჩეს ტიალი.

იმოდენა ხმითა მღეროდა, იმ ფერადკაბიანს უეჭველად გაეღიმებოდა და ნიკოსკენ ცალი ხელით ქოქოლასაც გადმოჰყრიდა.

იქვე, ცოტა მანძილზე, კოლმეურნეობის კარგად დატაროებული სიმინდები იყო. გიგო და ნიკო რომ ცეცხლს დაანთებდნენ, სიმინდის ტაროებსაც აუყენებდნენ შიშხინსა და ტაკატაკუცს, იფშვნიდნენ მერე შემწვარ სიმინდს მუჭაში, უძახებდნენ პირში და ხანდახან ცოტ-ცოტა თეთრ, გრილ ღვინოსაც აყოლებდნენ. ძალიან უხდებოდა შემწვარ სიმინდს გრილი თეთრი ღვინო.

ერთ დილას სიმინდებში კამეჩი დარბოდა. წავიდა გიგო, გაიგდო. გავიდა ცოტა ხანი და ისევ შემოამბარ-ამბარ სიმინდებში. წავიდა გიგო [illegible] შორს გაიგდო, მაგრამ ნაშუადღევს ისევ ატეხა კამეჩმა სიმინდების ლაწლაწი. ეს ხომ ამაღამ მთლად გაანადგურებს ამ სიმინდსო, დაიჭირა გიგომ კამეჩი, თოკი არ ჰქონდა, ელექტროშნური დაიორპირა, მოსდო რქებში და ამით მიაბა ხეზე. იქ იყო ის კამეჩი მთელ საღამოს, მერე მთელ ღამეს. არ იქნა და არ გამოუჩნდა პატრონი. დილით წავიდა კამეჩთან გიგო, გულმა რაღაც ცუდი რეჩხი უყო, მივიდა, ნახა, — გაბერილა კამეჩი, ფეხები მაღლა აქვს აშვერილი, თვალები თეთრად გადმოტრიალებია. როგორ შემოიხვია შნური ყელზე, წასჭირებოდა ის შნური საწყალს და გაგუდულიყო. გიგომ დანა ამოიღო და შნური ფათიფუთით გაკრა, დაუწყო კამეჩის თავს გადაწევგადმოწევა, და სწორედ ამ დროს წამოადგა პატრონი — კოსტა ოსი. რომ ნახა კოსტამ, რა დღეშიც იყო თავისი კამეჩი, ეცა გიგოს და წაუჭირა ყანყრატოში ხელი. კიდევ კარგი, რომ გიგომ ღონით აჯობა კოსტას, წამოიღო მოგვერდით და გააკრა მიწას. მაგრამ კოსტა ხელს მაინც არ უშვებდა, ისევ ყანყრატოში წვდებოდა. მოვარდა ნიკოც. მოცვივდნენ სამუშაოზე მიმავალი მშენებლებიც, ძლივს გააშველეს მოჩხუბრები.

კოსტა ოსმა სასამართლოში უჩივლა გიგოს. სასამართლომ ოთხასი მანეთი დაწერა გიგოს, ესე იგი, ოთხასი მანეთი უნდა გადაეხადა კოსტასთვის. ოთხასი მანეთი ერთად სადა ჰქონდა გიგოს, მარტო ორასი მანეთი მისცა ხელზე, დანარჩენს ხელფასიდან უქვითავდნენ. ის იყო უკანასკნელი ოცი მანეთიც დაუკავეს და ახალი ფათერაკი შეემთხვა.

რევაზ ინანიშვილი
უილბლო გიგო

გიგოს ძალიან უყვარს წყალი, მდინარის წყალიც, — ის რომ საბანაოში ჩავა, ამოსვლა აღარ უნდა ხოლმე მაღლა, — წყაროს წყალიც. აიღებს სურას და სულ ღიღინ-ღიღინით მიდის ბუდღუჯა წყაროზე. ეს ბუდღუჯა წყაროო მიწიდან ამოჩუხჩუხებს, თანაც იმდენი, წისქვილის ქვას დააბრუნებს. მივა გიგო, მიუჯდება პირღიმილიანი, ჩაჰყოფს შიგ ხელებს, ალაღლაღებს, გაუცივდება ხელები, გაიცინებს სიამოვნებით და შეისხამს სახეზე. იდგაფუნებს, იჭყუმპალაველებს ასე, მერე აავსებს სურას და კმაყოფილი წამოვა.

გზად მშენებელთა პატარა დასახლებაა — თეთრი ბარაკები, თეთრი პატარა სახლები, მიქოხილ-მოქოხილი საღორე-საქათმეები. ჩაიარა ერთხელ გიგომ და ერთი ბარაკიდან ბავშვის ჩაბქირებული ტირილი მოესმა, ამოიარა — ისევ ჩაბქირებით ტიროდა ის ბავშვი. ჩაიარა ორი დღის შემდეგ, ტირის ბავშვი, ამოიარა — ისევა ტირის. დგას ღია ფანჯარასთან ახალგაზრდა დედა, აქანავებს აქეთ-იქით მკლავებზე გადაწვენილ ბავშვს, ნანას ეუბნება, კატებით და ტურებით აშინებს, მაგრამ ბავშვი არ ჩუმდება, ტირის, ტირის. მივიდა გიგო ფანჯარასთან და ჰკითხა ახალგაზრდა დედას:

— ჩემო დაო, რათა ტირის ეგ ბავშვი ეგრე?

— რა ვიცი, ძმაო, აი, ასე ვართ გაწამებულები, დღისით არის ტირის, ღამით არის ტირის, აღარ ვიცით, რა წყალმა ჩავცვივდეთო.

— ბიჭია თუ გოგო?

— ბიჭია, ამას მოუკვდეს დედა.

გიგო ხომ კამარკალის შვილიშვილია, კამარკალმა კი რის წამალი აღარ იცის! მოიფხანა კეფა გიგომ, დაფიქრდა და ისევ იკითხა.

— დამწვარი ქაღალდის ფერფლი ხომ არ დაგილევინებიათ

— დავალევინეთ.

— სუფთა ნახშირი?

— ეგაც დავალევინეთ.

— ყურში ქაფური ან სპირტი ხომ არ ჩაგიშვიათ?

— ერთიც ჩავუშვით, ერთიც.

მაშინ გიგომ კვლავ ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ თქვა:

— კატაბალახას ფესვები უნდა მოუდუღოთ, ის დაალევინეთ და ბავშვიც მოისვენებს და თქვენცაო.

ახალგაზრდა დედას გაგონილიც კი არ ჰქონდა კატაბალახა, არ იცოდა არც მისმა დედამთილმა, შავმა, ყორანივით ქალმა. მე მოგიტანთო — გიგომ. აარბენინა წყალი ქვესადგურში, ნიკოს უთხრა, ესეა და ესე საქმე, მალე მოვალო, წაიღო ბარი, სადღაც გადაკარგულში იპოვა კატაბალახა, ამოიღო, გაუსუფთავა ფესვები, მიუტანა ახალგაზრდა დედას. ახალგაზრდა დედამ დიდი მადლობა მოახსენა, ისეთი მადლობა, რომ ცრემლები მოადგა თვალზე. იმ ცრემლებმა და აკანკალებულმა წვრილმა გრძელმა თითებმა თავგზა აუბნიეს გიგოს. ეს კი უთხრა, როგორ უნდა მოეხარშათ ფესვები, მაგრამ იმის თქმა დაავიწყდა, რით უნდა დაელევინებინათ და რამდენი. უფრო სწორედ — ეგონა, ეგეც ვუთხარიო. იყო ფიქრიანად იმ საღამოს. ვეღარ მოუთმინა გულმა, ადგა, ღამით ჩაიარა ბარაკებისაკენ, აბა, ტირის თუ არა ბავშვი. ბარაკებში სიწყნარე იყო, ახალგაზრდა დედას და მის ყორანივით შავ დედამთილს სინათლე ჩაექროთ. იდგა, იდგა. მერე წამოვიდა, დაწვა, ტკბილად დაიძინა.

შედარებით გვიან გაიღვიძა, ჩანაწერები ნიკოს გაეკეთებინა. აიღო სურა, გაიქცა წყაროზე. კვლავ სიჩუმე იყო ბარაკებში. გაუხარდა, ჩემმა წამალმა გასჭრა, ახალგაზრდა დედის მადლი მოვისხიო. მთელ დღეს კარგ გუნებაზე იყო, — მიუხედავად იმისა, რომ აბრიას და შაქრიას მაგივრადაც მორიგეობდნენ, — დანიწუვარაობა ეთამაშა ნიკოს, თორმეტჯერ აგლეწინა გოჯისოდენა პალო მიწიდან კბილებით. მხოლოდ ერთხელ მოუგო ნიკომ. აიღო ის

გოჯისოდენა პალო ახლა იმან, სულ ჩაკარგა მიწაში დანის ტარის სამი დარტყმით. ამოუტარა საცხვირე, კბილები რომ მიეყენებინა გიგოს პალოსთვის. დაწვა გიგო, ჩაყო საცხვირეში ცხვირი, ცდილობს, ისე მოსდოს პალოს კბილები, მიწა არ შეაყოლოს და ამ დროს ესმის:

— წამოვიდეს, წამოვიდეს და თვითონ მიხედოს იმ ყმაწვილს, თორემ თვალებს ამოვჩიჩქნი ფრჩხილებითო.

გაიხედა შემკრთალმა გიგომ და ახალგაზრდა დედის ყორანივით შავი დედამთილი დაინახა. თურმე დაუძინია ბავშვს, სამხრობა გადავიდა და ჯერაც ვერ იღვიძებს, უგრძნობლადა წევსო.

— რამდენი დაალევინეთ? — ჰკითხა მიწაზე წამოჯდარმა გიგომ.

— რა რამდენი! ერთი პატარა ჭიქა, წამოდი და შენ თვითონ მიხედე იმ ყმაწვილს, თორემ ქვეყანას თავზე დაგცემო.

გიგო წამოხტა და გაიქცა, მაგრამ ბარაკებისაკენ კი არა, ექიმთან გაიქცა. მთელი დასახლება უკვე ბავშვს დასცოდა. ექიმმა გასინჯა, ნუ გეშინიათ, ნუ სწიოკობთო. ბავშვს ნემსი გაუკეთა. ბავშვმა შებინდებულისთვის გაიღვიძა, მაგრამ რა — გიგო კაცად აღარ ვარგოდა. წარმოუდგებოდა ახალგაზრდა დედის ლამაზი, იმედჩამქრალი თვალები და ჭირის ოფლს ასხამდა. ორიოდე დღე მაინც კიდევ გასძლო ქვესადგურში, მერე ნიკოს უთხრა, — იმ გოგოს თვალებს ვეღარ ვუძლებო.

— ვინ გოგოს თვალებს, ბიჭოო.

— აი, ყმაწვილის დედისას.

ნიკოს გაუკვირდა. გიგომ კი აიკრა თავისი გუდა-ნაბადი და წავიდა.

კვირის თავზე, ზევით, მდინარის საგუბარ კაშხალზე იჯდა და დაფიქრებული ჩასცქეროდა წყალს.

●

კაშხალი მთებშია. აქ მართლა მარტო ყარაულები არიან. გიგოა ყარაული და ერთიც ჟეპოტელი ბიჭი — ლეგო. ერთ კვირას გიგო და ლეგო ყარაულობენ, მეორე კვირას — ოსები, ოთუ და ფუალი ბო. ზაფხულში კიდევ ჰყავთ ხელოვანი ცემები, ან სათევზაოდ ამოდიან საგუბარზე, ან სანანაოდ, ზამთარში ცივა, ცივა, მწუხარე ნისლებია ჩამოწოლილი, თითქოს იმ ნისლებს გაურბიან, მიჰქრიან თავიანთ გზაზე ავტომობილები, გიგოს და ლეგოს კი უნთიათ ღუმელი (მე შენ გეტყვი, შეშას ვერ იშოვნიან იმოდენა ტყეებში!), ხალავენ ჭრელუმზირას და აკნაწუნებენ, აკნაწუნებენ; ერთი პატარა რადიომიმღები აქვთ, უსმენენ იმ რადიომიმღებით ქალაქურ სიმღერებსაც და არიან.

კვირა საღამოს, მეორე კვირამდე, გიგო შინ მიდის. დიდედა კამარქალი დაბერდა, მაგრამ მაინც ყოჩაღად არის. გიგოს რომ დაინახავს, მაშინ ხომ მთლად გაახალგაზრდავდება. ერბოკვერცხს მოუწვამს, მწნილს ამოუღებს, ღვინოსაც დაუდგამს. ჭამს გიგო, ცოტ-ცოტას აყოლებს ღვინოს და მშვიდად უსმენს კამარქალის შეგონებებს, — აღარც შენზე დიდი ვარგა, გიგო, და აღარც პატარა. ეხლა ოჯახს უნდა მოეკიდო, შვილო. გოგო ჰყოლიათო ვარდიშვილებს, გოგო, რომ ნეტავ ორი თვალი კიდევ მომცა და ისე მაყურებინაო. ამასწინათ მამიდამისმა შემომპარა სიტყვა, რატომ არა ნიშნავ შენს გიგოსაო. თან ისე კეთილად უღიმოდა თვალები, აშკარა იყო, ალალმისთვისო ჩვენი გოგოო. კუჭუჭებს გიგო ჩუმად და ღუნავს თავს. მერე, მეორე კვირის შუადღეზე, გადაკიდებს ჩანთას, აიღებს შინდის სწორ ჯოხს და მიდის ისევ კაშხალზე.

ეგრე გადის ერთი წელიწადზე მეტი. ერთ დღეს კი, დეკემბერში, ორი ბიჭი ამოდის შარაულადან, — იასონა მოკვდა, გაბიდაური, შენც ხომ კარგად იცნობდი, გიგო, თევზი გვჭირდება ქელეხისთვის და უარი არ გვითხრა, დაგვჭირეო. გიგომ ლოყები დაბერა, ჩაი-

რევაზ ინანიშვილი
უიღბლო გიგო

სუნთქა და დიდხანს აღარ ამოუსუნთქია, ბოლოს, როგორც იქნა, თქვა, — ჭორწყლისთვის რომ გინდოდეთ, ვერ მოგცემდით, მიცვალებულზე უარი როგორ გითხრათ, ხვალ დილას ამოდით, რასაც დავიბერთ, აქ იქნებაო. ჩასხდნენ ის ბიჭები თვითმცლელში და წავიდნენ. გიგოს და ლეგოს იმ დღეს არაფერი უღონიათ, მეორე დღეს კი, ის იყო ლურჯად გათენდა, რომ მაღალი ძაბვის გამტარებს ჭოკით ჩამოჭკიდეს ორი მავთული და ის მავთულები საგუბარში ჩაუშვეს. მავთულების ჩაშვება იყო და ატყდა ჩხაჩჩხაი და შხაპაშხუბი წყალში. თეთრად ამოიფინა წვრილი თევზი ზედაპირზე. მალე წვრილებს მსხვილებიც ამოჰყვნენ. ის იყო უნდა ჩამოეხსნათ კიდეც მაღალი ძაბვის გამტარებზე ჩამოკიდებული მავთული და ზედ კაშხალზე ერთი ტალახით გაწყნწული „ კოლხოზნიკი" გაჩერდა. გადმოვიდა ტანსრული, ილია ჭავჭავაძეს რომ წვერი ჰქონდა, ისეთი წვერიანი კაცი. შეხედა მავთულებს, მერე წყალს, — უხ, თქვე ყაჩაღებოო, თქვე ყაჩაღებზე უარესებოო! მოუქნია ლეგოს ხელი, ლეგო დაიკუზა, გაიქცა, გაიქცა გიგოც. შეცვივდნენ ტყეში და იქიდან იყურებოდნენ. გადმოვიდა მანქანიდან ტანასხლეტილი ახალგაზრდაც, იმ ახალგაზრდას არ დაანება, წვერიანმა თვითონ ჩამოხსნა გამტარებზე დაკიდებული მავთულები ჭოკით. იმავე ჭოკით ნაპირთან მიითრიეს რამდენიმე თევზი, ჩაყარეს ის თევზები მანქანაში, ჩასხდნენ თვითონაც, წვერიანმა იქიდანაც გამოყო ხელი, დაემუქრა გიგოს და ლეგოს მუშტით და წავიდნენ.

გიგომ და ლეგომ როდის-როდის გაბედეს ტყიდან გამოსვლა, უყურებდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ გიჟებივით. წყალმა წაიღო იმოდენა დახოცილი თევზი.

ამოვიდნენ შარაულელი ბიჭები, უთხრეს, ესე და ესე მოხდაო. შემოეყარათ დარდი შარაულელებს, — აბა, რა ვქნათო. თქვენ რა უნდა ჭქნათ, თქვენ ჯერ წყალს დაუყევით, მანდაც იქნება თევზი ნაპირებზე გამოტანილი, თუ ის არ გეყოთ, ცოტასაც ქალაქში იყიდით, თქვენ ჩვენი თქვითო, ჩვენ [illegible] ვცდებაო. წავიდნენ ის [illegible] ნენ წყალს.

გიგო და ლეგო კი დასხდნენ და დაუწყეს თავიანთ ბედს ცდა.

დაიწყო თოვა, ისე ჩამობარდნა, ღამღამობით ზემოთ, ტყეებში მგლებიც კი აყმუვლდნენ.

მერე ერთ დღეს გამოიდარა, მზემ გამოანათა, თოვლმა დნობა დაიწყო. ზედ იმ დღეს ამოვიდა რაიონიდან გამომძიებელი. ნელა გადმოვიდა მანქანიდან, სათამაშოსავით მოიქნევდა გრძელყურიან პატარა ჩანთას. — თქვენა ხართ ამ კაშხალის მცველებიო? — დიახ, ჩვენა ვართო, — მიუგეს გიგომ და ლეგომ. გამომძიებელი ღუმელს მიუჯდა. — თქვენზე საჩივარია შემოსული, აკადემიკოსი ესა და ეს გიჩივით, დანაშაულებრივ თევზჭერას ეწევით თქვენ.

— როგორ გეკ... — დაიწყო ლეგომ.

გამომძიებელმა მკაცრად შეხედა.

— ეგენი არ იყოს. კაცი თვითონ დაგადგათ თავზე და ერთ-ერთ თქვენგანს იმისი ალიყურიც მოხვდა ყბაში.

— არ მომხვედრია. — წამოიძახა ლეგომ.

— ჰო, არ მოგხვედრია. კარგი. აკადემიკოსმა თქვენ მიერ დახოცილი თევზებიც წარმოადგინა, როგორც ნივთმტკიცების საბუთი.

ლეგომაც და გიგომაც მორჩილად დახარეს თავები.

უყურა გამომძიებელმა, უყურა და ბოლოს თქვა:

— საციხედ მენანებით, კაი ბიჭები სჩანხართ, ამჯერად ორმოცდაათ-ორმოცდაათი მანეთით დაგაჯარიმებთ. თქვენთვის ორმოცდაათი მანეთი არაფერია. თქვენ აქ კაი ფულს აკეთებთ თევზით.

ლეგომ თავი ასწია:

— რასა ბრაძანებთ!

— ხმა! კრინტი!

ლეგომ ისევ ჩაღუნა თავი.

— ახალწლის წინადღეს ხუთ კილო

ფიჩხულსაც, არც მეტს, არც ნაკლებს, მოხარშულს, კარგად შაბში, ლასტზე გამშრალს, თქვენი ხელით ჩამომიტანთ რაიონში, თუ არ გინდათ, რომ ვირის აბანო გახეხინოთ ორივეს.

— პატივცემულო, — ისევ წამოსწია თავი ლეგომ.

— ხმა! კრინტი! თორემ ვირის აბანო მოუთმენლად გელით.

ადგა გამომძიებელი, გავიდა გარეთ, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა.

ლეგომ და გიგომ ერთმანეთს გადახედეს.

— ფული როდის უნდა გადავუხადოთ?

— ნუ შესწუხდები, ხელფასიდან დაგიკავებენ, — გაეღიმა გიგოს, —ჩემი ბრალია ყველაფერი. მე გადავიხდი შენსასაც.

— რას ამბობ, რასაო, — შუბლთან ხელი გაუჭნია ლეგომ.

დაუცადეს ოცდაათ დეკემბერს. გათენდა ოცდაათი დეკემბერი. თოვლია, ჰყინავს. გამოვიდნენ ლეგო და გიგო საყარაულოდან. ჩამოჰკიდეს ჯოკით მაღალი ძაბვის გამტარებზე მავთულები. ჩაუშვეს წყალში ის მავთულები. ატყდა წყალში ჩხაჩხაპი და ტყლაშუნი, ის იყო უნდა ჩამოეხსნათ მავთულები და მოესვათ ხოლეხი, რომ გაჩერდა ზედ კაშხალზე კვლავ ის „კოლხოზნიკი". გადმოხტა წვერიანი კაცი, გადმოხტა ახალგაზრდაც.

— ბანდიტებო, ყაჩაღებო, ქვეყნის მძარცველებო! — მორბოდა მუშტმოღერებული წვერიანი კაცი.

ჰკრეს ფხაჯი გიგომ და ლეგომ, სულ კეფაში ირტყამდნენ წიხლებს, კვლავ ტყე-ღრეს შეაფარეს თავი, ერთმა აქეთ, მეორემ — იქით.

ლეგო ნაშუადღევს ჩამობრუნდა კაშხალზე. გიგო ღამითაც არ გამოჩენილა, არც იმ ღამით, არც მეორე, მთელ თვეს. ზოგნი ამბობდნენ, მგლებს შეუჭამიათ საწყალი გიგოო, ზოგნი ამბობდნენ, მილიციას ჩაბარებია და ორი წლის ციხე მიუსჯიათო. ვიღაცამ ესაც თქვა, ერთი ბერძნის დედაკაცი შეუერთავს და არის იმასთან თბილად, და კოტტადო.

ერთი თვის შემდეგ კამარქალს წეროლი მოუვიდა ჭიათურიდან, — აქ, ჭიათურაში ვმუშაობ, დიდედ, ძალიან კარგად ვარ, დარდი ნურაფრისა გექნება, შეიძლება ამას იქითაც კი წავიდე და დარდი არაფრისა გქონდესო.

ჩაიმდუღრა კამარქალი, მაგრამ რაღას იზამდა, — ოღონდ ცოცხალი იყავი, შვილო, ოღონდ ვიცოდე, რომ სული გიდგას და სადაც შენ გინდა იქ იყავიო.

●

ამ წერილის მიღების შემდეგ ათ წელიწადზე მეტი გავიდა. გიგო სულ საღღაც არის, სულ საღღაც.

ზარშანწინ, შემოდგომაზე, სოხუმში შემხვდა. მოლად გამელოტებულიყო, მუცელიც წამობრდომდა, მაგრამ თვალები ისევ ისეთი ჰქონდა, — ცისფერი-ცისფერი, კეთილი და სიღრმეში რაღაც დარდმიმალული. — ეს რა არისმეთქი ბიჭო, — თითი ვატაკე მუცელში. — შენაო, შენ რაღას დამსგავსებიხარ, რას ჩამოგიშვია დიდკაცური ღაბაბიო. ვუყურებდით ერთმანეთს და გვეცინებოდა. წავედით, სახინკლეში შევედით, ხუთ-ხუთი ხინკალი შევჭამეთ, მეტი ვერა, თითო ბოთლი ლუდი დავაყოლეთ. მე გიგოსი მარტო ის გავიგე, ცოლ-შვილი ჯერაც არ ჰყოლია. — მე ცოლ-შვილს შემნახავი კაცი ვარ, ბიჭოო?! — რატომ-მეთქი, კაცო, რატომ? იცინოდა, კუჭაუჭებდა თავისებურად და იჩეჩავდა მხრებს... გეოლოგებთან უმუშავნია, იმ ხანებში ავადმყოფასთან მდგარიყვნენ. — დიდედა კამარქალი კარგად არის, მაგრამ ჩვენს ეზო-ყურეს აღარ შორდება, სულ იქ მელოდებაო, — უიღბლობებისა და ფათერაკების ამბები როგორ არის-მეთქი.

რევაზ ინანიშვილი
უიღბლო გიგო

ამაზეც ჩაკუჭკუჭდა და თვალი მომარიდა. ეტყობოდა, არანაკლები ამბები გადახდა კიდეე, მაგრამ არაფერი უთქვამს. არც დრო გვქონდა ეგეთი მასლაათისთვის. მეც გზად ვიდექი, ისიც. გადავკოცნეთ ერთმანეთი და დავშორდით.

კამარქალი ოთხმოცი წლისაზე მეტისაა. გამოვა, სახლის კიბეზე დაჯდება, დაეყრდნობა თავკაუჭა ყავარჯენს ხელებითა და ნიკაპით, გაიყურება შორს და არის ეგრე გაშტერებული. კამარქალმა იცის, რომ დედამიწა მრგვალია, ამიტომ დიდი იმედი აქვს: ახლა ხომ დასავლეთშია გიგო, სულ მიდის, მიდის. ივლის ასე, ივლის, შემოუვლის დედამიწას (ვაჟკაცია ფა, უნდა შემოუაროს, ბაბა!) და მერე ერთ მშვენიერ დღეს აღმოსავლეთის მხრიდან, გადაბმულიანთ თუთის ქვეშ გამოვლით, კვლავ დაბრუნდება შინ და შორიდანვე გამოუღიმებს დიდედას.

ხელი მოუმართე გიგოსაც და კამარქალსაც, ღმერთო!

გიგოს სხვა უიღბლობებისა და ფათერაკების ამბებს, ადრე თუ გვიან, მაინც შევიტყობ და იმათ მაშინ გიამბობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა

მე კარგად ვიცი, საიდან მოველ,
მე კარგად ვიცი, საითაც წავალ,
მე ჩემი მწვანე ველები მთხოვენ
და კიდეც მივცემ საჭირო წამალს.
ძალიან ბევრი ვიარე გზებზე,
ძლივს გადავურჩი გაბასრულ მახვილს
და ახლა ისევ ავდექი ზეზე,
რომ კვალში გავყვე ეპოქის ძახილს...
როგორც კი ვიგრძნობ უხეშ და ცივ
ხელს
ველარ ვიოკებ ქუხილის წყურვილს
და ჩემი რწმენის მაღალი ციხე
თითქოს ირღვევა მჭექარე ჭურვით,
მინდა აღვივსო გიგანტის ძალით,
მინდა აღვივსო რწმენით და
რისხვით,
როგორც მღვრიე და უბრალო
წყალი,
რომ არ დაღვარონ ცრემლი და
სისხლი.

ძალიან ხშირად შევყურებ ზეცას
და ჩემი ციხის მოჭიქულ აგურს;
დიდი ხანია მშვენივრად ვიცი,
რომ ყველაფერი ეხება ამ გულს.
ბევრჯერ უუფუნა წვიმა მომინდა,
როცა უჭირდა ჩემს დედა-მინდორს
ახლა მსურს დიდი თოვლი მოვიდეს
და იმედივით ველებზე იდოს...
მე არასოდეს არ მომწყინდება
მინა, რომელიც მკვებავს და
მათბობს,
არვის ეგონოს, ჩემი მინდვრები
ცოცხალი თავით როდისმე დავთმო.
მზეა ამ რწმენის გამომჭედელი
და მტკიცე არის როგორც გრანიტი
ჩემი დარბაზის ოთხი კედელი
გადახურული ლურჯი კრამიტით...
მე კარგად ვიცი, საიდან მოველ,
მე კარგად ვიცი, საითაც წავალ,
მე ჩემი მწვანე ველები მთხოვენ
და კიდეც მივცემ საჭირო წამალს.

„თანამედროვისათვის ზოგჯერ რა-
ოდენ ძნელია მის ოვალწინ მომხდა-
რი მოულენის მთელი სიდიადის
წარმოსახვა".

ნ. ბიხონოვი

დღევანდელ დღეზე, ხვალინდელ
დღეზე
ასი წლის შემდეგ იტყვიან მართალს,
და მომავლისკენ გასაბმელ ძაფებს
ახლა, ამ წუთში ვიღაცა ართავს.
ყველგან მზესავით ბრწყინავდეს
უნდა
ქედმოუხრელი, ამაყი სული,
და მეჩვენება რატომღაც მუდამ
რომ დღევანდელ დღეს ვერა
ვგრძნობთ სრულად.

ჩვენ ვზეიმობდით გრიგალშიც მაისს,
არ გავტყდით, ვდგარეთ თუმცა
სისხლის ზღვები...
„ო, მომავალო, შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან
სხვები..."
დღევანდელ დღეზე, ხვალინდელ
დღეზე
ასი წლის მერეც იმღერებს ვიღაც
და გამოჩნდება დიდების შუქით
დღევანდელი დღე ასი წლის მიღმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სიტყვები

შენ რომ მითხარი,
მე ის სიტყვები
კრიალოსანის მარცვლებივით ავასხი
ძაფზე,
და ჩემი მყუდრო რწმენის კედელზე
ავგაროზივით ჰკიდია ახლა.
და შადრევნების ასი ჭავლივით
მეღვრება შენი სიტყვების სითბო,
მე ბედნიერი ვიქნები, თუკი
მუდამ მექნება ეს დიდი განძი,
და გევედრები ნუღარ წამართმევ
შენ რომ მაჩუქე,
იმ ლამაზ სიტყვებს.

გედნიერი სიცოცხლე

ამ მიწაზე აბიჯებდე, ამ მიწაზე დადიოდე,
გიხაროდეს, ერთ ტურფაზე თაფლნარევი დარდი გქონდეს,
ამ კარგ ვარდებს გაუღიმო, ამ გოგონებს ესაუბრო,
გაალმერთო ლამაზების ეს სატანტრო, ეს საუფლო.
ამ ქუჩებში, ამ ბაღებში დაიღალო სეირნობით,
თვალს გიტკბობდნენ, გულს გიტკბობდნენ ხოხბები და
ჯეირნები.
ამ ჰაერით სუნთქავდე და ამ წყაროებს სვამდე პეშვით,
ამ მიწაზე დადიოდე და თავს გრძნობდე სამოთხეში.
ეს ცხელი მზე დაგნათოდეს, გათბობდეს და არა
გწვავდეს,
ეს ნიავი გკოცნიდეს და გრუზა ქოჩორს გიწეწავდეს.
ამ მიწაზე გაიარო, — ბედნიერად იგრძნო თავი,
თქვა: მდიდარი კაცი ვარო რუსთაველის სიბრძნესავით.
გაიარო ამაყურად, გალობდე და გადიადდე,
გულგახსნილი შეეგებო ყაყაჩოსფერ განთიადებს.
სიცოცხლეზე ტკბილი ფიქრით ღამეები გაათენო,
გულზე გვქონდეს დახატული ჩვენი დიდი საქართველო.
შენი სისხლის ყველა წვეთი მხოლოდ მამულს
დაუხარჯო, —
ასეთ რწმენას, ასეთ მიზნებს, ამ სიცოცხლეს გაუმარჯოს!..

ჩემი აქსიომები

ვიღაც ბნელია,
ვიღაც უსხივო,
მაგრამ არ არის უმზეო ხალხი.
ვიღაც სუსტია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიღაც უღონო!
არვის უნახავს უმწეო ხალხი.
ვიღაც ბრმავდება,
ვიღაც ყრუვდება,
ყველაფერს ხედავს და ისმენს ხალხი.
ვიღაც შეცდება,
ვიღაც ტყუვდება,
მაგრამ არასდროს არ ცდება ხალხი.
ვიღაცა ჩასთვლემს,
ვიღაცა ხვრინავს,
მაგრამ არასდროს იძინებს ხალხი.
ვიღაცა დარდობს,
ვიღაცა კვნესის,
იმედს არასდროს არ ჰკარგავს
ხალხი.
ვიღაც მხდალია,
ვიღაც ლაჩარი,
მაგრამ არ არის მშიშარა ხალხი.
ვიღაც ძირს გითხრის,
ვიღაც გღალატობს,
არ გიღალატებს არასდროს ხალხი.
იყავ ამაყი,
იყავ თამამი
ხალხით, მაგ შენი ლამაზი ხალხით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანრი გოგეშვილი

სიზმარი

კაცს ბევრი ოცნება შემოაცდა ცხოვრების გზაზე. ზოგი თავად გაუფურფულდა, ზოგი „ცნობიერების ულუანაში" ჩაიკარგა, ზოგიც უსირცხვილოდ მომპარეს. ოცნება-შედევრი კი თავის საუფლოში უსმოდა და ისიც ლაბარინთიდან გაღწევას უიმედოდ ცდილობდა.

...უკვე კაცი უზენი გახდა, საკმაოდ ნერგიული. ხანდახან თავისი საქციელის რცხენინდა ცოდეც, მაგრამ ფიცს ხასიათს ვეღარ ბოკავდა. ერთხელ გადეფეხებული ცოლს მხარში სწვდა და შეანჯღრია, მერიდე იმ ქალს შეუკურთხა... შემდეგ სამსახურშიც შემოელანძღა ვიღაც, თუმცა ის ვიღაცა შეიძლება მართლაც გახაკიცი იყო. ოღონდ თავად ყველაფერს სიფიცხეს ახარებდა. უიმედოხისაგან აღგზნებულს ხშირად სურდა საკუთარი თავიდან გადაკარგულიყო. მაშინ თითქოს უსაქმური კაცივით აედევნებოდა იმ გადახვეწილ „მე"-ს და იმის ახირებული საქციელი თავს ირთმევდა.

...მაგრამ ახლა ყველაფერს გულუბრყვილოდ შესცქეროდა, ახირებასაც კი და რაღაცის გახსენებას ცდილობდა. ცოლი კი ჩვეული გულმოდგინებით უუვნებოდა ქალაქის ახალ ბორს.

კაცს ოცნების ენი მოეძალა და გაჩერტყა მოუნდა. ეზრალოდ, თავის არსებიდან ანახლეტ სიჩუმეში შთანთქმა ეწყინა... ბერე იქნებ, როგორც თავად ამბობდა, ფერებად, ბგერებად თუ სახეებად აღგზნებულ სულში მელოდიის დაკვრაც კი ეცადა.

— ვიეტ, მისმენ თუ არა? — განაწყენებული შეეკითხა ცოლი.

— ამა, — უხასიათოდ მიუგო. მაინც ლიმილიო მოიმედა.

— არა, შენ არ მისმენ!

— ჰო, ვოცნებობ...

— ჰმ, ოცნება, ხასაციელია, ღირდეს მაინც რამედ, რა არაპრაქტიკული ხარ... — ქალის ხმაში ირონიამ გასჩოლა.

— დიახ, ღირს, ოცნება უპირველესი ხელოვნებაა, ქალბატონო! ოცნებაც შეიძლება იყოს რეგვინი და — ოცნება-შედევრი, — თითქოდა გამოაჯავრა.

— ღმერთმა უწყოს, რას არ აკოწიწებ შენგან. აი, დორეოთას ქმარი, ზის და „იცავს". უკვე სადოქტორო უდევს. შენ კი მარტო ფანტაზიით ხარ დაინტერესებული. შორს წაბვალ მაგ ოცნება-შედევრის მაედევარი, — კაცმა გვერდზე გაიწია. ქალი მიაკვა, — მომმისმინე, — თითქოს ალერსით წამოიწყო, — აი, თუგინდ ლაურას ქმარი. ცნობილ და პატივსაცემ მეცნიერად ითვლება. გაზეთი, ტელევიზია...

— ოჰ, ეს ტატულმანია. მასობრიობა ყველგან და ყველაფერში. გრაფომანია თუ ქალალდომანია ქვეყანას წალეკვით ემუქრება!

— დაიწყე შენებური...

— უკვე აღარ მოგწონვარ, ალბათ, როცა მომაყვანოდი, მეოცე საუკუნის საოცრება ვეგეონე, ეუნდერკინდი...

— ხაზზეარო, მე ხომ შენთვის ვზრუნავ, ბავშვი რომ გვეყოლება...

კაცმა ჭიუბში მოთამაშე ცუგრუმელა გოგონებს მიაპყრო თვალი. მეერდზი სითბო ჩაედვარა.

— როდის?

— ხომ ხედავ ვმკურნალობ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

რაღმდაც ცოლი შეეცოდა. თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი.

„ახეი, ერთი წუთით დაუფიქრა ამ ცხოვრებას და... რა სისუფთელეა, აიღო ვალდებულება, გაბედო ვინმე ბედნიერი, როცა გრძნობ, თავად უბედურებას იაბლოიბ ამით... არა, ალტრუიზმი სხვაა და ამგვარი ვალდებულების აღება სულ

ხსნა... და მაინც იმედოვნებს. ზოგჯერ მეც მსურს, უსარგო, ოჯახურ მეკანიზმად ვიქეცი. დოდო ამჩნევს, როგორ ვიკანცები, ბედის მონა-მორჩილი ვხდები და ყოველ ღონეს ხმაობს, „მხსნელად" მომეევლინოს."

ხაიდანღაც ჩამოხტებებულმა ქარმა ირიბად დაუბერა. ქალს კაბა აუფრიალა, მერე მოალედად შეკრებილი თმა აუფრქა. იგი დაიბნა, ალარ იცოდა თმა გაეწორებინა თუ კაბის კალთები დაეკონა ხელებით. უნებლიეთ შეშეიკვნებოდ, ქუჩაში გამოგდებულ ბიჭს დაემხგავსა. კაცმა ხელები მოხვია. წუთით ორივეენი გაირინდნენ.

„ამ, ის განმაკუთრებულია... რაღაც განსაკუთრებული, ცეცხლოვანი, სტიქიური, ამასთანავე ნაზი და მაცოცხლებელი. იგი დაიკავებ... გახდება ცხობილი ცნობილთა შორის... გახდებამ არ მივცემ ნიჭის ასე ტკუილბრალოდ განაავების საშუალებას. მე, მე ვიზრუნებ ამაზე და ჩემზე ალაპარაკებს მთელი ქალაქი..."

„ჯანდაბას, ადამიზვრილიოს ჩემში ეს სასიამოვნო ახირებანი. მოლიელივე ოცნება-შედეგრთან ლაკეცის ბედნიერება. არა, ეს ხომ სიკვდილია, თუმცა სიკვდილთან ერთად ახლად ვიშუქებოდი. მე ხომ ისე ახლოს ვარ სიკვდილთან, როგორც სიცოცხლეთან. მთლად დავნლილვადი... შენ ჯობ ოჯახურ მეკანიზმად იქეე, გვინია მაშინ იქნებოდა ეს ქალი ქაკაფიალი? არა, მას ხომ ამ ახირებულობისათვის უყვარხარ. ოო, როგორ უნდა ფიქრშეე თანამონაწილე გამიხდეს". უეცრად მან ცნობიერებაში თითქოსდა ფუფურო აღმოაჩინა. მერე ფუფურო ულუანად იქცა და შიგ ფიქრები ლეთონის ფუფეკით ამჩნიოლდნენ. „სულ უფრო და უფრო ვემსგავსებით ადამიანები ერთმანეთს, სეედაშეც კი... ზოგჯერ შემაძრწუნებს კიდეც იმის შეგრძნება, რომ სხვაც იმე შეუქნია გაეწამის სეედამ, როგორც მე... ტოლფასოვანი განცდებიის მოზდავეებია..."

— მაკოცე, კიდეე მაკოცე, აქ არავინაა, — ზეხსრრრეულა ქალმა.

კაცს ოდაესის მიხვედრამ ცნობიერება დაუსუსხა. „მივეჩვიე, სიყვარულს მეკანაკურად ვიმეორებ, თუკი ეს სიყვარულია? მივეჩვიე..."

ისინი ბალის ხნელ კუთხეში იდგნენ ჯადრის ხესთან. უკვე დაღამდა და ახლა ხაღამის ცხრა საათი იქნებოდა. კაც ვარსკვლავების სიბაობეს ვერ დაიჩქენდა, მაგრამ არც მათი ნათელი აკლდა. ტალლისებურად დანაბეური ნიავი მარაოსავით ეწიალებოდათ სახეს. ოდნავ წამოწეწილმა კიდეეც. მათ კი ახე ეგონათ, ვიღაც მადლიანმა წულის წვეთები სუნამოსავით მოასხურა.

ქალი მოიღეენთა. კაცის ალერსი, როგორც ყოველთვის, ძალზე ეიმტკაბილა. კაცი ალეკვე კოცნიდა. კოცნიდა „თავგამეტებით", რათა ოდნავ მაინც ეხიამოვნებინა ამ „ტანჯულის" ქალისათვის. მან ერთბაშად იწყაბა, რომ ეს ქალი უყვარდა და გაეგიჯა, ხოლოდ გაეგიჯა.

...და როცა ქალს მოხვეული გაირინდა, შემოხეეეთ, რომელიღაც მოლიელივე ვარსკვლავს მიაპყრო მზერა და როგორც იქნა მიხვდა, რომ გახსენებას ლამობდა ისე დაეინებინა ეს, „ეინ ღამით ნახული სიზმარი-ზღაპარი იყო" სიზმარ-ზღაპარს „ფლორა ბეფის სიყვარულის კრემატორიუმი" ეჩქეა.

სიზმრებს იგი, როგორც მსაგერულ ფილმებს ისე ნახულობდა და მეხსიერებაში აკინძულად ჰკონდა კიდეე სიზმარი-ზღაპრების, სიზმარი-ნოველების, სიზმარი-რომანების უკიდეგანო წიგნი (სიზმარი-რომანი ზოგჯერ რამდენიმე ღამეს გრძელდებოდა). ახლა, რატომღაც მიიჩნია, სწორედ ეს ვარსკვლავი იყო, რომელიც თავისი უზნეური ხხიეებით ამგვარი სიზმრების კადრებს მისი „ცნობიერების ეუფლებაში" აშეებედა.

ვარსკვლავს კიდეე უფრო ეინიანად მიაკერდა და თვალებში გაოცება ჩაეხედა. „ფლორა ბეფის სიყვარულის კრემატორიუმი... „უეცველად ეგ ვარსკვლავია ჩემი სულის მაპრიალებლები და მაკოდინებელი. ნეტავი ამ სიზმარი-ზღაპრიი რა მიმანიშნა?.."

ფლორა ბეფი „უასაკო" არისტოკრატული იერის მანდილოსანი გახდადთ. მისი ფირმა „სიყვარულის კრემატორიუმი" ცხოვრებისაგან განაწამებ წყვილებს სიყვარულის ალში დაფერფლულს ეპარებოდოდა. ეს იყო ზიშსმოგვრელი ოცნებასახსოვარი. ანაფიუნელ, აილვარეულ ბრძანებაში იფერფლებოდნენ წყვილები და ა.ს.ცდილი თავის მნიშვნელობას ჰკარგავდა. სიყვარულის ალში დაფერფლული მოსსურნენი ფლორა ბეფის სახელზე განცხადება უნდა შეეტანათ... მაგრამ ფლორა ზოგჯერ ადამიანებს ცხოვრებას ძალიან ძალად ურთულებდა, მისი მუშტრები რომ გამხდარიყვნენ (ალბათ როგორც ეოველი ფირმა სიყვარულის კრემატორიუმიც" თავისას ცდილობდა). აიეტსა და დოდოზე ფლორამ პირდაპირ ნადირობა მოაწყო. და რადგან ორივე თავგანწირვით ეურჩებოდა (სიტყვა კრემატორიუმი მათში მბოლოდ სიკვდილის ასოციაციას აღძრავდა), ბეფმა მათი შეპატრობა და დაძინება ბრძანა. გარბოდნენ, ოი, როგორ გარბოდნენ, მაგრამ უეცრად მაინც ფლორა ბეფის ვილაში მოხვდნენ. ზეწარში გახვეული დოდო დიავნზე იწვა და მიცვალებულს ჰგავდა. ალბათ როგორღაც მოახერხა სიფხიზლის შენარჩუნება. მერე პირიდან თითქოსდა ბანგი ამოადრკვია და თავად შეძლო ფლორა ბეფისა და მისი მოსამსახურე ქალის დაძინება.

...ქალაქთა ზეწრებში გახვეული ფლორა და მისი მსახური მტვერითავებმა „სიყვარულის კრემატორიუმში" გაკაქანეს. მერე ყალში წყვილი „სიყვარულად ალდა". კაცმა გარკვეეთ დაინახა ფაქიზად გაწყობილი საფლავი, რომელზედაც ორი კოკორაშლილი წვეთები ვარდი იდო. ხაფლავის ქვაზე უმალ გაჩნდა ლამაზი წარწერა:

ჯანრი გოგეშვილი
სიზმარეთი

„ხიუკარულის ალში დაფერფლილი დოდო და აიეტი“. აიეტს გაეხარდა, ფლორა ბეფის გაცრეცება რომ შეძლო და ყალბი ხაფანგის ქვას თვალებით მიუალერსა. მერე ცოლი გაალვიძა.

„კრემატორიუმში დაწვას გვიპირებდნენ!“ შიშნარევი კოლოთი ამცნო და დამფრთხალ ქალთან ერთად იქაურობას გაეცალა. გარბოდნენ, ო, როგორ გარბოდნენ...

— ფლორა ბეფის სიკვარულის კრემატორიუმი...“ ეს სიზმარი-ზღაპარი უდავოდ რადაცას მიანიშნებდა.

აიეტმა მის მკლავებში განაბული ცოლის ფულისცემას მიუგდო ყური.

„რაზე ფიქრობდი, რას მიმალავ?“ ქალს არაფერი უთქვამს, მაგრამ ეტყობოდა ძალზე სურდა, ეს აკვიატებული შეკითხვა ჩვეულებისამერ დაეხვა.

იგი სიზმრებს არ უყვებოდა. საერთოდ არაკის არ უყვებოდა ნახულ სიზმრებს, რადგან ზოგჯერ ინახავს ფიქრობდა, შეშლილად მიიჩნევდნენ. ახლა „სიზმრების წიგნიდან“ რომელიღაც ადრე ნახული სიზმარი-ზღაპრის გახსენება მოუნდა, მაგრამ ქალმა თითქოსდა დრო იხელთა.

— აიეტ, ელლასთან არ წავიდეთ?... — შესჩივლა მან.

— ახე გსურს?... — ჩურჩულით ჩკითხა კაცმა.

— ჰო, გავერთობით...

— წავიდეთ...

დოდო გზადაგზა ხალისიანად იხსენებდა დაკარლებს. ქალს მათთან საკმაოდ მიუხარიდა.

კარი თავად დიასახლისმა გაუღო.

— ოო, აიეტ, დოდო, შემოდით, შემოდით! — მხიარულად შეხვდა.

ცოლ-ქმარი ოთახში შევიდა. ქალებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

— რა კარგი, რომ მოხვედით, რა კარგი! — აღტაცებით ამბობდა მასპინძელი.

მერე ისინი ნაჩუქრებისაგან გაათავისუფლა.

ოროთახიანი ბინა ახალგაზრდებით იყო ხავსე. წინა, აივნიან ოთახში, ორი პატარა მაგიდა იდგა, ორივე ფანჯარასთან. ერთზე უშველებელი ვერცხლის ხონარა იდო. ხონარაზე უზენაოგად ეყარა ხილი და ტკბილეული, ხონრის ირგვლივ, მაღალი, წელწყრილი ჭიქები და კონიაკის ბოთლები იდგა. მერე მაგიდაზე მაგნიტოფონი მოეთავსებინათ. ბინაში მელანქოლიით შეპყობილი ბარიტონის ხმა იღერებდა. ოროლე წყვილი, თავიანთ მიკროსამყაროში ჩაძირულნი, ენერგიანად ტორტმანებდნენ მუსიკის რიტმზე.

ცოლ-ქმარი ბარეულ ოთახში შეჩერდა. იქ მოსაუბრე ახალგაზრდები გულთბილად შეეხვეწნენ. კაცი მათ ნახევარსაც არ იცნობდა. ქალი კი ყველასთან გაშინაურებული იყო და უმალ ჩაება საუბარში. კაცმა ოთახის კუთხეში მდგომ საკარიერში მპოვა „ეთავშესაფარი“. რატომღაც ეგონა, უეცარადღეროდ დარჩა და შვება იგრძნო.

— აიეტ რაზეა მოწყენილი? — ჯეფერსონულად იკითხა სპშარიულოდან დაბრუნებულმა დიასახლისმა და კაცს კონიაკით ავსებულ ჭიქა გაუწოდა. — ბოლო დროს ... ...

მაგიდაზე დადგმულ შანდლებზე დამაგრებული ფერადი სანთლები ენთო.

მუსიკა ჩქარი იყო. სანთლების ლიცლიცა სინათლე მერთალად ანათებდა ოთახს.

კაცი მთელი სხეულით ცეკვავდა. ცეკვავდა ეშხიანად, ყოველგვარი წესისა და ჩვეულების გარეშე. დღერთმა უწყის, რა ილეთებს არ აკეთებდა. რარიგ არ ღრიალებდა სხეულსა და ხელფეხს. გოგონა შესანშნავად მეწყვილეობას უწევდა. კაცი თითქოს მისი მოკნინილი სხეულის სიმღერას გრძნობდა და ეს კიდევ უფრო სასიამოვნოდ ახელებდა.

მერე გოგონა დაიღალა. ხელები კისერზე თამამად შემოაჭდო და სუნთქვაკაცშირებულმა უთქვა:

— იცი, რა კარგი ხარ, შენ ყველაფერში გენიოსი ყოფილხარ, ყველაფერში. დავიღალე, ცოტა ხანს ადგილზე ვიტორტმანოთ.

კაცს არაფერი უთქვამს. გაეღიმა მხოლოდ. გოგონას წელზე ხელები ფაქიზად მოსჭიდა და მოძრაობას აჰყვა.

გოგონა სულ ახლო და ახლო იწევდა კაცთან. მზერავდე მკერდით ეკარდა მის მკერდს. პირისახე მის პირისახესთან მიჭკნდა და თბილ ჰაერს ბანაგივით აფრქვევდა ყოველი ამოსუნთქვისას.

კაცი თავს იკავებდა. ხელისგულებით ოდნავ ეხებოდა გოგონას წელს. ვნების მოძალებისა ეშინოდა.

— წავიდეთ, — უთხრა უცებ გოგონამ, — რაღე დავლიოთ, თორემ სულ მთლად ჩაიფერფლე. — მოკლედ გაიცინა, კისერზე შემოჭდობილი ხელები ახლა მკლავზე შემოაჭდო და სამზარეულოსაკენ წაიყვანა.

კაცს სულ მთლად დავიწყოდა ცოლი, მაგრამ ცოლს არ დავიწყნია იგი. სამზარეულოს კარებში ეიჩალი ადიუტანტივით შეეგება.

— ოო, როგორ გაოფლიანებულხარ, განა შეიძლება ასე?!. გააგიე ხალხი, — ფარისეველური მზრუნველობით უთხრა.

— შესანშნავად ცეკვავდა, — შეეხატუა გოგონა, — უკეთესი პარტნიორი ჯერ არ შეხვედრია.

— მაგას უკვე ეკუს პარტნიორი, — თითქოს წამოცდა ქალს, მაგრამ თქმულნი გაფრთხილებაც იგრძნობოდა.

— ბოდიში, — ჩაიცინა გოგონამ და სამზარეულოში შეეფინა, კონიაკის ბოთლს მოაკიდა ხელი, აიღო, კაცს გაუწოდა და თამამად უთხრა:

— გახსენი, აიღე, დავლიოთ!

კაცმა ბოთლი ჩამოართვა და საცობი მარჯვედ მოხსნა. გოგონამ მაგიდიდან აღებული ხანი წელწყრილი ჭიქა მიხწინა მისკენ. კაცმა სამოავე შეავსო. მერე ბოთლი მაგიდაზე დადგა, გოგონას ჭიქა გამოართვა, თან ცოლს გახედა. შეიტყო, ქალი ჭიქის მიწოდებას უცდიდა.

— გამოართვი, რას უცდი, — ღიმილით უთხრა.

— გამომართვი, — გოგონამ მარცხენა ხელით გაუწოდა ერთ-ერთი ჭიქა. მეორე კი ბოლოვანთან ბაგეებთან მიიტანა და კაცს მაცდუნებლად გაუღიმა.

— გმადლობთ, — ცივად თქვა ქალმა და ჭიქას დაეკარგონა.

სამთავეგმ შეაჯრავი მოხვა კონიაკი.

გოგონამ ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადო და კაცს გამომწვევად მიაჩერდა.

— ვიცეკვოთ! — გაუწოდა ხელი.

ცარიელი ჭიქა კაცმაც მაგიდაზე დადგა.

— ოფლიანი ხარ, გაცივდები, — თითქოს მზრუნველობით უთხრა ქალმა, მაგრამ სიბრაზე მაინც ვერ დაფარა ბრაზი.

ამან კაცი გააგულისხა.

— ნუ გეშინია, — ცალყბად შეეღაპარაკა ცოლს და სამზარეულოდან გავიდა. ახლა კაცი უფრო თავგასულად გახდა. მის კისერზე ხელებშემოჭდობილ გოგონას მაგრად მოსჭიდა ხელები წელკვეთოთ, თეძოებთან.

— რა ეკვიანი ცოლი გყავს, — უთხრა გოგონამ, — თანაც ულამაზოა. ასეთი კარგი რით მოგიბიდა, ეზრზე არა ვარ..

— სხვაზე ილაპარაკე, — სთხოვა კაცმა.

— შენ თქვი რამე...

კაცმა საკუთარი ლექსი წამოიწყო ჩურჩულით. როცა დააბოვრა, შეაჩერა, გოგონას მოეწონა.

— ავტორი ვინაა? — ჰკითხა მან.

— იმის... ის..ჯ.

— რაა?!

— ჩემი მეს წინაპარი...

გოგონას გაეცინა. კაცი ვერ მიხვდა, ისე გაეცინა თუ ნათქვამის აზრს ჩასწვდა. ახლა თითქოს თავისთავს ეკეთებოდა ანდასმული კითხვაზე.

გადაიარა ოცნებების პირველმა წყებამ,
და ჭარიზმალიც ადდევნა იმას ფუძდაფეს,
სულშა ჩამემხვრა იმედების უსაზღვრო
რწმენა,

და ეილაჯო სეედას დავათრევ...

გოგონა კიდევ უფრო მიეკარა კაცს და ეგეო ნებოდათ. მიუმღერდა:

დრო მოვა, სეედას გავფანტავ,
გადავალ-ჯეს გაჯაგეულ ფიქრებს,
დრო მოვა, სეედის ტაძართან,
შეეგზვდები ისევ.

დრო მოვა, ავგიზგიზდები,
ავკანძავ რითმებს.
დრო მოვა, ფიქრთა მორევი,
ჩამთიქეეს მეუსვე...

დრო მოვა, ალარ ვიქნები,
მეც შევენთქმები სიფრცეს
და მოძებნიან ჩემი ფიქრები
ახალ სამფდარს ისევ...

— ოამ, ნუთუ?! — აღტაცებამ სიტყვები შემოაძარცვა კაცს.

— ახა, — გამომწვევად უთხრა გოგონამ, — მეც შეშინებია ემოციების რიტმულად აკინძვა.

—და მერე როგორ.... „ვეფხებში ხაუკუნეების მაჭიდაზე მიძინებული ტალანტი მასობრივად იღვიძებს, თუ...“

— შენსავით მაინც არა, მაჩუქე, რა, შენი უილაჯო სეფდა, — გოგონას ხმაში შუდარა შეიმჩნეოდა.

— ვერ შეეფლეები, — რაღაც გაეხარდა კაცს, ალბათ გოგონას პოეტურობა ეამა. ამასთანავე რაღაცამ უნდობლად შეახედა თავი. გარშემო მიმოიხედა და უცად ცოლის გამჭოლ მზერას წააწყდა. იგი შორიახლო ვიღაც დაბალ ეაკთან ეცაკვაედა. კაცმა ცოლს წამაქეზებლად გაუღიმა და მზერა მოკრძალებით აიცილა. „ეკონაკ!“ გაიფიქრა უნებლიეთ და თავი დაღუნა. ისე გამოვიდა, ნიკაპი ჩამოადო გოგონას მხარზე. გოგონა მთელი სხეულით მიეკონა. მკერვალი სხეული ჰკონდა.

ვიღაცამ მაგნატოფონი გადართო. ახლა ნელი ტანგოს ჰანგები დაირხა ოთახში. იმ ვიღაცამ მაგნატოფონთან მდგომ შანდალზე დამაგრებული სანთელიც ჩაანქრო. ოთახში თითქოსდა ჩამნელდა. კაცმა სიზმარი-ზღაპარი შინაარეკი თრთოლვით გაიხსენა და გოგონასთან ერთად ტრფობის ალში დაფეიქფალა მოუნდა. „დაეუფლეთ სიყვარულის ხელოვნებას... დაეუფლეთ სიყვარულის ხელოვნებას...“ რა ხანი იყო, სიყვარულზე არ ეფიქრა...

ბოლოს კაცი მეელანკოლიამ შეიპყრო. სადღაც სწერინდა კიდეც. ეს გოგონა ახე რომ ეგმანნებოდა.

— თუ შეიძლება, ჩემს ქმართან მაცეკვეთ! — მოესმა უცად ცოლის ხმა. დოდომ მოერიდებლად გამოსწია კაცის მკერდზე აკრული გოგონა. კაცი გაშრა, მაინც სირცხვილ არჩია. ნაძალადევი სიმშვიდით ჩაბარდა ცოლს. გაეღიმა. ქვეცნობიერად იგრძნო აივნისაკენ მიმავალ გოგონას ღიმილი მოსმენილებოდა.

— ხელ მოლად აიმეი თავი, — თავისებურად მიუალერსა დოდომ.

აიეტმა ვულგარულად მოაკვლო ხელები თეძოებზე და თავისკენ მიიზიდა.

— ახე ეფიცებზედი იმასაც? — შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ქალმა.

— ჰო, — გამოაკვარა კაცმა, — ახე ვეფიცებზედოდი, ეკაოცე კიდეც, რომ იცოდე, რა გოგოა, მაგი ხმელის სიმღერა მესმოდა.

ქალმა გაიბრძოლა, მაგრამ ვაცალ არ უცდია.

— უსინდისო! — ჩამარცალა და ხელები თეძოებიდან წელზე აატანინა.

კაცს გაეცინა.

— უსინდისო, უსინდისო მუსუსო... — თავი მკერდზე მიადო.

კაცი გულიანად ახითხითდა. მერე სისველე იგრძნო უელს ქვემოთ, შიშველ ხორცზე. საშინლად შეეცოდა ქალი, თან საკუთარ თავზე გაბრაზდა, შეცოდების უნარი რომ შესწევდა.

ვიღაცამ მაგნატოფონი კვლავ გადართო. იმ ვიღაცამ მეორე მაგიდაზე მდგომ შანდალზე დამაგრებული სანი სანთლიდან ორი ჩააქრო.

ახლა ოთახში ერთი სანთელიღა ციმციმებდა, რაც თავისებურ რომანტიკულ ელფერს ანიჭებდა მაგნატოფონის გადართვის მერე აყლერებულ ვალსის ხმას.

— დამითმე, ძმავ, ჩემი გოგოა! — მოესმა სისნელეში ცოლ-ქმარს.

კაცმა იგრძნო, ვიღაცამ ცოლს მკლავში მოსდგა ხელი,

— დოდო, წამი, ვიეეკვოთ, რაღაც უნდა გითხრა, — იმ ვიღაცამ მეორე ხელიც თავზედერად მოსდგა ქალს.

კაცმა უკვე შეძლო გაერჩია მოძალადის სახე.

— შენი ვაეკა, — უჩურჩულა ცოლს,—გინდა, ეცეკვე — უნებლიეთ ეთიკეტის დარღვევას მოერიდა.

— მომშორდი, როგორ ბედავ! — მრისხანედ უთხრა იმ ვაეს ქალმა და კაცთან ერთად მოლიანად მიანდა ცეკვას თავი.

— მოშეკედი თავიდან! — ვეღარ შეიკავა კაცმა თავი.

ვაეი გაკრიუტდა.

— ეს ჩემი გოგოა, — დაიკონა.

კაცმა ხელი უშვა ქალს. მოძალადეს მარჯვენა მკლავში მოჰკიდა და აივნისაკენ წაიყვანა.

— ძალადობ? — მრისხანედ ჰკითხა მეტოქეს, როცა აივანზე გავიდნენ. ხელი გადაუგრიხა. ზურგზე ლაზათიანად ამოუდრიცა და ფიზლი უკანალზე ამოაკრა.

ვაეს დაებოკონა.

— თფუ! — კაცმა ხელი უშვა.

იგი მოსალოდნელი დარტყმის მოლოდინში სწრაფად შემობრუნდა და სასაკილოდ აიფხორა.

—გაგიეიდი? — შეშინებული ხმით შეხჩივლა, — ვიღაც გოგოს გულისთვის ჩხუბს მიტეხ? პირველად ჩემთან ცეკვავდა.

— მოწყენი თავს, ხომ ხედავ, არ გამოგეკვა.

— მერე ცეკვა რა შუაშია, — ვაემა გვერდზე გადადგა ნაბიჯი.

ეტყობოდა, ერთბაშად იგრძნო მოწინააღმდეგის ფიზიკური უპირატესობა და გვარიანად დაფრთხა.

აივანზე უკვე კაცი გამოსულიყო.

— აიეტ... — მიაშურა მან ქმარს.

— ბიდიში, — ახლა მას მიაჩერდა ვაეი, — არ მეგონა, შენ თუ გაბედავ.

— ჩემი ქმარია, — ამაყად უთხრა იმან და აივნის კუთხეში მდგომ გოგონას გაბედა, — მოკუეინან ვიღაცას და...

გოგონამ ჩაიცინა.

— ბიდიში, ბიდიში... — ახლა ხელ მთლად აირია ვაეი ეი ოთახს მიაშურა.

კაცი აივნის მოაჯირს გადაეყრდნო. ნათურების სინათლეში ჩაკიდული ქალაქს რატომღაც თვალი ვერ უსწორა, მრავალფერადოვანი ხახლების ფანჯრებიდან გადმოღვრილმა სინათლემ

თითქოს უსაბრალოებაში გადაკარგა და არარაობად იგრძნო თავი. მოულოდნელი სიმარტოვისგან საძაგდად შეეიზარა... მერე ცას ახედა და ის ვარსკვლავი მოძებნა. წუთით სმენაში რაღაც იდუმალებით მოცული ხმები აპარპეტრდნენ. მიეჩვენა, თითქოდაც შორეთიდან, ეიღაც ძალზე ახლოგანი ეს ხმიდა. სულთანოლელებუფმა რატომღაც ლტოლვილად იგრძნო თავი. ხმა სამკერვალოდან გადმოხეეწილ ლტოლვილად. მერე „სმენიერების უულაბაში" სიზმრების წიგნი გადაფურცლა და მან კარგა ხანს წინათ ნახული სიზმარია-ზღაპარი ჩაიკითხა.

დედამიწა, შომშიბვილები ქალღმერთის სადარი არსება, ლანდად ინაკვთებოდა და იგი მზოლოდ მის ხედვრიალი თვალებს, სავსე მეერდს და ოდნავ წამბორცოცულ ფუცელს ხედავდა.

ოდესღაც იგი თავისაც შეუმნევლად შორეული ვარსკვლავის სიყვარულში განიბანა. მერე ტრფობის ალში გახვეული და გრძნობაგაუავეტებული ის ვარსკვლავთან შესახვედრად მიილტოდა, მაგრამ როცა სამში ნაყოფი გაღვივდა, როცა მისთვის სრულიად უცნობი სიცოცხლე ადუშუფუნდა, სხეულდამძიმებული ფეერდებშებრტყელებული წრის უსილაკ ჯადოს ეერსგზით ვერ გადაკეცა.

ერთხელ დედამიწას იმ შორეული ვარსკვლავის შუქმა უწია. გრძნობამორეულმა ქალღმერთმ. ეალბერ ძალა და დამძიმებული ხმეული წრიდან ამტაკა. შორეული ვარსკვლავი აკიაციმდა. თანდათანობით დედამიწაც ვარსკვლავს დაემსგავსა. მერე ორივენი დიდი მზის, მზეთა დედის სხივებში განიბანენ და მეწყაულისფრად აალდნენ.

„დაიკი, ეგ ჩემ „ფლორა ბეფის სიყვარულის კრემატორიუმი". დიდი მზის, მზეთა დედის „სიყვარულის კრემატორიუმი". დაიკი, დედამიწაღმერთკაცს, ჩემს ვარსკვლავთან ერთად ტრფობის ალში დაფერფფალო ხომ არ ელის?.. დაიკი! „სიყვარულის კრემატორიუმში" დაფერფფალო ხომ ბედნიერებაა. მე კი სიზმარში შაშით გავთავდი..." იგი უნებურად რიდით მიაკერდა ფოლეგლივე ვარსკვლავს. მერე სიზმრების წიგნის გულდასმით გადათვალიერება მოუნდა, რათა მსგავსი „ბარალელები" კვლავ აღმოეჩინა, მაგრამ ცოლი ქმრის ზურგს მიეკრნენ და უჩურჩულა:

-- ნამი, ვიეცაკოთ, შენ ცუდი არაფერი იფიქრო, იმ ვიეთან მე ერთხელ ვიეეკეე. ისიც უბრალოდ მიმიწვია და...

კაცს არაფერი უთქვამს.

ქალმა შეამჩნია, კაცმა მისკენ მოაკერილ გოგონას გახედა და „მეტოქეს" დაერიდებლად მიაჩერდა.

„რა თავხედია", — გაიფიქრა — „ასეთები პირდაპირ პირიდან გამოგგლეჯენ ლუკმას".

— ეიეტ, ნამი ვიეეკეოთ... — კვლავ სთხოვა ქმარს.

— წადი, ცოტა ხანს ვინმეესთან იეეკეე. მერე.., — ვისთან, — უშნოდ ახითხითდა ქალი, — ის ერთი კავალერი მუადა და ისიც დაფერფთე.

— ბოდიში, ეეკეელი. — წამოიმართა და მისკენ შემობრუნდა კაცი, — ვეკალადებოდეთ, ოღონდ არაფერს ვეტყოდი. — გაბარაზდა კაცი. — არ იყოს ნერვიულად ჩაეკითხა, რასაც ბანგეს მისი თავისმართლება ნაცნობი ვალდებულების ალებას ბგავდა.

— არა, არაფერი რომ ვეთქვა, მაშინ ნამდვილად გავეგიჟდებოდი. იმ მაიმუნს...

— თუ ვინდა, სხვა მონაბე ვინმე.

— არა, მე შენს გარდა არავინ არ მინდა, — უჩურჩულა ქალმა.

— ახა, წავიდეთ!

— შენ თუ გინდა, დარჩი. ვინდა კი არა, ნამდვილად დარჩი. მე წავალ. დედას ეფიცავარ, პირდაპირ სახლში წავალ. დარჩი, ეა. დარჩი?.. — კაცმა თმილად გაუღიმა.

— არა, — გადაკვრით უთხრა ქალმა, — მეც შენთან ერთად წამოვალ.

— კარგი... — კაცმა ეგერდზე გაიხედა.

გოგონა ოთახში შესხულიყო. ესიაშოვნა, უნერვულობას რომ განერიდა.

ცოლ-ქმრის წასვლა არავის შეუტყეია. ქალს კი უნდოდა გამომშვიდობებოდა დიასახლისს, მაგრამ კაცმა არ ინდომა.

●

სიმარტოვეში გათქვეფილ კაცს, კიდევ უფრო საშინლად სურდა მარტოდ დარჩენა. უსმენდ მიაბიჯებდა თავდაბრალი.

— თქვი რაგე, რას ბარეშეუფლხარ, — შეეკითხა ცოლი.

კაცი დუმდა. სადღაც შორს იკვრიტებოდა გონების ხაფეიერზე. „ფლორა ბეფის სიყვარულის კრემატორიუმი". ამ. თუარე ამ ქალთან ერთად სიყვარულის ალში დაფერფფალს განვერიდე".

— დაურუფი?... — ლოყაზე აკოცა ქალმა და ქუჩის გაბაპარას მიმავალს მარცხენა ხელი მოხვია.

— რა ეთქვა? — თითქოს წამოცდა კაცს.

— რაიმე, მინდა დამეფიქრაკო.

— ნეტავი ხვალ ვეშუშაობდე. — თავიდან უნებურად ალალ-მართლად ინატრა მან.

— ახა, შენ ხომ ოჯახში არ დგებდგომეფა, — ხელი უშვა ქალმა.

კაცი ხმას არ იღებდა. უცაბ ძალზე მოუნდა სამსახურში ყოფნა. იქ, თავის მაგიდასთან, როცა ოთახში მარტოდ დარჩებოდა, თუ ძალზე გადაღლილი არ იყო, ხანდახან უმართლებდა კიდეც. ზოგჯერ ოცნება ოცნებას გამოიტყუებდა იდუმალების საუფლოდან და თავად მას ტაცალი ზმანებებით გაიყოლიებდა.

მერე კი, როცა ოცნების მეკვლე სიტყვა საფიქრალში უნამუსოდ გაიჩხირებოდა და ძვრას ვეღარ უწამდა, საშინელ გამოფიტულობას ეკრძალება. ზმანებას გონების თვალს მიადევნებ-

და, მაგრამ გაცრეცილი ნითელი ფარდასავით ეშვებოდა.

...თუმცა კაცი ჩვენი ეონის დახაოკებლად უმტკივნეულ სატვის ეტანებოდა. უბრალო ფურცლებზე, აეტოკოდამით თუ ფანჯრით, ვინ მოსთვლის, რამდენი სასიცოცხლო სიუეკები მიმოფანტა.

ადრე, იმ „გამბაურებულ" დინერტაციაზე მუშაობის საბაბით ავარიის საკუნნაში ახერხებდა განმარტოებას, მერე ცოლმა ჩვენებისამებრ მოუზმინა მზრუნველობის გამოჩენას... და როცა იმ ფერებში გადაკარგული, თითქოსდა კარზთან ჩასაფრებული ცოლის ხმას გაგიგონებდა, სამაგალი სიცივე ეუფლებოდა და ფანტაზიის მოსახმი თვითნებურად იცვლიდა მიმართულებას. ცოლი კი უბრალოდ ეტრიკედა: „დაისვენე, აიტე, გადაიღლები!" ანდა „ეაკა რომ დაგელია, ხომ არ აკოცებდა?..."

ეკნენ ციტი შუსიკალურ ტალანტსაც ფლობდა. ხილვებივით აიშლებოდნენ მისი სულის ლაბირინთებში ჭერ კადეკ გამოუცნობი, მაგრამ მართრიტელი ბანგები (სიზმარში კი ზოგჯერ სხვებისთვის შეუცნობ სიმფონიებს ისმენდა)... ოღონდ, როცა ხევდისაგან ერთბაშად დაიცლებოდა, მაშინაც არ ნანობდა. თავის დროზე ნოტების შეხვაკლა რომ ეკერ შესდო.

ეოფელივე ეს, ეკნენს სულ სხვა რაიმეკაკენ მიუთითებდა. მართალია ბუდობდა ამ კაცში ეეეპერიელი, თვითნებური ტალანტი, მაგრამ ცხოვრება სულ სხვა მხარეკენ ეუბიძგებდა და იმ ტალანტს საშინლად, უმოწყალოდ უქუცმაცებდა.

ინსტიტუტს, სადაც ის მუშაობდა, თავისი არსებობის ხ

ი წლის მანძილზე სამჯერ გამოუცვალეს სახელწოდება და მაინც ამ ხაი წლის მანძილზე იგი მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გავრცელების საქმეს ემსახურებოდა. უკიდურეს შემთხვევაში ამისდამაგვარ საეერო.

ეხე, არ გაუშართლა კაცს. ყოველთვის ახე ეგონა, რაც გულით ეწადა, სათუალნაც სული ეპიიგებოდა, იმ ატმოსფეროს, თითქოს საგანგებოდ გაუჩენდა. ეკნენს არც ეყო მისი ბრალი, მაგრამ რიცა სადადაც აზროვნებდა, ვერც მაშინ ხსნილი თავისთავს ამ ბრალდებას, თუმცა ინსაკეკ ფიქრობდა, იმ სასურველი ჩრიხვან შორს ყოფნა მიჩრქვნიაო.

ჭერ კიდევ სკოლის დამთავრებისას იგრძნო, იმას არ აკეთებდა, რაც ეწადა, თითქოს საკუთარ თავს ავუბრაზა. ეკნენს ფატალისტობას ჩემთვლიდა. ეკნენს ამიტომაც სწავლის გაგრძელების საშუალება, რომელ ინსტიტუტშიც მიეცა, იმ ინსტიტუტს „უურთგულს". ვისი ლექციების მოსმენის უფლება დართეს, იმათ მოუსმინა, ახლა ეკნენ იმასაც გრძნობდა; ცხოვრება მის ბედს ახე საგანგებოდ ლამბავდა.

სტუდენტობისას ანასოდეს ჩემულობდა პირველობას, შეეძლო კი. უნებურად გარკვეული ადგილი ეპიარ მეგობარ-ამხანაგების ცხოვრებაში. თითქოს მისი ცხოვრებიდან გამოდევნილი, იმათ ცხოვრებაში მეკალდე იყო შეგუბვენილი. ეხლაც, სამსაზურები ახე გასდეთან. თანამშრომელთა უმტკივნოა სიმპათიურად ეკერ ბინდაში ვიჯდეთ. უმტკივნოა ენდოფინი... ოღონდ... ეკნენ ერ ქალებს ბაკადთან გამორჩეული, შეიძლება ხლამაზნი არ ბრწყინავდა, მაგრამ... თავად ვერ გეტყოდით, რა იყო ეს, გულალალება, უეცარი სიფიცხე, დროულ ქალთანურებში ჩაფენილი განსწავლულობა თუ ალღო იმ მიუხედერელის შეგრძნებისა, რომლის ლამაზად გამოშფოფენებიო უეკვალად ასაბოვნებდა ვინმეს. ახე თუ ახე, ბევრს მოსწონდა, ოღონდ ინთათან სამიჯნურო ქსელის გაბმისაკან რატომღაც თავს იკავებდა...

კარიერისთვის ავრერიგად არ იდეგრდა, მაგრამ ეყო დრო, რიცა საშინლად მოუნდებოდა ძალაუფლების შეგრძნება. მამაკაცები თავიანთ ძმაკაცად თვლიდნენ. რატომღაც ყველას ეგონა, ეს კაცი მომავალში საშური თანამდებობის მქონე პიროვნება გახდებოდა და ზოგიერთი პირფერი იქნებ ხარკსაც უდებდა წინდაწინ. ის კი, წლების მანძილზე, ყველებურად ჩიგითი მუშაკი გახლდათ. ახე მეგობრობედან ხომ იყო ყველასთან, ბევრჯერ მაინც საზიზღად შებოვკავდა იმაზე ფიქრი, რომ სულ სხვა ცხოვრებისთვის იყო გაჩენილი, რომ მისთვის არსებულ ატმოსფეროში გაოქვეფა დაკნინებას ჭარმოადგენდა. შეიძლება ამგვარი ფიქრი ამბნეებდა და ამიტომაც არ გაურბოდა მას. გამხნეებენა კი ძალზე ეხაკირებოდა, რათა ამ ცხოვრებისეულ ჭარილნაკლის მეობის მთავარი არსი არ დაეზმო. არსი კი ნაღდად გაჩენდა, ოღონდ, როგორც ვთქვით, ცოცრების საკირო გადაწყვეტილებას ვერ ახერხებდა. ეკნენ რიცა მის მოხდენილ ეეუტებს უთვალთვალებდნენ, ბევრს ეგონა, ეს კაცი ყველა ჯურის ხალხთან გაბაბეს საქმიან ქსელსო, სინამდვილეში კი მუდამ უფრთხოდა ახეთ რამეს. ქვეტექსტებით გამიზნული მოკმედება ეხიარსებოდა. დინერტაციის დაცვასაც შეგნებულად ჯანიერებდა. მოვალეად თვლიდა თავს სხვა, რაღაც „დიდი საქმისთვის" ეზრუნა. ეჩემებული ლტოლვა რატომღაც ცხოვრებაზე შურისძიებასავით გამოხდიოდა. ამრიგად, გარიაუული გახდადთ ყველასთვის ახლობელი და ყველასგან გარიაული.

კაცი კვლავ ნელა მიაბიჯებდა და უნებლიეთ კვლავ ამაზე ფიქრობდა, რომ იგი სულ სხვა სამყაროსთვის იყო გაჩენილი. მერე თვალები დახუჭა და ნაძვის ხეები დაინახა. მერე დათოვლილება მთა-გორი. მერე ეაუკარობით გადაწოლილ-ეი მდელო და ჩამავალი მზე. დაეინახა თვალის ბანელა. უცაბ ფეხი ქეჩის გაბაბიას ამორჩილ ქვას წამოაკრა და ზოგიფარეხდა.

— რა დაგემართა, — შეიცხადა ქალმა, — მთვრალი ხარ?!

არაფერი უკასუხნია. წონასწორობა აღიდგინა დ. იხეე დახუჭა თვალები. მინდორში მოთამაშე ბავშეები დაინახა და გაეცინა.

დოდომ ნაბიჯს აუჩქარა. ქმარს გაუსწრო.

„შენი რა ბრალია, შენ სხვა ცხოვრებას ეხეჭრაფეი...“ ახლა თვალბდახუჭული ოცნებას ეხიკვაროდეოდა.

მის საუფლამდე ბავშვობაში წაკითხული ზღაპრები მიაცილებდა. გზად ლამაზ ქალს გადაეყრებოდა. ქალი მეკარეწლისაა და საიკვარულს ითხოვდა. „ოცნება-შედეევრი, ეგ ხომ კაცობრიობის საფიქრალ-საზრუნავია. კაცობრიობის დედამდე რიგით ოცნებებს ქმნის და დროდადრო მათ იმეორებს კიდეც. ოცნება-შედეევრი კი... ოცნება-შედეევრი ადამიანს საკუთარ თავს დაუპრეზენტებს. სიცოცხლის ახალ საწყისს შთაბერავს...“ მოულოდნელად ოცნება-შედეევრი ეიელვარდა და ამავე წამს თეთრად დაიპენტა. სხეულნი რაღაც ერთიანად ეიძარა და კაცი შეტო

— ვინ არის? — წამწამები აახამხამა.

— არ იცი, ვინ იქნება, ამ უთენიას, — უგუნებოდ მიუგო — ადექი, რას უცდი, თორემ შემოამტვრევს კარს.

ქალი სწრაფად წაიოდგა. შიშველ სხეულზე ლურჯი ხალათი მოიხსა და ღილების შეკვრით დერეფნისაკენ წაფრატუნდა.

— მე მძინავს! — მიაძახა მას კაცმა და კედლისკენ გადატრიალდა.

— შენ ხარ, დედა? — იკითხა კარებთან მიხულმა ქალმა და ხარაზი გამოსწია.

— გაადე! — გაისმა დედაკაცის მბრძანებლური ხმა.

ლოგინში შეუუფუფ კაცს კვლავ დაბადრა. ვერა და ვერ მიეჩვია სიდედრის ამ როფინ ხმას.

— რა ამბავია, აკანდე ლოგინში კოტრიალი გაგონილა?! უკვე დრო, გადავეჩეოთო საათობით ნებივრობას. ამა, გამომაცოცხლეთ! — ეტყობოდა დერეფანში შემოსული სიდედრი ფეხზე იხდიდა.

„დარჩენას ამირებს, ღმერთო ჩემო, რა დავაშავე. მოგიტანს მანეთის ერბოკვერცხს, ათისს კი მოგაყვედრის. ახლა შეუდგება ხაუზმის კეთებას მთელი ენერგიით, მერე კი დაგაკურებს. მერე სადილის კეთებას დაიწყებს, მერე ხარცხის რეცეპტს. თან ყოველ ნაბიჯზე იქადაგებს; მე რომ არ გაკადგი, რა გეშველებათ, ხომ დაიხოცებით შიშშლეთ“

— მე რომ არ გაკადგი, რა გეშველებათ, ხომ დაიხოცებით შიშშლეთ! ხანამდე ამირები ახე კოტრიალს?! ეს რა ფეხშიშველი დაფრატუნობ. ჩაიცვი ქალე!

— მე ცოტას კიდევ წავიძინებ, დედი, — შეესიტყვა შვილი.

—ჰიდი, ოღონდ შენს მეუღლეს გადაეცი, აგარაკი ხულ მალალ მიგდებულია, ის კი ა'ა, გასულ წვიმიანობისას ჩემსას ხაზრევიდან წუალმა ჩამოგონა. მე მგონი ხირცხვილია ხხვას რომ ვთხოვო... მამაშენი, ხომ იცი, ხამ თვეს არ ჩამოგა.

„...საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას ხურს სიტკვით თუ კალმით გამოხატოს მისი ღვაწლი საამბოხოსადაი, გაგვითავლისწინოს მისი სამსახური, სავსებით დაგვიბატოს მისი ხურათი. მაგრამ ამაოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ თუქვამს ის, რისი თქმაც უნდოდა; ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის, რისიც დახატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვიხსენებთ ხოლმე, მის სატეკა სახელთან ერთად თვალწინ ვგვიდნება დიდებული სურათი... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხო პოეზია და დიდებული ენა! საუცხოოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ოღონდ თვალწინ უძევს, მაგრამ არავის ძალუძს [illegible]ასეთი გადმოგვცეს, კალმით დაგვიბატოს. ასეთია სიდიდეთა ხალხის სულმნათისა, ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ ხვარობს ამ სურათში: სიმშვენიერე პოეზიისა და სიკეკლუეს ენისა...

აკაკის სწერიდ ჯავრად ჩაჰვვა სამარეში, ვინ თუ ქართული ზეპირსიტყვაობა დაიკარგოსო. რომ ეს არ მოხდეს ამიტომ ჩვენს საზოგადოებას ანდერძით დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა და თავისი აკვლადიდება ამ საქმის განსახორციელებად გვიანდერძა, როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აქვს პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი".

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი გულმოდგინებით მოამკიდა ხელი აკაკის ანდერძის შესრულებას. 1915 წლის 25 თებერვალს საგანგებო სხდომა მიეძღვნა აღსანშნულ საკითხს. ექვთიმე თაყაიშვილი ვრცელად შეეხო აკაკი წერეთლის უკანასკნელ სურვილს ხალხური სიტყვიერების მასალების შესაკრებად, შესასწავლად და დასაბეჭდად განსაკუთრებული თანმხლი დაარსებისა და თვით მისი თხზულებების გამოცემის შესახებ. კოტიან ყაზბეგინა, რომ ყველა ღონე იხმაროს ქართული ხალხური სიტყვიერების ფონდის გასაძლიერებლად და გამოცემის უზრუნველსაყოფად. ეს თანმიდევნად უნდა გაზრდილიყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყოველგვარი ხარჯის დაფარვა იმ დიდი შრომის გასაწევად, რომელიც ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრების, შესწავლისა და გამოკვეულებისთვის იყო საჭირო. საზოგადოების კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო აკაკი წერეთლის თხზულებათა კრებულის გამოცემის საკითხს. მიიჩნიეს, რომ აკაკის თხზულებათა გამოცემის მეოთხის ფართო მეოთხეული საზოგადოებისათვის შემოქმედების პოპულარიზაცია, მისი ნაწერმას ორი უმთავრესი მიზანი უნდა ჰქონდეს: მგოსნის მიწოდება და გარკვეული შემოსავლის მიღება, რომლითაც გაძლიერდებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ფონდი. გამოცემა ორგვარი უნდა ეფიფილიყო: ერთი — ხალხისათვის მისაწვდომი, იაფფასიანი; მეორე — სამეცნიერო. დაადგინეს, რომ მიმართონ ხალხს ვინაც კი რაიმე ხელნაწერი მოეკოვებოდა, საზოგადოებისათვის მოეწოდებინათ, ამასთან აკაკასთან ახლოსმყოფეს ხთხოვდნენ მოეცათ მოგონებანი მგოსანზეც, თუ რა ვითარებაში იწერებოდა და ვისდამი იყო მიძღვნილი ცალკეული ლექსები.

აი, ამგვარი თხოვნით მიმართა ქართველ საზოგადოებას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ გაზეთ „ხახალო ფურცლის" საშუალებით:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად ხთხოვს განსვენებულის მგოსნის აკაკი რობატოვის ძის წერეთლის ნათესავ-ნაცნობებსა და მისი ხსოვნის პატივისცემელთ მოაწოდონ „საზოგადოებას" მუზეუმში დასაცავად განსვენებულის მგოსნის ყოველგვარი მიწერ-მოწერა, მისი ნაქონი ნივთი, ეერძო ალბომებში მოთავსებული მისი ლექსები ან ეერძო პირთათვის შედგენილი ეპიტაფიები (საფლავის ქვაზე წასაწერი), ანრეთვე ყოველგვარი ცნობა, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიის (ცხოვრების ალწერის) შესადგენად გამოდგება, და დასასრულ ვინაც მოეკო

რამდენიმე ქართველი მოდაწე, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკისთან (ცირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე. დავით ბაქრაძე, სერგო ბახტაძე, პეტრე წულუკიძე, ნიკო ლომპური, ილია მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ორბელიანი, ტასო მაჩაბელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ დიასამიძე, ვახტანგ ღამბაშიძე, ივანე ელიავიშვილი, კონსტანტინე ამდაშვილიშვილი, სოსიკო მერკვილაძე და სხვ.) და პირადად სთხოვა მგოსნის შესახებ მათ ხელთ არსებული მასალების მოწოდება.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ფონდში (2468-ბ) დაცულია საზოგადოების მიმართვა (დათარიღებულია 1915 წლის 30 აპრილით) ოსეთ (ოსოსკი) მერკვილაძისადმი (ანალოგიური ბარათები დაეგზავნათ სხვა პირებ.ხაც):

„8-ნს ოსეთ მერკვილაძეს

მოწყალეო ხელმწიფეო!

საკართველოს სიამაყის, განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ანდერძის თანახმად, საქართველოს სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა განსვენებულის თხზულებათა გამოცემის თადარიგს. ამასთანავე საბჭო აგროვებს ყოველგვარ ნივთს, რომელიც აკაკის საკუთრებას შეადგენდა, აკაკის წერილებს ნაცნობ-ნათესავთადმი და მეგობრებისადმი და ამათს წერილებს აკაკისადმი, მგოსნის თხზულებათა ავტოგრაფებს და ყოველგვარს ცნობას, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიისათვის გამოდგება. თხზულებათა გამოცემისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება ცნობას, თუ როდის, რა შემთხვევის გამო, დაიწერია მგოსანს ესა თუ ის ლექსი ან სტატია, მოთხრობა ან პოემა, ან კიდევ რომელი თანამედროვე პირი ჰყავს ავტორს ნაგულისხმები ამა თუ ის ნაწარმოებში.

გაუწყებთ რა ამას, საზოგადოების საბჭო მოგმართავსთ თქვენ, როგორც განსვენებული მგოსნის გულითადს მეგობარს და დაახლოებულს პირს და გთხოვსთ მოგვაწოდოთ თქვენი მოგონებანი განსვენებულის შესახებ, აგრეთვე თუ რამ მინი ნაწერი ან ცერცი წერილი და ნაკმინი ნივთი მოგებეპოვებათ. თქვენც დაგვთანხმებით, რომ უკეთუ ახეთი მასალები ამ მოკლე დროში არ იქნა შეკრებილი, რაც დრო გავა, თანდათან გაიფანტება, დავიწყებას მიეცემა და საბოდამოდ დაიკარგება. ყოველი ნივთი, წერილი ან ავტოგრაფი, რომელთაც „საზოგადოებას" მოაწედთ, დაცულ იქნება საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მოპავლის დარბაზისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე — ე. თაკაიშვილი

მდივანი — ს. გორგაძე"

საგულისხმოა, რომ სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმავე 1915 წლის 25 თებერვლის კრებაზე ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება „აკაკი წერეთელი და ჩვენი ხალხური პოეზია". მომხსენებელმა მოკლედ დაიცნო დამსწრე საზოგადოება დიდი მგოსნის აზრი ხალხური პოეზიის შესახებ; ნათლად აჩვენა, რომ „წერეთელმა ჯერ კიდევ რომიაკი წლის წინათ შეუდგა ... ხალხური სიტყვიერების შეკრებას, ხოლო [illegible] წლის წინ კიდევ დაიწყო მისი ბეჭდვა თავის „კრებულში". მომხსენებელმა წარმოადგინა პოეტის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და ცხადაყო ის აზრი, რომ ქართული ხალხური პოეზია როგორც ფორმის სიმშვენიერით და ბერძნული სიმელიერე-სიფაფეზით, ისე ენის მუსიკალურობით იმ დონემდე განვითარებულა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პირველხარისხოვანი პოეტების ქმნილებებსაც კი უსწრებს წინ. ამიტომ სრულიად არ იყო გასაკვირი, რომ აკაკი წერეთელმა ესოდენ დიდი უურადღება მიაქცია ხალხურ შემოქმედებას. იგი ბმამადლი აცხადებს, რომ „უმადლეს წერტილამდე იყო აუვანილი ჩვენი სახალხო პოეზიაო", იგი „უტუეარი სარეკი გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე ხაძირკველიაო" („კრებული", 1897, № 1, გვ. [illegible]).

აკაკი წერეთლის წერილთაგზე ეკვითმე თავადაც ვლინდა დამხმარეთ გაიცხო სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გაწეული დიდი მუშაობა განსვენებული მგოსნის ანდერძის აღსრულებისათვის: „ბევრგვანეთის ნაკვლად თანამედგან განსვენებულის სურვილისა, დაარსდა ხახალხო პოეზიის ფონდი, რომელისთვისაც დღემდის შეგროვდა ხუთმეტი ათას მანეთზე ეოტა მეტი... დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვა... ე

როცა დადგა საკითხი განსვენებული აკაკი წეროთელის ხსოვნის შემადგენლობის, გამშვენებისა და მოყვარე-პატრონობის შესახებ, ხასიხტრით და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. საზოგადოების კრებამ საგანგებოდ ამისაკენ ამ საკითხზე 1916 წლის 20 თებერვალს, ე. თაყაიშვილმა სხდომაზე მოახსენა, რომ ა. წეროთელის ხელოვნი უნერზულ ალაგას იყო მოთავსებული, ისეთი კლდის ძირშე, რომელსაც არავითარი სიმაგრე არა აქვს და ყოველი ნიაღვრის დროს იშლება. ამის გამო მგონის ხელოვნი მუდამ განსაცდელშია, გაშვენდა და ეზრი მოსვლა სტიროდეს. ჯერ კიდევ 1916 წლის ზაფხულში საზოგადოების წევრმა ოიხუმ მერკვილაძემ საბჭოს სთხოვა გიელო ბარეკი კლდის გასაამაგრებლად და ხელოვნის გასამშვენებლად. საბჭო დათანხმდა თანხის გაღებას, თანაც გამოაყო კომისია ი. მერკვილაძის, ირ. სონღულაშვილისა და ნ. ალადაძის შემადგენლობით. ამის შემდეგ ი. მერკვილაძემ ახალი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საბჭოს, სადაც ბარეკების საკარაულო რაოდენობას 2400. მანეთით განსაზღვრავდა. საზოგადოების საბჭომ ახეთი დიდი თანხის გიღება კრების დაუკითხავად ვერ გაბედა. თანხა უნდა გაეკეთ�eულიყო აკაკის ფონდიდან (სხვა თავისუფალი თანხა საზოგადოებას არ გააჩნდა). რომლის პირდაპირი დანიშნულება ხალხური სიტყვიერების შეკრება და გამოცემა იყო. ამან გარდა საბჭო არ იყო დარწმუნებული ამ ბარეკის გაწეკის შემდეგ ხასოლოოდ ეშველებოდა თუ არა საქმეს. ზოგიერთმა ის აზრიც კი გამოთქვა, რომ დიდი მგონსნი გადაასვენებინათ უფრო მტკიცე და ბუნების სტაქიისაგან უზრუნველეყოფილ განსასვენებელ ადგილზე იქვე მთაწმინდაზე ან დიდუბის „ქართველ პანთეონში". ცხარე კამათის შემდეგ ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აკაკის ცხეკარი იქვე უნდა დარჩენილიყო და გაემაგრებინათ ხაფლავი. გამოიყო კომისია (კ. ციხაძე, ნ. თალაკვაძე, გრ. დიასამიძე, ი. მერკვილაძე, ი. ზედგენიძე, შ. ჭარხუმიძე, ხვ. კლდიაშვილი, ლ. დიასამიძე, ქ. კალგინი, გ. ჭკურანი, ივ. ეიფშიძე), რომელსაც დაეკალა საკითხის შესწავლა და წინადადების წარმოდგენა (იხ. საზოგადოების წლიური კრების ოქმი № 118). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო მთაწმინდაზე ა. წეროთელის ხაფლავის გამაგრება-გამშვენიერებასა და მოყვარე-პატრონობაში.

ხასიხტრით და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო აკაკი წეროთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსაცემად მოამზადების საქმეს. საზოგადოების საბჭომ 1915 წლის 9 მაისს (ოქმი № 113) დაამტკიცა აკაკი წეროთელის თხზულებათა გამოცემის დაწერილებითი გეგმის შემმუშავებელი კომისია, რომელის შემადგენლობაში შეედიენ: ხ. გორგაძე, ი. ეიფშიძე, დ. კილასონიძე, ირ. სონღულაშვილი და გ. კიკოძე. კომისიის ხელმძღვანელად ეკვთომე თაყაიშვილის შეიწერეოდენ, ეფრემ ალიბეგოვი იყო მოსული. 1915 წლის 24 ივნისისთვის კომისიამ ხასხტრონი და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა თავიანი წინადადება ხათანადო დასკვნით.

ეს გამოცემა უნდა ყოფილიყო პირველი სრული, ყველასათვის (როგორც ჩვეულებრივი მეთხველისათვის, ისე მკვლევართათვის) გამოსადეგი. ყველასათვის (როგორც მდიდართა, ისე ხელმოკლეთათვის) ხელმისაწვდომი და იმავე დროს ხასხტრონი და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის ნივთიერად ხელსაყრელი გამოცემა. მის შემოსავალს, აკაკისავე ანდერძის თანხმად უნდა გაეწიერდა ხალხური სიტყვიერების ფონდი. ამიტომ ეს გამოცემა არ უნდა ყოფილიყო მდიდრული და მხატვრულ-სურათებიანი. ერთადერთი ხამკაული, რომელიც ამ გამოცემის ყოველ ტომს დასჯირდება, იქნებოდა გარეკანისა და პირველი გვერდის (ტექსტის დასაწყისში) ორნამენტი; ამას გარდა კოშისიას ხასურველად მიაჩნდა პატარა ორნამენტი (ხაბლოო) ყოველი ტომის ბოლოში, ტექსტის დასასრულს მოთავსებულიყო. ხამკაული უნდა ყოფილიყო ქართული ხასიათისა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გამოცემაში უნდა შეეტანათ როგორც ქართული, ისე რუსული (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული (მოწერ-მოწერილობანი); ყოველი ნაწარმოები უნდა დახეკვლიყო მთლიანად. ნაწარმოების ტექსტიდან ცალკე ნაწყვეტის ამოღება და დაბეკვდა არ უნდა მომხდარიყო. გამოცემაში აკაკის თხზულებათა ტექსტი უნდა დადგენილიყო და ორთოგრაფიულად შესწორებულიყო (უკიდურეს შემთხვევაში) უმეტესად თვით ავტორისავე უკანასკნელი დროის ავტოგრაფების მიხედვით. ყოველი ნაწარმოების შესახებ (როცა კი შესაძლოა) უნდა მოცემულიყო ცნობა, თუ სად და როდის არის დაწერილი ან დაბეკვდილი, ან რომელი პირისა და შემთხვევის გამოა შედგენილი ესა თუ ის ნაწარმოები (ეს ცნობები უნდა მოთავსებულიყო ტომის ბოლოში).

მთელი გამოსაცემი მასალა უნდა დალაგებულიყო შემდეგ ჯგუფებად: ა) ლექსები; ბ) ოდეკარაკები; გ) პოემები და გალეკსილი ზღაპრლეგენდები; დ) სცენები და დრამატული ნაწერები (როგორც გალეკსილნი, ისე გაულეკსავნი); ე) მოთხრობები და ზღაპრები; ვ) წერილწერილი ამბები და ნაკვეთები; ზ) პუბლიცისტური ხასიათის ნაწერები („ცხელ-ცხელი ამბები", „ნადელი" და მისთანანი); კრიტიკული წერილები და ხასიმილოგრაფიო შენიშვნანი; თ) ნიტუკუები; ი) კერძო წერილები და საზოგადოდ აკაკის მოწერ-მოწერა; კ) რუსული ნაწერები. ყოველი ჯგუფის ნაწერები ტომებში უნდა დაწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიეო ქრონოლოგიური რიგზე (მათი დაწერიანი და დაბეჭდვის თარიღის მიხედვით).

პირველ ტომში ლექსების წინ უნდა მოთავსებულიყო აკაკის „ჩემი თავგადასავალი", შემდეგ კი ლექსების ქრონოლოგიური რიგით. ტომს უნდა დართვოდა აკაკის, მისი მშობლების, დის, ცოლ-შვილისა და მამა-პაპაეული კარმიდამოს ხატვანები.

კომისიამ წარმოადგინა დეტალური წინადადებები ქაღალდის, შრიფტის, ფორმატის, ბეჭდვის წესისა და ხაბიბლიოგრაფიო ცნობების შესახებ. გამოცემას (პროექტით გათვალისწინებული ქაღალდის და შრიფტის მიხედვით 20 ტომამდე უნდა ეიფიფილიო) ბოლოს ცალკე დამატებად უნდა დართვოდა სრული ანბანური სახელები. მოცემული იყო სრული ხარჯთაღრიცხვა[12].

ამგვარი სახით აკაკის თხზულებათა გამოცემა, რასაკვირველია, მისასალმებელი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ საქმის განხორციელება გაგრძდა. ამგვარი ვრცელი (სრული) გამოცემა იმდროისათვის ეითარების სირთულისა და უსახსრობის გამო ვერ განხორციელდებოდა. 1917 წლის 12 ივნისს აკაკის თხზულებათა გამოცემის გეგმის შემმუშავებელი კომისია კვლავ შეიკრიბა. სხდომას დაესწრნენ ხ. გორგაძე, გ. ქიკოძე და ფ. უიფშიძე. ამ კომისიას საბჭოსაგან დავალებული ჰქონდა აკაკის თხზულებათა გამოცემის ადრე შემუშავებული დაწერილებითი გეგმის გადარჩევება. კომისიის შემადგენლობაში მყოფი პავლე ინგოროყვა მოუცლელობის გამო ვერ დაესწრო სხდომას, თავისი აზრი კი — წერილობით წარმოადგინა. ეფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ხელოვნების მუზეუმში დაცული (ე. 876, საქ. 27) ეს წერილი:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო სერგო![13]

სწორედ დღეს საღამოს დანიშნულია წერაკითხვის საზოგადოების საგამომცემლო სექციის კრება, რომელზედაც უნდა განიხილოს ჩემ მიერ შედგენილი ეთოგრაფიული ლექსიკონი. ამ კრებაზე ჩემი ჩაუსწავლელობა ყოველად მოუხერხებელი იქნება და ძალიან ვწუხვარ — რომ თქვენი კომისიის სხდომას ვერ დავესწრები. მაინც და მაინც ჩემს შეხედულებას აკაკის ეამოცემის შესახებ დათქეა[14] გაგაცნობით მოკლედ — ჩემი აზრი ასეთია: გამოცემა უნდა იყოს სრული და უსათუოდ კრიტიკული, მონარარის გულისათვის საჭმის ნუ შევადგენთ.

თქვენი პავლე ინგოროყვა".

კომისიამ გაითვალისწინა საზოგადოების საბჭოს მითითებები, ის საბუღალტეროა, რაც აღნიშნული საქმის განხორციელებისათვის გაიჩნდა და ასეთი დადგენილება მიიღო:

„1. ამეკამად გადაიდოს აკაკის თხზულებათა სრული გამოცემა და მის ნაცვლად გამოიცეს ეხლოლად რჩეული ნაწერები.

2. გამოცემა უსათუოდ უნდა იყოს კრიტიკული.

3. სპეციალისტ-ენციეკლოპედისტთა ეამ გამოცემას ეს ცალკე დამატებად დაეთხოს აკაკის „სრულ ბიბლიოგრაფია"[15].

კომისია თვლიდა, რომ ასეთი გამოცემა შესაძლებელად შეამცირებდა გამომცემლობის ხარჯებს. ამჯერად შეთავაზებულ შემთხვევაში მთელი გამოცემა 5-6 ტომით განსაზღვრებოდა (ნაცვლად 20 ტომისა). ეს მკითხველისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, რადგან ამ ტომების ფასი 20 მანეთს არ აღემატებოდა, ნაცვლად წინანდელი 60 მანეთისა.

კომისიის სხდომის ოქმში ცალკეა შეტანილი (დადგენილებული) კერძო აზრი ფ. უიფშიძისა, რომელსაც სასურველად მიაჩნია დაიბეჭდოს აკაკის ის ნაწერები, რომლებიც მანამდე გამოქვეყნებული იყო.

როცა ცალკეული თხზულებების გამოცემაზე მიდგა ჯერი, აღმოჩნდა, რომ აკაკი წერილთელს მთელ რიგ ნაწარმოებებზე გამოცემის უფლება გაეფიფლი ჰქონდა. ჩვენს ხელი არის საბუნებიდან ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულების პირი, რომელიც გვაუწყებს, რომ ისტორიული რომანი „ბაში-აჩიკი", ისტორიული პოემები: „ნათელა", „კიკოლას ნაამბობი" და „ბაგრატ დიდი" აკაკი წერილთელმა სამუდამოდ გამოცემის უფლებით მიმეიდა ოსიეს მერკლაძეს.

«...За продажу эту я князь Церетели [illegible] говорил себе одну тысячу пятьсот рублей, которые сполна и получил и за сим к нему Иосифу Мерквиладзе и преемникам его переходит право издания и продажи оказанных произведений навсегда»[16].

ეს ხელშეკრულება 1913 წლის ივნისში გაფორმებული. ი. მერკვილაძე სისტორიო და სალინგრაფო საზოგადოების წევრი იყო და, როგორც ჩანს, აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის განხორციელების (საზოგადოების მიერ ა. წერილთელის თხზულებათა გამოცემისა და ხალხური სიტყვიერების ფონდის შექმნის შესახებ) ძნიშვნელოვნად ეწუოობდა ხელს. მან თავისი ეზადეოფნა, უსასყიდლოდ დაეთმო გამოსაცემად აკაკის თხზულებები სისტორიო და სალინგრაფო საზოგადოებისათვის გამოსაცემად. წერილობით გამოხატა. ეი ი. მერკვილაძის განცხადება (დაცულია ხელ. მუზეუმის ფონდში, ე. 876, საქ. № 27) ე. თაყაიშვილისადმი:

„ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ეკვთიმე

როინ მეტრეველი
საქართველოს სსრ ისტორიის და
ეთნოგრაფიის საზოგადოება და
აკაკი წერეთელი

ხვიმონის ძე თაყაიშვილს ამავე საზოგადოების მუდმივი წევრის ოსეს ნიკოლოზის ძის მერკვლაძის

განცხადება

განსვენებული ჩვენი სახეკადულო და უკვდავი მგოსნის აკაკის ანდერძით მისი ნაწერებიანის საავტორო უფლება გადადის ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების ხელში. ამის გამო ფაგრეთვე ასაცილებლად ყოველგვარი გაუგებრობისა ან მოიქმა-მოთქმისა მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გაცნობოთ თქვენს როგორც ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარეს და წარმომადგენელს შემდეგი:

განსვენებული აკაკისგან ნოტარიუსთან დადებული ხელშეკრულებით შეძენილი მაქვს სრული და სამუდამო საკუთრებით ოთხი ბინა ნაწერიანი ხახელდობრ:

1. ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ისტორიული პოემები 2) „ნთელეს“ 3) „კეკოლას ნაამბობი“ და 4) „ბაგრატ დიდი“, გარდა ამისა მისგანვე შინაური ბარათით შეძენილი მაქვს ერთი გამოცემის უფლება ისტორიული დრამის „პატარა კახი“. ეს ბარათი მოცემულია 1913 წ. 7 აპრილს. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, პატივი მაქვს გაგიცხადოთ, რომ მე ვიხარებელ ეროვნული უფლებებით და გთხოვთ იქონიონ ეს ჩემი განცხადება მხედველობაში.

აქვე დავსძენ: როცა საზოგადოება შეუდგება აკაკის ნაწერების ტომებად სრული აკადემიურ გამოცემას, მე ჩემი მხრით სავალდებულოთ მივიჩნევ არ შევუშალო ხელი ასეთ სასარგებლო საქმეს აკაკის რომელიმე ნაწერიანის გამოკლებით და „საზოგადოებას“ უსასყიდლოდ ნებას დაკრთავ მოათავსოს იმ გამოცემაში ჩემ მიერ შეძენილი თხზულებებიც სხვა მის ნაწერებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს თხზულებები არ იქნეს გამოცემული ცალკე ტომათ, ან თითეული ბათგანი ცალ-ცალკე.

ამასთანავე წარმოგიდგენთ ზემოხსენებული ბარათების ასლებს.

1) ტფ. ნოტარიუსის ბიტკევიჩის მიერ შემოწმებული ხელ-შეკრულებისა 1918 წლის 9 აპრილს (რუსულ ენაზე) და 2) ჩემ მიერ შემოწმებული შინაური ბარათის ასლს (7 აპრილი 1913 წლისა).

უღრმესი პატივისცემით საზოგადოების მუდმივი წევრი

ოსსეს ნიკოლოზის ძე მერკვლიძე“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ეწუვნა აკაკი წერეთლის თხზულებათა შეძენებისდაგვარად (ძირითად გამაბრკოლებელი გეგმით) გამოცემისათვის. გამომცემლად შერჩეული იქნა „თ. მთავრიშვილის ამხანაგობა“, ამ ამხანაგობის წარმომადგენლის თომა აბრამის ძე მთავრიშვილის მიერ ქართველი ეროვნების ეკონომიურ საზოგადოებას. 1919 წლის 2 აგვისტოს აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის შესახებ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (საზოგადოების ... ლით ხელს აწერდა მისი თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი) უთმობდა დიდი მგოსნის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემის უფლებას „თ. მთავრიშვილის ამხანაგობას“ — შემდეგი პირობებით: გამოცემა უნდა განხორციელებულიყო საკართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით; გამომცემელს უნდა ეკისრა ყოველგვარი შრომა და (სარედაქციო, კორეტტურა და სხვ.) ხარჯი; გამომცემელს უფლება ეძლიოდა გამოეცა ცალკე წიგნებად (ბროშურებად) აკაკის ყოველი ნაწერამიები, რომელსაც თვითონ მოისურვებდა, გარდა იმ თხზულებებისა, რომელთა გამოცემის უფლება თვით საზოგადოებას არ ჰქონდა; გამომცემელს უფლებაც ეძლიოდა განეხორციელებინა გამოცემა ხელშეკრულების დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში; საზოგადოებას უფლება არ ჰქონდა „მთავრიშვილის ამხანაგობის“ მიერ გამოცემული აკაკის თხზულება, ორი წლის განმავლობაში დღიდან მისი დაბეჭდვისა, თვითონ გამოეცა, ან სხვისთვის გადაეცა გამოსაცემად; თითოეული წიგნის ტირაჟი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 5000-ისა. გამოცემულ ცალთა რაოდენობა გამომცემელს ყოველთვის უნდა ეცნობებინა საზოგადოებისთვის; საზოგადოებასაც უნდა მოსცემოდა ყოველ დაბეჭდილ ცალზე ნომინალური ფასის 15%. ამასთან გამომცემელს უფლება არ ჰქონდა წიგნის ნომინალური ფასი გაეზიდებინა (გამოცემის შემდეგ) საზოგადოების სამეცნიერო შეუთანხმებლად; გამომცემელს ყოველთვინი თანმა უნდა ჩუბარებინა საზოგადოებისთვის ერთი წლის განმავლობაში დღიდან წიგნის გამაყიდველ გამოსულნა; საზოგადოებისა გამოეცა ყველა აკაკის თხზულებები გამოეცა ტომებად, როცა მოისურვებდა.

ასე დაიწყო დიდი საქმიანობა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოსაცემად. 1919-20 წწ. ქართველმა მეეთნოლემ მიიღო ცალ-ცალკე წიგნებად გამოცემული „ოთონიკეკი ერისთავი“, „პატარა კახი“, „თამარ-ცბიერი“ და „გამზრდელი“. აქედან ჩაეკარა საფუძველი ამ დიდ საქმეს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ოცნებაში — განხორციელებულიყო აკაკის თხზულებათა სრული და კრიტიკული გამოცემა —. ფრთები მხოლოდ საბეჭდოა ხელისუფლების წლებში შეესხა. საზოგადოების მიერ გაწეული დიდი საქმიანობა იყო საფუძველი, რომელმაც ნნიშვნელოვანი როლი შესრულა დიდი მგოსნის თხზულებათა გამოცემის მეცნიერულ რელსებზე დაყენების საქმეში.

დასასრულს, ვვიანდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი საკართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან

დააბლოვა ამ უკანასკნელის ფრიად მნიშვნელოვანმა, კონკრეტულმა და სახარგებლო ეროვნულმა საქმიანობამ და ისტორიისა და ხალხური შემოქმედების დიდმა ხიუვარულმა. საზოგადოებაც ფართოდ უღებდა კარს საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა გვირგვინი მისი საპატიო წევრი საქართველოს მეფე აკაკი წერეთელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

[1] იხ. არაჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 18, ძველი საქართველო, I, თბ., 1909, გვ. 45. მანამდე ა. წერეთელი საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო (1907 წ. 8 ნოემბრიდან).

[2] ძველი საქართველო, I, გვ. 45-46. ადრესის პირები (შავი) დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ყ. 347, საქ. 18 ა).

[3] აკაკის ანდერძი ა. წერეთელი, თხზულებათა ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 589.

[4] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 496-497. ამ მხრივ ნიშანდობლივია ა. წერეთლის კერძო წერილები, რომლებიც თხზულებათა XV ტომში დაიბეჭდა 1963 წ. გ. აბზიანიძის წინასიტყვაობით და რედაქციით.

[5] ეს სიტყვა აკაკის ხელით დაწერილი (ბოლოში ხელმოწერით „აკაკი") დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში. მცირე შესწორებით დაბეჭდილია ა. წერეთლის თხზულებათა მეოთხეტტე ტომში (თბ., 1961, გვ. 470-473); აკაკის იმდროინდელი ბანკების ბიუროკრატიული და უგულო ხელმძღვანელები მკაცრად გააკეთახა თავის წერილში „მე და ჩემი პენსია" (თხზ. ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 415-423).

[6] საქ. ხელ. მუზ. ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

[7] იგივე.

[8] იხ. ე. თაყაიშვილი, აკაკის ანდერძის გამო, კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი", თბ., 1966, გვ. 205-207.

[9] ხელ. მუზ. ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

[10] აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, თხზ. ტ. XIV, გვ. 590.

[11] ე. თაყაიშვილის პირადი არქივი საქ. № 1107, იხ. აგრეთვე ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 148-152.

[12] კომისიის ანგარიში დაცულია ხელ. მუზ. ფონდში, ყ. 847, საქ. № 27.

[13] მიმართავს ს. გორგაძეს.

[14] მხედველობაშია დავით ყიფშიძე.

[15] საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 876, საქ. 27.

[16]. იქვე, ხელშეკრულების პირი დაცულია იგივე ფონდში.

ნათელა ფერეთელი

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1908–1910 წლებში

რევოლუციამდელმა ქართულმა ხალხტერატურო კრიტიკამ ასე თუ ისე საფუძვლიანად გაანიხილა ნ. ბარათაშვილის შემოქმედება და სათანადო ადგილი დაუმკვიდრა მას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. აღიარებული იქნა პოეტის შემოქმედების ზოგადსაკაცობრო იდეები, რაზეც პირველად ილია ჭავჭავაძემ მიუთითა.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა აზრისა იყვნენ ნ. ბარათაშვილზე ქართველი კრიტიკოსები 1908-1910 წლებში.

სპირიდონ ბელაძის წიგნი, „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია", გამოვიდა 1908 წელს. ავტორი თავის ნაშრომში გადმოგვცემს ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიას და იქვე მიუთითებს: „მისი ნაწერებით ჩვენ ვკითხულობთ ჩვენი ერის გაჭირვე და თანამედროვე, პოეტიკურ და სოციალურ ცხოვრების მიერ წარმოშობილ კითხვებს, რომელთაც აზის მსოფლიო ელფერი".

წიგნის ავტორი განიხილავს მე-19 საუკუნის კრიტიკოსთა შეხედულებებს ნიკოლოზ ბარათაშვილზე. აანალიზებს ამ მხრივ ნიკო ნიკოლაძის კრიტიკულ აზრებს, რომელმაც პარალელი გაავლო ბარათაშვილსა და ლერმონტოვს შორის. აქვე მოჰკავს ხოლმელის, გ. თუმანოვის, კიტა აბაშიძისა და ვასილ წერეთლის კრიტიკული შეხედულებები რომანტიკოს პოეტზე. განსხვავებით წინა კრიტიკოსებისაგან, სპირიდონ ბელაძე განსაკუთრებით განიხილავს პესიმიზმს ბარათაშვილის შემოქმედებაში და დასძენს: „მიხი პესიმიზმი არ არის მომაკვდავის იმედგადაწყვეტილის პესიმიზმი, არამედ მასში გამოსკვივის ცხოვრების იარებისა და მისი სიდუხჭირის მხილება და მისწრაფება საუკეთესო მომავლისაკენ".

1908 წელს გაზეთ „დროების" სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა შოთა დადიანის წერილი სათაურით: „ქართველი ქალის სახე აკაკის ზოგიერთ ნაწარმოებში". წერილის ავტორი ავლებს პარალელს ნ. ბარათაშვილის პოემის მოკმედ პირ სოფიოსა და აკაკის გმირ ქალებს შორის.

კრიტიკოსი შენიშნავს, რომ ბარათაშვილი არაფერს არ ამბობს გადაწყვეტილეს დღეკანდელ ქალებზე. აი, რას წერს იგი ამის თაობაზე: „ნ. ბარათაშვილმა არ დაგვიხატა დღევანდელი ქალის სახე".

ჩვენი დაკვირვებით პოემა „ბედი ქართლისას" დასკვნით ნაწილი აღნიშნული აზრის საწინააღმდეგო შინაარს შეიცავს. გავიხსენოთ პოეტის მიმართვა ქართველი დედებისადმი: „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ, სულიცა თქვენი გამოქაოლოდათ, ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი, მამულს ახლი ახლა თქვენ ნაკვერი, ქარმა ჩრდილოსამ ყველაზე უწინ გარდაუცალა მათ გული ცხოელ. ჯანი გაგარდეს ან შვილსაც, მამულს, მხოლოდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს, რას ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავნებს უცხოთ ტომობა?!".

ამ სიტყვებით ნათლად არის დახასიათებული მწერლის თანამედროვე ქართველი ქალის გულგრილობა და მათზე „ჩრდილოეთის" გავლენა ძველ დედებთან შედარებით, ამრიგად, ნ. ბარათაშვილმა ყველი და ახალი დროის დედების დაპირისპირების ხაშუალებით მოგვცა თავისი თანამედროვე ქართველი დედის სახე. იგივე შეიძლება ითქვას აკაკის შემოქმედებაზეც.

კრიტიკოსთა აზრით, აკაკი ნერეთელი ხსნა გზას დაადგა: პოეტმა, თავის შემოქმედებაში დაგვიხასიათა დღეკანდელი ქართველი ქალის სახე: „იქ გულწრფელობაა, აქ კი პირფერობაა; იქ სათნოებაა, აქ ცინიზმი, იქ სინამდვილეა, აქ პირობადე, იქ პირდაპირობაა, აქ კი ნიაღვბე".

საყურადღებოა კრიტიკოსის მიერ ამ წერილში წამოყენებული დებულება: „ნ. ბარათაშვილს სამარცხვინოდ არ მიაჩნია, რომ მთელი ხაკარ-

თველოს ანჯი სოფიოს, სოლომონ მსაჯულის ცოლის, პირით წარმოსთქვა, ქალი ასულდგმულებდა საკართველოს. ჩვენი აზრით, სოფიოს სიტყვებს „ფენიმდე დღე კი დამელეკა მე, უცნობობაში რაა სიამე.. რა ხელყრის პატივს ნაზი ულალული, გალიანია დატყვევებული“ — ვერ დაეთანხმებოდა იმდროინდელი საკართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება. ნუდგებოდა დიდი პოეტიკური ხასიათის საკითხი საკართველოს რუსეთთან შეერთებისა, საკითხი ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნისა, რომელიც ეკნსალი. ფენიერი გონებით გადაეკრა მეფე ერეკლეს.

წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც დაიბეჭდა ალმანახ „პირველ ნაბიჯში“ 1908 წელს, ავტორი ქრისტეფორე რაჭველიშვილი ახასიათებს ნ. ბარათაშვილის სამწერლო მოღვაწეობის ეპოქას და განიხილავს დაწერილებით სიყვარულის საკითხს მის შემოქმედებაში. ავტორი ეკოსი იმ აზრისაა, რომ ბარათაშვილი მხოლოდ და მხოლოდ სულიერი სიყვარულის მომღერალია.

„იმ დროს, როდესაც მთელი მაშინდელი და წინანდელი პოეზია, სპარსული პოეზიის გავლენით, მხოლოდ ფიზიკურ სიყვარულს შეტრფოდა, ალმერთებდა და მასში ჰპოვებდა თავის იდეალს, ბარათაშვილი სხვა სიყვარულზედ გვიმღერის და გვითხიერს, ის სიყვარულს ამჯობინებს ორ არსებათა სულიერ ერთობაზედ და არა ფიზიკურ ლტოლვილებზე“.

ჩვენი აზრით, ნ. ბარათაშვილი არ გამორიცხავდა ხორციელ სიყვარულს, მას თავისი ხატოვნო წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ფიზიკურად შემკული, ისე სულიერად სპეტაკ არსებად. აი, რას წერს პოეტი ლექსში „თავადის ქ... ძის ასულს, ეკ...ნას“:

ბმით მშვენიერით
ტკბილის სიმღერით,
ბაეროვანო, სულს ელინები
თვალთ ორონინებ, გულს დაიწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!

ხორციელ ლტოლვას ამყოვნებს პოეტი ლექსში „ხაუარე“, სადაც შემდეგი სიტყვებით მიმართავს ხატოფოს:

ჰოი, ხაუარეო, გრძნობით ამრეევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტაბარეს?
მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონის.

ამრიგად, პოეტი თავის შემოქმედებაში ხოტბას ახხამს, ქალის ორორაც გარეგან ხორციელ ხილამაზეს, ახეთე სულიერ სიმშვენიერეს. მისივე აზრით მხოლოდ ერთ მთგანზე, ცალკე ხორციელ ხილამაზეზე დამკვიდრებული სიყვარული, რომელსაც კავშირი არ ექნება სულის მშვენიერებასთან წარმავალია, ცვალებადი და უმტკიცები, სწორედ ამგვარად უნდა გავიგოთ შემდეგი სტროფიდან:

...აგრეთვე გულიც მხოლოდ ბრძენ
შენ-ამსაქვალები
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უურადსაღებია 1909 წელს გაზეთ „დროების“ 252-ე ნომერში დაბეჭდილი დიმიტრი უუნაძის წერილი სათაურით: „ბარათაშვილის ლირის მოტივები“. ავტორი გამოთქვამს შეხედულებებს რომანტიკოსი პოეტის ტრაგიზმის შესახებ. წერილის ავტორს მცდარად მიაჩნია ის აზრი, რომელიც მიზეზობრივ ხსნის რომელიმე ადამიანის სულისკვეთებას, მის პესიმისტურ ლტოლვილებას, რომელიც გარემის თვისებებს უკვეთდებარეს ტრაგიზმს ადამიანის ბუნებაში. აი, რას წერს იგი ბარათაშვილის შესახებ: „იმის პოეზიისათვის თავიდან პოლიმდეგ უმნიშვნელოა ის სოციალურ-პოლიტიკური უკუდმართობა, რომელსაც იმის დროის საკართველო განიცდიდა. იმის სულიერი დრამის ახსნისათვის სრულიად გამოუსადეგარია საკართველოს ეს უკუდმართი მდგომარეობა. იმის სულიერ დრამას ფარდასა ჰმდის მხოლოდ მისი სულის მიმდინარეობა“.

დიმიტრი უუნაძეს ბარათაშვილის შემოქმედება განიხილია წმინდა ფსიქიკურ ასპექტში. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ პოეტის სწრაფვა მარადისობისაკენ ახსნა არა გარეშო პირობებით (იგულისხმება იმდროინდელი საკართველოს მდგომარეობა), არამედ მისი სულის მდგომარეობით. ამავე წერილში დ. უუნაძე მიუთითებს, რომ ბარათაშვილი იყო ოპტიმისტი მწერალი, რაც ნათლად ჩანს მის ლექსებში „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“. „ბარათაშვილი ისწრაფვის, თავისი შემოქმედი სული ახსოლუტად აქციოს. იგი ამიტომ ცდილობს განშორდეს გრძნობათ. მას სწურანან სრული თავისუფლება სულის, მისი განმარტოება გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნებათაგან“ — წერს წერილს ავტორი.

დ. უუნაძის მიერ აღიარება იმისა, რომ ნ. ბარათაშვილი ოპტიმისტია, სავსებით მისაღებია, მაგრამ რომანტიკოსი პოეტის სულიერი ტრაგიზმის მიზეზებიდან საკართველოს იმდროინდელი მდგომარეობის და ხაერთოდ, გარეშო პირობების ზემოქმედების უგულვებელყოფას ვერ დავეთანხმებთან. ნ. ბარათაშვილის სულიერ ტრაგიზმზე გავლენა იქონია, როგორც შემოქმედის სულიერმა მდგომარეობამ, ისე იმ გარემომ, რომელშიც პოეტს მოდგომია უხდებოდა. კერძოდ, კი ეს იყო პერიოდი მე-19 საუუ-

---

ნათელა ფურთელი

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1908-1910 წლებში.

ნის დასაწყისისა. ამ დროს მოხდა საქართველოში დიდი პოლიტიკური ცვლილება. საქართველო რუსეთის ვასალი გახდა. რუსეთთან შეერთება კი გამოიწვია ერთი მხრივ შინაურმა უთანხმოებამ, მეორე მხრივ კი გარეშე მტრების შემოტევამ. რამაც ძალიან დაასუსტა ჩვენი ქვეყანა, წვრილი თავადაზნაურების ნაწილი ერთგულად იცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, როცა მას საფრთხე მოელოდა. გლეხობას იმედი ჰქონდა მშვიდობიანობის დამყარებისა და ბატონყმობის პირობების შემსუბუქებისა. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. საქართველო რუსეთის გუბერნიად გადაიქცა. დაიწყო ხალხის ჯანყება, მაგრამ რადგანაც ეს ჯანყებები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილს ხდებოდა, მათ ვერ მოახერხეს საერთო მასიურ მოძრაობად გადაქცევა. ქართველობა უიმედოდ მოიცვა. 1832 წელს მოხდა უკანასკნელი შეთქმულება, რომელიც გამომჟღავნდა. ამის შემდეგ ერი თითქმ დაემორჩილა თავის ბედს. ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. გულგრილობა გამეფდა ერის და სამშობლოს ბედისადმი. სწორედ ასეთ დროს დაიწყო ბარათაშვილმა წერა და შეუძლებელია იმდროინდელ ვითარებას გაგლეწა არ მოეხდინა მის სულსა და კალამზე.

1909 წელს გაზეთ „დროების" 103 ნომერში დაიბეჭდა გერონტი ქიქოძის ვრცელი სტატია „ტრაგიკული გრძნობა ქართველის პოეზიაში". ავტორი განიხილავს ტრაგიზმს ბარათაშვილის შემოქმედებაში და ადარებს მას შოპენჰაუერის ფილოსოფიას: შოპენჰაუერისთვის ინდივიდუალურ არსებობას თავისთავად არავითარი ფასი არა აქვს. მაშინ როდესაც მისი ერთადერთი ღირსებინაა მიზანი თავის ინდივიდუალობის მოსპობაა... ბარათაშვილისათვის ამავე არსებობას აქვს რეალური ფასიც და აზრიანი შინაარსიც. („არც კაცი ვარ-გა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს"...) — წერს სტატიის ავტორი, განიხილავს რა კრიტიკოსი ლეკსს „ბერანს" იძლევა ჩვენი აზრით არამისაღებ დასკვნებს. მისი აზრით, „ეს ლექსი გამოსახავდა ადამიანის სასოწარკვეთილ, მაგრამ ამაო ცდისა, რომელიც უსაოუოდ დამარცხებით დამთავრდება".

ბერანის სახით ნ. ბარათაშვილი გულისხმობს საკუთარ შემოქმედებით აქტივობას, „შავი ყორანი" კი სიმბოლოა უკედმართი ცხოვრების სინამდვილისა, იმ დაბრკოლებისა, რომელიც თან სდევს შემოქმედებითი უნარით გატაცებულთ ახალგაზრდას. ამ ლექსში ერთმანეთს ერწყმის პესიმიზმი, რომელიც თან სდევს დაბრკოლებათა გადალახვის საშიშროებას და ოპტიმიზმი, რომელსაც მიიღებს ცხოვრებისეული წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ.

ლექსის „ბერანის" მიხედვით, ადამიანი ილტვის თავისი საკუთარი მიზნის განხორციელებისაკენ და ემსხვერპლება კიდეც ამ მიზნის გამო:

> შავი ყორანი გამოიხრის საფლავს,
> მდელოთა შორის, ტიალის მინდვრის,
> და ქარიშხალი ძალათა შეუნილთა
> ზარით, ღრიალით, მიწას მომპარავს.

მიუხედავად ამისა პოეტს აქვს რწმენა ნათელი მომავლისადმი, რომელზედაც მიგვანიშნებს შემდეგი სტრიქონი:

> ცაზედ ხომ მაინც არ ჩაიკვლის,
> ეს განწირულის სულისკვეთება,
> და გზა უკალი, შენგან თელილი,
> მერანო ჩემო, მაინც დარჩება!

ეურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" 1910 წელს №2-14 და №2-15 ნომრებში დაიბეჭდა ზაქარია ბიგბინაძის წერილი სათაურით: „დრამატულ მოღვაწეობის ანბარეზზე", სადაც განხილული იყო ჩვენი მწერლების ალ. ჭავჭავაძის, ალ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დრამატიული მოღვაწეობა. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. ბარათაშვილმა რუსული ენიდან თარგმნა ლუზეფიცის ტრაგედია „იული ტერენტელი" ლექსად. ამ ტრაგედიის დაკარგვის შესახებ კი იძლევა ცნობას, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსები და ეს ტრაგედია, მის სიკვდილის შემდეგ, მისსავე ბიძას მგოსანს გრ. ორბელიანს შეუკრებია. ყველა ეს ნაწერები 1852 წელს ქართული თეატრის დამაარსებელს გიორგი ერისთავს გამოუთხოვია, სდომებია მათი „ცისკარში" ბეჭდვა. რამდენიმე ლექსიც დაუბეჭდია 1853 წელს. ბოლოს „ცისკარი" დახიტია. ნ. ბარათაშვილის ხელნაწერები გ. ერისთავს ისევ გრ. ორბელიანისათვის დაუბრუნებია. ამის შემდეგ 1857 წელს „ცისკარი" განახლდა, ნ. ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კი ალმოჩენილა გრ. ორბელიანის ხელში. ხოლო ტრაგედია „იული ტერენტელი" — სხვისთვის უთხოვებია და დაკარგულა. ზაქარია ბიგბინაძე იძლევა საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ გრ. ორბელიანს ბარათაშვილის ტრაგედია უთხოვებია წასაკითხად თავისი მეზობლის ალ. საგინაშვილის მეუღლისათვის." ის ქალი გარდაცვალდა და ბარათაშვილის დრამატული ნაშუშევარიც დაკარგულა". — წერს ზ. ბიგბინაძე.

როგორც გავეცანით, ჩვენს მიერ განხილული ეპოქის კრიტიკოსებმა მოგვცეს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ცალკეული მოტივების თავისებური ახსნა. შეეცადნენ დაედგინათ პოეტის სევდის გამომწვევი მიზეზები, გაანალიზეს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ფილოსოფიური მხარე და გაგვაცნეს საინტერესო ცნობა პოეტის დრამატული მოღვაწეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეზვან კილანავა, კოტე კილანავა

ღვთაება ვოში

ივანე ჯაბახიშვილს თავისი კაპიტალური მონოგრაფიის — ქართველი ერის ისტორიის — პირველ წიგნში ავდარ-ტაროსის ღვთაებისათვის საეკლესიური ქნეთოვი აქვს დათმობილი (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 78-80). აქ ახეთ ღვთაებად „ვოში", ანუ „ვები"-ა მიჩნეული. მკვლევარს დახკენები უმთავრესად დღეთა სკანური სათვალავის საფუძველზე გამოაკვნს. მისი დაკვირვებით, მეგრულ-ჭანურთან ერთად, სვანურმაც უმტეტს შემთხვევაში შემოინახა დღეთა უძველესი სახელდებანი. კონკრეტულ შემთხვევაში ამის დამადასტურებლად მას სწორედ პარასკევის სვანური სახელდება მიაჩნია. აკად. ი. ჯავახიშვილი თავის შეხედულებას ასე აკალიბებს: „...ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორშაბათი შვიდეულში უზენაესი ღვთაების მთვარის სადიდებელ დღედ არის განკუთვნილი, რჩება პარასკევი და შაბათი. რომელ ღვთაებას ეკუთვნოდა შაბათი, აქ ამის გარკვევა ჯერ შეუძლებელია ამიტომ, რომ არც მეგრულად, არც ჭანურად, არც სვანურად ამ დღის ძველი ქართული სახელი შერჩენილი არ არის" (იქვე, გვ. 79). სამაგიეროდ პარასკევსა სვანეთში შემოინახა უძველესი სახელდება: „ვებიშ" (ობიშ). აკად. ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს დღე „ღვთაება ვობი-სა, ანუ ვები-სათვის უნდა ეთიდლიეო დაწესებული, იქნება თავდაპირველად ცა-ღრუბლის, სეტყვა-ავდრის ღვთაების სახელად ვობი ანუ ვები იყო" (იქვე, გვ. 79).

აკად. ი. ჯავახიშვილი თავის მოსაზრებას დამხმარე მასალათა საშუალებითაც განამტკიცებს; სულხან-ნაბა ორბელიანს თავის ლექსიკონში პარასკევი დიოსის დღედ აქვს გამოცხადებული (სულხან-ნაბა ორბელიანი, თხზულება, IV, თბილისი, 1966, გვ. 275). რას ნიშნავს დიოხის დღე? ამაზე პასუხს ბერძნული მითოლოგია გვაძლევს: ძეუნი, ანუ დიოხი, ცა-ღრუბლისა და ავდარ-ტაროსის ღვთაება (ო. ჭროპე, ბერძნული მითოლოგია, I-II, მოუნხენი. გვ. 288, 745, 824). მაშასადამე, ქართული (სვანური) ვობი (ვები) იდენტური ბერძნული ძეუს-დიოხისა (ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79). ეს კი თავისთავად ადასტურებს აზრს, რომ ვობი (ვები) დარ-ავდრის ღვთაებაა.

აკად. ი. ჯავახიშვილი ამითაც არ კმაყოფილდება და პარალელს ადუსზარ „ძიოოუსთან" (ნ. ჯანაშია, ადუსზარი, მოამბე", 1897, № 2, გვ. 76) ეძებს, „ადუ. ნაგალრბლის გაუგებარი სიტყვა „ძიოოუ", რომელიც მოწმოდების მსგავსად ითქმის, ხომ რთული სიტყვა არ არის და „ძი" და „ოოუ"-საგან ხომ არ შედგება. პირველი ნაწილი ჭნიშნავს წუალს, ხოლო მეორე ხომ არ უდრის სვანურს „ვობი"-ს" (ი. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 79). დასასრულ, მკვლევარი გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს, რომ ცა-ღრუბლისა და სეტყვა-მეტნის ღვთაების ქართველ სახელის „ვები" ანუ „ვობისა" და ხეთური ელვა-ქუხილის ღვთაების „თეშუბ"-ის სახელთა შორის რაღაც კავშირი შეიეძლება იყოს და „ვობი" იქნება ხეთურ „თეშუბ"-ის მეორე ნაწილს წარმოადგენდეს" (იქვე, გვ.79).

ღვთაება ვობისადმი აკად. ი. ჯავახიშვილის ყურადღება ამაზე არ შეჩერებულა. იგი იმავე მონოგრაფიის მომდევნო გამოცემის „ნაოთ". ღვთაებათა ზეიდეულისადმი მიძღვნილ პარაგრაფში ერთხელ კიდევ, და უფრო ვრცლად, ჩერდება დასახელებულ ღვთაებაზე (ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბილისი, 1979 წ., გვ. 179-182), ოღონდ ამჯერად მისი მსჯელობა უმეტესწილად წარმპრთულია ნ. მარის თვალსაზრისის კრიტიკის ნიშნით. კერძოდ, ნ. მარს აკად. ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" მეორე გამოცემის (1913 წ.) შემდეგაც (1915 წ.) შენიშნული ჰქონდა, რომ ვობ (ვებ) საკუთრივ სვანურის დიალექტური ფორმებია და, ამდენად, არ შეიძლება მათი არსებობა საზოგადოდ ქართველნი ეიგარაუდოთ. ქართველში ვობის არარსებობის მტკიცების ტენდენციამ მკვლევარი ივამდე მიიეკვანა, რომ, გარკვეული აზრით, იგი თვით სვანურსაც მოაკლია და ადუსზურ-ჩერკეზულის მონათესავე უბიზრის ვობ-ათს (Услар. Убихский глосарий, გვ. 101)

დაუკავშირა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, საიდანაა შეთვისებული ეს სიტყვა სვანურში — უბიზრიდან თუ მეგრულიდან (Н. Я. Марр. О религиозных верованиях абхазов. Христианский Восток, II, 1915 г., გვ. 120). ნ. მარს მსგავსებიდან არ გამორიცხია ის გარემოება, რომ შესაძლებელია ელვაკუბლის ფუძიზური ღვთაება ფე-ის და ვეფ-ის შეპირისპირებით ანალიზი, ოღრმე ჩერქეზულ-ადიღეური მასალის გათვალისწინებით. კერძოდ, იქ ცისა და ციურის მნიშვნელობით ვაფე ეხმიჩრება, რომელიც სიფუძვლად უდევს ვაფე-კოპაკს (ელვა) და ვაფე-ფეალს (ქუხილ) (Н. Я. Марр. о религиозных верованиях абхазов. Христианский Восток, IV, I, 1915, გვ. 130).

აკად. ი. ჯავახიშვილი ნ. მარს დაეთანხმა იმაში, რომ ქართველურ ენებს, უბიზურ ენებთან და ადუხურ აფ-ს შორის არსებობს „ცხადი ნათესაობა", მაგრამ ნ. მარისეული ჩრდილოური „შეთვისებულობის" თეორია სარწმუნოდ არ მიიჩნია და თავის მხრივ ვეფი კვლავ სამხრეთისაკენ, კერძოდ, ხეთურ-ხალდურისაკენ აიღო (ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180, 182). აქ აკად. ი. ჯავახიშვილის მსჯელობა რადიკალურია: არ შეიძლებოდა, რომ სვანური „ვეფ" გადასულიყო ჩრდილო კავკასიურში და, პირიქით, უბიზური „ვოდო" — სვანურში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ურთიერთგადასვლა კავკასიაში კომპაქტური დასახლების შემდეგ (თუ მისაგე მიგრაციის თეორიას გავიზიარებთ) იბერიულ-კავკასიურ მოდგმათა შორის ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი.

ხოლო ხანგაზმი შეინიშნება ცდა, რომ ღვთაება ვობი ლაუკავშირდეს ბერძნულ ᾠδῆ (გ. ნადარაია, აგრარული კულტურის გადმონაშთები დასავლეთ საქართველოში; რელიგიის, ისტორიისა და ეთიკაშის საკითხები საქართველოში, თბილისი, 1967, გვ. 97, 98, 99), ან მეგრულ ნადურ სიმღერა „ოდოიის", „ოდეშ" — „ორდოსთან" ერთად (ს. ჯანტურიშვილი, ნადური სიმღერა „ოდოიის" საკითხისათვის; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, № 6, 1970, გვ. 94-104). უკანასკნელი შეხედულების ავტორი (ს. ჯანტურიშვილი) ამგვარად მსჯელობს: „ქართულში, როგორც ვიცით, „ო"-ს ბატკვნად „ეო" კომპლექსიც გვაქვს, სადაც, ქართველის თვალსაზრისით, ჩამატებული ჩანს „ვ" ელემენტი. ეს მოვლენა რომ მართლაც არის, ჩანს ქართულ „ოდე"-ს და სვანურ „ვოდე"-ს ტიპის მაგალითებიდანაც (Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964 г., გვ. 150). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარალეგს(ს), რომელიც სვანურად „ვეფშ" ანუ „ვოფშ"-ად გამოითქმის, მეგრულში ეწოდება „ვოფშხა" ან „ობეშხა", საფიქრელია, რომ აქაც „ვ" კომპლექსია დამატებული. მაშინ გარდამავალი ფორმა სვანურ სალოვის ენებება „ვოდო". აქედან საფიქრელია მიგვეცა ო — „ვობი", თუმცა „დ"-ს შეცვლა „ბ"-ით ქართულისათვის, მართალია, ... ნაშინდარი მოვლენა, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, აქაც იმავე მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი, როგორც ეს „დაობეზულსა" და „დადეგებულს" შორის გვაქვს" (ს. ჯანტურიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 104). დასკვნა ასეთია: „შრომის სიმღერა „ოდოია" თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით და წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ცა-ღრუბლის ღვთაება „ობი"-ს, რომლის სვანური სახელწოდებაა — „ვობი", ანუ „ვეფი". ე. ი. „ოდო" ცა-ღრუბლის ღვთაების სვანური „ვობი"-ს მეგრული სინონიმი უნდა იყოს" (იქვე, გვ. 104).

მსჯელობა მეტად საინტერესოა, სიახლით აღსავსეთ (შემოტანილია მეგრული მასალა), მაგრამ, ვფიქრობთ, საკამათოოა. ამას თვით ავტორიც გრძნობს, როცა ვობი-დან ვოდი გამოპყავს (თუ ამგვარი ურთიერთგადასვლა მართლა დადასტურდებოდა, მაშინ უალრესად საინტერესო შედეგამდე მივიდოდით: ევროპელებს ჰკავთ დარ-ავდრის ღვთაება, უწინარეს წვიმისა, წყლისა — „ოდდი", რაც სლავეთ ᲕᲝᲓᲐ-მდე დაიკვანება), ხოლო ამ უკანასკნელიდან — „ოდი", რაც, მისი აზრით, „ოდოიისთან" მიგვიყვანს. მაგრამ „დ" და „ბ"-ს მონაცვლეობაზე რომ ვერწმენოთ ავტორს, საკმისისათვის ადგილი მაინც რჩება. კერძოდ: ა) დასაზუსტებელია, „ო"-ს ბატკვნად „ეო" კომპლექსი საკუთრივ ქართულისათვისაა დამახასიათებელი თუ ცალცალკე სვანურისა და მეგრულისათვის ან საზოგადოდ ქართველური ენებისათვის. მოტანილ მასალაში ასეთი ვითარება ქართულისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული („ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ, როგორც ვიცით, „Ო"-ს ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲘᲡᲐᲓ „ᲕᲝ" ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲐᲪᲕᲐᲛᲡ"), ხოლო მოტანილი მასალა ფაქტიურად ქართულ-სვანურ მიმართებას გულისხმობს („ქართული „ოდე"-ს და სვანური „ვოდე"-ს ტიპის მაგალითები"); ბ) მოფლოდნელია მკვლევრის განცხადება, რომ „ოდოია თავისი თავდაპირველი მნიშვნელობითა და წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ცა-ღრუბლის ღვთაება ობი-ს, რომლის სვანური სახელწოდებაა ვობი ანუ ვეფი. ე. ი. ოდი ცა-ღრუბლის ღვთაების სვანური ვობი-ს მეგრული სინონიმი უნდა იყოს" (იქვე, გვ. 104). მაგრამ, ნარკვევის ავტორის აზრით, სვანური ვეფის მეგრულში ვობიშხა ფორმიოთაცა დადასტურებული (რაც არაა სათანადო მასალით ილუსტრირებული). თუ ეს ასეა, მაშ, რად შეეძიებინო ოდი სვანური ვობი(შ)ის სინონიმად, როცა ადგილზევე, მეგრულშივე ჰქონია პირველსახე — ვობიშხა; გ) ნარკვევში ოვრანინა ტენდენცია, რომ „ვო" კომპლექსი მეორეულად ჩაითვალოს, ე. ი. თავდაპირველია ობი, ხოლო მერმინდელია ვობი. თუ ეს ასეა, მაშინ სვანურ მასალასთან შეპი-

რისპირება არც იყო საჭირო, რადგან სწორედ მეგრულში დასტურდება ობიშა, რომელსაც მერე განუფიათარდა „ვ“ ბგერა: ვობიშა.

ჩვენ არსებითად სხვაგვარად ვფიქრობთ. კერძოდ, ჯერ კიდევ ნ. მარს ჰქონდა შენიშნული, რომ ჩრდილოკავკასიური ვობიო (ვაფე) და სვანური ვეში ნათესაობას ავლენენ არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ფორმალურადაც. მკვლევრის მიერ მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ჩერქეზულ-უბიხურ-აფაზურიულში ამ ლექსების სახელს თავკიდური „ვ“ აბლავს, რაც შეიხება სამპრეთისას, ჩვენი აზრით, მასთან ნაერთოს მხოლოდ სვანური ავლენს (ვობაო, ვაფე, ვები), ხოლო აფხაზურსა და მეგრულში იგი „ვ“-ს გარეშე (აფ. ობი) იხმარება (თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში პარალელურ მეგრულ სახელდებად ოშშხას გვერდით ვობიშაცაა მოხმობილი, მაგრამ იგი ჩვენ ვერ დავადასტურეთ), ეტეოსა, სწორედ ამიტომაა, რომ ზოგ მკვლევარს სვანური ვების აფხაზურ აფ-თან შედარებისას „უფრო სრული ფორმა“(?), არ არსებული ვაფე მოაქვს (ი. ჯაჯანიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბილისი, 1979 წ., გვ. 180). სინამდვილეში აფხაზურში ვაფეკი არ იხმარებოდა, არამედ აფ. ეს რომ ასეა, ამას, ეფიქრობთ, საუცხოოდ ადასტურებს მეგრული მასალაც. კერძოდ, სამეგრელოსა და სამურზაყანოში ადრიან გაზაფხულის, როცა ხვნათესვის შესაფერისი ამინდი დგება, აფუნ-ს ეძახიან, რაც ამგვარად დაიშლება: აფ-უნ-ი (-უნ მაწარმოებელია). სათუო არ უნდა იყოს, რომ მეგრულ აფუნ-ში შინაარსობრივად და ფორმალურადაც აფხაზური აფ ამოიკითხება, რომელთაგან არც ერთს არ ახლავს თავკიდური „ვ“. ახე რომ, „ვო“ („ვე“) კომპლექსი სვანურია და ჩრდილოკავკასიურისათვის შეიძლება იყოს მეორეული და არა აფხაზურისა და მეგრულისათვის: აქ იგი საერთოდ არ ჩანს (სვანურში სიტყვის წინ „ვ“-ს დართვის შესაძლებლობა დადასტურებული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს; იქვე, გვ. 181; აგრეთვე გ. ელიმოვსაც: დასახ. ნაშრომი. გვ. 150-151).

ზემოდასახელებულ და აგრეთვე ზოგ სხვა მიზეზთა გამო, ეფიქრობთ, ხ. ჯანტურიშვილის თავიხთავად ფრიად საინტერესო თვალსაზრისი ჭერეჯერობით მაინც სამუშაო თეორიის სფეროში რჩება და საკითხის საბოლოო გადაწყვეტას პროსპექტივაში ტოვებს (რასაკვირველია, ვგულისხმობთ საკუთრივ ლვთაება ვობის მისეულ ინტერპრეტაციას და არა საზოგადოდ ოდოიას კვლევის შედეგებს რაც ფრიად საინტერესო და არსებითად მიხაკება ჩანს). ეს კი გვაძლევს საფუძველს (და სტიმულსაც), რომ ლვთაება ვობის გაგების საკითხი ხელახლა დაკვირვების საგნად ვაქციოთ.

მისი გარკვევა იხვე აკად. ი. ჯაჯანიშვილის ნარკვევთან მიმართებაში უნდა წარიმართოს. აკად. ი. ჯაჯანიშვილი, როგორც აღნიშნეს, სწორად მიუთითებდა მეგრულ-ჭანურ-სვანურად დიდ მნიშვნელობასზე ქართული წარმართული პანთეონის (და საზოგადოდ წარმართობის) ცალკეული საკმეში. ამავე დროს, როგორც ჩანს, ხელი ან ჰქონია მეგრული მასალა ჩვენთვის ხანტერესო საკითხის გარკვევისათვის. ეს კი უეთუდ საჭირო იყო, რადგანაც, როგორც დაკინაბავთ, ამ მასალას მოციმული შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

რასაკვირველია, აკად. ი. ჯაჯანიშვილი სწორად იძლევა სვანური უეტ-ის ქართულ ტრანსკრიპციას (ვეში), მაგრამ იგი რატომღაც არ ითვალისწინებს სხვა, არსებითი მნიშვნელობის გარემოებას. კერძოდ, დღეისათვის სვანურში გაუგებარი ჩანს ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, ხოლო მეგრული მასალის მოხმობით მისი დადგენა შესაძლებელია ვცადოთ. აკად. ი. ჯაჯანიშვილისაგან ეს მით უფრო მოუსულდნელია, რადგანაც კონკრეტულად ვობიშე მსჯელობისას მასვე აქვს აღნიშნული: „ამა თუ იმ სახელის შეთვისებულობის საკითხი უდავოდ შეიძლება ამ სახელის პირვანდელი ფორმის გამორკვევისა და მისი ეტიუოლი ეტიმოლოგიის წარმოყენების შემდგომ გადაწყდეს“ (ი. ჯაჯანიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 80), რომ სანამ „ვობის ეტიმოლოგია გამორკვეული არ არის, მანამდის „ვ“-ს მერმინდელი დართულობის შესახებ მსჯელობაც ნაადრევია და სანიფათო“ (იქვე. გვ. 181). ვობის ეტიმოლოგიისათვის ამგვარი ძნელვნელობის მინაკების შემდეგაც აკად. ი. ჯაჯანიშვილს არ უცდია მისი ახსნა არც იბერიულ-კავკასიური და, განსაკუთრებით, ქართველური ენების საფუძველზე. ჩვენი ნარკვევი ამ ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს. კერძოდ, ცნობილია, რომ მეგრულის, „ო“ სვანურში გადადის როგორც „უე“ ან „უ“, ან პირიქით, სვანურის „უე“ მეგრულში გადადის როგორც „ო“. მსგავსი ოფელება სვანურ-ქართულის ურთიერთმიმართებაშიც შეიმჩნევა, მაგალითად, სვანურშია: „უეთიმალიშ ლაშრ ღერმეი“, ამ ფრაზის პირველი სიტყვა მეგრულად ახე გამოითქმის: ოთხმაფალი (ოთხთმაფალი, ოთკუჩხი); ქართულად: ოთხმავალი (ოთხთა მავალი, ოთხფეში). სპეციალოდ ეს სვანური ფრაზა ახე ითარგმნება: „ოთხფეშის სალოცავი ღმერთი“, მსგავლფეშა საკონლის სალოცავი ღმერთი (ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) ხაწერნი ბოგოფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 6, 9, 10, 16, 176). სვანურშია „ჯუეე ტაბლ“. ქართულად ითქმის: ბოგის ტაბლა. მსგავსი ცვალეთების მოტანა მრავალად შეიძლება, მაგრამ, ეფიქრობთ, მასზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია.

ბეჟან კილანავა, კოტე კილანავა
ლვთაება ვობი

ზემოთქმულის შემდეგ უნდა დაგვეკვანა: თუ დღეთა მეგრულ სათვალავში, მსგავსად სვანურისა, შემონახულია პარასკევის ფუძელები ეროვნული სახელი, ის გამოთქმიდან ახე: ობიშა (უფბშ — ობიშ). ფაქტიურად ეს ასეცაა; პარასკევს სამეგრელოში ობიშას, ე. ი. ობის დღეს ეძახიან, აქედან კი ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ძველად სამეგრელოში დარ-ავდრის ღვთაებას სახელად ობი ჰქმენია.

ახლა ვსინჯოთ: მეგრული ენის დღეკვნდელი მონაცემებით შესაძლებელია თუ არა მისი ეტიმოლოგიური ბრმენენელობის ახსნა? და თუ შეიძლება, რაიმე კავშირი ხომ არ ექნება მას დარ-ავდართანა? ორივე ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გაიცემა და ამაშია ბოლო გადამწყვეტი მნიშვნელობა; „ობი“ მეგრულში წყლის დაღვრასთან, წყლის დასხმასთანაც დაკავშირებული. იგი თხოვნით — ბრძანებითის შინაარსის გამომხატველი უნდა იყოს და ქართულად ახე გამოთქმის; ღვარე! ასხი! (I პ.ვ.-ობი, II პ. ობი, III პ. ობუ).

ვფიქრობთ, ობი სიტყვის ძირი არის „ბ“, რაც-განაც მისი საწესისა ბ-უნ-ა: ღვრა. ამავე დროს დამტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს ის ფაქტი, რომ მეგრულის ბ-ობ-უ-ა — დასხმა (შდრ. „ტანს ობონს“) იმთავითვე ბუნა-სთან, წყლის დაღვრასთან, შეცხმასთან არის დაკავშირებული. აქედან (ან პირუკუ) დაფბრკოლებლად გადახვლება ქართულ ბანვპ-ზე. გარდა იმისა, რომ ისინი შინაარსობრივად ერთსა და იმავე ვითარებას გამოხატავენ და ფორმალურადაც მსგავსებას ავლენენ, ეს შინაარსობრივი თუ გარეგნულ-ფორმალური დამთხვევა სრულ იდენტურობამდე დაიყვანება საინამეცნიერო თვალსაზრისითაც. მეგრულ-ქართულ „ო“-„ა“-ს ურთიერთშეწავლილების გათვალისწინებით („კაცი“ — „კაზი“) მეგრულის ბინუა ქართულად ახე გამოთქმოდა: ბან-უა. აქედან კი ლოგიკურად მიისვლება სიტყვამდე: ბანვა (ეს ფრიად საყურადღებო ფაქტია, რადგანაც, როგორც დავინახავთ, ამინდის ღვთაებისათვის გამართულ კარნავალზე თავდაპირველად მართლაც ნამდვილ ბანაობასთან გვკონდა საქმე). ვფიქრობთ, ამ სიტყვასეე უკავშირდება ზოგადქართული ლექსიკური ერთეული ბ-ბ-ან-ო (იქნება ის აქედანაა შესული ინდოევროპულ ენებში: Баня), რაც ძველად მეგრულში „ობონ“ ფუძის სახით უფალია ეროვნულ ნარჩენდგენილი, (შდრ. ობონ-უ-ე, ობონ-ა-ზ-ე — საბანაო ადგილი) და რაც ბახში ობი ფორმის არსებობას ადასტურებს (აქედან: ობიშბა და არა ვობიშბა). ამ სიტყვის პრეფიქსი „ა“ იმავე ოდენობისა უნდა იყოს, რაც სიტყვებში: ა-ფ, ა-ბ-ი*, ო-ბ ი. მისი გაგება შეიძლება, როგორც საარგანო ქცევის ნიშნისა (მა ვ-ო-ბ-ი: მე ვ-ა-ხს-ი; ნი ო-ბ-ი: შენ ა-ხს-ი; თიქ ო-ბ-უ: მან ა-ხს-ა) ან არადა, ის ისევეა განვითარებული, როგორც სიტყვებში: ა-დგ-ილ-ი, ა-ჩრდ-ილ-ი, (ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 194, სქ. 1).

„ბ“ ძირი რომ (წყლის) ღვრასთანაა დაკავშირებული, ამას ჯანური მასალაც ადასტურებს (ა. ჩიქობავა, ჯანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 250-251; გ. კლიმოვი, დასახ. შრომა, გვ. 47). მაგალითად, ფრაზა — „ბავშვმა წყალი დასხა“ — ჯანურად ახე გამოთქმულა: „ხერეკ წკარი ქოგო-ბ-უ“. ან კიდევ: „ბერეკ წკარი ქონო-ბ-უ“ —„ბავშვმა წყალი მისხა“. ორსავე შემთხვევაში გამოიყოფა „ბ“ ძირი, რომელიც ღვრას, სხმას გამოხატავს. ვფიქრობთ, აქვე შეიძლება შემოვიტანოთ ბანერშიეე დადასტურებული კომპოზიტები; ა) დობა-ფ და დობპ (ი) დღა (დობის დღე); ბ) დობა-წყნი, დობპ (ი) წყნი (დობის ბოიელეა). აქედან ეს ორეული კომპოზიტი (დობა-ფ და) ახე გამამტკიცება: წვიმიანი დღე. შესაძლებელია ამ კომპოზიტის მსაზღვრელი ამგვარად დადგესოს: დობ-ა, რომელიც მასდარული წარმოშობის უნდა იყოს. აქაც გამოიყოფა „ბ“ ძირი, რომელიც სემანტიკურად სხმასთან, ღვრასთან, წვიმასთან (ე. ი. წყალთან) არის დაკავშირებული. მსგავსადვე დაიშლება მეორე კომპოზიტის მსაზღვრელი: დო-ბ-ა წყნი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს დობის, ანუ წვიმიანი ამინდის, ბოიელეას. ჩანს, დობა აქაც იგივე ოდენობაა, რაც კომპოზიტში: დობა-ფ და, რასაც, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ ბოიელეა მართლაც ამინის ზედაპირზე მხოლოდ წვიმიან ამინდში გამოდის (დასახელებულ კომპოზიტებზე ჩვენი ყურადღება გაამახვილა თბილისის უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის თანამშრომელმა ოთარ მეშვილიშვილმა).

ცალკეა აღსანიშნი ჯანურისაეე დო-ბ-ერ-ი, რომელიც ასევე წყალთანაა დაკავშირებული და რომელშიც „ბ“ ძირის გამოკოფას არ ახლავს რაიმე განსაკუთრებული სირთულე.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ეგეეე ძირი „ბ“ ფიგურირებს სვანურშეეე ამავე მნიშვნელობით (შდრ. სვან. მ-ბ-ბ-ე—დამეხვა; მასდარი ლ-ბ-ბ-ბ; ხბ-ბ-ბ-ე —ვდვრი. მასდარი ლ-ბ-ბ-ბ) (გ. კლიმოვი, დასახ. შრომა, გვ. 47). ორის მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ბ“ ძირი ვერ დაუკავშირდება ბონ (ბან) ფუძეს, მაგრამ მეგრ. ბ-უნ-ა, ბ-ონ-უ-ა, ო-ბ-ონ-ე, ო-ბ-უნ-ს, ბან. ფ-ბ-ბ-ბ, ბ-ონ-ბ-ა, ბ-ბ-ან-ო, რომელთაგან ყველა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ღვრასთან, სხმასთან, ხაზოგადად წყალთანაა დაკავშირებული. გვაფიქრებინებს ყველი ზემოდასახელებული ფორმიდან „ბ“ ძირის გამოკოფის შესაბამებლობისა და აუცილებლობისაც.

ზემოადნიშნულის გარდა, აბანმ სიტყვაში „ბ“ ძირის გამოკოფის სასარგებლოდ მეტყვე-

ლების ის ფაქტი, რომ ქართველურ ენებში უალრესად ინტენსიურია — ან სუფიქსის ბმაზე. ბის სიხშირე მის როგორც სახელად, ასევე ზმნურ ნაწილში. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი უურადღება მიიპყრო აგრეთვე ძველ ქართულში, მის პირველსავე ძეგლში („შუშანიკის წამება“) დადასტურებულმა სიტყვა აპაშნმა, რომელიც არის „იანგრის თვის ძველი ქართული სახელი წარმართობის ხანისა“ (ლ. ბუელაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი 1978, გვ. 7). იგი თვის ეროვნულ სახელდებადია. მიჩნეული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც (1, გვ. 525). თუ ეს ახეა, და ვფიქრობთ, რომ ნამდვილად ასეა, შაშინ უალრესად საინტერესო შედეგამდე მივიდოდით: ობის ეტიმოლოგიის გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გამოც, რომ აპაპნი (იანგარი) ზამთრის შუა და ყველაზე ნალეკიანი თვეა, უნდა გვეფიქრა, რომ ისიც თავისი სემანტიკით ამინდს, ნალეკს, უწინარესად წყალს უკავშირდება. მართლაც, თვის სახელდება აპაპნზე (აპანსი) მსჯელობისას აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ის არის „იგივე ავეხტური აპამ, ფალაური აპამ ან ახალსასრული აბამ“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 100), რომელებიც, გერმანელი მეცნიერის გინზენის შენიშვნით, ეტიმოლოგიურად მართლაც დადასტურებულია მდინარესთან, წყალთან სახლებადოდ. ამ აზრს საუკეთოდ დასტურებს იანგრის მერმინდელი ქართული სახელებიდაც: სურწყნარ, რომელიც სახელობითში ამგვარად გამოთქმოდა: ხურწყან (ჰკაც გამოიყოფა ან ბოლოსრახით). იგი ფუძეთა გაორკეცებითაა მიღებული (ავეხტ. ხურ ნიშნავს წყალს, ძველქართველთან წუან იგივე წყალია) და ასე გამოითქმის: წუალწუალ-ია (კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 102). აპას ჩვენი საკიმბისათვის უალრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მისი ის მნიშვნელობა მით უფრო საცნაური გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვეთა ეგვეე სახელდებანი (აპაპნ, აბაპნ) უკავშირდება ებრაელ აბ-ს (კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 100). ეს იმას ნიშნავს, რომ აბაპნი (Баня) სიტყვაში „აბ“ არაა ძირისეული, არამედ იგი სუფიქსური ოდენობაა; ამდენად, „ბ“ ძირთან აბ-ანო —ბანვა სიტყვათა მიმართების ბაკეთში დადებითად უნდა გადავიჩაჩ, ოღონდ ალენიშნავთ: აპაპ-აკან-ბაბ სახელდებათა ნარმომავლობის სახლოო დადგენისათვის ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ალმოსავლეთის ენეფანათა ისტორიული კლიმატოლოგიის გათვალისწინებაც. კერძოდ, დადგენა იმისა, იყო თუ არა ოქ იანგარი ყველაზე უხვნალეკიანი თვე. ეს სახელდება ქართული სამყარისათვის გამართებულია, ამასთანავე აქვე იმ უალრესად საინტერესო ფაქტზე მითითება აუცილებლად მიგვანიშნა, რომ ალფაბეტური ძველი ქართული კაკანის ზღვრები გავრცობილი ჩანს და, [illegible] დიდ ზამთარს (და არა მზოლოდ [illegible]) ბაბ ეწოდება (ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი ალმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 78). ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ აპაპ (აპანსი) და აბაბ გენეტიკურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ადალურ ენაში ოფლს ჰქვია აპ (იგივე „ოფ“), ზოლო ქართველურ „ოფლსა“ და „ეფ“-ში „ფ“ მორფემა გამოიყოფა (ო-ფ-ლ-ი, ე-ფ-ი), რაც „ბ“-ს ფონეტიკური სახეცვლილებაა და რომელსაც წყალთან კავშირი აქვს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ქართველურ (და შესაძლოა საზოგადოდ იბერიულ-კავკასიურ) ენებში „ბ“, აპრამთან მისი ფონეტიკური პარალანგები, ქმნის ერთგვარ ლექსიკურ სისტემას, რომელიც წყალთან, ფლეს დაკავშირებასთან, ტაროსთანაა დაკავშირებული. თავისთავად ეს ფაქტი შესაძლებელს ხდის ობი-ს მიმართების დაშვებას დარაგდრის დეთაებასთან.

მაგრამ საკითხავია: რამდენად დასაშვებია, რომ ღვთაების სახელდებად ვიგულვოთ მეორე პირის ზმნა, თავისი ნამდვილი შინაარსითა და ფორმით, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, განა შეიძლება ღვთაებას ერქვას: ნკპარე, ახ. ხი? იქნებ ეს სავსებით შეუძლებელი არაა.* მაგრამ მოცემულ შემთხვევაში იგი უფიოდ ნაკლებად მოსალოდნელია: ობი, ვითარცა ღვთაების სახელი თუმცა ზმნური ნარმოშობისა, იგი მაინც არ უნდა იყოს ზმნა მის მეორე პირში (1 პ. ვ-ობი, 11 პ. ობი). მას სხვაგვარი ახსნა უნდა დაეძებნოს, რათა დადასტურდეს მისი, როგორც ხაგნის (ამ შემთხვევაში — ღვთაების) სახელდების შესაძლებლობა. აქ უნდა გავითვალისწინოთ მეგრული ენის ერთი მეტნაკლებად შესაძჩნევი თავისებურება: არის შემთხვევები, როცა ამ ენაში ბრძანებითის ფორმა მოქმედების ადსანიშნავადაც გამოდგება. ეს დადასტურებული აქვს ი. ენიფშიძეს თავისი მეგრული ენის გრამატიკაში.

ი. ენიფშიძეს მოპოვებს ასეთი მაგალითები გან-

---

* მაგ., შდრ. შამაკაცთა მეგრული სახელდებანი: გიშინ, მეუღეფ, ნამეორდა, რომელთაგან პირველის მნიშვნელობაა: ეიიხეენ, მეორისა — მიმეკოდდა, მესაბისა — რომელი ვიყო. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 276—277.

ბეჟან კილანავა, კოტე კილანავა
ღვთაება ობი

ბარტებითურ: 1) უშუქური — კორობი (< უშ-ქური-ში яблока + коробка собирающий) собиратель яблока. 2) ჩაკა-ზიდი (< ჩაკაში ტასიდი + ზიდი ткающий) ткатель корзины (И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка. СПб, 1914, გვ. 0031); 3) ატარი ხტონი — долбящий деревянную чашку (იქვე, გვ. 404, 405). ჰქ ლეკსიკური ერთეულები: კორობი, ზიდი და ხტონი მეორე პირის ბრძანებითის ფორმაა (შეადარეთ: 11ა. კორობი — ესრეშუ; 11 ბ. ზიდე — ზიდეშ; 11 ბ. ხტონი — ესპნრეშ). მაშასადამე, კორობი, ზიდი, ხტონი თავიანთი პირველპირი მნიშვნელობით თითქოს ასე უნდა გადეგეგო: 1. (ფაშლი) კორეფ; 2) (გოდორი) ზიდე; 3. (ატარი) ესხტე. ფფქტურად კი ისინი სავნობრივი გადების დონეზეა ავადილი და მიანიშნებენ: 1. ვაშლის მკრეფელი; 2. გოდრის მზიდველი და 3. ატარის მკვნტელი. ისინი მოქმედების აღმნიშვნელია. ამასთანავე იმისაც, ვინც კრეფს, ეზიდება ან კვნტს, ე. ი. მასასელეგანელის, მასასანეგანელის.

შეიძლება დაახლოებით ამავე სიბრტყეზე განვიხილოთ ზოგი სხვა მეგრული ლექსიკური ერთეულიც. მაგალითად, ხაშარა (ღაბარა). ხაფარი ნიშნავს მხიარულ, აზარტულ, ხმამაღალ ხაუბარს (I ბ. ბ-ხაფარა, II ბ. ხაფარა, III ბ. ხაფარანს). ხაფარა ზმნური გაგებით გულისხმობს: („შენ აზარტულად, მხიარულად, ხმამაღლა) ხაუბრობ". ამავე დროს იგი გასახელებულია და მიანიშნებს მოსაუბრეზეც („ხაფარა კორი რე" —ხაფარა კაცი არის, სიტყვასიტყვით „აზარტულად საუბრობ კაცი არის").

როგორც ჩანს, ეგეთე წესი უცხო არ ყოფილა ენაურისათვისაც. ეერძოდ, ნ. მარს შენიშნული აქვს, რომ «причастие действительного залога, оно-же имя действующего лица, представляет 3-е ЛИЦО ЕД. ЧИСЛА НАСТОЯЩЕГО ВРЕМЕНИ, напр. ჯარუს или ჯარუფს ОН ПИШЕТ и ПИСАТЕЛЬ, ბაშკამს он КОПАЕТ и КОПОТЕЛЬ» (Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка, СПб, 1910, გვ. 62). ნ. მარი ამავე მონოგრაფიაში აკლავ უბრუნდება ანიშნულ პრობლემას და ეჩვენებთად ალრმავებს თავის თვალსაზრისს: «3-е Л. ЕД ЧИСЛА НАСТ. ВРЕМЕНИ ДЕЙСТВИТЕЛЬНОГО ЗАЛОГА ОДНОВРЕМЕННО ИСПОЛЬЗУЕТСЯ КАК СУЩЕСТВИТЕЛЬНОЕ, напр. გუბუფლამს (გუგვინავს-ბ. კ.) ГРОМ, ცადუმს ВЗГЛЯД, или как ПРИЛАГАТЕЛЬНОЕ, напр. ილუმს (კლავს — ბ. კ., კ. კ.) СМЕРТЕЛЬНЫЙ. Та же форма к постановке перед нею союза, resp местоимения бо служит для выражения ДЕЙСТВУЮЩЕГО ЛИЦА, напр., ენანაჩუმს (ენანა=კარი; ნა=რომ; ჩუნს=(ი)ცავს: კარს რომ ICAZS — ბ. კ., კ. კ.) ПРИВРОТНИК, გარიანაჭუმს (გარი=ბაყმელი; ნა=რომ; ჭუმს=ჭვავს: ბაყმელს რომ ჭვავს — ბ. კ., კ. კ.) ХЛЕБОПЕК (ალბ. 74).

ობი-ც მსგავსი წარმომავლობის უნდა იყოს და მისი გაგება შეიძლება ამგვარად: ძლერეო, მსხვეული; ამდენად, იგი მიუთითებს ფულის ძლვარულ, მსხვილ ღვთაებაზე.

ობი რომ მართლაც ფულის დაღვრა-დასხმასთანაა დაკავშირებული, ამაზე თვით სიტყვის (ობი) სემანტიკური მნიშვნელობის გარდა, ამაზეც ღვთაების სასაკიცეულმოდ გამართული კარნავალიც ადასტურებს. ჯერ ერთი, ამ კარნავალზე ადამიანები ღმერთს შესთხოვენ ჭვიბის მოვლინებას და, მეორეც, რიტუალის მეთაურს, რომელიც ზოგჯერ ღვთაებასაც განასახიერებდა ბოლმე, ფულს გადასხამენ. მეტიც: XIX საუკუნის დასასრულისათვის, აფხაზურ ძიეოუსთან დაკავშირებით, ნ. ჯანაშია შენიშნავს, რომ აფხაზები ჩაადგენენ ფულში დედოფალას და თვითონაც ქუუმპალაობენ (ნ. ჯანაშია, დასახ. ზრომა, გვ. 76). თავის მხრივ რიტუალის ევოლუციის გათვალისწინებით შეიძლება ეფიქრით, რომ მსგავს შემთხვევაში ოდესღაც ადგილი ჰქონდა ნამდვილ ბანაობას, ხოლო ძიეოუს დედოფალას ხალამაზოდ გადაქცევის (იქვე, გვ. 76) შემდეგ მის პარალელურად ნამდვილი ბანაობაც, ალბათ, თამაშობამ, ქუუმპალობამ შეცვალა.

ჩვენი წარსულის ცნობილ მკვლევარს პროფ. ვ. ბარდაველიძეს ერთგან თითქოს დადასტურებული აქვს ხვანეთში ობის (ვენის) ღვთაებად წარმოდგენის უშუალო შემთხვევა. ექსპედიციური მუშაობის დროს ერთ-ერთი ხვანესაგან მას ასეთი ფრაზა ჩაუწერია: „ლერმეთ ჯუარ უებშ". პროფ. ვ. ბარდაველიძე ამ ფრაზას კითხვის ნიშნის ქვეშ გამარტავს: „ლერმეთ წმინდა პარასკევისა(?)". ჩვენ არ ვიცით, რა უდევს საფუძვლად მკვლევრის დაეჭვებას, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია: ეს დაეჭვება ხვანეთი კანონზომიერია, რადგანაც ხვანერულთათვის ასეთი შემთხვევაში მხოლოდ „ა" დაბოლოება თითქოს მოულოდნელია (უნდა ყოფილიყო „უებშ"). ამავე დროს იქვე დადასტურებულია, რომ აქ ხაუბარია არა ამინდის, არამედ უმთავრესად ხაჭინლის ღვთაებაზე: „ლერმეთ ჯუარ უებშ, ათფიშრი ბაბარ" — ღმერთო ჯვარ-ეებშაო, გამრავლე ღორები(?) (ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ 118). ვიმეორებთ: აქ ხაუბარი ამინდის ღვთაებაზე რომ ყოფილიყო, მაშინ ნეკეჭნებოდა „უებშ" და არა უებშ, თანაც ხაჭინლის გამრავლება მას ვერ დაუკავშირდებოდა. ამ ღვთაების სახელი სწორი ფორმით მაინც დამოწმებულია პროფ. ვ. ბარდაველიძესთან: „ბორა უებშ" — კარგი პარასკევი,

ბორციელის კვირის პარასკევი (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხვანებს ჰყავთ საკრძალის ღმერთი,. უფრო სწორად — ღმერთები, მაგრამ მათ ვებში არ ერქვათ. საკრძალის გამოსვლება მათში უშთაგრესად ბახილთანაა დაკავშირებული, რომელიც თავის ბრიგე ღვთაება ბოსელთან ალრევით უნდა წარმოშობილიყო. უფუოდ ეურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ხვანურ ბახილს, საკრძალის გარდა სხვა საქმეებიც ეკითხებოდა, ეს საკითხი ძველ ქართულ წმენლოსანთან მიმართებაში განხილული გვაქვს ცალეე ნაშრომში).

ეოოველივე შემოთქმულიდან შეიძლება ფრთხილი დასკვნის გამოტანა, რომ ამინდის ღვთაებას ძველად სამეგრელოში (ზმი ერქვა, ხვანეთში ეზმაი (ეკნი). რას ეძახდნენ მას ალამსაალეთ საკართველოში? აქ ერთხელ კიდეე უნდა შევიიხენოთ "მეგრულ-ქართულ „ო"-„ა"-ს მონაცვლეობა. ახეთ შემთხვევაში ბუნებრივია ვიკამაუფოთო, რომ მეგრულის ობი ქართულად გამოითქმოდა ახე: ABO" ქართულში აბის არსებობის ვარაუდი ხსნის ხვანურ ვებიშთან მისი უშუალო კავშირის შესაძლებლობას, რადგანაც ქართული „ა" ხვანურში უცვლელად გადადის. მაშასადამე, აქაც ახი უნდა გვქონოდა. მაგრამ რაკი გვაქვს უებიშ, იგულისხმება, რომ იგი ხვანურში მეგრულიდან შეეიდა. ამავე დროს ცხადია, რომ ქართული ახი, მეგრული ობი და ხვანური უებიშ ერთი ძირის მქონე ლექსიკური ერთეულებია. ქართულში ახის არსებობის ვარაუდმა არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ იგი მაინცდამაინც ფალაური ap-იდან (წუალი) მომდინარეობდეს (გ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966, გვ. 213). უნდა კი იყოს პირიქით, რადგანაც ეს ძირი ქართველურ ენებში წუალთან დაკავშირებული სიტყვათა მთელ სისტემას ქმნის, აქვს უამრავი საკეეეი და მისი ხმარებაც უადრესად ინტენსიურია, რასაც არ უნდა ჭკვნდეს ადგილი ფალაურში. ამ ეაზის გერმანული მეცნიერი ფორერიც ადასტურებს. იგი შენიშავს, რომ ap ძველ სპარსულში, ავესტაში და ფალაურში, ხოლო ახლ სპარსულში ab, aw წუალს ნიშნავს. მაგრამ რაკი ინდოევრპაპული ენებში ეს ძირი არ ჩანს, იგი სპარსულ-ინდოურიც ხასიხები უნდა იყოსო. სამოწმოდ ეს სიტყვა მას დაკავშირებული აქვს ზღვის შუმერიულ სახელთან ა-აბ და სამბრეთ-შუმერულ აბ-ზუან (ი. ჯავახიშვილი, საკართველოს კაკუსიისა და ალმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 124).

გარკვეული მოსაზრებით, შუმერულში „ა-აბ ახი-ის" წარმომავლობის განსაკაზი ჩვენ ვერ შევალთ (თუმცა ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ შუამდინარულ მითოლოგიაში წარდგენა —აბუბუ აქვია; ს. ი. კრამერი, შუამდინარული მითოლოგია, მოსკოვი, 1978, გვ. 285; შესაძლოა ეს მოსაზრება ველი ფორმა ეოფილიყო აბბუბუ, რომელშიც აბ გამოიეოფოდა წუალის მნიშვნელობით, აქვე უნდა დასახელდეს შუმერული ABU და ABBU) და ისეე ქართულში ახის არსებობის ვარაუდს ეუბარუნდებით. ეს ფრიად საეურადღებო შედეგს მოიხეევებს: აფხაზების ამინდის ღვთაებას ABO ჰქვია (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 79-80), რომელიც ეოოოდ უშუალო დამოკიდებულებაში უნდა იყოს ღვთაება ამინთან (აფხაზურში „ბ" და „ფ" მორფემათა მონაცვლეობა ჩვეულებრივია).

აკად. ი. ჯავახიშვილი სწორი იყო, როცა ვებიის აკავშირებდა აფთან (ვებ-ავებ-აფი), მაგრამ ამ ურთიერთობის გარკვევა ჩვენ მაინც ეფრო უშუალოდ ქართველისა და აფხაზურის შეპირისპირებით მიგვაჩნია. გამორჩეულები (ახ-აფ), ვინემ ხვანურისა და აფხაზურის და — რამდენადმე — მეგრულისა და აფხაზურის შეპირისპირებით, ოოუმცა აქ ამ სიტყვიერეო ფაქტის აღნიშვნა შეიძლებოდა, რომ, როგორც ჩანს, მეგრულშიც, „ობის" პარალელურად, აფ-იც თანაარსებობს. მაგალითად, როგორც აღინიშნა, სამეგრელოში ტაროს, ადრე გაზაფხეზეს, რაც ირგვლივ ეველაფერი მწვანდება და მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი ამინდია, აფუნს ეძახიან. რაც ამგვარად დაიწერება: აფ-უნ-ი. ქართველის, მეგრელისა და აფხაზურის ახ — ობი — აფის შესაპირისპირებლად დაბრკოლებას ვერ შეკმნის ის გარემოება, რომ, ზოგი მკვლევარის აზრით, უძველეს პერიოდში აფხაზურისათვის „ფ" მორფემა არაა საგულეველი. მას შეეძლო ქართველ-მეგრელი ახი (ობი) თავდაპირველად უცალოდ შეეთვისებინა და მხოლოდ შემდეგ მომხდარიყო საკეთარ აფხაზურში (ისევე, როგორც მეგრულში) „ბ" მორფემის „ფ" მორფემად ჩანაცვლება) (აფ—აბ), რაც მასში კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენა ჩანს. ფრიად საინტერესოა ის გარემოება, რომ თავის მხრივ აფი—აფუნის დაკავშირება შესაძლებელია, და აუცილებელიც. ზაფხელისა და შემოდგომის აფხაზურ სახელდებებთან: აუნი და ბაეკა-ფუ, რაც ქართულ ფუნუნს და მეგრულ აფუნს (ფუნას) ეთანაპარება ფორმალურად და სემანტიკურადაც. აქვე შემოვა ჩერქეზული ფაკა და აფხაზური აფნარა სიტყვის მნიშვნელობით. უკანასკნელებენ ამ საერთოკართველურ გაზაფხეზლსა და ზაფხეზლასაც. უფუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ, თუ აფხაზურში აფნი გაზაფხეზლის ნიშნავს, თუშურ

ბეეაან კილანავა, კოტე კილანავა
ლეონიდეა ვოგი

დილექტში აშე ჭუანის, ხასხასას აღნიშნავს და დაკავშირებული გაზაფხულთან (ცნობა მოგვაწოდა პოეტმა ეთერ თათარაიძემ, ეგეკვე სიტყვა იკითხება ახლახან გამოსული მისი ლექსების კრებულში: იმედის გვირილა, 1978, გვ. 91; ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მეგრულში ლრღვლის მენაშა ჰქვია. „მ“ და „ბ“ მორფემათა ჩანაცვლება ჩვეულებრივია ამ ენაში (შდრ. კოჩაშვლი—კოჩაშეს). უცხო არაა იგი სვანურობისათვისაც (შდრ ლეჩხუმ — ლეჩხემ). ასეთ შემთხვევაში მუნგოახ პარალელურად გვაქვნებოდა ბუნაშა, რაც სიტყვა-სიტყვით წყლის ბუნის ბულისხმის (სუფიქსების უნ-აშა-ს გამოყოფისათვის შდრ. მეგრული ყ-უნ-ფა: ყოლა, ნაყოლა, „ყ“ ძირის განცალკევებისათვის შდრ. ქართული: მ-ყ-ვ-ს, ყ-ოლა, იყო (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე აღვნიშნავთ: ობი-ბეიხ-ს დაკავშირება ინგვართან და გაზაფხულთან — „ბან-ბარილთან — რაიმე წინააღმდეგობის შემცველი კი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს, არამედ პირიქით — სავსებით ლოგიკურია, რადგანაც ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲪᲐᲚᲪᲐ ᲓᲐᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲪᲐᲚᲪᲐ ᲐᲕᲓᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲗᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ. არამედ საერთოდ ტარიოსის, ამინდისა, დარ-ავდრისა, რომელთა მკვეთრი გამმიჯნველი წელიწადის დროებში ᲨᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ (ინგარი) და ᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ, დრო ბუნების ცვდომისა და გაცოცხლებისა).

თავისთავად ამინდის ღვთაება ობი — ოფის დადასტურება აფხაზურ-ადიღურ-ჩერქეზული მასალებით შეიძლება მოუთითებდეს იმ გარემოებაზე, რომ ამი (ობი) არა მხოლოდ ზოგადქართული, არამედ ზოგადკავკასიური (ეტრიდ. იბერულ-კავკასიური) იყოს, რომელსაც მეტწილებად სრული ახსნა, დღესდღეობით, მხოლოდ მეგრულში მოეპოვება. ზემოთქმულის დასადასტურებლად შეიძლება დამატებით ზაზი გიგსვას სხვა გარემოებასაც, ეტრიდ, სამეგრელოში წყალს დღესაც განსაკუთრებული მოწიწებით ეკუცეინან, აქვთ მისი ხალოცავი „წყაროში გოგოფუა“. იციან „წყარკუთხია“, ჰკადენ „წყლის დედა“ და ა. შ. სამეგრელოში მკვდარს არ მარხავენ სწორედ პარასკევს. იქნება ამიტ მაკ იმის თქმა ხური, რომ ობიშა დღეს მიწა წყლიანია და ადამიანის დამარხვა ცოდვაა. აქ ᲪᲘᲡ ᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲡᲐᲠᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲔᲚᲘᲐ ᲬᲕᲘᲜᲘᲡ ᲐᲜ ᲬᲕᲘᲜᲘᲐᲜ ᲓᲔᲓᲔ. საინტერესოა, რომ ავდრისა და პარასკევის ურთიერთობაზე განსაკუთრებული ყურადღებისა გამამჯილებული ქართველ სამეცნიერო ლიტერატურაში, შესარულებელია ცალკეული გამოკვლევანი მასზე (ა. ცანავა, მეგრული ეზოშინტაცვიერების ზოგიერთი საკითხი; ქართული ფოლკლორი, I-II, თბილისი, 1964, გვ. 103-104). ეს (აფ-ინ) პრობლემათან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არაა ადგილობრივი ტოპონიმიკური მასალის გათვალისწინებაც, როგორაცაა, მაგალითად: ᲐᲑᲘᲡᲘ, ᲐᲑᲐᲨᲐ (მათზე ჩვენი ყურადღება გამამჯილეს ლაც. შუქია ადერდნიიმემ), ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲐᲑᲘᲨᲐ, ᲐᲑᲘᲨᲐ.

აქვე უნდა დასახელდეს ქალაქების ფეოდალური სახელდებანი: ᲐᲑᲘ (ს. მაკალათია, იქვე, გვ. 276-277).

ახლა ისევ ქართულისა და აფხაზურ პარალელებს დავუბრუნდეთ, უფრო დეტალურად შეეხოთ ძიროუხაც. გვაქვს თუ არა უფლება, ძიროუ ზოგადკავკასიური ობის (ობის) შევადაროთ? ამის შესაძლებლობა და აუცილებლობა აკი. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲚᲘᲐ ᲘᲛᲗᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ. მაგრამ ამ მხრივ მაინც მეტი მასალის გათვალისწინება და, მაშასადამე, მეტი შემხედვარი მომენტების გამოვლენაა საჭირო. უწინარესად უნდა გაირკვეს: ძიროუს კომპონენტის, როგორც სახელი გრაფიკული ხელოვნების ნიმუშის, წვეულადობა ქართულთან; საგალობელთა ტკბესის თანხედრა ზოგად ხაზებში მაინც; რიტუალის საშემსრულებლო მხარის მეტნაკლები თანაფარდობა და ა. შ.

ძიროუში შემავალი კომპონენტებიდან უწინარესად უნდა აღინიშნოს დედოფალა, როგორც სახელი გრაფიკული ხელოვნების ნიმუში. ეს დედოფალა თავის პირველდელი სახით, რასაკვირველია, ვერ მოალწევდა ჩვენამდე, რადგანაც „ალბანიანები, რომლებიც ავითარებენ თავიანთ ნაციონალურ ურთიერთობას, კან თავიანთ სინამდვილესთან ერთად ცვლიან ადრეთვე თავიანთ აზროვნებას და თავიანთ აზროვნების პროდუქტებს“ (კ. მაჩქი და ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან, თბილისი, 1948, გვ. 95). საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესის შემწეობით ადამიანები თავიანთი წინაპრების პრიმიტიულ წარმოდგენებს, რომლებიც იმავე წინაპართა ხელიოზენში რწმენის საგანი იყო, აშარეებენ, სიცილის, იუმორის საგნად ხდიან (სვანური მურკვამრა — კეირიანის მაგალითზე მსგავსი ფაქტი დაადასტურა Ყ. ონიანმა: ხაკ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, საზოგადოებრივი ვანეთოფილების ორგანო, № 5, 1969, გვ. 13). ამის კლასიკურ მაგალითს, სწორედ აფხაზური ძიროუს სადუძველზე, გვაძლევს სამურზაყანოს (უწინარესად აწინდელი გალის რაიონი), ეოფასა და ლექნიკაში დამკვიდრებული ᲘᲠᲘᲗᲐᲗᲐ. სამურზაყანოელის წარმოდგენით, ძიროვა მჩარენთი შეხვეული ჩამოძონძონილი დედოფალაა. აქ დედოფალას მსგავს საფრთხობელასა და ზოგჯერ თვით ადამიანსაც ძიროვას ეძახიან. მაშასადამე, ძიროუს ერთ-ერთი კომპონენტი დედოფალა, როგორც სახელი გრაფიკული ხელოვნების ნიმუში, ეფოლუციურებული ფორმით (ნ. ჯანაბია აღნიშნავს, რომ მე-19 ს. ბოლოსთვის ძიროუე უფრო სათამაშოს ჰგავდა, იქვე. გვ. 76), როგორც სახელი გრაფიკული ხელოვნების ნიმუში, აფხაზურს გარდა, მეგრულშიც, ეტრიდ, სამურზაყანოს ყოფაში დადასტურებული. სამურზაყანოში თვით

ხახელწოდება (ძივაა) აფხაზურიდან უნდა იყოს შემოსული.

აფხაზურისა და მეგრულის ძივოუ — ძივაკას პირდაპირი პარალელია ქართული **ბონჯა** (სიტყვა —ბონჯა"-ს შესახებ იხ. სტ. მენიუშაფილი, ეროვნული ლექსიკონი, 1948, გვ. 41). გარდა იმისა, რომ ბონჯა და ძივაკა შინაარსობრივად თითქმის იდენტური არიან (ბონჯაც შეუხდავს ნიშნავს), ისინი ფორმითაც ემთხვევიან ერთმანეთს. ბონჯას „თავის ნიშნად ნაკუერი ჭკონდა დაბვეული და ტანზე ან ქალის ძველი პერანგი ეცვა ან ჩჯრეზმოხვეული იყო" (ვ. ბარდაველიძე, დასახ. შრომა, გვ. 50). რაც მთავარია, რაგორც ძივოუში, ისე ბონჯაობაშიც დედოფალი ამინდის ღვთაების განასახიერებს. თანაც საგულისხმოა, რომ ორივეგან იგი გაშარეებულია. ამ ღვთაებამ, ვითარცა საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშმა, თავისი, შედარებით პირველადელი, ფორმით უთუოდ თუშური **საწვიმარა** ბუ**ბაის** სახის მოაღწია; გარდა იმისა, რომ იგი პარდაპარ მიუთითებს მის კავშირზე ამინდის ღვთაებასთან (საწვიმარა), მას შემორჩენილი აქვს პატარძლის კოხტა ტანსაცმელიც (იქვე, გვ. 50). ეს გვაფიქრებინებს, რომ თუშურ საწვიმარა გუგის ეფოლუციი ნაკლებ განუცდია. შესაძლოა ლაზარეც, როგორც თიხის ქანდაკება (იქვე, გვ. 50), ამავე სიბრძეზეზე განვიხილოთ.

მაშასადამე, ძივოუ, ბონჯა, ლაზარე და საწვიმარა გუგაი ამინდის ღვთაების რიტუალის მთავარი კომპონენტებია. ანალოგიური ჩანან ეგრეთვე როგორც საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. ეს მეთსავე იდეენტურობაზე მიუთითებს.

ამინდის ღვთაების რიტუალი გალმბით სრულდებოდა როგორც ქართულში, ასევე აფხაზურში. გარკვეული მოსაზრებით, ჯერ ქართულ ტექსტს, ცერეოდ, ლაზარიოს საგალობელს მოვიტანთ.

ვეგლეის დროს ლაზარობაზე შეურილნი მღერიან:

„აბ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა
ცხადი აკბაეებულა,
წვიმა გაჩქარებულა.
ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
ალარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოგვე ტალახი,
ალარ გვინდა გორახი".

(ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, თბილისი, 1979, გვ. 117).

ხალხის რწმენით, ლაზარე უთუოდ მოიყვანს წვიმას, მაგრამ შეიძლება მან გადააჭარბოს კიდეც. ასეთ შემთხვევაში, თუ შეიძლება ითქვას, ანტიტეზიები იგალობება:

„აბ, ლაზარე, ლაზარე!
ცას ღრუბლები აპყარე!
ალარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვე მზის თვალი,
ალარ გვინდა ტალახი,
ღმერთო, მოგვე გორახი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

(იქვე, გვ. 117).

რაც შეეხება ძივოუს, მისი საგალობლის სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა დღეს უკვე ალარ ესმით, დედოფალს წყალში გადაადგებამდე ძივოუს მონაწილენი ძახილით გალობდნენ: „ძივოუ, ძივოუ! ძირიკვ-ჭვი მარკდა" (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 78). ფიქრობენ, რომ იგი ასე ითარგმნება: „წყალს მოგვცემ, წვიმის წყალს წითელს და ბეჭრილს" (იქვე, გვ. 79, სქოლიო 6).

მართლაც, ძივოუში თავკიდური ძი, ძირით „ძ" წყალს უნდა ნიშნავდეს, რის გარკვევაშიც ქართველი მასალა გვადგება. კერძოდ, მეცნიერები (ა. ჩიკობავა, გ. თოფურია) წყალ სიტყვაში გამოპყოფენ „წ" — ძირს. ჩვენი აზრით, ამას ადასტურებს მეგრული **დო-წ-შა**, რაც დაღვრას, დასხმას ნიშნავს. საინტერესოა, რომ ეგასვე ნიშნავს **დო-ბ-შა**; ამდენად, **ქართველური ენებში საგალოლოდ „ბ" და „წ" ძირებია წყალთან დაკავშირებული.** სიტყვა ქიოოუში მორფემა „ძ" ქართული „წ"-ს ანალოგია. მიერი შესაბამენი ჩანს. ასე რომ **წესად** მისი გაგება ლოგიკურია. მეუხედავად ტექსტისეულური სირთულისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ძივოუ და ლაზარობა ძირითადად ერთმანეთს ეგბოთვეთან: ორივეგან რიტუალი გალობით სრულდება, ორივეგან ღვთაებას წვიმის წყლის დაღვრას სთხოვენ. მეტიც, რაკი ძივოუ-ს და აბი-ს (ობი-ს) იდენტურობაზე მსჯელობა გამართლებული, შესაძლოა აფხაზური ტექსტი ასე ითარგმნოს: „წყალი აბი! (ღმერთო). წყალი აბი! (ღმერთო), წყალს მოგვცემ, წყალს მოგვცემ. წვიმის წყალს". აქ ოგრძნობა ანალოგია ქართული ტექსტისა: „ღმერთო, მოგვეე ცის ნამი".

ასევე არსებითად ანალოგიურია აფხაზური და ქართული რიტუალების საშემსრულებლო მხარე (ჩვენ მეტ-ნაკლებად სრულ ანალოგიაზე ან უეჭვო ნათესაობაზე ვსაუბრობთ, თორემ საზოგადოდ „ამინდის მართვის ქართული ჩვეულებების ანალოგიური წესები გვხვდება სხვა ქვეყნებშიც. ბალტიის ზღვის პირად, სოფ. დერეში, როცა წვიმის მოსვლა სურთ, ხამი კაცი გამეზარება წმინდა ადგილას და იქ მაღალ ნაძვებზე ავდენ. ერთი მათგანი ცარიელ ქვაბს ჩაკიდის სცემს — ეს გრგვინვაა; მეორე მუგუზლებს ერთმანეთს უხახუნებს და ნაპერწკლებს აურეკვინებს — ეს ელვაა. მესამე ხის ტოტებს

ბეჟან კილანავა, კოტე კილანავა
ლვთაება ვოგი

წულით სავხე ჯურჯელში ასველებს და ირგვლივ ასხურებს. ასე „მოაკაცთ წვიმა“ ბალტიის მცხოვრებთ“; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1956, გვ. 257. ანალოგიურად იქცევიან ჩრდილოეთ ამერიკისა და ავსტრალიის მკვიდრნი (Д. Фрезер. Золотая ветвь, I, 1931, გვ. 80).

დასასრულ, გვინდა კიდევ ერთ წეს-ჩვეულებაზე გავამახვილოთ ყურადღება. დღევანდელ გალის რაიონში გვალვების დროს სრულდება მხვავნი რიტუალი, რასაც ᲛᲮᲕᲐᲕᲜᲘ („ცემბვა“-ს) ეძახიან. ამ მეტად საინტერესო რიტუალის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არაფერი შეგვხვედრია; რამდენადაც ვიცით, არ არსებობს მისი შესრულების მეტნაკლებად სრული აღწერაც კი. აღნიშნული ხარვეზის შევსებას, გარკვეული მიზეზის გამო (ცალკე მისი კვლევა ჩვენს სფეროში არ შემოდის), ამჟამად არ ვისახავთ მიზნად. მივუთითებთ მხოლოდ ზოგადად. ცემბვა ამინდის ღვთაების ტიპიური რიტუალია. ხალხში მოაგროვებენ თანხას, ამ თანხით იყიდიან ხაკონელს (უმთავრესად მოზვერს), სურსათს, ღვინოს, ხოფლის მოზუცების თავეკაცობით ან ოხვამეში (სასოფლო-ეკლესია) ან კიდევ სოფლის განაპირა ადგილზე გავლენ (ყოველთვის მდინარის ახლოს). ხაკონელს დაკლავენ და მოხუცები ღვთაებისადმი სათხოვარს აღავლენენ, რომ წვიმა მოუვლინონ. მერე იწუება საერთო მხიარულება, ერთმანეთზე ვედროებით წულის გადასხმა, ბურთის თამაში. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან მოხუცები და ᲛᲮᲐᲕᲜᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘ. ᲛᲮᲐᲕᲜᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘ-ᲡᲐᲐᲜᲐᲚᲒᲐᲬᲠᲓᲔᲑᲘᲡ, ᲪᲘᲚᲘᲐᲜᲘ და ᲣᲪᲘᲚᲝᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲑᲔᲠᲘ რამ აკავშირებს ᲚᲐᲮᲘᲠᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ. ეს კი მიუთითებს მისი ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲡ საჭიროებაზე.

ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲕᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲪᲛᲔᲑᲐ, ᲐᲠᲪᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲔᲗᲜᲝᲛᲝᲚᲝᲒᲘᲐᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲮᲡᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲝᲠᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲜᲐᲐ ᲛᲘᲜᲘᲬᲔᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪᲘ ᲚᲐᲮᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲠᲐᲛᲔᲪ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲪᲔᲛᲑᲐ-Ს ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ-ᲗᲐᲜ? ᲐᲜ კიდევ: ეს სიტყვა შეიძლება კომპოზიტი იყოს: ᲪᲘᲛ და ᲑᲗᲐ. ᲪᲘᲛ მეგრულში ოფლთან, წყალთანაა დაკავშირებული („კოჩის ხახეს ᲪᲘᲛ გინა�“ — კაცს ხახეზე ᲪᲘᲛᲘ, ოფლი მოსდის), ᲑᲗᲐ შესაძლოა იყოს იგივე ᲑᲗᲐ-მაᲡ. ᲚᲝᲪᲕᲐ (აღსანიშნავია ისიც, რომ ᲜᲐᲛᲡ მეგრულად „ᲪᲣᲜ-დი“ ᲰᲥᲕᲘ). მაშინ ᲪᲔᲛᲑᲐ ასე გაიგება: „წულის ხალოცავი“.

და მაინც ᲪᲔᲛᲑᲐ-Ს ᲓᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲙᲛᲔᲑᲘ. ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲙᲛᲔᲑᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲦᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲮᲚ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲛᲘ ᲗᲕᲐᲠᲘᲗ ᲣᲐᲮᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲯᲘᲡᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐᲗ, რომ ᲙᲐᲛᲑᲘᲨᲣᲠᲓᲘᲐᲜ „ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲪᲐᲪᲣᲚᲔᲑᲨᲘ“ ᲪᲔᲛᲑᲐᲡ ᲛᲮᲐᲕᲘᲡ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲗᲐᲓᲐᲪ ᲞᲔᲠᲘᲡᲢᲝᲜᲘᲤᲘᲪᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲓ ᲢᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲦᲕᲗᲔᲑᲐᲡ ᲐᲗᲝᲛᲘᲡᲣᲚᲘ, Ტ. I, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1978, ᲒᲕ. 142).

ლამარა ჩინჩალაძე

მზრდელი დიდი ნიჭისა

მისი ნამდვილი ადამიანური მოწოდება სიყრმის წლებიდანვე ცხოვრება გახდა და არა უბრალო არსებობა, ცხოვრება სწავლით, ძიებით, გონებრივი და ფიზიკური შრომით სავსე. რითაც უველამ მოისთვლიანა. ვისაც კი ამ ოთვითი პიროვნების — გიგა ჯაფარიძის გარშემო უხდებოდა და უხდება ყოფნა.

პირადად მას კი, ხელოვნების მოყვარულთა ოჯახში გაზრდილსა და ხელოვნებისათვის სანთლად ანთებულს, თავიდანვე ერგო რჩეულ ადამიანთა ბედი, რასაც სხვებისადმი უმშვენიერესი განცდების, სიხარულის მინიკებით ღებულმან გულშუქიანები.

მშობლები შალვა და ქეთევანი შვილებს ლევკსს, მუსიკისა და მხატვრობის სიყვარულით ზრდიდნენ.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ერთმანეთის პირისპირ ჭკიდია დედა ქეთევანის ნაკარგები და შვილის — გიგას ფერწერული ტილოები. ქეთევანის ფერადი ნახატ-ნაჭარგები ამშვენებს მოსკოვის რევოლუციის მუზეუმს. პოეტ აკაკი გეწაძის თქმისა არ იყოს, „უფესვოდ არაფერი იზრდება".

...და აღმოაცენდა გიგა ჯაფარიძის მშობლების ჯანსაღ ოჯახურ ფესვებზე ტანძლიერი და ნაყოფიერი შთამომავლები. „უნიკალურ პიროვნებას" (ასე უწოდა ბ. ეღენტგა გიგას) ცხოვრებაში მხარს უნჭერებს ძმა შალვა (მეზრამელთა დეპუტატების ონის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე და კულტურის სახლის სიმღერის ჯუნდის ხელმძღვანელი). თითქოს გარდასულ ხუუუნეებიდან გადმობიჯებულ შვენაბდიან ამ ვიეკაციისათვის ბედ ჩვენგანს მოუსმენია ცისფერი ეკრანიდან, რომ გუდასტვირნს დიდებული საგალობელი ეთქვა „ხალართველთა" ამღერებდა. ...ეგან ქალიშვილი ქეთევანი ხელოვნებათმცოდნეა. მისი გზა ახლა იწყება: ვაი მერაბი კი — კინომხატვრობაა).

თითქმის ბავშვი იყო გიგა. დალუპვას რომ გადაარჩინა რაჭული სტვირი. მარტო ამიტომაც ეკუთვნოდა მას ძეგლი თანამემამულეთაგან...

ხაშუალო სასწავლებლის მერხს მოსწყდა თუ არა, ონის ხარეთინო კულტურის სახლში ხალხატვრო ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა. ჯერ კიდევ მაშინ ჩაუდგა იგი კვალში დიდ ხელოვნებას. მერე თბილისი, ხალხატვრო აკადემია, კინოხალხმხატვრობა... გაბაკეტით, წარჩინებით სწავლა.

ოთხი წლის შემდეგ კი ისევ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. მაგრამ რაკიმდაკე ონელები მალე „იძალნენ" და 1948 წლიდან 1961 წლამდე ამბროლაურს შერჩა ონისათვის ესოდენ საჭირო კაცი. გ. ქეთიძის საცნობარო წიგნში „რაჭა" ეკითხულობთ: „ამბროლაურის სელინმოუვარეთა ჯგუფს 1948 წელს ხათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიგა ჯაფარიძე. შემდგომში მან საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას არაერთი ნიჭიერად დადგმული კლასიკური თუ თანამედროვე სპექტაკლი გააცნო. თეატრზე თავდავიწყებით შეეყვარებულმა ამ რეჟისორმა, მხატვარმა, მსახიობმა, პოეტმა, მუ-

ხიოსმა. დრამატურგმა გარშემო შემოიკრიბა ხმელადსზე პროფესიონალ ადამიანები. ეს ნიშანი თავისი ნიჭი, ფანტაზია, სული და გული ჩაეკოფა თითოეულ სპექტაკლში.

გიგას სახელთან არის დაკავშირებული ონარა და ამბროლაურის სახლთან თეატრების აღორძინება...

რაკეული სცენოგრაფიები თბილისელთა ნინამე ეპიზეულად 1957 წელს წარსდგეს ა. გეწყინის დრამით „სახლის ცრემლები". სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ამის შემდეგ, სხვადასხვა დროს, მათივე წარმოადგენენ ფეგენერედოს „მელი და ყურძენი" და ვ. დარასელის „კეკეიძე", შექსპირის „ჰამლეტი", ოფოოულის „ოიდიპოს მეფე", ლ. გოთეს „მეფე ერეელი" და სხვ. მათი დამდგმელი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი, თავაური როლის შემსრულებელი გიგა ჯაფარიძე იყო.

ვიხაკე კი ამ რეჟისორის ერთი სპექტაკლი მაინც უნახავს, ან ერთ როლში მაინც უხილავს შინაგანი ცეცხლით ანთებული ეს მსახიობი, შეუძლებელია არ ეფრქვნა მისი დიდი ნიჭი, დიდი ერუდიცია, ხალი ანრი, შემოკმედებითი ძალა.

„ლატაკი მილიონერის" დადგმა რომ ნახა, ბ. ელენტრმა თქვა: „დღევანდელ ჩვენს სახალხო თეატრების კოლექტივებს შორის, ჩემის აზრით, ყველაზე ძლიერია ონის სახალხო თეატრი. რეალისტური ნამუშევარი, მხატვრობა, აქტიორული შესრულება ძალიან მაღალ დონეზე დგას"...

ასევე დიდი შეფასება მისცა ცნობილმა კრიტიკოსმა რუსთაველის იუბილეს დღეებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოტანილ გიგა ჯაფარიძის სპექტაკლს „ლეგენდა რუსთაველზე".

სპექტაკლი სამჯერ ზედიზედ აჩვენეს რუსთაველის თეატრის სცენაზე და სამჯერვე დარბაზი ვერ იტევდა წარმოდგენაზე დასწრების ყველა მსურველს. მრავალრიცხოვანი ედალტორია შეუნელებელი ეუფაღლებით ადევნებდა თვალყურს სცენურ მოკმედებას და არა მარტო სპექტაკლის დასასრულს, არამედ მისი მსვლელობის დროსაც ერთსულოვანი ტაშით ალილდებდა ნიჭიერ კოლექტივს...

გიგა ჯაფარიძეს სხვებზე ნაკლებ როდი ერიდებოდა შენებოდა უკადაგ თუმას, მაგრამ დ. ცაბრაძის „ლეგენდა რუსთაველზე" ამ თემაში სწორედ ისეთი სიმძიმის ცენტრი იყო, რომელსაც ეეუბეკვდა ანმენდა ეკეე მრავალგზის გამოცდილი რეჟისორის შემოკმედებითი ბერკეტი. ასეე მობდა, ბესარიონ ეღეენი საფუძვლიანად ხაუბრობს სპექტაკლის ოდეურ-მხატვრულ ღირსებებზე: აკენს თავაური როლის შემსრულებლებს გ. ჯაფარიძეს (ბ. რუსთაველი), ზ. ჯაფარიძის (დ. ხოსლანი), ზ. ჯაფარიძეს (თამარი) და სხვ.

„სპექტაკლის წარმატების უსარგებელ ხაფანგელ მისი გონებამახვილური რეჟისორული გაზრება და ფრიად შომპეტენციი გამოვლენილ. დამდგმელს არა მარტო ეროვნული ეეგია და გაეუხსნია პიესის აზრი, მისი ყველა ეერსონაჟის ბუნება, არამედ მწეობრ კომპოზიციურ კალაპოტში მოეკალცეია სცენური ფაქტი მოკმედება და ერთიან ცხოველ რიტმზე აეუწყვა იგი. გასაოცარია, როგორ ახერხებს თეატრი მისი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შეზღუდულობის პირობებში შექმნას ნამდვილი სინთეზური ბუნების სპექტაკლი, სადაც მოცემულია ისტორიული ეპოქის და ნივთობრივი გარემოცვის სრული ილუზია, მიღწეულია მუსიკის, მხატვრობის, კინემატოგრაფის საშეალებათა, შუქწერის და, საერთოდ, ყველა სცენური კომპონენტის ორგანული მთლიანობა".

ცხადია, მწარედ ცდება შემოკმედი, ვინც ეოველგვარ ახერხებს, თვით ეიონაზე დგომასაც კი „ხიაბლესა და მაძიებლობას" უწოდებს... უნდა ვალიაროთ —მცირე „მეენიავე ხიაბლისმოუვარულთა" გარდა არავინ ნახულობს, ვერავინ უგებს ასეთ „ნოვატორულ დადგმებს". გიგა ჯაფარიძის მაძიებლობა კი თითქმის მუდამ „ხალი ხიაბლითა" და ჯეშმარიტი სილამაზის აღმოჩენით გვერგვენდება. და თუმცა იგი არა ცნობს „ფორმას —ფორმისათვის", მაგრამ ფორმა თავისთავად ჩნდება შინაარსისა და იდეის უკეთ გადმოცემის ძიებით და ჩნდება ისეთი მაღალმხატვრული ხალეკი სახით, რომ ჯეშმარიტად ზუოს აღუქმიდან ბევრ „წმინდა ფორმას" მოტრფიალესაც. ნაღიგი ჩუქურთმები, შუქ-ჩრდილთა და მუსიკალურ ბგერათა ამეტყველება, შინაგანი აზრით დატვირთული მიზანსცენები ისე ბუნებრივად ჩაეკრგება ერთმანეთს დრამატულ მახალაში, რომ მხოლოდ უალრესად მოაზროვნე და ფრთალაღ შემოკმედს შეიძლება შესწევდეს ამისი ძალა...

მის. მიტეელიშვილის „ბარათაშვილის" პირველ ხერხში მას ჰკონია ასეთი მხატვრული დეტალი, სასამართლოსა და გაგნინების პალატის უფროსის ილინსკის ეაბინეტში იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ვეებერთელ პორტრეტი ისე ეკიდა, რომ თავი არ უჩანდა, ჩანდა ტანი და ჩექმებიანი დიდი ფეხები... შესანიშნავად იეო გადაწეეტილი ფინალიც. ბარათაშვილი კიბეზე თანდათან მაღლდებოდა, ხოლო ჩრდილად ქცეული ეორონცოვის ამალა ისე ერებოდა. თითქოს ფეხეკვეშ მიწა გამოეცალოთ...

გიგა ჯაფარიძის დიდ რეჟისორულ და აქტიორულ უნარს აღიარებენ და მასზე მოწიწებით ლაპარაკობენ ქართული სცენის დიდი კორიფენი, თეატრმცოდნეენი, მწერლები.

განა ერთ დიდ გამარჯვებად არ ღირს თუნდაც ეს პატარა ბარათი?

„თქვენმა სპექტაკლმა „ვინ არის დამნაშავე?"

ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მოელი ღამე გარეცდილის ტკეივილში უძინელიდ გავიტარე. განსაკუთრებით მომეწონა მეორე მოკმედება და ამაღელვებელი ფინალი, სულითა და გულით გამოვლილი უელფარსავთვის. გთხოვთ გადასცეთ თქვენს ოჯახს და თქვენს კოლეკეტივს ჩემი დიდი მადლობა და დიდი ხალამი. ღრმა პატივისცემით თამარ დრაგაძე, ინგალისელი ბეჭერალი". და ასეთი რამდენი ნაბარათი აქვს გიგას შემონახული, რომლებშიც მადლიერთა ვალისფეთქვა ისმის!

ამაღელვებელ ეპიტეტი გიგა ჯაფარიძეზე, რომელიც ფეხბურთელ მხატვარზე, ამ მხრივ მის დახასიათებას მთლიანად ვანდობთ ცნობილ პროფესორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ხალკრთველის ხალხში მხატვარს, თბილისის ხამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის კათედრის გამგეს ფაროსნოზ ლაპარაშვილს:

„ძალიან მომეწონა გიგა ჯაფარიძის, როგორც ნხატვრის ნამუშევარი. ამ პიესის (ლაპარაკია გ. ბაჟოფის პიესაზე „მუნგერი ალაპარაკდნენ") ასე კარგად გაკეთება ძნელი ნარმოსახვადენი იყო და უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი გადაწყვეტა ორიგინალურად, პროფესიონალურად მეჩანია. იგი, როგორც რეჟისორი, ასეთსავე დიდ შეფასებას და ქებას იმსახურებს. იშვიათია, პირადად არც მინახავს, რომ პატარა ხეცნაზე ასე კარგად შეძლებულიყო სივრცის ორგანიზაცია, ისრომ თითოეულ დეტალს ჩვენდეს ხამოგვედო ფუნქცია ხასიათებისა და განწყობის მიხედვით. ის ქვედა სართული, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდიდა, დიდი მიგნებით, ფსიქიური ალღოთი, მხატვრული ტაქტით იყო გაკეთებული. და ამასთან, დეკორაციელ ფორმას ჩვენდა რაღაც სოციალური გადაწყვეტა... ხეკქტაკლის დეკორაციი იყო ძალიან მკაცრი, ხადა, მაგრამ გამომეტეველი. თანაც ეველფერს ჩვენდა არა მარტო ეზრობრივი და მხატვრული აქცენტი, არამედ ფორმის სოციალური კანხნაკეა..."

თანამედროვეე ქართული თეატრისა და ლიტერატურის დიდ მოღვაწეთა უამრავ გამოსახეკვაზს მოვიტანდით, სადაც გიგა ჯაფარიძეს უწოდებენ „ხალხეულებრივ არტისტს", „ეროსნაზეკვ მოღვაწეს", „ეულტურულ და ძალიან ნიჭიერ კაცს", „სიბარულის მთესველს", „დეეცხრობელი, მდიდარი სულის ჩვენს". „თეატრის რაინდს" და სხვ. მაგრამ ეველაზე ე�d ამ მრავალმხრივი ნიჭით მადლეცხელ პიროვნებას ხალხის სიეარული ახასიათებს. იგი მეოთხე ათეული წელია ფერგაზეუნრად „ბეფობს" პატარა რაკაში, არც ერთ ერისთავს არ ღირსებია მსგავსი „ეუფფნება" და დიდება, რაც „ხალხს მახეკვალებელი" მისი ხელოვნების დამკახებელი ბაეურებისგან ჯილდოდ იღებს.

ნრფელი, დამაკერებელი და ამაღელვებელია თავის დრამეშეზეც. ბუსიკალურ დეკორაციებზეც. რეეიხორაზეც. ეკეიერეეე

ლობითი ინტონაციის გამომკვეთ-გამაძლიერებელი.

მოელვარედ ველოდი იმ სცენას, სადაც ირინე სპპრობლის დასამტკიცებლად საკუთარი ქალური ხიწინდის გაწირვას ეპირება...

..გიგას სპექტაკლში მსგავსიც ვერაფერი ვნახეთ. აქ ირინე მორალურად სრულიფოფილი, უხინჯო, მოაზროვნე ქალიშვილია. უაღრესად თანამედროვე და თანაც ტრადიციული ქართველი ქალის ზნეობის დამცველი. იგი ამბრად არ გიოვლებს „სიმპრთლის უხამსად მოკრთმეგას".

გადახედავთ რეპერტუარის იმ გრძელ სიას, რომელიც 40 წლის მანძილზე ახაზრდებდა გიგა ჯაფარიძის თეატრს და რწმენდნიო — თეატრი ეკუმბრობდა ცხოვრების სულდან უქცევი რეფლიოსს, სადაც მეფობს ხამბოძლოს, პატიოსნები ადამიანის, წიგნისა და დედაენის კულტი. თანაც მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესები შუდამ წინა ალანზე იყო ავ ნამოწეული. „მისთვის, როგორც ხელოვანისათვის, ყველაზე დიდი ჯილდო მაყურებლის აღქმაა, რომდენაც იგი სცენაზე ღელავს. აღელვების მაყურებელს, ფეჩრობს და ადეკრებს, ტირის და აცინებს, ხალიჩა ბილი ეტიტეს, ეკინის და აკინებს, ხალიჩა ბილი უბადდო ბარდასახვა, განცდათა სიმრავფრე, ხულიერი დრამა, რომელიც შეუძლია ტრაგედიაზე მდე აიკვანოს. ეველა სპექტაკლის შემდეგ ვფიქრობდი, რომ განსახიერებული როლი მიხლის შემდეგ უკვე ახალი როლი მიმპარნდა ამპლუაა... მიძმელდება ეოქვა, სად უფრო ძლიერია იგი — დრამაში, ტრაგედიაში თუ კომედიაში" — ამბობს ეურნალისტი ეთერ ბურდილაძე.

1964 წელს გიგა ჯაფარიძეს 25 წლისთავზე ხაკართველოს მწერალთა კავშრის გამგეობამ მისალოცი წერილი გაუგზავნა... „ის 25 ნაუფიერი წელი, რომელიც ამ ნელენ ხელოვნების ხამხურს მოაზმარეთ... ზნეობრივი მაგალითია იმ-ხთვის, ვინც ხელოვნებაში თქვენს შემდეგ მოვიდა...

...ეოველთვის შეგეძლოთ ამ ნიკითა და შეხაძლებლობით, რაც ხახალხო თეატრში მუშაობის დროს გამოიჩინეთ, რესპუბლიკის დიდ ხახელმწიფო თეატრებში გეშუშავნათ. მაგრამ თქვენ, ძვირფასო გიგა, უფრო რთული გზის გაგლა ირჩიეთ, დარჩით შშობლიური კუთხის ხახალხო თეატრებში, რათა გამომსახველობითი საშუალებების სრულეოფილი პროფესიული თეატრების დონეზე აგეშაღლებინათ. ახლა თამამად შეიძლება თქმა, რომ ონთა და ამბროლეურის ხახალხო თეატრების ნიკეერი კოლექტივების ხელმეწყობით თქვენ შესრულთ ამ დიდი ხაკმის გაკეთება. ეშვიათი შემთხვევაა, რომ ერთ კაცში ასე ბედნიერად ერწყმოდეს ერთმანეთს მხატვარი, რეჟისორი, მხახლობი, ეოფერ-მუსიკოსი. თქვენს პიესებსა და ლექსებს, ძვირფასო გიგა, არაერთი მეთხუბეფენ ... ...

პიესით „ჯარისკაცის ქვრივით“ წარსდგა, რომელიც დადგა და მსახტერულად გაიფორშა გიგა ჯაფარიძემ. ამ სპექტაკლით თეატრმა პირველი საკავშირო ფესტივალის პირველი ხარისხის ლაურეატის წოდება და დიდი ოქროს მედალი მოიპოვა. ლაურეატის წოდება მოიპოვა და ოქროს მედლებით დაჯილდოვდა სპექტაკლის მონაწილე 18 მსახიობი. თვით გიგა კი საკავშირო ფესტივალის ორგზისი ლაურეატი გახდა (როგორც დამდგმელი და როგორც მსახტვარი) და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ფულადი პრემიაც დაინსახურა.

ონში სახალხო ზეიმად იქცა ჯილდოების გადაცემა. 40 თეატრთან „ბრძოლაში“ გამარჯვებულ ონის სახალხო თეატრს, მის რეჟისორსა და მსახიობებს ამავე დღეს გადაეცათ საჭართველოს კპ ონის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს ფესტივალის ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტისა და კულტურის განყოფილების სპეციალური სიგელები.

გულითადად მიულოცეს მეგობრებმა. მზე ედგა თვალებსა და გულში უველას. მედლებით მკერდდამშვენებული რეჟისორი ამბავად ეჯდა „თანამებრძოლებში“.

შემოქმედებითი სიმწიფის ხანა ახლა ჩვენი დასდგომია, მაგრამ მისი შემოდგომა ჯერ ბარაქიანია, ჭერულევილი.

ახლახან გიგა ჯაფარიძის ლირიკულმა დრამამ „ბიბლი წუხილისა“, რომელიც ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი, დიდი გამარჯვება მოიპოვა, სპექტაკლი საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდებით და ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

გონებაში გამოკვირტული ახალი გეგმები სახეზე ნათელს დაადენს, წამიერად გაინფეებული თვალი ახალ სცენურ სამყაროს დაკვალავს.. მერე მიზნები გულში ეშმარიტ გზნებით აფეთქდებიან და იბადება გმირთა ახალი სახეები, ახალი სპექტაკლი, მაყურებელთა „უველაზე დიდი ნიჭით“ — სამშობლოს სიყვარულის ნიჭით, კაცთმოყვარეობით, ამაღლებული გრძნობებითა და მშვენიერების მადლით მზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის მე-2 და მე-3 გვერდებზე საქინძულარის ფოტო.

რედაქციაში შემოსული მასალები ერთ საავტორო თაბახამდე ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-30, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 15. 4 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 6. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85 შეკვ. № 1125 უე 13901 ტირაჟი 48.250

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზეიმობს საბჭოთა საქართველო-

6 55/102

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76236

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЦИСКАРИ ■ 1981 ■ 6

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ